ISSN 0132—6228

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

1

1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

იანვარი № 1

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1852 წ.
აღდგენილია
1957 წ.

თბილისი
1993

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ბალთერ არაბული
ირაკლი ბაზაკე
გიორგი ბაძანიძე
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიბალაშვილი
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მეშველაძე
დავით მჭედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქუთერტელიძე
ჯანსუღ ჭეინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თეიმურ შავლაკაძე
შაოდეან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ციტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჭელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ზურაბ ნარმანია

შინაარსი

გამოიღვიძე, ქნარო!

3. ფსალმუნები — თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა

პროზა და პოეზია

8. ზურაბ გორგილაძე — ლექსები. წინასიტყვაობა ზაურ კალანდიასი
16. კონსტანტინე ნაკაშიძე — ბზა მიუკვლეველი. რომანი. დასაწყისი
52. გურამ ოდიშარია — ლექსები
55. მუხად ფანტარია — დათვი. მოთხრობა
71. კახა ტიბილაშვილი — ლექსები
74. მაია ციქარაშვა — მარიაციები თემაზე — „მიუ". მოთხრობა
80. მამუკა დოლიძე — მოთხრობები
88. თეიმურაზ ფანტარიშვილი — ლექსები

ახალი თარგმანები

90. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა. რომანი. გაგრძელება. თარგმნა თამარ ლოგინაძემ

წერილები

110. როსტომ ჩხეიძე — შურისგება. გაგრძელება
125. გიორგი ნოდია — ქვემდებარე კონსენსუსი და დემოკრატიული საზოგადოება
146. დავით ზურაბიშვილი — საქართველოს აღმოჩენა
154. ბუდუ დეკანოიძე — კოლიტიკა და ხალხური ფეპირსიტყვიერება
158. მანანა ტაბაღუა — მიწურ-მოწერა საქართველოს მეფე-მთავრებსა და რომის პაპებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნები

„...მაშინ ააგო ფსალმუნთა სახლი:
მსასოებელთა ღამეული თავშესაფარი —
გზად მიღებული ჯრილობების გასაყუჩებლად...“

ნელი ზაქსი, „დავითი“.

ბალხური გადმოცემით, ისრაელის მეფეს, ბიბლიური ფსალმუნების ავტორს, დავით წინასწარმეტყველს (X საუკ. ჩვენს ერამდე) თავისი ქნარი სამეფო სახასლის გალავანთან ჰქონია ჩამოკიდებული წმინდა იერუსალიმში. მთელი დღე, დილადან ვიდრე შუაღამემდე, იგი თურმე დუმდა. შუაღამისას კი, როცა იერუსალიმის ტაძრებსა და ციხე-გალავნებს ჩრდილოეთის მაცოცხლებელი ნიავი დაბერავდა, ქნარი შეიარხეოდა და თვითონვე იწყებდა გალობას. მის ბანგებზე გამოღვიძებული მეფე-პოეტი გამოდიოდა ტალანში, ჩამოიღებდა ქნარს და გასთათადდე თბზავდა თავის უკადეკვ საგალობლებს.

ჭეშმარიტად, ფსალმუნთა წიგნი ღვთიური შთაგონებით არის შექმნილი და დიდი მეფე-წინასწარმეტყველი მხლოდ უზენაესის ნებას თუ ალასრულებდა...

არანაკლებ საინტერესოა მეორე ლეგენდაც, რომელიც ძველი აღთქმის წიგნების (ებრაულად: თანახ) პირველ ბერძნულ თარგმანს, ე. წ. სეპტუაგინტას უკავშირდება: სამოცდათორმეტმა ალექსანდრიელმა ებრაელმა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად რომ დასტრეა „თანახი“ თარგმნა და თავიანთი თარგმანები ერთმანეთს შეუჯერეს, ყოველი მათგანის ტექსტი აბსოლუტურად იდენტური აღმოჩნდა. ყველასათვის საცნაური გახდა, რომ თარგმნილებნი ზეგარდმო ძალებთან იყვნენ წყნარაური და უფლის კარნახით მოქმედებდნენ. მიუხედავად ამისა, ებრაელი სწავლულნი მაინც სკეპტიკურად შეხვდნენ სეპტაგინტას გამოჩენას. მეტიც, ერთ-ერთ ხოინელ ბრძენს ნინანგლით უთქვამს — ეს ალიო ყველაზე ხეკდიანი დღე ებრაელი ხალხის ისტორიაში: დაიკარგა ის ღვთაებრივი იდუმალება, ის ჯადოსნური ბიბლი, რაც ოდენ ებრაული ენის წიალში ჩამარხულიო. ამავე თვალსაზრისს ადასტურებს ბიბლიის კომენტატორთა სხვა გამონთქვამიც: „თარგმანში“ (ბიბლიის არამეული თარგმანი) საღვთო წერილი კარგავს ის სახსოვლმოქმედ ძალას, რომელმაც უფლის დაფარული ნება უნდა განუცხადოს მრეველს... ძველ ებრაელ რაბინთა ახეთი შეხედულება, მეტ-ნაკლებად, ძველი აღთქმის სხვა თარგმანებზეც ვრცელდება, რაც კულტურული ინოლოგიისაკენ სწრაფვას კი არ ნიშნავდა, არამედ იმ დამოკიდებულებას გამოხატავდა, ბიბლიის მიმართ ხაუკნეების განმავლობაში რომ ჩამოუყალიბდა ყოველ მორწმუნე ებრაელს. მშობლიური კერას მოწყვეტილ და ლტოლილ ებრაელთას ერთადერთი განძი გამოჰყვა იავარქმნილი იუდეიდან — ბიბლია, მათი „უბის სამშობლო...“

ძველი აღთქმის წიგნთა და, მათ შორის, ფსალმუნთა თავისთავად უბრწყინვალესი ადგილი ქართველი თარგმანები სეპტუაგინტადან უნდა იყოს შესრულებული, თანაც, როგორც ჩანს, ბერძნული თარგმანიც მოგვიანებით დადგენილ და კანონიზებულ ებრაულ ტრადიციულ (ე. წ. მასორეთულ) ტექსტამდე არსებულ დედანს ეყრდნობა და ალაგ-ალაგ განსხვავებულ ვარიაციებს შეიცავს. ამიტომ საჭიროება ამ წიგნთა უშუალოდ ებრაული ენიდან თარგმნისა დიდი ხანია არსებობს. ამ რამდენიმე წლის წინათ ისრაელში გამოქვეყნდა ჩვენი ყოფილი თანამეშაბულის, ქ. ცხინვალის ყოფილი რაბინის იცხაკ მაჰისთვალოვის მიერ შესრულებული თარგმანი ფსალმუნებისა (საგულისხმოა, რომ ეს თარგმანი მან ჯერ კიდევ საქართველოში ყოფნისას შექმნა). იგი რამდენჯერმე გამოიცა ისრაელშიც და მის ფარგლებს გარეთაც. იგივე თარგმანი, მეტ-ნაკლებად რედაქტირებული, შავიდან საქართველოს სასაბრიარქოს მიერ გამოცემულ, თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნილ ბიბლიაში,

ბიბლიის წიგნთა და, მათ შორის, ფსალმუნთა მრავალი სხვადასხვა თარგმანი არსებობს კულტურითა და ლიტერატურით დაწინაურებული ხალხების ენებზე, მაგრამ ეს წიგნები მაინც კვლავ თარგმნება და გამოიცემა. ჩვენთვის კი, ქართველებისათვის, რომელთაც ასწლეულების წინათ, სხვებზე უწინარეს გვქონდა ამ წიგნთა შესანიშნავი თარგმანები, მით უფრო ბუნებრივია საამისოდ ყოველი ახალი გარჯა და მცდელობა. ნებისმიერი თარგმანი და ნებისმიერი ახლებური წაკითხვა საინტერესო უნდა იყოს ლიტერატურულ-კულტურული თვალსაზრისითაც. ყოველივე ამაზე გაბაპირობა ჩვენი მოკრძალებული ცდა — ფსალმუნთა ახალი, უშუალოდ დედნის ენიდან შესრულებული თარგმანი მთლიანად (ცალკეული ნიმუშები უკვე დაიბეჭდა სალიტერატურო გაზეთ „სიტყვა“-ში) დედნისავე პოეტური ფორმით მივაწოდო „ციცრის“ მკითხველებს.

ჯემალ აჯიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 1

1. ნეტარ არს კაცი, ვინც არ მისდევს ბოროტთა ზრახვას,
   არ შესდგომია ცოდვილთა გზას და
   არ ზის მკრეხელთა საკრებულოში;
2. არამედ უფლის მოძღვრებაშია გულისთქმა მისი,
   მის სწავლებაზე ჭირნახულობს დღისით და ღამით.
3. იქნება იგი წყლის სადინართან დანერგულ ხისებრ,
   თავის დროზე რომ მოიღებს ნაყოფს
   და არ დაჭკნება ფოთოლი მისი,
   რასაც იზამს, ყველაფერში წარემატება.
4. ხოლო ბოროტნი სხვარიგ არიან:
   ბზეს წაგვანან ქარისგან აღგილს.
5. ამიტომ ვეღარ წამოდგებიან სამსჯავროზე ბოროტეულნი,
   ვერც ცოდვილები — უცოდველთა საკრებულოში;
6. რამეთუ გზანი გულმართალთა უწყის უფალმა,
   ხოლო აკაცთა გზასავალი წარიხოცება.

ფსალმუნი 2

1. რად აღიძვრიან ნეტავ წარმართნი,
   ერები რატომ ესწრაფვიან ამაოებას?
2. აღბორგებულან ქვეყნის მეფენი
   და დიდებულნი ერთად შეთქმულან უფლის და მისი
   ცხებულის მიმართ:
3. „დავლეწოთ მათი აპეურები,
   განვაგდოთ ჩვენგან უღელი მათი!“
4. ცათა წიაღში დამკვიდრებულს გაეღიმება,
   უფალი სიცილს დაიწყებს მათზე.
5. და მაშინ იგი გულისწყრომით აუწყებს ყველას
   და თავის რისხვით შიშნეულად შეაკანკალებს:
6. „თავად ვაკურთხე მეუფე ჩემი, —
   ჩემს წმინდა მთაზე — სიონზე დავსვი“.
7. აწ გეხმათ უფლის განგებულება:
   ასე გამენდო უფალი ჩემი: „შენ ჩემი ძე ხარ,
   დღეს მიშობიხარ“.
8. მთხოვე და უმალ ხალხებს მოგცემ მემკვიდრეობად
   და დედამიწა — კიდით-კიდემდე სამკვიდრებელი
   იქნება შენი.
9. შენ რკინის არგანს არისხებ მათზე
   და მექოთნეთა ჭურჭლებივით შემუსრავ ყველას.
10. აწ კი, მეფენო, მოეგეთ ცნობას,
    გულისხმაჰყავით, მსაჯულებო ამა ქვეყნისა!
11. მოემსახურეთ შიშნეულად მეუფეს თქვენსას,
    რიდით და ძრწოლეთი იმხიარულეთ;
12. უბიწოებით აღიჭურვეთ, რომ არ განრისხდეს
    და არ მოისრათ ყველანი გზაში,
    თორემ ცოტაც და, აღენთება რისხვა უფლისა, —
    ნეტარ არიან მოსავნი მისნი!..

ფსალმუნი 3

საგალობელი დავითისა,
როცა გაურბოდა აბესალომს, თავის ძეს.

2. უფალო, ჩემი მტანჯველები როგორ მომრავლდნენ,
ჩემს წინააღმდეგ აღდგა მრავალი.
3. ბევრი ჩემს სულზე ამგვარად იტყვის:
„არ არის მისთვის მაცხოვრობა უფლისმიერი“.
4. შენ კი, უფალო, ჩემი ფარი ხარ, ჩემი დიდება
და ჩემი თავის ამმაღლებელი.
5. მოღაღადე ხმით ავძახებ უფალს,
ის კი თავისი წმიდა მთიდან შემეხიტყვება.
6. ვწვები და ძმინავს, გამოვიღვიძებ, რადგან მიფარავს
უფალი ჩემი.
7. ვერ შემაშინებს სიმრავლე ხალხის,
გარს რომ მერტყმიან ყოველი მხრიდან.
8. აღსდექ, უფალო,
ღმერთო ჩემო, კვლავაც დამიხსენ;
ჩემს მოძულეებს უმტვრიე ყბები,
ბოროტეულებს შეუშესრე კბილები მათი.
9. უფლისგან მოვალს მაცხოვარება,
ხოლო შენს ხალხზე გარდამოვალს კურთხევა შენი.

ფსალმუნი 4

გუნდის ლოტბარს. მუსიკალურ საკრავებზე.

2. ოდეს მოგიხმობ, შემეპასუხე, უფალო ჩემი სიმართლისაო!
იწროების ჟამს სივრცე მომეცი,
შემიწყალე და შეისმინე ჩემი ვალობა.
3. ვიდრემდე იყოს, ძენო კაცისა, ღირსება ჩემი
დამცირებული,
ვიდრემდე ეტრფით ამაოებას
და მიისწრაფით სიყალბისაკენ?
4. სცანით — უფალმა აირჩია კეთილმოსავი,
უფალი ისმენს, როდესაც ვუხმობ.
5. იგულისწყრომეთ და ნუ შესცოდავთ,
და ღამით, ოდეს სარეცელზე განმარტოვდებით,
თქვენსავე გულებს ესიტყვეთ წუმად!
6. შესწირეთ მართლის შესაწირველი და ესახოეთ
უფალსა თქვენსა!
7. მრავალი იტყვის:
„სასიკეთოს ჩვენ ვინ გაგვიმხელს?“
გარდმოაფინე, უფალო, ჩვენზე
ნათელი შენი სახიერების!
8. შენ უფრო მეტი სიხარული მოაგე ჩვენს გულს,
ვიდრე მათ ჰქონდათ, ოდეს უხვობდა პურეული და
ბადაგი მათი.
9. დავწვები მე და მშვიდობაში დამეძინება,
რადგან, უფალო, მხოლოდ შენა ხარ,
ვინც სასოებით დამაბინადრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსალმუნი 5

გუნდის ლოტბარს. ფლეიტებისთვის.
დავითის ფსალმუნი.

2. უფალო ჩემო, ყურად იღე ჩემი ნათქვამი,
გაიგულისხმე გულისთქმა ჩემი!
3. ისმინე ჩქამი ჩემეული დაღდისისა, ჩემო ღმერთო და
მეუფევ ჩემო,
რამეთუ შენთვის ვლოცულობ მხოლოდ.
4. დილაადრიან მოუსმინე, უფალო, ჩემს ხმას,
დილაადრიან შევემზადები,
დილაადრიან დაგელოდები.
5. რადგან შენ არ ხარ ბოროტების მოსურნე ღმერთი,
სიავე შენთან ვერასოდეს დაისადგურებს.
6. ვერც მზვაობარი დაგიდგება, უფალო, თვალწინ,
გძულს მზაკვარი და ბოროტმოქმედი.
7. გაანადგურებ სიყალბის მოქმელებს, —
სისხლისმსმელებს და ორპირა კაცებს ზიზღით უყურებს
უფალი ჩვენი.
8. მე კი შენივე უნაპირო კეთილწყალობით
მოვალ, უფალო, შენეულ სახლში,
შენს წმიდა ტაძარს მოწიწებით ვეთაყვანები.
9. წინ წარმიძეხი შენი სიმართლით
ჩემთა მტერთათვის, ჰოი, უფალო,
და ჩემს წინაშე წარმიმართე საკალი შენი.
10. რადგან არა აქვთ ბაგეებზე ჭეშმარიტება,
ბილწია მათი შიგნეულობა,
ღია საფლავს ჰგავს მათი ხორხები,
პირმოთნეობენ ენები მათი.
11. ბრალეულჰყავი, ღმერთო, ისინი,
დაე, დაეცნენ თავიანთი ზრახვების გამო;
შეცოდებათა სიმრავლისათვის ყველა მათგანი
განკევეთ შენგნით,
რაკი სალაშქროდ აღძრულან შენზე.
12. ილხინოს ყველა მოსავმა შენმა და იზეიმოს
უკუნისამდე,
შენ დაიცავ და იხარებენ შენით ისინი,
რომელთაც უყვართ სახელი შენი.
13. და შენ, უფალო, აკურთხებ მართალს
და მოწყალებას
ჯავშანივით გარემოახსამ.

ფსალმუნი 6

გუნდის ლოტბარს. რვასიმიან საკრავზე.
დავითის ფსალმუნი.

2. უფალო, შენი რისხვით ნუ დამსჯი,
ნურც შენმიერი გულისწყრომით დამამუნათებ.

3. მიწყალე, რადგან უძლური ვარ, უფალო ჩემო,
განმკურნე, რადგან ჩემი ძვლები ძრწოლვამ შეიპყრო,
უფალო ჩემო!
4. და ჩემი სულიც შეძრწუნდა ფრიად,
შენ კი როდემდე, უფალო ჩემო!
5. შემოიქეცი, ჰოი, უფალო, გადაარჩინე ჩემი სული და
მიხსენი შენი წყალობისათვის!
6. რადგან სიკვდილში გამქრალია შენი ხსენება,
ვინ აღმოგივლენს ქვესკნელიდან ქება-დიდებას?
7. ჩამოვითენთე მოთქმა-ვაებით, ყოველღამ ვალტობ
სარეცელს ჩემსას,
ჩემი ცრემლებით განბანილა
საწოლი ჩემი.
8. ურვა-ქვითინით დამიშრტა თვალნი
და გადმომცვივდა ყოველი ჩემი მოშუღარის და მოძულის
გამო.
9. განვედით ჩემგან, ბოროტმოქმედნო,
რადგან ისმინა უფალმა ჩემმა ხმა ჩემეული მოთქმა-გოდების.
10. უფალმა ჩემმა ყურად იღო ჩემი ვედრება,
უფალი ჩემი შეიწყნარებს გალობას ჩემსას.
11. დარცხვებიან და უსაზღვროდ შეძრწუნდებიან
ჩემი მტრები და მაჭირვებელნი,
განდგებიან და
მეჯხეულად გაწბილდებიან.

ბაბრძელება იძნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ გორგილაძე

ბათუმის შუაგულში, თუ არ ვცდები, ყოფილ სტალინის ქუჩაზე, ერთ-ერთი რიგითი შენობის მეორე სართულზე, დილიდან გვიან სალამომდე ხალხმრავალი ყავახანა ვიცი, ძირძველ ბათუმელთა საკრებულო და, თუ ამ ქალაქში ერთი ღირსეული ნაცნობი მაინც ჰყავს სტუმარს, აქ უეჭველად უნდა მოხვდეს...

დარბაზში ერთი გამორჩეული მაგიდაცაა, სადაც პოეტ ზურაბ გორგილაძის სკამი დგას და, დარხა თუ ავდარში, თუკი ქალაქის სტუმარი ხარ, მით უფრო — ზურაბის კოლეგა, ახლობელი ან ნაცნობის ნაცნობი, მხოლოდ აქ უნდა ნახო იგი, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც შეიტყობ, აწი ხად ეძიო, ვის მახპინძლობს და როდის მოვა....

პოეტ ზურაბ გორგილაძეს მთელი ბათუში იცნობს და პატივს სცემს.

ბატონ ზურაბ გორგილაძის არსებობა, მისი მართალი, ძარღვიანი ლექსი, კაცურკაცობა და მამულიშვილობა ეამაყება თითოეულ ბათუმელს.

პოეტი ზემონახსენები ყავახანის, ქალაქის, ზღვის, „აჭარის ლაჟვარდის“ თითქოს სრულუფლებიანი მეპატრონეა, რაშიც ვერც ერთი მაღალჩინოსანი ხელმძღვანელი ბატონი, ცნობილი ინტელექტუალი და ხელოვანი და, თქვენ წარმოიდგინეთ, „კანონიერი“ ქურდი ან ვინმე „დიდფულოსანიც“ ვერ შეეცილება მას.

ზურაბ გორგილაძის პოეზიას ქართული მწერლობა იცნობს, აფასებს და, აქედან გამომდინარე, ალბათ, მთელი საქართველოც, მაგრამ, სამწუხაროდ, არა ისე და იმდაგვარად, როგორც უნდა იცნობდეს მის ერთ-ერთ უნიჭიერეს პოეტს და ღირსეულ შვილს...

აკი თავადაც წუხს პოეტი: საქართველოში ისე ვბერდები, რომ თბილისს ლექსი ვერ წავუკითხეო.

წუხილი ერთობ სამართლიანია, მაგრამ თავად ბატონ ზურაბს დიდებულად მოეხსენება: ჭეშმარიტ ლექსს მკითხველი, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის... საერთოდ, პოეტთა დამფასებელი და წამკითხველიც მომავალია, ხვალინდელი დღე; ეს აწერინებს, ალბათ, ლექსს პოეტს და არა სახელდახელო ტრიბუნიდან დარბაზის იაფფასიანი ტაშის მოწყვეტა და ყვავილები...

ზაურ კალანდია

მნათი წინაპრული

მამია ვარშანიძეს

დავითი...
ხელისგულზე გელათი და გუმბათები,
მკლავშიც და რწმენაშიც კაჟი,
ქვეყანას წვეთწვეთობით ყველაფერს უმატებდა.
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

თამარი ოპიზრის საჭრეთლით დიადობდა,
ვარძიას ოცნებობდა ქვაში,
იჯდა თეთრონზე და სივრცეებს მიაპობდა,
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

თეიმურაზ პირველი სპარსულად მუსიკობდა
და ჩალმა ფრიალებდა ქარში,
სპარსულად მუსიკობდა, მტერი კი გულს იპობდა,
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

ერეკლე ჯვარს აცვა სამშობლოს მწუხარებამ
იმდენ ლოდინში და ცდაში
და მაინც... ივერია ქუხდა და მქუხარებდა,
ეს მაშინ, სალოცავო, მაშინ.

დროთა ორწოხებში ნგრევით ჩაიშალა
დღეთა ღნავილი და ლექი,
ახლა აღარ გზარავს ზახი ნადირ-შაჰის,
თავსხმა თათარის თუ ლეკის.

მნათი წინაპრული ისევ დაგვლრიალებს,
გზებზე შენი ნუსხით დაზვალ...
რად ხარ ეჭვიანი, რად ხარ ნაღვლიანი,
თქვი, რა მოგვივიდა ახლა.

შვილთა სხვა მირონით ნათლავს და ეუფლება
შენი ხვატია თუ გრილო,
რამდენი შენს ტახტზე ასვლას და მეუფებას
შენი დავიწყებით ცდილობს.

თითქოს სამრეკლოებს გული დარაზოდეს,
თითქოს გველი გეწვეს კარად,
თითქოს არ იქნები ქვეყნად არასოდეს,
არა, არა, არა!..

კმარა! —
ბოგინია ბრმათა და უგუნურთა,
შენ რომ გახევებს და გზარავს,
როგორც გუგუნებდი, ისე იგუგუნებ
მარად! მარად და მარად!

ლადიკო

ერთფეროვანი შეხვედრები, დღეები... ყავა...
ერთფეროვანი მიზეზები, ბჭობა და დავა.
ერთფეროვანი იმედები, ოცნება, წვიმა,
მობეზრებამდე ერთმანეთის პირისპირ ვზივართ.

ერთდაიმავეს ვიმეორებთ, ვიცინით, ვყვებით,
ერთდაიმავე ქრონიკებით გველღება ყბები.
გენიოსიც რომ გვერდით გვეჯდეს, ჩავაგდებთ არად,
გავაქაქებთ და ჩავაცმევთ მათხოვრის ხალათს.

ამ საქციელით, ამ ღლაბუცით, არაფერს ვითომ,
გენიოსობას თვითეული ვიმტკიცებთ თვითონ.
ერთფეროვანი ექსცესები, ქარი და წვიმა...
ფოთლები ხეებს უმოწყალოდ სცვივა და სცვივა.

მერე ლადიკო შემოდის და აფეთებს თვალებს...
„კიდევ აქა ხართ?“ — კითხულობს და იცინის მწარედ.

ჭადრაკი

არის პოეზია, მუსიკა, ბოჰემა,
ჯადონი ტალის თუ ფარცაგი ფიშერის...
მეც ჭადრაკს ვთამაშობ... და მხოლოდ მოგება,
ყაიმი, ძვირფასო, ვერაფერს მიშველის.

შენ ადრე მიხვდები და გვიან გაიგებ
და განსჯი, ვითარცა სინათლეს შეჰფერის,
როგორ პატრონობდნენ უთავო პაიკებს
დროის და დახლების ცბიერი მეფენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უსისხლხორცეს მცონარა პაიკებს
ქისების კასტებმა, უგვანო გვარებმა,
ჩვენმა წინაპრებმა საფლავშიც გაიგეს
ჩვენი სირცხვილი და ჩვენი მწუხარება.

გახსოვს?.. ქვითინებდნენ ქარები დაფნაში
და ზარებს ვიღაცა რეკავდა დილამდე,
შეწირვაც იყო და იმ მძუან თამაშში
მამულის ღიმილს და ღირსებას სწირავდნენ.

დღეს ჩემი მჩქეფარე აფრები იშლება,
ჩემს ნაფოტს მაღალი მნათობი დანათის,
რას მომცემს, რაც მოხდა ტალსა თუ ფიშერთან
დროის ორგიებით, ფიქრის კაკანათით...

ოჰ, კიდევ ჩვილი აქვს ფრჩხილი თუ ნუნები
ჩემს ბებერ ბავშვებს და ჩემს ქალებს კაპასებს.
ადგილს ინაცვლებენ ბეცი ფიგურები
ამ გასაოცარი ჭადრაკის დაფაზე.

ეს მხოლოდ დროებით... დრო მიდის დრამებით,
ხალხთან ითამაშო — მძიმე და ძნელია,
ცარიელდებიან დაღლილი სკამები
და ახალ ჟინსა და ჟრუანტელს ელიან.

არის პოეზია, მუსიკა, ბოჰემა,
ჯადონი ტალის თუ ფარცაგი ფიშერის...
ჩვენც ჭადრაკს ვთამაშობთ და მხოლოდ — მოგება,
გახსოვდეს, ყაიმი ვერაფერს გვიშველის.

●

კოხტა ალვებს აღარ ხედავ მოხრილს,
არც ქარების გაშრიალებს ხმა,
ბედნიერი შენი ფიქრის ქოხი,
მარტო ხარ და სუყველასთან ხარ.

შემოირბენს ცივი სხივი ცერით
შხამის სუნით გაბრუებულ ჭერს,
ეს რამდენი დღე არის და წელი
დაგავიწყდა ქალის ხელი შენ.

მთვარე მწყემსის კოცონივით ქრება,
ნაპერწკლები კიანთებენ შორს.
შენ არავინ აღარ გემუქრება,
არც არავინ პატიებას გთხოვს.

ყრუ ხსოვნაში იარები ისე,
თითქოს ჩამქრალ სასახლეში ხარ,
იცი, ეს (დღე მოგადგება ისევ,
სიკვდილამდე სულ იქნება „ხვალ“.

და თუ რამე მიგიზიდავს წუთით,
ისევ ეს ცა... და გაქრება ცა,
ო, ტკივილებს რა სათუთად ფუთნი
და მიჰყვები დავიწყებულ გზას.

შენ ღალატი ღალატივით გძულდა.
რაც ამკობს და... ახურდავებს ქალს,
შენგან რაღაც ადრე გაძუნძულდა
და დაადგა გაბრუნებულ კვალს.

მიდის იგი, უსასრულოდ მიდის,
თან ღრმავდება უკმარობის ჭა...
შენ ხარხარებ, რომ შენს ლექსებს ყიდი
და იმ გროშებს შენსავ მტრებთან ჭამ.

თეთრ ყავარზე სულ იცეკვებს კოხი,
სულ წაგყვება ტყის მეფური ხმა,
ბედნიერი შენი ფიქრის ქოხი,
მარტო ხარ და სუყველასთან ხარ...

ბუხართან

წიფლის ცეცხლი ბარბალებს
და კვარცხალებს კარდალი,
ნენი, — ბიჭი კითხულობს, —
მჭადზე დაღი რად არი?

დედა ხმამწუხარეა,
ზარს და ზეიმს ჩვეული,
შვილო, მჭადზე ჯვარია,
ძველი და კურთხეული.

დაგმანული დუმილი
წარსულს ესმის წყევლებად,
ყვება დედა გარდასულს,
ყვება და იცრემლება.

ღუის ცეცხლი წითელი,
ღუის და იფაფრება,
ბიჭს ეშლება ბალანი
და ქოხს უნდა გაფრენა.

ქვაღვენთქება ბუხარში
ჩუმად იწვის ღადარი,
ნენი, — ბიჭი კითხულობს, —
მჭადზე ჯვარი რად არი?!

●

ირგვლივ მზეა და ოქროს ველია,
ცაცხვის ჩრდილები სდუმან და სდუმან...
უცებ გაოცდე, არაფერია,
თავისი უკვე იმღერა გულმა.

აქა-იქ ობლად ყვავის იელი,
ყვავის იელი, იელი მარტო...
და ის მშვენიერ სიცარიელით
ველარ მიზიდავს და ველარ მართობს.

ყალბი ღიმილი ჩნდება ბავეზე
და წამწამებზე კანკალებს ვერცხლი,
ალბათ... ვიღაცას თავსაც ვაბეზრებ
უკვე... გრძნობებში მიმქრალი
ცეცხლით.

ალბათ... ვიღაცას ჩუმად ეწყინდები
იმ ყმაწვილური ცდომების ბადით
და ჩემი ლექსიც ამასწინდელი
სიყვარულივით მოდიდან გადის.

რით გავიხარო! წყეულ იებით,
შენი გაცრეცილ ტუჩების ფერის?
სავსე ვარ ძველი მონანიებით.
მონანიებაც თავისას მღერის.

და რადაც უხმოდ, წლებით დევნილი,
ჩემი საწუთროს ღვიძლი და მკვიდრი.
ოჰ, სამუდამოდ... დაშლილ გემივით
სულის და ხსოვნის ფსკერისკენ მიდის.

ირგვლივ მზეა და ოქროს ველია,
ცაცხვის ჩრდილები სდუმან და სდუმან...
უცებ გაოცდე — არაფერია,
თავისი უკვე იმღერა გულმა.

●

სამშობლო!
და შენ შეგაცბუნებს ხატი თუ ჯვარი,
საფლავი ერთი, და შიგ თეთრად მღუარი ძვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო!..
და შენ შეგაჟურჟოლებს ეკლის თუ ნამის
ალერსი და შიგ შელეკილი საწუთროს შხამი.

სამშობლო!..
და შენ გაგაბრუებს ღვინო და კვამლი,
ან ძაღლის ყეფა, ან პირველი ყივილი მამლის.

სამშობლო!
და შენ გაგაოცებს უკვდავი სევდა,
ლამაზი, როგორც ობლების ან პოეტის დედა.

დავკალ რამდენი ზვარაკი და სანთელიც დავწვი...
სამშობლო!
და მე დამიდგება სიკვდილი თვალწინ.

●

მივატოვე წიგნები და ღამე,
მივატოვე ზმანებები მღვრიე
და გრძნეული ხეივნების ხავერდს
განთიადის კარებამდე ვდიე.

უმიზეზო ტკივილები გაქრა,
საფეთქლების უცნაური ცემაც.
განთიადმა მაღიარა, მაგრამ
ადრეაო — იგრიალა მზემა.

აბრმავებდა ზარზეიმის ზვარაკს
უხსოვარი მირონით და სისხლით
უალრესი სიძველე და, — თანაც
უახლესი მხურვალება მისი.

მზეო! — ვიღაც იხვეწება მწარედ,
მზეო! — ვიღაც ხარხარებს და მღერის,
მე კი ვდგავარ სასწაულის გარეთ
სამყაროსკენ გაშვერილი ხელით.

ეს მზე ჩავა, დაღამდება, მძიმე
საბურველით მოირთვება მიწა,
მე არ ვკარგავ, ო, არ ვკარგავ იმედს,
ვიცი, სადღაც ადამიანს ღვიძავს.

ყველას მისი დაშვენდება პალმა.
მისი დაფნა და იელის ტოტი,
მზეო! შენაც ალიარებ, ალბათ,
ადამიანს გაუმარჯოს, მოდი!

მზეო! — ვიღაც იხვეწება მწარედ,
მზეო! — ვიღაც ხარხარებს და მღერის,
მე კი ვდგავარ სასწაულის გარეთ,
სამყაროსკენ გაშვერილი ხელით.

●

ჩემი ღაღუნა, ჩემი ღუღნა, ჩემი ღოღნია,
ერთი აქ მომცა, მალოშნია და მალოღნია.
ერთი აქ მომცა საფუნგალა და მაბურგალა,
ჩემი გონგალა, მაკონკალა და თავბურძგალა.
გამაძღო მისი კისრის სუნით, თმებით, კოცნებით,
ეჰ, ორ პარასკევს, ორ პარასკევს მეტს ვიცოცხლებდი.
გადუქრებოდა ჩემს სიხარულს ჩრდილის ნასახიც,
ჩემთან რომ იყოს, ჩემთან ახლა, ის მამაძაღლი.
მაგრამ ცხოვრება ცხოვრებაა ყოვლის მხარულით...
თანდათან ვკვდები და ვშორდები ამ სიყვარულით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ჩვენს სიყვარულზე იჭიკჭიკებს ალბათ მერცხლები,
ჰოი, მერცხლებო, იჭიკჭიკეთ... მე გაგეცლები.
შენ, ჩემი სიყრმის ოქრო ხეო, მზით რომ ვერ ძღები,
სულ მზე გეფრქვიოს მაგ ხუჭუჭზე, მე გაგეცლები.
შენ, ჩემო დედავ, დედობა რომ ველარ შეძელი,
შენ ნუ, ძვირფასო, მე წავალ და მე გაგეცლები.
მამულო, სავსევ ჩონგურების ცხელი ვერცხლებით,
ერთ ლარს ჩამოვკრავ შენს კალთაში, და გაგეცლები.
არვის ეგონოს, დავენარცხე ქარში ტოტივით,
მე ცდა ვიცოდი და მიყვარდა უფრო ლოდინი.
ისევ ჩემს დღეებს, თუკი ვინმეს რასმე ვპარავდი...
მე დროსთან მინდა, დროსთან მინდა,
დავრჩე მარადის.

●

თანდათან ვმაღლდები და ვკეთილშობილდები,
იზრდება ფიქრი და ნელდება მქუხარება...
და ხალხში გავარდნილს მაინც შენ მომინდები,
გონიოს კედლებში ჩაყრილო მწუხარებავ.

მე შენი კლერტა და იები მომელიან,
ქალივით მორცხვი და ქალივით კაპასები,
ამ ბედით შემკობილს წლები ვერ მომერია
და ასე მგონია, თანდათან ვლამაზდები.

დროში მოარული ჭირთა მარეკავით
როგორ გამნათლე და როგორ დამაპურე...
ალბათ მაკურთხებ და ზარებს მარეკვინებ,
ალბათ წამიყვან და აღარ დამაბრუნებ.

ამბობენ, მხურვალება მზესაც კი უნელდება,
მე კი ლოდებზე ვარ ცეცხლივით მიკონილი,
ჯერ კიდევ დამკრავს ჯეელის სურნელება,
ჯერ კიდევ კოხტა ვარ, ქართულ სტრიქონივით.

ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲛᲐ, ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲝ

მე სხვა განძეულებს ვფუთნი,
თქვენსავით ხარახურას არ ვპატრონობ,
თქვენი ქმარი — გაწვრთნილი ქურდი,
მე კი... პოეტი ვარ, ქალბატონო.

თქვენ იცით, თუ რატომ გჭვალავთ
კარებზე კაკუნი, ქალბატონო.

თქვენ ხშირად ზურმუხტივით
მწვანდებით,

თქვენი ღირსებაა ჭამა,
დახლებზე არაფერი არ დატოვოთ,

ლამის მწუხარებამ დაგათოვოთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახეთ, ამაყიც ბრძანდებით,
რამ გაგაამაყათ, ქალბატონო!

იცით, ცხოვრება ვისი არი,
ფხიზლობთ — ცხოვრებამ არ
დაგტოროოთ,
თქვენ ქურდის სარეცელს იზიარებთ...
და ბედნიერი ხართ, ქალბატონო!

ჩვენ ვერ ვისაუბრებთ ღმერთთან,
ცასთან, იისფრად რომ კაბადონობს.
წყალსაც ვერ დავლევთ ერთად
მე და თქვენი ქმარი, ქალბატონო.

რამეთუ ბრძანდებით დედა,
არ მინდა ბორიტს დაგატოლოთ,
ბავშვებმა იარონ ერთად,
ბავშვებმა ითამაშონ ერთად,
უბიწო ბავშვებმა,
უხინჯო ბავშვებმა,
ჩვენმა ბავშვებმა, ქალბატონო!

ბორჯომის ბოთლი

ბათუმში ამ დროს...
ლურჯი სიჩუმით შეზავებულ ხავერდის სეზონს
ნაზი ბინდების მტევნები ათრობს
და ყავის ბოლში იბლანდება „სალხინოს“ ეზო.

ვაი, გონიოს კედლის ბურჯებო...
ბიჭნი დალალებს ივარცხნიან, გოგონი ქოჩორს.
შამპანურს სვლიპავს, ენამზეობს და იპურჭყება
მამის ნეზვიდან გამომძერალი ბრჭყვიალა ხოჭო.

ვაგლახ, თამარის ციხის კედლებო,
ვერვინ მჯაბნიდა შენი ხმის და აზრის მქონებელს,
ჩვენი დედები, ხვალინდელი ჩვენი დედები
ბარძაყებს ყრიან და უხამსად „კენტს“ აბოლებენ.

„ვაი, თქვენს პატრონს“, — ჩუმად ამბობს სომეხი ქალი
და სავსე ფინჯანს ანაწილებს რუსული რიგით,
უმწეო ღლაპი წირპლიან თვალით
ფეხმსუბუქ ცინდალს უდიერად ახედებს იქით.

იქით მაგიდას დაჰფენია ნოხები ფოთლის
და ჭიქებს შორის დგას ქართული „ბორჯომის“ ბოთლი.
მიმოაქვს ნიავს უზრუნველი შრიალი ხეთა,
ორსული კატა ეფერება წვივებს და სკამებს.
პოეტები კი... პოეტები ღიმილით სხედან,
და ყურუმ ყავას ყოყმანით სვამენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კონსტანტინე ნაკაშიძე

გზა მიუკვლეველი

რომანი

ეჰა სილრმე სიმდიდრისა და სიბრძნისა და მეცნიერებისა ღმრთისაჲ! ვითარ გამოუძიებელ არიან განკითხვანი მისნი და გამოუკვლეველ არიან გზანი მისნი!

რომაელთა მიმართ, 11, 33.

მაისის ადრიან დილით მატარებლიდან ჩამოსულ ლევან ლაშაურს საკუთარი ქალაქი ეუცხოვა — აღარსად ჩანდა ვაგზლის ძველი შენობა; ის ადგილი, სადაც იგი ადრე იდგა, ფიცრული ღობით შემოეფარგლათ და იქ ახლა ორი ამწე ატრიალებდა აქეთ-იქით ნასკარტებს, ვაგზლის მოედანზე კი, მეტროპოლიტენის სამმართველოს შენობის გვერდით, ახალი ნაგებობა მოჩანდა, რომელზეც დიდი ასოებით „ბორჯომის ვაგზალი“ ეწერა.

ათ წელზე მეტი გასულიყო, რაც ლევან ლაშაურს მშობლიურ ქალაქში ფეხი არ დაედგა და ახლა მისთვის ყველაფერი საოცრად ახლობელიც იყო, მაგრამ ამავე დროს გაუცხოებულიც — ერთი შეხედვით, ისიც კი მოეჩვენა, რომ ხალხიც რაღაცნაირად სხვანაირი გამხდარიყო და, ჩაცმულობის ბრალია, ალბათო, ესდა გაიფიქრა.

ლევანი ერთხანს გაუნძრევლად იდგა. ხარბად ათვალიერებდა ქალაქის იმ მონაკვეთს, რომელსაც თვალი სწვდებოდა — ადრიანი დილის მიუხედავად, მოედანი უკვე ხმაურობდა. ადამიანები სადღაც მიიჩქაროდნენ, განსაკუთრებით ბევრი ხალხი მეტროში შედი-გამოდიოდა.

დიდი ქალაქის ხმაურს გადაჩვეულ ლევანს თითქოს თავბრუც კი დაეხვა. მთელი ძალით შეისუნთქა ჰაერი და მაშინვე იგრძნო, როგორ ჭარბობდა აქ ჰაერში რაღაც სხვა, ძალზე უსიამოვნო, რასაც მერეღა მოუნახა სახელი და რაც ადრე არასოდეს უგრძვნია — ეს დიდი ქალაქის ოზშივარი იყო, მძიმე და რაღაცნაირად ბლანტი.

ლევანმა კიდევ ერთხელ ჩაისუნთქა ეს უჩვეულო ნაზავი, ჩანთას დასწვდა და ტაქსის გაჩერებისკენ გაემართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გასაღები ძველებურად კარს ზემოთ, ვიწრო ღრმულში იდო და ადვილად მიაგნო. მერე კარი შიგნიდან ჩარაზა, ჩანთა იქვე, შესასვლელში მიაგდო და ოთახში შეეიდა.

აქ თითქმის არაფერი შეცვლილიყო. ერთადერთი ახალი დეტალი, შავ ჩარჩოში ჩასმული, ლევან ბაბუას გადიდებული ფოტოსურათი იყო.

ლევან ლაშაური ძველებურ დივანზე დაეშვა, ჯიბეში სიგარეტი მოიძია და მოუკიდა — თვალი არ მოუცილებია სურათისათვის.

„მე ვიცი, ბაბუ, როგორ გიჭირს მანდ; ვიცი, რომ მოფრთხილდები და ამიტომ არ უნიავიხარ წერილებში არაფერს. ნუ გეშინია. მე არა მიჭირს რა, არ იდარდო, შენს ჩამოსვლამდე გავძლებ როგორმე, არ გამწარავს ღმერთი ისე, რომ შენ-უნახავად მომკლას. გულს ის მიკლავს მხოლოდ, ვერაფრით რომ ვერ გეშველება აქედან“.

ეს ბაბუას ბოლო წერილიდან ახსოვდა. მერე დეპეშაც მიიღო. ჯერ ვინ გამოუშვებდა, მაგრამ რომ გამოეშვათ კიდეც, მაინც ვერ ჩამოუსწრებდა: დაკრძალვის წინა დღეს მიიღო ტელეგრამა.

ოთხი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ბაბუა ლევანის სიკვდილი შეიტყო. დრომ თავისი ქნა, თითქოს შეეგუა კიდეც ამ ამბავს, ახლა კი სრულიად დაცლილი იჯდა ჩახუთულ ოთახში და საოცარ ტკივილს გრძნობდა. გულთან ეწადა ატირებულიყო, ებლავლა, დაპალუპით წამოსულიდა ცრემლები, გრძნობდა, რომ ეს ტკივილს შეუმსუბუქებდა, მაგრამ ლევან ლაშაურს დიდი ხანია ცრემლი დაშრალი ჰქონდა და არც ბავშვივით ბლავილი შეეძლო.

ბოლოს წამოდგა, ტანზე გაიხადა და საბაზანოში შეეიდა. დიდხანს იდგა ცხელი შხაპის ქვეშ. შემდეგ ცხელი წყალი გამორთო და ყინულივით ცივ ნაკადს მიუშვირა სახე — ტემპერატურის მონაცვლეობამ დამბალობა გაუქრო და უკვე გუნებაშეცვლილი გამოვიდა საბაზანოდან.

მასიურ, მწვანემაუდგადაკრულ საწერ-მაგიდას მიუჯდა და უჯრები გამოიღო, ანგარიშმიუცემლად ათვალიერებდა შიგ შემორჩენილ ძველ თუ ახალ ხარახურას, მაგრამ უეცრად რაღაც გაახსენდა და უჯრები რიგრიგობით გადმოაპირქვავა მაგიდაზე — ერთად დაახვავა ძველი გასაღებები, ბინისა და ტელეფონის ქირის უკვე უსარგებლო, ვადაგასული ქვითრები, დაშლილი ავტოკალმების ნაწილება და ბოლოს, როგორც იქნა, მიაგნო, რასაც ეძებდა — სიძველისაგან გაშავებული გასაღები ხელისხულზე დაიდო და დაკვირდა: ასეთ გასაღებებს ადარავინ აკეთებდა — ვიწრო, თხელი დაშნის ფორმა ჰქონდა, ამ დაშნის ვადას კი ხახადაბჩენილი ლომის პროფილი ამშვენებდა.

ერთხელ, ლევანი მაშინ უკვე ინსტიტუტში სწავლობდა, ბაბუამ ეს გასაღები აჩვენა და უთხრა: მე რომ აღარ ვიქნები, ბაბუ, ამით საიდუმლო კარს გაალებ და მთელი ჩემი ავლადიდება შენი იქნებაო. არ დგავიწყდეს — ძველი გასაღები მხოლოდ ძველ კარს ალებსო.

მაშინ მისი სიტყვები ლევანმა ხუმრობად ჩაათვალა და მალევე მიავიწყა, მაგრამ ერთ-ერთ უკანასკნელ წერილში ბაბუამ ისევე ახსენა ძველი კარი და ძველი გასაღები. ახლა ეს ყველაფერი ერთად გაახსენდა ლევან ლაშაურს და აიფორიაქა. კიდევ სხვა რამეცაც დაიფიქრა — არ იყო ლევან ბაბუა ის კაცი, ისე წასულიყო ამ ქვეყნიდან, პატარა ბარათი მაინც არ დაეტოვებინა მისთვის, თორემ ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი რომ არ ექნებოდა, ამაში ლევანს წამითაც არ შეჰპარვია ეჭვი.

ერთხანს ხელში ატრიალა, მერე ორივე ოთახი მოიარა, სამზარეულოსა და საბაზანოშიც შეიხედა — ვერც ერთ საკეტს ვერ მიუყენა გასაღება, თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბინაში არც არაფერი იყო ჩაკეტილი და, ვაქედან გამიმდინარე, გასაღების არსებობაც თავისთავად უაზრობად მოჩანდა.

ხელჩანთა შემოიტანა და წერილების

შეკერა ამოიღო. კიდევ ერთხელ გადაკეთხა გულდასმით, მაგრამ პასუხს ვერც იქ მიაგნო. ერთი იყო მხოლოდ: ყველა წერილის ბოლოს მელნის გადღაბნილი ლაქა მოჩანდა, რომელშიც ახლა-ვე შეიცნო ლევანმა ხახადაბრენილი ლომის პროფილი.

ისევ მაგიდას მიუჯდა და დაფიქრდა: მოხუცს საერთოდ უვარდა ქარაგმები. ამას ლევანი პატარაობიდანვე შეჩვეული იყო და თითქმის შეუცდომლად უგებდა ყველაფერს. ეტყობა, ბაბუასაც ამის იმედი ჰქონდა, მაგრამ ლევანს ამჯერად ვერაფერი გიგეო — ეს ან განელილი წლების ბრალი იყო, ან მეხსიერების რომელიღაც კუნჭული გამორთული ჰქონდა.

ლევანმა ახალ სიგარეტს მოუკიდა და ოთახში ბოლოის ცემას მოჰყვა. სიგარეტი გაზეული აღმოჩნდა და არაფრით არ გაღვივდა. როგორც ადრე სჩვეოდა, კედლის ღუმლის კარი გამოაღო, უვარგის სიგარეტს შიგ შეუტაბა და გრილ კაფელს მხრით მიეყრდნო. უკვე ბრაზმორეულმა შეხედა ბაბუას გადიდებულ ფოტოსურათს და შეცბა — მოეჩვენა, რომ მოხუცი დაცინვით შემოჰყურებდა კედლიდან.

დივანზე ჩამოჯდა, საფეთქლები მოესრისა და, თითქოს პირველად ხედავსო, ისე შეაჩერდა ძველებურ, მოვარაყებული ფილებით მოპირკეთებულ, მთელ კედლის სიმაღლე ღუმელს.

მათ სახლში ამ ოციოდე წლის წინათ გაიყვანეს ცენტრალური გათბობა და თუმცა ღუმელმა ფუნქცია დაკარგა და საკმაოდ დიდ ადგილსაც იკავებდა, რადგან თავის დროზე ორივე ოთახის გათბობა ეკისრებოდა (მისი უკანა მხარე მეორე ოთახში გადიოდა), ლევან ბაბუა ღუმლის დანგრევაზე ან მის ადგილას ბუხრის ამოყვანაზე არაფრით არ დათანხმდა.

ბუხრის იდეა ლევანს ეკუთვნოდა, რადგან თბილისში იმზანად ბუხრომანია მძვინვარებდა, მაგრამ მოხუცმა ქვა აადო და თავი შეუშვირა: ბუხარი თუ გინდა, შვილო, კარი ღიად დატოვე და იგივე იქნებაო. არც ამაში ტყუოდა ბაბუა — საკმაოდ დიდი, ჩუქურთმებიანი თუჯის კარი ჰქონდა ღუმელს, მაგრამ, შვილიშვილის აზრით, ბუხარი მაინც სულ სხვა რამ იყო, მით უმეტეს, რომ ღუმელს, დიდს ქვემოთ, პატარა საპაერო კარიც ჰქონდა და სწორედ ეს აფუჭებდა ყველაფერს. ჰოდა, ამ თემაზე დიდხანს იდავეს მაშინ ბაბუა-შვილიშვილმა, მაგრამ ლევანს არაფერი გაუვიდა.

საქმეს იმან უშველა, ერთხელ ავად გახდა და როცა მის სანახავად მოსული თანაკლასელებიდან ერთმა გოგონამ აღტაცებით შესძახა — ეს რა ეგზოტიკური ღუმელი გქონიაო და მისი აღტაცება სხვებმაც გაიზიარეს, ლევანს შერისხულ ღუმელზე გული მოუბრუნდა და მას შემდეგ მის დანგრევაზე კრინტიც არ დუძრავს.

ძველი გასაღები — ძველი კარი!

ღუმლის კარზე ძველი, მთელს ბინაში, რაღა თქმა უნდა, კარი არ იყო, მაგრამ ლევანმა მშვენივრად იცოდა, რომ ორივე კარი ისედაც ღია იყო და უგასაღებოდაც კარგად ირაზებოდა გარედან მაინც მივიდა და გულდასმით დაათვალიერა: ზედა, დიდ კარს არავითარი ჭრილი არ ჰქონდა; არც ქვედა, პატარას, ეტყობოდა რაღაც კვალი. მაინც დარწმუნებული იყო, რომ სწორად ამოხსნა ბაბუას ქარაგმა, ამიტომ იატაკზე გაწვა და ასე შეხედა ქვედა კარის ჩარჩოს. არც შემდგარა — მარჯვენა, ზედა კუთხესთან პატარა ჭრილი შენიშნა. ცოტა ხანს ასე, პირაღმა იწვა იატაკზე. ამაყოფილი იღიმებოდა, მერე გასაღების პირი ფრთხილად შეაცურა ჭრილში და ფრთხილადვე გადაატრიალა. რაღაცამ ძლიერასაგონად გაიტკაცუნა და ქვემოდან მეორე ფიქალი დანარჩენებს მოსცილდა. ლევანმა ნელა გამოსწია ფიქალი და ისიც ადვილად დაჰყვა. კარივით გამოიღო და სამალავი გამოჩინა. ლევანმა ასანთი გაკრა და შიგნით შეანათა. სამალავი ვიწრო იყო, ერთი მტკაველიც არ ექნებოდა სიგანე, სამგავერიდ სიღრმე ერთი მეტრი მაინც ჰქონდა და ვიდრე ასანთი ჩაიწვებოდა, ლევანმა დაინახა, რომ შიგნით რაღაც იდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრთხილად გამოიღო სქელ ქაღალდში შეხვეული მოგრძო ფუთა და იქვე იატაკზე დადო. შემდეგ ისევ შეანათა ასანთი — სამალავი ცარიელი იყო.

ფუთა მაგიდისკენ წაიღო, საკმაოდ ეჭიმა ხელში და, რა უნდა იყოსო, გაკვირვებით გაიფიქრა. მაგიდიდან ისევ უჯრებში გადახვეტა დახვავებული ნივთები, ფუთას თოკი შეხსნა და სქელი ქაღალდი შემოაცალა. შიგნით, ასევე სქელ ქაღალდში შეხვეული, სამი შეკვრა აღმოჩნდა — ერთი გრძელი, ორი კი ოთხკუთხეები. ლევანმა სათითაოდ გახსნა ფუთები და განცვიფრებულმა ერთმანეთის გვერდით დაწყო ვერცხლით მოსვეადებული მოკლე ხანჯალი, საგულდაგულოდ დაზეთილი ნაგანი და გახსნილი კონვერტი, რომელშიც რამდენიმე ხელნაწერი ფურცელი და შავი რეზინით გარდიგარდმო შეკრული ასიგნაციებს საკმაოდ მოზრდილი დასტა იდო.

პირველად ხანჯალი მოსინჯა — მსუბუქად ამოსრიალდა მოვერცხლილი ქარქაშიდან ფოლადი და სარკესავით აირეკლა შუქი. შემდეგ ნაგანი აიღო და საკაზნე შეამოწმა — იარაღი დატენილი არ იყო. მერე ფეხზე შეაყენა და რამდენჯერმე დაწვა სასხლეტს. იმდენჯერვე ყოველ გაიტაცუნა ნაგანმა, ტკაცუნის რიტმულად დოლურაც ამოძრავდა — როგორც ჩანს, რევოლვერს ზადი არაფერი ჰქონდა. იმავე ქაღალდში, ნაგანი რომ იყო გახვეული, ლევანმა ახლაღა აღმოაჩინა პატარა პარკი, რომელშიც ოციოდე ვაზნა ეწყო.

ნაგანიც გვერდზე გადადო და კონვერტიდან ხელნაწერი ფურცლები ამოაცურა. თვალის გადავლებისთანავე იცნო ლევან ბაბუას გაკრული ხელწერა...

●

სოფლის განაპირა სახლში ხუთი შეიარაღებული კაცი მისჯდომოდა მაგიდას და ჭამდა. შუადამე გადასული იყო, მთელ სოფელს ეძინა ამ ხუთის, მასპინძლისა და მისი ცოლის გარდა. მეორე ოთახდან ბავშვების მშვიდი სუნთქვა ისმოდა სიჩუმეში.

მოსულებს შაშხანები კედელზე აეყუდებინათ, დანარჩენი იარაღი კი ისევ ტანზე ჰქონდათ ასხმული. ყოველ მათგანს მკერდზე სავაზნე ჰქონდა გადაჯვარედნებული, წელზე ოთხ-ოთხი ხელყუმბარა, ვეება პარაბელუმი და მოკლე ხანჯალი ეკიდა. ერთს, ყველაზე ახალგაზრდა, თითქმის უწვერულ ჭაბუკს, ხისბუდიანი მაუზერიც მოუწანდა.

გამალებით ჭამდნენ ცხელ საჭმელს, დანატრებული, წვერმოშვებული კაცები, ეტყობოდა, დიდხანს არ აპირებდნენ დარჩენას.

ისინი ერთი საათის წინათ გამოვიდნენ ტყიდან, რომელიც თითქმის ზელ ეკვროდა სოფელს და თავი შეაფარეს ამ სახლს, სადაც სანდო კაცი ეგულებოდათ.

მასპინძელი ხშირ-ხშირად გადიოდა გარეთ, ეზო-გარემოს ზვერავდა. მერე ბრუნდებოდა და ხელით ანიშნებდა მოსულებს, ყველაფერი რიგზეაო.

მაგიდაზე ნახევრად მოლეული სანთელი ბეუუტავდა და ჩრდილებს ათამაშებდა კაცების მკაცრ, დაღლილ სახეებზე, ისინი მადიანად ილუკმებოდნენ და უხმოდ ცლიდნენ არყიან პატარა ჭიქებს.

ჭრიჭინას ხმა ისმოდა ეზოდან.

სადღაც ძაღლი ყმუოდა დროდადრო.

...უეცრად რამდენიმე თოფმა ერთდროულად იჭექა სიჩუმეში.

ორმა ტყვიამ ზრიალით ჩამოიღო სარკმელში ობლად შერჩენილი მინა. ერთი ფანჯრისკენ ზურგით მჯდომს მოზვდა მარცხენა მკლავში, მეორემ კი მის მეზობელს გადაუგლიჯა ყელი. შადრევანივით იფეთქა სისხლმა; კაცმა, ძიძაკლესო, ამოიხრიალა და სკამიდან გადავარდა.

მკლავში დაჭრილმა პარაბელუმი იშიშვლა და რამდენჯერმე ისროლა ფანჯრიდან, მერე პერანგის ნაგლეჯით სახელდახელოდ გადაიხვია მკლავი. დანარჩენებმა თოფებს წამოავლეს ხელი და ფანჯრებთან გაირინდნენ. ერთმა სანთელი მოისროლა ფანჯარაში.

წამით ისევ სიჩუმე ჩამოწვა, გამოღ-

ვიძებული ბავშვების ტირილიდა ისმოდა მეზობელი ოთახიდან, მერე გარედან დაიძახეს:

— ეი, თქვენ! დაგვნებდით! ვინც დაგვნებდება, სიცოცხლეს შევუნარჩუნებთ!

სახლიდან არაფერი უპასუხეს.

ოთხივე მხრიდან ისევ ატყდა სროლა და დაიცხრილა ხის კედლები.

ხსნის იმედი არსად ჩანდა.

მასპინძელი მოიძიეს და...

სადღაც გაიქრალიყო მასპინძელი.

ისევ ნაცად ხერხს მიმართეს: თოფები ზურგზე გადაკიდეს, ხელყუმბარები მოიმარჯვეს და ორ-ორმა სხვადასხვა მიმართულებით სტყორცნა. აფეთქების ხმა გაისმა თუ არა, ოთხი იარაღშემართული კაცი იმ მხარეს გაიჭრა, საითაც ხელყუმბარები არ უსვრიათ, რადგან გარემომცველნი ყველაზე ნაკლებად აქეთ ელოდნენ თავდასხმას.

და მაინც, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრეს, რომ ორი მათგანი მიცელილიყვნენ დიეცა მიწაზე. მხოლოდ მკლავში დაჭრილმა და მაუზერიანმა მიაღწიეს სამ ჯარისკაცამდე და ეცხლიანი გაიკვლიეს გზა. ალყას კი გასცდნენ, მაგრამ მესერს რომ ახტებოდნენ, კიდევ მოისმა რამდენიმე გასროლა და მკლავში დაჭრილი პირქვე ჩაეშვა მაღალ პალახში, მეორემ კი გაიგონა, როგორ აინსლიტა ტყვია ზურგზე გადაკიდებული თოფის ლულამ. მიწას გაკრულმა უკანასკნელი ხელყუმბარა ისროლა მდევრისაკენ, დაცლილი პარაბელუმის ნაცვლად მაუზერი მოიმარჯვა და ისევ სროლა ატეხა. კარგა ხნით დაუკარგა მდევარს მიახლოების ხალისი. მერე წაქცეულ ამხანაგთან მიცოცდა, პირადმა ამოაბრუნა.

კეფაში მოხვედრილ ტყვიას მარჯვენა თვალი ამოეგდო ბუდიდან...

გაცოფებულმა კიდევ რამდენიმე ტყვია მაუშვა სიბნელეში და ტყეს შეერია...

...ექვსი თვეც არ გასულა იმ დღიდან, რომ ერთ ბნელ ღამეს ვიღაცამ მხრიდან შეამტვრია სახლის კარი და ოთახში შევარდა.

როდესაც გულგახეთქილმა დიასახლისმა სანთელი აანთო, მუზლები მოეკვეთა: მათ წინ გადარჩენილი კაცი იდგა.

— არ მელოდი, ძაღლო?

მასპინძელი გაფითრდა.

მართლაც არ მოელოდა, რომ დამსჯელი ჯარით გავსებულ სოფელში ასეთი სტუმარი ეწვეოდა.

— ილოცე!

— არა, არა... — ფეხებში ჩაუვარდა მოსულს. — ჩემი ბრალი არ არის, ეშმაკმა შემაცდინა!..

— ილოცე-მეთქი! — მოსულმა ცალი ხელი პერანგის საყელოში ჩაავლო და მიიზიდა, მეორეთი სწრაფად გააშველა ხანჯალი და სწორედ ამ დროს იგრძნო, რომ ვიღაც მოეჭიდა ფეხზე.

მიიხედა და ხუთიოდე წლის ბიჭს თვალებს წაეწყდა.

— არ მოკლა, ძია, მამა, არ მოკლა!..

— ეხვეწებოდა ბავშვი და თან ფეხზე ებღაუჭებოდა.

ხანჯლიანი ხელი გაუშეშდა მოსულს...

მასპინძელს ხელი ჰკრა და კუთხეში მიაგდო, მერე ბიჭი მოიცალა ფრთხილად ფეხიდან.

— ბავშვს უმადლოდე სიცოცხლეს, ძაღლო! — ბრაზით გამოსცრა კართან მოსულმა და სიბნელეში გაუჩინარდა...

„ერთს კიდევ გეტყვი, ბაბუ, და დანარჩენი შენ თვითონ განსაჯე: უკეთურ სოქმეში არასოდეს მიხმარია ეგ იარაღი და ვიდრე ხელში აიღებდე, დფიქრდი თორემ ჩახმახის გამოკვრაზე ადვილი ბევრი არაფერია ამქვეყნად.

მჯერა, რომ ცოდვა-ბრალი არ მიგიძღვის არავის წინაშე, შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ და ასე რომ არ იყოს, აუცილებლად ვიგრძნობდი. უდანაშაულო ბიჭმა ბევრი სიმწარე რომ ნახე, მაგასაც შეუცდომლად ვგრძნობ, მაგრამ ეტყობა, ეშმაკმა გაურია შენს ბედში ხელი და ამიტომ გახსოვდეს: კაცობა ის არის, ბო-

ლომდე არ დაჰყვე იმ მურდალს, მის ნებაზე არ იარო, თორემ აუცილებლად წაგახდენს და გაგთელავს.

მშვიდობით, ბაბუ, შენ იცი და შენმა ვაჟკაცობამ!"

ხელნაწერი აქ მთავრდებოდა. ლევანი დიდხანს იჯდა დაფიქრებული.

მერე ფულის დასტას რეზინი შემოაცალა და გადათვალა — ხუთი ათასი მანეთი იყო.

ხელახლა შეახვია ბაბუას მემკვიდრეობა და სამალავში შეაბრუნა.

„ხანჯალი კედელზე ჩამოსაკიდებლად თუ გამოდგება... ეგ წერილიც სიბერემ დაგაწერინა, ალბათ, ბებუაჩემო... ინ ფულისთვის და განსაკუთრებით კი ნაგინისთვის დიდი მადლობა — ორი საზრეკნავი ერთბაშად მომეხსნა. საძებარ-საფიქრალი ალარ მექნება. ვნახოთ ერთი რა ეშმაკებს უფათურებიათ ხელი ჩემ. ცხოვრებაში!" — გაიფიქრა ლევანმა, გამოწეულ ფიქალს ხელი მიაჭირა და გასაღები გადაატრიალა.

საკეტმა ისევ ყრუდ დაიჩხაკუნა და ფიქალი ისე მოიგრგო დანარჩენებს, რომ ვერაფრით გამოარჩევდი.

— იცოდით, ძველებო, თქვენი საქმე! — გაიცინა ლევანმა და დივანზე გულაღმა გაიშოტა.

●

მხოლოდ საღამო ხანს იგრძნო ლევან ლაშაურმა, რომ დაღლილიყო და შამშილისაგან თავბრუ ეხვეოდა — მთელი დღე იხეტიალა ქალაქში, ფეხით მოიარა ნაცნობი ქუჩები და მოედნები. ბევრი რამ შეცვლილიყო, საკმაოდ გვარიანადაც, მაგრამ ეს მაინც მისი ქალაქი იყო, რომელიც გრძელ, უძილო ღამეებში ხშირად გახსენებია და სიზმრადაც მრავალგზის უხეტიალია მის ქუჩებში. იღბალი ეს იყო: გამოღვიძებას ულმობელი სიცხადე, ყელში მწარედ მომდგარი ბურთი ახლა ყოველთვის. ახლა კი, აუჩქარებლად რომ მიაბიჯებდა ვიწრო ქუჩებს, თუ ფართო პროსპექტებზე, ბოლომდე არც სჯეროდა, რომ ეს სიზმარში კი არა, ცხადად ხდებოდა.

ლაღიძის წყლების სარდაფში ჩავიდა და საკმაოდ მოზრდილ რიგში ჩადგა.

აჭარული ხაჭაპურსა და ლაღიძის წყალს ბავშვობის გემო ჰქონდა და ლევანი დიდხანს წრუპავდა „საამოს", სიამოვნებდა ამ გრილ სარდაფში ყოფნა.

...ერთხელ, კინოს შემდეგ ჩამოვიდნენ აქ სამნი. კარგად ახსოვდა, — „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი" ნახეს. სკოლაში სწავლობდნენ და ფული ზუსტად იმდენი ჰქონდათ, სამ ხაჭაპურს და ერთ გრაფინ წყალს ჰყოფნიდა. იმ ხანებში „ლაღიძეში" ჯერ კიდევ ოფიციანტები ჰყავდათ და წყლისთვისაც მაღალფეხიანი, თხელი ჭიქები მოჰქონდათ. ის-ის იყო, ოფიციანტს ფული მიუთვალეს, რომ ლევანმა ჭიქას ადგილი შეუცვალა, თითქოს ფრთხილადაც დადგა მაგიდაზე, მაგრამ თხელი საყრდენი რატომღაც გატყდა. ჰოდა, ქერათმიანმა ოფიციანტმა ქალმა, მათ დაბნეულ სახეებს რომ შეხედა, უსიტყვოდ წამოაგლო წყლიანი გრაფინს ხელი და უკან წაიღო ჭიქები კი — ორი მთელი და ერთი გატეხილი — რატომღაც დატოვა. გაახსენდა, რა უგემურად შეჭამეს მაშინ აჭარული ხაჭაპური და ამ მოგონებამ უცებ კარგ გუნებაზე დააყენა.

მერე ოუსთაველს აუყვა, ღვინის საფირმო მაღაზიაში ხუთი ბოთლი სხვადასხვა სამარკო ღვინო იყიდა, ჭაკვაკაძის ქუჩის კუთხეში მანქანა გააჩერა და შინ წავიდა.

კარგა ხანს იდგა ცივი შხაპის ქვეშ, სიამოვნებდა, რადგან თბილისურ სიცხეს გადაეჩვია. არადა, ჯერ მხოლოდ მაისის შუაგული იყო, მაგრამ უკვე გვარიანად ცხელოდა.

წელზე პირსახოცშემოხვეული შეეფინა ოთახში და სარკის წინ შეჩერდა: სარკიდან მოკლედ თმაშეკრეჭილი, შავგვრემანი ახალგაზრდა კაცი შემოჰყურებდა დაღლილი თვალებით — საშუალოზე მაღალი, ბეჭებგანიერი, წელწერილი და ღაკუნოული, თან საკმაოზე მეტად გამხდარი: სათითაოდ დაუთვლიდი ნეკნებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სახის ნაკვთებიც წამახული ჰქონდა. სარკეს ზურგი შეაქცია, ტელეფონის დივანთან მიიტანა და ნომერი აკრიფა.

— გისმენთ, — ყურმილში მამაკაცის კარგად დაყენებული, სასიამოვნო ტემბრის ხმა გაისმა.

ლევანი ხმას არ იღებდა.

— გისმენთ, გისმენთ!.. — ისმოდა ყურმილიდან.

— ჩამოვედი, მამაჩემო, — როყიოდ, მიუკიბავ-მოუკიბავად თქვა ლევანმა.

— ლევან! როდის, როგორ?.. — ხმას აღელვება დაეტყო.

— ამ დილას... დაღლილი ვიყავი და მეძინა.. .

— კარგი, ახლავე მოვდივარ! ან იქნებ... შენ მოსულიყავი?

— არა, სჯობია, შენ მოხვიდე... თუკი გცალია, — მტკიცედ თქვა ლევანმა ღ. მიხვდა, რომ ეს „თუკი გცალია“ ზედმეტი მოუვიდა.

— მოვდივარ, არსად გახვიდე.

ლევანმა ყურმილი დაკიდა და ტანსამოსი ჩაიცვა. იცოიდე წუთის შემდეგ კარი გაიღო და ოთახში მაღალი, ოდნავ შეჭაღარავებული, ლამაზი მამაკაცი შემოვიდა.

მამა-შვილი ერთმანეთს გადაეხვია. ერთხანს ასე იდგნენ ჩახვეულები, მერე ფრთხილად დაშორდნენ, ჩამოსხდნენ და დაბნეული ღიმილით შეათვალიერეს ერთიმეორე. ლევანმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო ჯიბიდან და მამას გაუწოდა. გიორგიმ უარის ნიშნად თავი გადაქნია:

— აღარ ვეწევი, — თან ხელის ზურგით ცრემლი შეიმშრალა.

„ნუთუ ახლაც თამაშობს?“ — გაუელვა ლევანს, მაგრამ მაშინვე ინანა: მამა მართლაც აღელვებული ჩანდა, რადგან სხვა დროს არასგზით არ მიიწმენდდა ცრემლს ხელით. — ცხვირსახოცს ამოიღებდა — ესე იგი, სიბერე შეჰპარვია, ადრე ასეთები არ იცოდა. თუმცა არც ათი წლის უნახავ შვილს შეხვედრია ადრე.

უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— როგორა ხარ? — ბოლოს სიჩუმე დაარღვია გიორგიმ.

— აი, როგორც მხედავ, ჩამოვედი...

— გამხდარხარ, მაგრამ ეგ არაფერი, მალე მოგიყვანთ ფერზე... მოდი, ძმაკაცებს დაურეკე და ჩემთან წავიდეთ, შენი ჩამოსვლა აღვნიშნოთ!

— არა, არავის თავი არა მაქვს ახლა.

— შენ რა, საერთოდ არ აპირებ ჩემთან მოსვლას? — ხმაში წყენა გაერია გიორგის.

— იცი რა... მე შენი მეუღლის საწინააღმდეგო, კარგად იცი, არაფერი მაქვს. მოგწონს და იცხოვრეთ ერთად... თუმცა მაპატიე და, მე ისიც არ ვიცი...

— არა, არა, — გაეღიმა გიორგის. — მაგეებს კარგა ხანია თავი დავნებე, საბოლოოდ ჩავრჩი ნელისთან... ყოველ შემთხვევაში, ეს უკანასკნელი ხუთი წელი მაინც...

— ჰო, რა ვიცი. — გაეღიმა ლევანსაც. — ჰოდა, მოსვლით ადრეც მოვსულვარ და მერეც მოვალ, რა თქმა უნდა, ოღონდ დღეს არა.. მოდი, ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ, ჩემი ჩამოსვლა აქ აღვნიშნოთ, უმოწმეებოდ, — ლევანი სამზარეულოში გავიდა, მაცივრიდან შეორთქლილი ღვინის ბოთლი გამოიღო და ოთახში შემოიტანა.—ღვინო მაქვს, მართალია, სხვადასხვა მარკის, მაგრამ განგებ ვიყიდე ასე.. ეი, ეს როგორია, „რქაწითელი?“ მე არ დამილევია.

— კარგიაო, ამბობენ. მე თითქმის აღარა ვსვამ, რაც ამ ოხერმა დამიბრიყვა, — გიორგიმ გულზე მიიდო ხელი. — მაგრამ დღეს შეიძლება, დღეს ესეც ვერაფერს დამაკლებს.

— მისაყოლებელი რომ არაფერი მაქვს? გავალ და ახლავე რამეს მოვიტან.

— არ გინდა, მოვიტანე რაც-რაც.. ცები, — გიორგიმ შემოსასვლელიდან მოზრდილი ჩანთა შემოიტანა, გახსნა და მაგიდაზე თუნუქის ქილით ხიზილალა, გამჭვირვალე ქაღალდში გახვეული ერთი თავი სულგუნი, შებოლილი ძეხვი, კარაქის მოზრდილი ნაჭერი, ორი შოთი პური და „ენისელის“ ბოთლი ამოალაგა.

— ეს ისე წამოვიღე, დასატოვებლად... — მობოდიშებით განმარტა.

ლევანმა გაიღიმა და მაგიდაზე თეუშები და ჭიქები დაწყო, მერე ღვინის ბოთლს საცობი ამოაძრო.

— იქნებ კონიაკი დაგველია? — იკითხა გიორგიმ.

— თითო შეიძლება, ისე კი, ღვინო მომეწატრა, — ლევანმა ახლა კონიაკი გახსნა და ღვინის ჭიქები სანახევროდ შეავსო. — ასე დავლიოთ, თითო ყლუპისთვის სირჩების მოტანა არა ღირს.

— შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს!

— გაგეიმარჯოს.

ლევანმა ახლა ღვინო ჩამოასხა, უხმოდ ასწია, გადაჰკრა და გააჟრჟოლა.

— რა მოგვიდა?

— არაფერი, ეტყობა, გადაჩვეული ვარ, იქ არაყი იყო „მოდაში“.

თითოც დალეს.

— როგორც ჩანს, ბედს არ უჩივი, — თქვა ლევანმა და ხელით მაგიდაზე გაშლილ სანოვაგეზე ანიშნა.

— ჰო, — გაიცინა გიორგიმ. — ამ ბოლო დროს მიმართლებს: უკანასკნელ ხუთ წელიწადში რვა ფილმში გადამიღეს, — სულ მთავარ როლებში, თეატრშიც უსაქმოდ არ ვზივარ, შიგადაშიგ ტელევიზია, რადიო... სამჯერ საზღვარგარეთაც ვიყავი გასტროლებზე... როლების რა მოგახსენო, მაგრამ... ახლაც ხუთსერიიან ფილმზე მიმიწვია „ტაჯიკფილმმა“, ინგლისური დაზვერვის რეზიდენტის როლი შემომთავაზეს. როგორ გგონია, ვგავარ ინგლისელ რეზიდენტს?

— აბა, რა გითხრა.

— ჰოდა, მეც არ ვიცი, მაგრამ, ეტყობა, ტაჯიკებს მიაჩნიათ, რომ ვგავარ ღა რა მენაღვლება? არ მეყო, რაც ვიწვალე?.

— მერე თეატრი?

— თეატრი როგორმე გადაიტანს ამ დანაკლისს... მართლა, სულ დამავიწყდა, — გიორგიმ უცებ შეცვალა საუბრის თემა და ისევ ჩანთას დასწვდა. — ტანსაცმელი მოგიტანე, ბევრი არაფერია: ჯინსი, სამი პერანგი, ფეხსაცმელი... წელს ჩამოვიტანე ავსტრიიდან. დანარჩენი თვითონ იყიდე, აი, აქ ათასი მანეთია; პალტო, კოსტიუმი დაგჭირდება, კიდევ რაღაც წვრილმანები, სახარჯოდაც გეყოფა ჯერჯერობით.

— რად გინდოდა, — ცოტა არ იყოს, დაიბნა ლევანი — ძველიც ხომ მქონდა რაღაც....

— ნუ სულელობ ერთი, რაღა დროს ძველმანებია! რაღაცის თქმას ვაპირებდი... ჰო, დღეს „ვრემიას“ შემდეგ, თბილისზე, „თეატრალური შეხვედრები“ იქნება და მანამდე თუ არ ჩაგეძინა, მეც ვარ ერთ ეპიზოდში... აბა დაასხი, თორემ გაშრა ყელი!

— მოდი, ბაბუას გაუმარჯოს, — თქვა ლევანმა.

— გაგიმარჯოს, მამაჩემო, — გიორგიმ ჭიქა ასწია და სურათს შეხედა. — გაგაგანათლოს იმ ქვეყნად!

— ეჰ, უცნაური კაცი იყავი, — განაგრძო, როცა ღვინო შესვა და ჭიქა ძირს დადგა. — ვინ იცის, ვის შეატენე ის ფული?

— რა ფული?

— რა და, ამ ორი წლის წინათ სახლი გამაყიდინა სოფელში. ვეხვეწე, ფული თუ გჭირდება, მოგცემ და სახლს ნუ გაყიდი-მეთქი, მაგრამ ვინ დაგიჯერა? შენ იქაურობის მომვლელი არა ხარო, დაიკინა და გამაყიდინა. ბოლო ხანებშა, ენა რომ წაერთვა, მაშინდა გამახსენდა, მაგრამ ვეღარაფერი გავაგებინე... დასაფლავების მერე მთელი სახლი ამოვაბრუნე, შემნახველ სალაროებშიც მოვიკითხე. მაგრამ... ეტყობა, მიაბარა ან ასესხა ვიღაცას და... შენთვის ხომ არ მოუწერია რამე?

— არა, — ლევანს ტყუილი არ უთქვამს. ბაბუას მართლაც არაფერი მიუწერია ფულის შესახებ. თავიდან სიმართლის თქმაც დააპირა, მაგრამ დროზე მოიაზრა, რომ ფულის გაქრობის საიდუმლოს გამხელასთან ერთად ღუმელის სამალავის არსებობაც უნდა გაეხმილა, ნასვამ მამისთვის სამალავიც უნდა ეჩვენებინა და იქ შენახული იარაღიც, ეს კი სულაც არ შედიოდა მის გეგმებში და ამ-

იტომ იყო, გულგრილად იკითხა: — რამდენი იყო?

— ხუთი ათასად გაეყიდე სახლი. ხომ იცი, ძველი იყო და მეტი არავინ მომცა. მთელი ფული უკლებლივ ჩავაბარე ბაბუაშენს და ეჰა!.. არა, სხვანაირად არ გამიგო, კაპიკიც არ მინდოდა მაგ ფულიდან... ამ ბინიდანაც იმიტომ არ ამოვეწერე აქამდე, დაკარგვის მეშინოდა შენს ჩამოსვლას ველოდებოდი. ჩაეწერები თუ არა, ჩემი დუხი არ იქნება აქ. მეორე დღესვე გადავწერები ნელისთან, მადლობა ღმერთს, საკუთარი სახლი აქვს. მე გული იმაზე მწყდება, ვიღაც დამპალს, რომ გაასულელებინა მამაჩემმა თავი და არც შენ გაწყენდა, ვგონებ, ხუთი ათასი მანეთი... კარგი, წავედი ახლა და დამირეკე ხოლმე. დილით, ათამდე თითქმის ყოველთვის შინ ვარ, საღამო ობითაც, თუკი სპექტაკლი არა მაქვს. ღ. არ დამიწყო ახლა, გაგაცილებო, — ჯერ ეგრეც არ დაებერებულვარ!

ლევანმა მაგიდა აალაგა, ტელევიზორი ჩართო, დივანზე წამოწვა და სიგარეტს მოუკიდა.

რამდენიმე წუთში „თეატრალური შეხვედრები“ დაიწყო.

ნაწყვეტი სპექტაკლიდან. გიორგის მონაწილეობით. დასაწყისშივე აჩვენეს, რომელიც რადაც საწარმოო თემას ეხებოდა, ლევანს ნანახი არ ჰქონდა, მოკლე ეპიზოდიდან კი აზრის გამოტანა გაუჭირდა და თანდათან ისევ საკუთარ საფიქრალს მიუბრუნდა...

...თორმეტი წლის იყო ლევან ლაშაური, როდესაც მამამისი საბოლოოდ წავიდა სახლიდან.

გიორგი იშნანად უკვე საკმაოდ ცნობილი მსახიობი გახლდათ. თეატრალური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, კარგა ხანს, თეატრიდან თეატრში გადასვლის გარდა, თითქმის არაფერი გაუკეთებია და ბოლოს, როგორც იქნა, მიზარდ მაყურებელთა თეატრში დაფუძნდა, ხუთიოდე წელი იმუშავა და, ეტყობა, იქვე დაასრულებდა სამსახიობო კარიერასაც, კინო რომ არა.

როგორ მოხდა, რომ მაინცდამაინც ის ამოარჩია უზბეკმა კინორეჟისორმა, რომელიც ვესტერნის ტიპის რევოლუციური ფილმის გადაღებას აპირებდა, გიორგიმ თვითონაც ვერ გაიგო ხეირიანად. მაგრამ ეს ის ხავსი აღმოჩნდა, რომელიც წყალწყალებულისათვის გაემეტებინა ღმერთს და გიორგიც მთელი ძალით ჩაეჭიდა.

ხავსი საკმაოდ ფესვმაგარი გამოდგა. — ფილმმა ჯერ რესპუბლიკურ, შემდეგ კი საკავშირო ეკრანზეც წარმატებით ჩაპაპარა გამოცდა და არც მოხდენილი გარეგნობის მთავარი გმირი — ასე ოსტატურად რომ დაეჯირითებდა ქაფმოდებულ ულაყს და მარჯვედ ისროდა ნებისმიერი მდგომარეობიდან — დარჩენილა უყურადღებოდ. შეხვედრამ სატელევიზიო „კინოპანორამაში“, ფილმის წარმატებამ ტაშკენტის კინოფესტივალზე თავისი საქმე გააკეთეს და, ეტყობა, ქართველი კინორეჟისორებიც დაეფაცურეს: გიორგი ლაშაური ზედიზედ გადაიღეს ორ ისტორიულ ფილმში. მართალია, ამ ფილმებში მთავარი როლები არ გვქონია (ქართული კინემატოგრაფი, მიაგეხსენებათ, არასდროს განიცდიდა მეჯარითეთა ნაკლებობას). მაგრამ შედეგი მისთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა. მარჯანიშვილის თეატრში მიიწვიეს.

ამდენმა არნახულმა წარმატებამ თაკბრუ დაახვია გიორგის, თანაც უამრავი ნაცნობ-მეგობრის და ლამაზმანის თაყვანისცემამაც გასჭრა და ისიც მთელი არსებით გადაეშვა სიამოვნების ნანატრ საუფლოში, მით უმეტეს, რომ დიდებულად უკრავდა გიტარაზე, მშვენივრად მღეროდა ქართულ სიმღერებს თუ რუსულ რომანსებს და რაღა თქმა უნდა, ნებისმიერი ნადიმ-ქეიფის სასურველი სტუმარი გახლდათ.

როგორც ამბობდნენ, ერთდროულად ყოველთვის ორი-სამი საყვარელი ჰყავდა და არც შემოხვევით სასიყვარულო ურთიერთობებს ერიდებოდა.

მართალია, თეატრში მაინცდამაინც სახარბიელოდ ვერ მისდიოდა საქმეები, მაგრამ გიორგის ეს არ ანაღვლებდა — ისევ ისე, ლაღად დაჭენებდა ცხენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსურ-დალესტნურ ფილმებში და ეს მანამდე გაგრძელდა ასე, ვიდრე ერთ-ერთმა საკავშირო გაზეთმა მკაცრად გაკიტრიტა მორიგი ფილმი და თუმცა ორიოდ სიტყვით, მაგრამ არცთუ სასურველად გააშუქა მისი, როგორც მხახიობის ბედი შემოქმედება. რეცენზიის შედეგი საკალაღო აღმოჩნდა — ფილმებზე მიწვევები უეცრად შეწყდა.

ამას ისიც დაერთო, რომ სპექტაკლი, რომელზეც თეატრიც და თვითონაც დიდ იმედებს ამყარებდნენ, ჩავარდა და გიორგი ლაშაური ფაქტობრივად უსაქმოდ დარჩა.

ვერც ამან ასწავლა მაინცდამაინც ჭკუა, ისევ ღვინო და ქალები იფარა და გულმოდგინედ შეუდგა იმ შინაგანი ეპერგიის თუ ნიჭის ფანტვას, რომლითაც როგორც ჩანს, არცთუ ჭარბად დაეჯილდოებინა განგებას: უკვე თვეობით იკარგებოდა სახლიდან. ხან ერთი და ხან მეორე ახლადმოვლენილი „სიყვარულის“ გამო. მერე ბრუნდებოდა, გამხდარ-გაცრეცილი და ოდნავ დარცხვენილი. ცოდვების მონანიებას არ ერიდებოდა, ნაკადებად აფრქვევდა ცრემლს, ზოგჯერ მოთქვამდა კიდეც. თავის მოკლეთ იმუქრებოდა და ბოლოს, მიტევებული, მშვიდად იძინებდა საკუთარ ლოგინში, მაგრამ გადიოდა ხანი და ყველფერი თავიდან იწყებოდა.

ლევანმა ეს მაშინ ყურმოკრულადაც არ იცოდა, რადგან მისთვის მამა ამ პერიოდებში „გასტროლებზე“ და „გადაღებებზე“ იმყოფებოდა და არც მისი დაბრუნების სცენას შესწრებია ოდესმე — დედა ყოველთვის ახერხებდა ამას (ყოველივე გაცილებით გვიან, მაგრამ საკმაოდ დაწვრილებით შეიტყო „კეთილმოსურნე“ ნათესავ-მეზობლებისაგან). მაგრამ თორმეტი წლის რომ გახდა ლევან ლაშაური, მისთვის აღარც დაუმალიათ და არც დამალვას ჰქონდა, ეტყობა, აზრი, რადგან გიორგი საბოლოოდ წავიდა ოჯახიდან — ცნობილი გახდა, რომ ადრინდელი შემთხვევებისგან განსხვავებით, დაუფარავად ცხოვრობდა ერთ ქალთან და თეატრსა თუ სხვა საზოგადოებრივ ადგილებში ხშირად ხედავდნენ მათ ერთად.

საოცარია, მაგრამ ლევანს დიდად არ განუცდია ეს ამბავი — იგი არასდროს ყოფილა მამასთან ახლოს; გიორგის, უბრალოდ, არ ეცალა მისთვის: წელიწადში რამდენიმე „რეისი“ კინოში, ცირკში ან ზოოპარკში — სულ ამით ამოწურებოდა მათი ურთიერთობა. დილით, სკოლაში რომ მიდიოდა, მამას ეძინა, ხოლო გიორგი რომ ბრუნდებოდა შინ, ლევანი ხვდებოდა ლოგინში. ეტყობა თავისი „კეთილისმყოფელი“ გავლენა მამის ორმაგმა გასტროლებმაც იქონიეს და ამიტომ ლევანს ოჯახიდან მისი საბოლოოდ წასვლა სულაც არ აღუქვამს ტრაგიკულად. ეგ კი არა, ბოლომდე არც კი ჩაჰკვირვებია ამ ამბავს.

მერე და მერე უფრო დედის გამო თუ დაფიქრებულა ამაზე, ისიც მაშინ, როდესაც თვალს შეასწრებდა, რა გარანდებული იყო ხოლმე დედა ფანჯარასთან, ერთ წერტილს თვალმბჯენილი, მაგრამ მაშინ უფრო ის აფიქრებდა და აშინებდა, რომ დედა შეიეცვალა — საოცრად მოტყდა რამდენიმე თვეში.

დედას პირველად რომ მოუვიდა გული, შეტევა, ბედად, ბაბუაც შინ იყო — წინადღით ჩამოვიდა სოფლიდან — და ლევანიც. მაგრამ ორივენი ისე დაიბნენ, მხოლოდ მეზობლის ქალის მოხმობაღა მოახერხეს. მეზობელი, ანიჩკა დეიდა, ამგვარ საქმეებში საკმაოდ გაწაფული აღმოჩნდა: ჯერ თვითონ მოარბენინა წამლები, მაშინვე სასწრაფო დახმარებასაც გამოუძახა და როდესაც ნემსებით მოურუნებულმა დედამ დაღლილად გაუღიმა ლევანს, ნუ გეშინია, შვილო, ახლა კარგად ვარო, ნურწულით ურჩია ლევან ბაბუას: ეს ექიმი მაინცდამაინც ვამოცდილი არ მეჩვენება და პროფესორი მოვიყვანოთო. მერე პროფესორის მისამართიც თვითონ მოიტანა და ავადყოფთან დარჩენაც ითავა.

ბევრმა წყალმა ჩაიარა მას შემდეგ, მაგრამ ლევანს მახსოვრობიდან არა ღ: არ ამოეშალა პროფესორთან ვიზიტი.

ოთახი, სადაც ისინი გულისხმიერად

მოღიმარმა დიასახლისმა შეიპატიჟა, ისე იყო მდიდრული ავეჯითა და ანტიკური ნივთებით გამოჭედილი, მუზეუმს უფრო ჰგავდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. ეგ იყო ოღონდ, რომ წარწერა „ზელის შეხება სასტიკად აკრძალულია“, არსად ჩანდა, თუმცა ეს, ეტყობა, უამისოდაც იგულისხმებოდა და ლევანმაც უხერხულობის დასაფარავად, ზურგს უკან დამალა ამ გარემოსათვის ესოდენ შეუფერებელი, შავარშიამქოვლებული თითები.

ბაბუამ ამასობაში მოსვლის მიზეზი აუწყა დიასახლისს.

— ოი, რას ბრძანებთ, — ძალიან შეწუხდა ქალი, თუმცა შეწუხების მიზეზიც მალე გაირკვა.

— იცით, — მობოდიშებით დაიწყო, — ახლა უკვე შვიდის ნახევარია და ჩემი მეუღლე...

— მანქანას გავაჩერებ, ქალბატონო...

— არა, მაგაზე არ მოგახსენებთ, მანქანა ჩვენც გვყავს.. საქმე ისაა, რომ დღეს, როგორც იქნა, საშუალება მოგვეცა ოპერაში წავსულიყავით, „ოტელოზე“... ხომ იცით, ჩვენი ცხოვრების რიტმი, როდის-როდის გაალწევ კაცი სახლიდან და...

— აჰა, გასაგებია, გასაგები... — დაბნეულად თქვა ბაბუამ.

„რა არის გასაგები! — ლამის ტვინა აუფუდდა ლევანს, — შეიშალა ეს კაცი, თუ რა ხდება?!“

— რა ვქნათ, — დფიქრდა დიასახლისი და უცებ გახალისდა: — თუ საწინააღმდეგო არაფერი გექნებათ, ერთ ჩვენს მეგობარს დავურეკავ... ისიც პროფესორია, ძალზე კარგი სპეციალისტი... მე რომ ვთხოვ, უარს არ მეტყვის. — ქალი მოლოდინით შეაჩერდა ბაბუას.

— დიდად მადლობელი დაგრჩებით, ქალბატონო!

„დიდად მადლობელი დაგრჩებით, ქალბატონო!“ — გულში ბრაზით გამოაჯავრა ლევანმა და უფრო კუშტად დაუშტერდა თავისი ფეხსაცმლის გადაყვლეფილ ცხვირებს.

დიასახლისმა სწრაფად აკრიფა ნომერი, ერთხანს რუსულად ელაპარაკებოდა, მერე მისამართი ჰკითხა ბაბუას და ყურმილში გაიმეორა, ყურმილი დაკიდა, ბაბუას ღიმილით უთხრა, „ერთ საათში პროფესორი თქვენთან იქნებაო“ და კარამდე გამოაცილა.

ბაბუამ კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა და შინისაკენ გზას ისე დაადგა, ლევანისკენ არ მოუხედავს.

იმჯერად ყველაფერი კარგად დასრულდა: პროფესორი მოვიდა, წასულები გამოწერა, ავადმყოფიც და მისი ახლობლებიც დაარწმუნა, რომ საშიში არაფერი იყო და მართლაც, დედა თითქოს სრულიად გამოჯანსაღდა, მთელი სამი თვე არაფერს უჩიოდა.

ლევანს შემდგომში ხშირად მწარედ გასცინებია თავის გულუბრყვილობაზე, მაგრამ მაშინ, თორმეტი წლის ბიჭს, არ გაეგებოდა და არც სურდა გაეგო, როგორ შეიძლებოდა ვიღაც (ვიღაც კი არა ექიმი პროფესორი) ოპერაში, თუნდაც ჭაბუკიანის “ოტელოზე“ წასულიყო მაშინ, როდესაც მისი, ლევანის დედა ცუდად იყო...

სამი თვის შემდეგ დედას შეტევა გაუმეორდა, მერე კი თვეც არ გავდიდა ისე, მათ კარზე სასწრაფო დახმარების მანქანა არ მოსულიყო.

ბაბუა იმ ხანებში იშვიათად თუ წავიდოდა სოფელში, ისიც ერთი დღით, რადგან ავადმყოფ რძალსა და შვილიშვილს მარტო ვერ ტოვებდა, ლევანისთვის კი ჩვეულებრივ ამბად იქცა აფთიაქებში სიარული და სადარბაზოს შესასვლელში სასწრაფო დახმარების მოლოდინი

სამ წელიწადს გაგრძელდა ასე.

ამ ხნის განმავლობაში ლევანმა რამდენჯერმე ნახა მამა. ოფიციალურ-ნაჩქარევი ხასიათი ჰქონდა ამ შეხვედრებს და ლევანს არათუ აღონებდა, პირიქით მოსწონდა კედეც, მამა რომ მის საქმეებში არ ერეოდა, რჩევა-დარიგებებიც გულს არ უწყალებდა.

— დედა როგორაა? — ჩვეულებრივ ჰკითხავდა ხოლმე ვიორგი.

— ისე რა, არა უშავს, — იყო პასუხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და საუბარი ამ თემაზე ამით მთავრდებოდა.

არც სხვა რამეზე გამოსდიოდათ ლაპარაკი და ორივე შვებას გრძნობდა, როდესაც გამოთხოვების აუცილებელი ჟამი დაჰკრავდა.

დედა რამდენჯერმე საავადმყოფოში იწვა, გამოსაკვლევად.

სპეციალური სანატორიუმის საგზური გაუხერხა ბაბუამ. იქიდან დაბრუნების შემდეგ, დედა ძალიან კარგად გამოიყურებოდა, თვითონაც ირწმუნებოდა, თავს მშვენივრად ვგრძნობი, მაგრამ...

ოცი ნოემბრის ღრუბლიან დილას, საწყრაფო დახმარება რომ მოვიდა, დედა უკვე აღარ იყო...

ის ერთი კვირა, რომელიც უსაშველოდ გაიჭიმა, საოცარი სიზუსტით აღიბეჭდა მის გონებაში — მომსულელთა სახეები, სამძიმრის სიტყვები, ყოველი ხელის ჩამორთმევა თუ მხარზე ხელის მოთათუნება, თვით ყველაზე უმნიშვნელო რეპლიკაც კი ზედმიწევნით ახსოვდა. ოღონდ ეს იყო, რომ თითქოს ყველაფერი ეს მას არ ეხებოდა, განს მდგომი მოთვალთვალის თუ დამკვირვებლის პოზიციიდან აღიქვამდა ყოველივეს და დროდადრო შეცბუნებული და დარცხვენილი უტყდებოდა საკუთარ თავს, რომ დედაზე თითქმის სულ არ ფიქრობდა.

მთელი მისი არსება მოლოდინს, მამის ჩამოსვლას მოლოდინს შეეპყრო ისე, თითქოს ის იყო მთავარი ახლა. ჩამოვიდოდა თუ არა გიორგი ლაშაური დაკრძალვაზე, დაძაბულობას ისიც აძლიერებდა, რომ ბაბუა ძალიან ნერვიულობდა. თუმცა კი ცდილობდა, ლევანს ეს არ ეგრძნო, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რა მოუთმენლობით ელოდა ზვილის გამოჩენას.

თეატრი მოსკოვში საგასტროლოდ იყო წასული, იქიდან კი ბულგარეთს უნდა გამგზავრებულიყო. ტელეგრამა პირველივე დღეს გაგზავნინა ბაბუამ და ახლა ელოდნენ — ერთი დღე, მეორე, მესამე...

დაკრძალვის დღეც მოშუადღევდა — გიორგი ლაშაური არ ჩამოვიდა.

ეტყობა, დეპეშამ ვერ ჩუსწროო, ანუ, გეშეს ჭირისუფლები ნაცნობ-მეგობრებმა, მაგრამ მართლა იყო თუ მოეჩვენა, ლევანს ამ ნუგეშშიც რატომღაც დაცინვის მაგვარი თანაგრძნობა მოესმა.

ახალგაჯრილი სამარის პირას მდგარმა მთელი არსებით იგრძნო, როგორ ეკარგებოდა საბოლოოდ ის დიდებული და გამოუთქმელად თბილი და ახლობელი რამ, რომელსაც ძალზე მარტივად „დედა“ ერქვა, მაგრამ ცრემლი არც ახლა წამოსულია — როგორც ჩანს, მასში ტკივილი გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ამის გამოხატვა ცრემლს შეეძლო. პირიქით, ახლაც მთელი სიზუსტით აღიქვა, როგორ უცახცახებდა ლევან ბაბუას ქვედა ყბა, როგორი მონოტონური თანამიმდევრობით ჩამოსდიოდა ლოყაზე მსხვილი ცრემლები და ერთსა და იმავე ადგილას უხმაუროდ ეცემოდა მშრალ, ნაყარ მიწაზე. ისიც კი მკაფიოდ გაგონა, როგორ ჩაიხურჩული ვიღაც ქალმა მის ზურგს უკან: „ქვის გული ჰქონია ამ ბიჭს...“

...ერთი თვის შემდეგ, გაზეთს რომ ათვალიერებდა, ამ სტატიას მიაქცია ყურადღება, რომელშიც თეატრის გასტროლებზე იყო ლაპარაკი. წერილში შავით თეთრზე ეწერა, რომ თეატრი ზუსტად იმ დღეს გამგზავრებულა საგასტროლოდ ბულგარეთში, როდესაც დედა დაასაფლავეს.

გაზეთი ბაბუას დაუდო უხმოდ წინ, ჯალეტ ჩაიცვა და ქუჩაში გავიდა. მხოლოდ გვიან ღამით დაბრუნდა შინ და ხმის ამოუღებლად ჩაწვა ლოგინში. მთელი კვირა არც სკოლაში წასული, ჩანთას სარდაფში ტოვებდა და მთელი დღე, გვიანობამდე ზომავდა თბილისის ქუჩებს.

სწორედ ამ დღეებში იყიდა პირველად სიგარეტი, თუმცა ბიჭებთან ერთად ადრეც ეწეოდა ხოლმე ხანდახან, ოღონდ მალულად, მოფარებულ ადგილებში, ახლა კი მთელი კოლოფი იყიდა და პირდაპირ ქუჩაში, მიურიდებლად გააბოლა.

...ოცდაოერთმეტ დეკემბერს უფრო ადრე გადაწყვიტა შინ მისვლა — წარმო-

იდგინა, როგორ იჯდა ბაბუა მარტოდ-მარტო და შეეცოდა.

ბინაში შესულს ოთახიდან მოგუდული ხმები მოესმა და სწრაფად შეაღო კარი.

ბაბუა დივანზე იჯდა, მის პირდაპირ კი, სკამზე მამამისი, გიორგი ლაშაური ამბოლებდა სიგარეტს.

ლევანის დანახვაზე საუბარი შეწყდა.

გიორგი ფეხზე წამოდგა.

ლევანმა ზურგი შეაქცია, პალტო იქვე სავარძელზე მიაგდო, მეორე ოთახში გავიდა და კარი მოხურა.

— ხედავ, როგორ გათავხედდა, მამაჩემო! — მოესმა მამის ხმა. — აი, ეგაა თქვენი აღზრდის შედეგი! ხედავ, ზედაც არ შემომხედა!

— უკეთესად შენ გაგეზარდა, შვილო, — მშვიდად უპასუხა ბაბუამ, — მე არ დამიშლია, მგონი.

— სკოლაშიც არ დადის თურმე... სპეციალურად დამირეკეს, ჩემი ძმაკაცია მაგათი დირექტორი... ასე როგორ შეიძლება! — საოცრად გამაღიზიანებელი, დამრიგებლური ტონით განაგრძობდა გიორგი, — რა არის ეს ბოლოს და ბოლოს, რატომ დაისვით თხუთმეტი წლის ლაწირაკი თავზე?!

ლევანმა ისე გამოაღო, კინაღამ გამოგლიჯა კარი.

— უთხარი, ბაბუ, თავი დამანებოს. უმაგისოდაც გავძლებ როგორმე! ის ურჩევნია, თავის კახპებს მიხედოს! — ხმა უკანკალებდა.

— ხედავ, ხედავ, მამაჩემო?! — გაფითრებულმა გიორგიმ მისკენ გადადგა ნაბიჯი.

— თითი რომ დამაკაროს, ყელს გამოვჭრი, იცოდე! — უკვე ნამალადევი სიმშვიდით ისევ ბაბუას მიმართა ლევანმა, გამომწვევად ჩაიცარა ხელი პიჯაკის ცარიელ ჯიბეში და დაამატა: — უთხარი, წავიდეს.

გიორგი ადგილზე გაშეშდა, — გაოგნებულმა მამას გადახედა, მაგრამ თანგრძნობის ნატამალიც რომ ვერ ამოიკითხა მის სახეზე, ისევ შვილზე გადაიტანა მზერა.

— უთხარი, წავიდეს, თორემ მე წავალ! — მტკიცედ თქვა ლევანმა და პალტოს დაწვდა.

— წადი, შვილი, — მშვიდად მიმართა ბაბუა ლევანმა გიორგის, თუმცა ძალიან გაუჭირდა ამ ორი სიტყვის წარმოთქმა.

— კი, მაგრამ, მამაჩემო... ეს სახლი მეც ზომ მეკუთვნის ნაწილობრივ... — გაღიმება სცადა გიორგიმ.

— წადი! — ფოლადმა გაჰკვეთა მოხუცის ხმაში.

გიორგი ლაშაური კარგად იცნობდა საკუთარ მამას. ამიტომ იყო, უხმოდ გატრიალდა და კარი გაიხურა.

ლევანმა საოცარი სისუსტე იგრძნო, ბაბუას მიუჯდა გვერდით, ხელებში თავჩარგული მკერდზე მიეყრდნო და ჯერ უხმოდ, თანდათან კი სულ უფრო ხმამაღლა აქვითინდა, — დაგროვილმა ცრემლმა თითქოს გზა იპოვა, ერთბაშად გადმოხეთქა.

ძალიან დიდხანს იჯდა ასე ბაბუა-შვილშვილი — ლევანი უკვე ალარ ტიროდა. მხოლოდ მაშინ დაუბრუნდათ დროის შეგრძნება, როდესაც ქუჩიდან თოფების გრიალი მოისმა — ახალი წელი შემოდიოდა ქალაქში...

...ორი წლის შემდეგ გიორგი ლაშაურმა ცოლი შეირთო.

ეს ქორწინება კიდევ ერთ მოკლევადიან სენსაციად იქცა თბილისში: მისი მეუღლე, ნელი სულავა, ახალგაზრდა კაი იყო, მაგრამ გარეგნობით გიორგის ექსტრავაგანტურ საყვარლებს, როგორც ამბობდნენ, გვერდითაც ვერ მიუდგებოდა. მეორე მხრივ, ვერც გიორგი შეედრებოდა ჭკუთა და ინტელექტით თავის ახლანდელ მეუღლეს — ასე რომ ეს ორი-უცნობიანი ამოცანა ქალაქს ჯერ ამოუხსნელი დარჩა, შემდეგ კი მოიძველა და მიივიწყა.

ლევანი მამასთან ახლო ურთიერთობას კვლავინდებურად გაურბოდა, თუმცა დრომ თავისი გაიტანა და ტკივილებიც მიუყუჩა. არც აქეთ შემოსძალებიან მანიცდამაინც და ძალიან კმაყოფილი იყო ამით.

მერე, ელა რომ შემოვიდა მის ცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაში, მათი დამოკიდებულება ოდნავ შეიცვალა, რადგან ლევანი გრძნობდა, რომ „ცოცხალ“ მსახიობებთან რეჟისორებთან და კინო-თეატრ-ხელოვნებათ-მცოდნეებთან შეხვედრები და ურთიერთობა ელას ეზიდავდა. მისთვის უწვეელი და საინტერესო იყო და ლევანიც ხათრს არ უტეხავდა, თუმცა უხალისოდ, მაგრამ მაინც მიჰყვებოდა ხოლმე მამის, ახალ, ხელოვნების შარავანდედით მოვრაყებულ უხვსტუმრიან ოჯახში.

ასე რომ, დიპლომატიური ურთიერთობა ოფიციალურად აღდგა. და ორივე მხარე, მთლიანად თუ არა, საზოგადოების თვალში მაინც კმაყოფილი გამოიყურებოდა.

...— „ელა! — გახმიანდა ოთახში ჩამოწოლილ სიჩუმეში. — ელა!“

●

ზედიზედ მესამე დღე იყო, ზღვა გაშმაგებით აწყდებოდა ნაპირს. მძიმე, შავი ღრუბლები თითქოს სახურავებს ეკრდნობოდნენ, დროდადრო გულის გამაწვრილებლად ცრიდა და ცივი ნიავი უბერავდა.

ლევან ლაშაური მარტოდმარტო მიუყვებოდა გაუკაცრიელებულ ნაპირს, და არც კი სჯერდა, რომ სულ ორიოდ დღის წინათ ეს ადგილები ისე იყო დამსვენებლებით გადაჭედილი, ფეხის ჩასადგმელ ადგილს ვერ იპოვიდი.

ახლა კი უამინდობით გულგაწყალებული, მზეს დანატრული ეს ხალხი ვეღარც ბობოქარი ზღვის მშვენებას მოეხიბლა და ოთახებში შეყუჟული რაღას არ იკონებდა თავის გასართობად და დროის მოსაკლავად.

ლევანი აუჩქარებლად მიაბიჯებდა. ხანდახან ჩერდებოდა და შორეული ნაკსადგურის ბეტონის ზღუდეს გაჰყურებდა, რომელსაც გაცოფებული ტალღები მოელი ძალით ეჯახებოდნენ და მერე, მილიარდ წვეთად დაშლილნი, შადრევნებად აღიმართებოდნენ ხოლმე ცაში.

ამ დიდებული სანახაობით მოხიბლული ხხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც ფეხქვეშ რაღაც, ხალიჩის მაგვარი სირბილე იგრძნო. დაიხედა — სველ, პლაჟზე დდი, ფაფუკი პირსახოცი გაეფინა ვიღაცას, ხოლო თვითონ ლევანი ამ პირსახოცზე მიგდებულ ქალის ხალათზე შემდგარიყო ფეხით. იქვე, პირსახოცთან ახლოს, ხისძირიანი ქოშები და ცელოფანის პარკით „მალბორო“ ეწყო.

შეცბუნებულმა მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ამ ნივთების პატრონი არსად ჩანდა. ახლა ზღვას გახედა და ნაპირიდან ასე, ოცი-ოცდახუთი მეტრის იქით, რეზინის ცისფერი საბანაო ქუდი დაინახა; რამ მოუარა უეცრად, თვითონაც ვერ იტყოდა — სწრაფად გაიხადა ტანზე, აბობოქრებულ ტალღებში გადაეშვა და ორიოდე წუთის შემდეგ მობანავის გვერდით აღმოჩნდა.

ცისფერქუდიანმა ზედაც არ შეხედა ახალ მოვლენად თანამგზავრს და ისე განაგრძო ცურვა, თითქოს მთელი ზღვის გადაცურვა ჰქონდა განზრახული.

„ვნახოთ, რამდენ ხანს გამიძლებს!“ — გუნებაში დაექადა ლევანი და ჯიუტად მიჰყვა დაწინაურებულს.

კარგა ხანს იცურეს, არც ერთი ხმაც არ ღებდა.

ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ეს უნეველო შეჯიბრება, მაგრამ ერთ მოზრდილ ტალღას აყოლილმა ლევანმა უკან რომ მოიხედა, გული შეუქანდა — უსაშველოდ შორს მოჩანდა ნაპირი.

— დავბრუნდეთ, გვეყოფა, — ეს დამარცხებას ნიშნავდა, მაგრამ ქალიშვილმა თითქოს ვერც კი გაიგონა, ისე გაგრძელა ცურვა.

„ჯანდაბამდი გზა გქონია!“ — ბრაზით გაიფიქრა ლევანმა და გამობრუნდა.

ნაპირზე გამოსვლას გაცილებით მეტი დრო მოანდომა, მაგრამ მაინც მშვიდობით გამოადწია და სული რომ მოითქვა, მხოლოდ მაშინღა გახედა ზღვას — ცისფერი ქუდი შორს, ძალიან შორს ილანდებოდა, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ქოჩრიან ტალღებზე მოქცეული, მერე კი ისევ უჩინარდებოდა წამოზრდილ გორაკებს მიღმა.

ლევანმა სიგარეტს მოუკიდა, ჩამოჯ-

და და ისევ შორეულ ნავსადგურს მიაჩერო მზერა: კელავინდებურად ასკდებოდნენ ბეტონის ჯებირს ტალღები, თანამიმდევრობით იჭრებოდნენ შადრევნებად ცისკენ... ერთი, მეორე, მესამე, მეოთხე!..

ამასობაში წყალიც შეაშრა ტანზე და წასვლა დაიპირა. — სულაც არ ეპიტნავებოდა იმ ვიღაც თავგასულ გოგოსთან პირისპირ შეყრა. თავისდაუნებურად ისევ გახედა ზღვას და მოულოდნელად ცისფერი ქუდი ნაპირიდან სულ რაღაც ათოოდე მეტრზე დაინახა. მაშინვე მიხვდა, რომ რაღაც შეცვლილიყო, ქალიშვილი, ჩვეულებისმებრ ეველარ უმკლავდებოდა ტალღებს.

— „რაო, ჩიტო, დაიღალე?“ — ნიშნავს მოგებით გაიფიქრა ლევანმა, მაგრამ მაშინვე მოჰკრა თვალი სიმწრით მოკეკულ ტუჩებსა და გაფითრებულ სახეს, რომელიც წამსვე მიიმალა წამოზრდილ ზვირთს უკან.

არც კი დფიქრებულა, სირბილით გაემართა წყლისკენ, ნაპირზე დასაცემად წამომართულ ტალღას წელში შეუვარდა, სწრაფად ამოყვინთა და რამდენიმე ენერგიული მოსმით მიაღწია ქალიშვილამდე.

— რა მოგივიდა?

— ფეხი... მარცხენა ფეხი გამიკავდა... — გალურჯებული ტუჩებით ვამოსცარ იმან.

ლევანმა ხელახლა ჩაყვინთა, მარცხენა ფეხში ხელი წაავლო და წვიეზე უბინა. ხედმეტი მოუვიდა — წყალშივე მოესმა შეკივლება.

— მოგეშვა? — ამოყვინთვისთანავე ჰკითხა.

— ჰო, მგონი, გამიარა, — ტუჩები უცახცახებდა.

— აბა, ჩქარა, ნაპირისკენ, თორემ თუ გავიმეორა, ორივენი ჩავიხრჩობით. მხარზე მომხვიე ხელი, ნუ გეშინია, გავიძლებ.

— არ მინდა, უკვე კარგად ვარ.

— მაშინ როგორც კი გეტყვი, ნაპირისკენ მოუსვი.

— შენ?

— მე ადამიანი-ამფიბია ვარ! — გაიცინა ლევანმა და მაშინვე დაისაჯა: მარილიანი წყალი აყლაპა მოულოდნელად წამოპარულმა ტალღამ. ხველებას რომ მორჩა, უცებ მოერია ბრაზი: — გააკეთე, რასაც გეუბნებიან, წადი! — თითქმის უყვირა ქალიშვილს.

იმან აღარ გაამეორებინა, აღრინდელი სისხარტით გაჰყვა ტალღას და ფეხქვეშ მიწა ოგრძნო თუ არა, სწრაფად გაარღვია წყალი და მოხდენილად გაექცა დადევნებულ ზვირთს, რომელიც ბრაზით შეეხალა ბარძაყებზე, ტერფებქვეშ ქვიშაც გამოაცალა, მაგრამ ველარაფერი დაკალო, უკან ველარ დაიბრუნა.

ქალიშვილი ნაპირზე ჩამოჯდა, ლევანს გახედა, ხელით ანიშნა, წამოდი! და გაუღიმა. მერე რეზინის ქუდი მოიძრო და ოქროსფერი თმა ჩამოეღვარა მხრებზე.

ლევანი ერთხანს კიდევ დაჰყვებოდა ადმა-დადმა წყლის ზვინებს და გაუგონარ ნეტარებას გრძნობდა — მან გაიმარჯვა, დიახ, გაიმარჯვა და ეს იყო ახლა მისთვის მთავარი... ახლა თამამად შეეძლო ნაპირზე გასულიყო, ვერავინ გაბედავდა მისთვის დაცინვით შეეხედა!

მერე შედარებით მომცრო ტალღა შეარჩია, მცირე მანძილზე ცურვით მიჰყვა და ფეხზე რომ დადგა, წყალი მკერდამდე მისწვდა. თითქმის სამშვიდობოს იყო გასული, მაგრამ უეცრად სიაზე ფეხი დაუსხლტა, წაბორძიკდა და მაშინვე ვერაგულად ეძგერა უკნიდან მომდევნო ტალღა, რამდენჯერმე ამოტრიალა, ქვიშაში გარია და ისევ უკან ჩაითრია. ახლა მეორემ მოუნაცვლა ხელი — იგრძნო, როგორ მოხვდა ზურგში მოზრდილი ქვა. მესამე ტალღამ თითქმის ზედ ნაპირზე გადმოაგდო და ლევანმა ჯერ ოთხზე ფორთხვით, შემდეგ კი ფეხრგვეულ მოაღწია ნაპირს, ქვიშაზე გულაღმა გაიშოტა და დაღლილ-მოოენთხილმა თვალები დახუჭა.

„თავში რომ მომხვედროდა, წასული იყო ნეტა საქმე!“ — ახლადა იგრძნო შიში და მასთან ერთად ისიც, რომ ქვანაკრავი ზურგი სტკიოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი რომ გაახილა, მისკენ ჩამოშლილი ოქროსფერი თმა დაინახა პირველად, მერე ამ თმაში ჩასმული ლამაზი სახე.

წამოჯდა და დაკვირვებით შეხედა ქალიშვილს. ჯერ კიდევ წყალში შენიშნა, რომ მიმზიდველი სახე ჰქონდა, ახლა კი ასე მოეჩვენა ლევან ლაშაურს, რომ ზღვის ქაფიდან შობილი ქალღმერთი მოსულიყოფილა გვერდით.

— შემაშინე, ამფიბია! რამე ხომ არ იტკინე?

ლევანი უხმოდ შეჰყურებდა, თითქოს არ ესმოდა.

— შენ რომ არა, ნამდვილად დავიხრჩობოდი, — თქვა ქალიშვილმა და უცებ შეაჟრჟოლა. — ახლა იქ ვიქნებოდი, — ზღვისკენ გააქნია თავი, — ოღონდ ფსკერზე... ბრრ, რა საშინელებაა, არა?!

— კარგი ერთი, ეგ რაღა საფიქრალია.

ერთხანს ჩუმად ისხდნენ, ზღვას გაჰყურებდნენ და სიგარეტს ეწეოდნენ.

— იცი, მე უკვე ოცდაორი წლისა ვარ, — სევდიანად თქვა ქალიშვილმა და მოულოდნელად მხარზე ჩამოადო ლევანს თავი. — და ჯერ ჩემთვის არავის გაუწირავს თავი... ეგ კი არა, ხელიც არ გამოუწვდია... შენ პირველი ხარ...

ლევანმა ვერაფერი უპასუხა, გასუსული იყდა.

ამ დროს უშველებელი ტალღა მოაწყდა ნაპირს და ორიენი ქვეშიან ქაფში გახვია.

— ხედავ, ეჭვიანობს! — გაიცინა ქალიშვილმა და წამოდგა. — უფრთხილდი, იცოდე, არ დაგინდობს!

●

ფანჯარაში ნელა იპარებოდა რძისფერი სიბნელე.

— გძინავს? — ჩუმად იკითხა ლევანმა.

ელამ არ უპასუხა, საწოლზე წამოჯდა და სიგარეტს მოუკიდა. მოკლე ალმა წამით გამოკვეთა მისი ჩამოქნილი პროფილი.

— მიხდა რამე?

ქალმა ღრმად ჩაისუნთქა კვამლი.

— მაინც?

— ზღაპარი დამთავრდა, ამფიბია... როგორც ყოველთვის, ბანალურად, შამპანურით და ლოგინით... ახლა წავალ... არ იფიქრო, მე არაფერს ვნანობ, მაგრამ ასე აჯობებს, — ელვამ ნამწვი საფერფლეში ჩარისა და სკამზე გადაკიდულ კაბას მისწვდა — ზღაპარი ზღაპარივით უნდა დასრულდეს...

— მიყვარხარ, — მშვიდად, დაჯერებით თქვა ლევანმა.

— რაა?

— მიყვარხარ!

— სისულელეა, ლევან... სისულელეა, სისულელე... — ელა ვერც კი ხვდებოდა, რომ უაზროდ ატრიალებდა ხელში კაბას, — ასე არ ხდება...

— ხდება- ამალამ თბილისში წავალთ, თუკი წამომყვები.

— მერე რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ალიანსი?

— რა თქვი?

— ღმერთო, რეებს ვამბობ! ყურს ნუ მიგდებ... დროს რა მნიშვნელობა აქვს, ერთი წელი იყოს, ერთი თვე... ერთ კვირაზეც თანახმა ვარ! — ელამ, როგორც იქნა, მიაგდო კაბა და ულონოდ მიესვენა საწოლზე, — ოღონდ... ოღონდ ეს ღამე ნუ იქნება უკანასკნელი...

— მაშ მივდივართ?

ელა უხმოდ მოეხვია და ლევანმა იგრძნო, როგორ უცაცხახებდა ქალს სხეული...

●

ორმა კვირამ ტკბილ ზმანებასავით ჩაიარა.

მათი გეგმებიც თითქმის სულ ბოლოს შეიცვალა — გამგზავრებამდე ორი საათით ადრე მოუხდათ ელას ბილეთის ჩაბარება.

— მეც წამოვიდოდი მოსკოვში, რატომ ადრე არ მითხარი?

— მერე ინსტიტუტი? თანაც ხომ იცი, წერილი დღეს მივიღე.

— ინსტიტუტსაც მოევლებოდა.

— კარგი, ნუ ბრაზობ, ათ დღეში ხომ ჩამოვალ. ვერ გაძლებ უჩემოდ?

— გავძლებ როგორმე.

— ნამდვილი ისა ხარ... მუსუსი, — ვითომ გაიბუტა ელა. — განა ვერ ვხედავ, როგორ გიპრაწავს ის გოგო თვალებს.

— რომელი გოგო?

— აგერ ის, — დაანახა ელამ.

ვაგონთან ლევანის თანაკურსელი იდგა და მართალი ლევანს უყურებდა.

ლევანი ხელის აწევით მიესალმა.

— ჩემი კურსელია, სულელო, თანაც გაუხოვნელია.

— გაუხოვნელი, კურსელი — მონახა რა გასამართლებელი საბუთი! თვალებზე ვატყობ, რომ მოსწონხარ. რამდენი ეგეთი „კურსელი“ გყავს?

— ბევრი, — ლევანი თვითონაც ჩაეცა ამ თამაშში, მიხედა, რომ ასე სჯობდა.

— ჰოდა, დროზე ჩამოდი, თორემ ვინ იცის...

მატარებელი დაიძრა.

ლევანი საფეხურს შეახტა და მანამდე იდგა გამოლებულ კარში, ვიდრე სადგური თვალს მიეფარებოდა.

●

უსაშველოდ გაგრძელდა ეს ათი დღე. მერე სექტემბერიც მიიწურა და ოქტომბრის ორი კვირაც, ელა კი არ ჩანდა, არც ავი ისმოდა მისგან და არც კარგი.

ლევან ლაშაური დიდხანს არ კარგავდა იმედს, მაგრამ ბოლოს ირწმუნა, რომ ელა აღარ ჩამოვიდოდა. ისიც გაიაზრა, რომ მათ შორის მომხდარი, შესაძლოა ქალისთვის მხოლოდ საზაფხულო თავშექცევა იყო, ჩვეული და მრავალგზის განცდილი, ისეთი, თანასობით რომ წარმოიშობა ხოლმე ცხელ პლაჟებზე. რამდენიმე ხნით აკავშირებს ცხელ გულებს, მაგრამ ისევე ცივდება, როგორც ამ პლაჟების მხურვალე ქვიშა და თბილი ტალღები შემოდგომის მიწურულს.

ესე იგი, ელამ დაივიწყა.

ლევანი საგრძნობლად გულჩახრილი გახდა და თავისდამოულოდნელად სმას მოუხშირა. მშვენივრად იცოდა, რომ ეს გამოსავალი არ იყო, მაგრამ მაინც თითქმის ყოველდღე ნასვამი ბრუნდებოდა შინ. არც სასმელი შველოდა, ნასვამს უფრო უფუჭდებოდა გუნება, ჭაგრამ შეჩერება არ შეეძლო, უფრო სწორად, არ სურდა.

იმ დღესაც ვაკის პარკში მოიყარეს თავი.

ბიჭები მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდნენ ლუდზე, ლევანი კი სკამზე იჯდა და ფიქრობდა.

— რა გვარი ხარ? — ეს ნაცნობობა მეორე დღეს ჰკითხა ელას.

ნაპირზე ისხდნენ, თბილი ტალღები ფეხებს ულოკავდნენ ორივეს.

— ცირეკიძე. მაგრამ, იცოდე, ჩემი გენეოლოგია ისეა ჩახლართული, ბოლომდე მეც მიჭირს გარკვევა. მამა ქართველი, დედა უკრაინელი — ეს გვარების მიხედვით. უფრო ღრმად კი ასეა: ერთი ბებია ნახევრად ლეკი იყო, ნახევრად ჩერქეზი, მეორე ბებიის ძარღვებში კი ერთად იყო არეული ქართული, რუსული, ფრანგული და, შენ წარმოიდგინე, ჩინური სისხლიც კი. ბაბუაჩემი, მამის მამა, წმინდა წყლის ქართველი იყო, თუმცა მის სურათს რომ ვაკვირდები, ცოტა არ იყოს, ეჭვი მეპარება ამაში, — რაღაც ნამდვილად აქვს მონღოლური, აი, დედის მამა კი...

— გეყოფა, — ღიმილით შეაწყვეტინა ლევანმა. — გამოდის, რომ მთელ კაცობრიობას მოუყრია შენს შესაქმნელად თავი.

— ჰო, ეგრეა, — გაიცინა ელამ და გაანგრძო: — დედისერთა ვარ, დავიბადე რუსთავში, მამა იქ მუშაობდა. ადრე გარდმეცვალა — სულ ახალგაზრდა იყო, მაგრამ გულმა თურმე ასაკი არ იცის. დედა ერთი წლის შემდეგ ბაბოვდა და დონეცკში, ქმართან გადასახლდა, მე კი ბებიამ წამიყვანა თბილისში, მაგრამ სულ რაღაც ხუთი თვის შემდეგ ბებიაც გარდაიცვალა და დონეცკში მომიხდა გადასვლა. სამი წელი იქ ვცხოვრობდი დედასთან, სკოლაც იქ დავამთავრე. ბოლოს მამინაცვალთან უსიამოვნება მომივიდა და ისევ თბილისში დავბრუნდი, ბებიის ბინაში. კიდევ კარგი, რომ არ გაეყიდეთ, უფრო სწორად, კარგი მყიდველი რომ არ გამოჩნდა.

— თბილისში თუ გყავს ვინმე?

— ერთადერთი გაუთხოვარი მამიდ. მაგრამ ერთმანეთს არ ვხვდებით, ორი წელი იქნება, რაც არ მინახავს: თავის დროზე ვერაფერით აპატა მამას დედ. ჩემზე დაქორწინება, მერე, დედ მეორეულ რომ გათხოვდა, მამის სიკეთილშიც ჩვენ დავკდა ბრალი. მოკლედ, ვერ მიტანს და სამართლე რომ გითხრა, არც მე მეხატება გულზე. სხვა ნათესავები თითქმის მთელ ქვეყანაზე არიან მიმოფანტული და მათთან არავითარი კონტაქტი არ მაქვს. ჰო, კიდევ რა? თავისუფლად ვლაპარაკობ ქართულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე, ცოტ-ცოტას გერმანულსაც ვამტვრევ, ცოტა ხატვაც მეხერხება, მხატვარ-მოდელიერად ვმუშაობდი ბოლო დროს: ოჯახური მდგომარეობა — გაუთხოვარი. დავაკმაყოფილე თუ ვერა თქვენი ცნ... ბისმოყვარეობა?

— შეგეძლო, არაფერი გეთქვა, უბრალოდ გკითხე, რა მოხდა?

— კარგი, დავამთავროთ. დრო მოვა და ყველაფერს დაწვრილებით მოგიყვები, ახლა კი ისე კარგად ვგრძნობ თავს, არაფრის გახსენება არ მინდა...

ეს იყო და ეს, რაც ლევან ლაშაურმა ელას შესახებ იცოდა — არც ერთი სახელი, არც ერთი მისამართი...

...პირველად გოგო რომ მოეწონა, ლევან ლაშაური მესამე კლასში სწავლობდა. ნინიკო მეხი ხუთსასი იყო დ. როგორც გამოირკვა, ლევანის გარდ., სამოთხ ბიჭს კიდევ მოსწონდა კლასში და არც ეს იყო გასაკვირი — აბა, ს... მისასნი ხომ არ აუჩქროლებდათ გულებს?!

სხვებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა ლევანს, მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობდა და სკოლიდან ხშირად ბრუნდებოდნენ ერთად. პირველივე საუბრებიდან გამოირკვა, რომ ნინიკოს ისეთი წიგნები ჰქონდა წაკითხული, რომლებზეც ლევანს წარმოდგენაც არ ჰქონდ. ამან ძალიან იმოქმედა მის თავმოყვარეობაზე და ოჯახში ყველა გაკვირვებული დარჩა, როდესაც ბიჭმა, რომელსაც მანამდე ძალით თუ წაკითხებდნენ რამეს, გადაჭრით განაცხადა: ესა და ეს წიგნები მომიტანეთ, უნდა წავიკითხოო. მერე კი, ჯიბრით, კითხვა უკვე აუცილებელ მოთხოვნილებად ექცა და ღამეებს ათენებდა წიგნით ხელში, არც ხვეწნა-მუდარა ჭრიდა—დაიძინეო. ნინიკო მესხთან „რომანის“ კეთილისმყოფელი გავლენა ამით ამოიწურა, მაგრამ არც ეს იყო ცოტა, რადგან ლევანს მთელ ცხოვრებაში გაჰყვა წიგნის სიყვარული. ერთი იყო კიდევ: ნინიკოს ჩალიოფერი თმა ჰქონდა და ლევანს სამუდამოდ ჩაეჭედა გონებაში ქერათმიანთა უპირატესობა: სხვებს თუ შეაგვრემანები ან წაბლისფერთმიანები მოსწონდათ, ლევანი უყოყმანოდ ქერათმიანებს ამჯობინებდა.

მათი ურთიერთობის სხვა მხარეს თუ ვიტყვით, ლევანის გატაცება მთელ ოთხ წელიწადს გაგრძელდა და დასრულდა მეშვიდე კლასში. ზამთრის არდადეგების შემდეგ, როდესაც ნოდარმა — ერთ-ერთმა იმათგანმა, ნინიკო რომ მოსწონდათ, — ძმაბიჭებს გაანდო: ბაკურიანში ნინიკოს ყოველდღე ეხვდებოდი და ვაკოცე კიდეცო. დღესასვით ნათელი გახდა — ნინიკოს ნოდარი უყვარდა (ეს სიტყვა მეშვიდე კლასში უკვე თამამად იხმარებოდა). ლევანმა, თუმცა კი გულიეტკინა, ვაჟკაცურად გადაიტანა ეს დანაკარგი, რადგან ნოდარი მისი ძმაკაცი იყო, ხოლო შენს ძმაკაცს და გოგოს ერთმანეთი თუ უყვართ, ამ გოგოზე ფიქრსაც უნდა მოერიდო, თუნდაც მზე ღამთვარე ამოგდიოდეს მასზე — ეს მაშინ კანონი იყო მათთვის.

გოგოები მერეც ხშირად მოსწონებ.., მაგრამ კარგა ხანს საქმე ამას იქით არ მიდიოდა: მისი ძმაკაცები უკვე „დადიოდნენ“, ლევანს კი ამის მსგავსი არაფერი ჰქონია, თუმცა არც დაბადებას დღეებს აკლდებოდა, არც მორცხვი იყო, მაინცდამაინც. გრძნობდა, რომ გოგოებსაც მოსწონდათ, მაგრამ მაინც გადაულ... ხავი რჩებოდა ის რაღაც უხილავი, ბიჭს და გოგოს განსაკუთრებულად რომ აახლოებს.

მერე ის იყო, მეზობელმა ბიჭმა, მასზე ორი წლით უფროსმა, „ჩამოსულ ნაწ...

ბთან“ წაიყვანა. „ჩამოსულები“ კარგა ხანს დარჩნენ თბილისში, რამდენიმე დღე ლევანის ბანაშიც დაჰყვეს (ბაბუა სოფელში იყო წასული) და ბევრ ისეთ რამეზე აუხილეს თვალი გამოუცდელ ბიჭს რაზეც ადრე წარმოდგენა არ ჰქონდა.

ამის მერე სხვანაირად აეწყო საქმე. ლევან ლაშაური მალე დარწმუნდა, რომ საცურაო აუზშიც, სადაც იგი კეთრაში სამჯერ ვარჯიშობდა, დაბადების დღეებზე თუ სხვა თავყრილობებზეც, მრავლად იყვნენ მოხდენილი და დამყოლი ლამაზმანები. უკვე საკმაოდ იოლად უახლოვდებოდა ქალებს და ასევე ადვილად და უმტკივნეულოდ შორდებოდა. სწამდა, რომ ეს ასეც იყო საჭირო, მაგრამ ერთხელ, როდესაც თვითონ ლევანი მიატოვეს, ეს რაღაც ახალ და არასასიამოვნო აღმოჩენად ექცა.

არადა, ისე თბილად და რბილად უთხრეს უარი, რომ ლევანი დაიბნა — ის გოგო, ცირა, ორიოდე თვის წინათ თვითონ რომ „შეაბა“ ლევანი, არც ვარსკვლავებს წყვეტდა ცოდან და, სულო ცოდვილ, ლევანს არა ერთხელ უფიქრია, ძალიან ხომ არ გაგვიგრძელდა და ხომ არ სჯობს წერტილი დავსვათ, მაგრამ უარი რომ მიიღო, გახელდა, ორჯერ კიდევ მიაკითხა და როცა იგივე უპასუხეს, განრისხებულმა ორი კოლოფი სიგარეტი მოსწია იმ ღამეს და ქანცგაწყვეტილსა და აშლილს მხოლოდ გამთენიის ხანს ჩაეძინა.

სწორედ იმ დილას ნახა პირველად უცნაური სიზმარი: ბნელ ღამეში ვიწრო ბილიკზე მიდიოდა. კლდეებში დაკლაკნილი ბილიკი უეცრად დიდ გამოქვაბულს მიადგა და ლევანმაც გამოქვაბულში შეაბიჯა. მღვიმეს სანთლების მკრთალი შუქი ანათებდა, იატაკი თეთრი, ქათქათა ტყავებით იყო მოფენილი, შუაგულში კი უცხო ლამაზმანი იწვა, გამჭვირვალე პერანგი უფრო ენებიანად აჩენდა მის მომხიბვლელ სხეულს.

სანთლები ლიცლიცებდნენ, ქალი ავაზასავით იზმორებოდა თეთრ ტყავებზე და ლევანს უმბობდა, ის კი იდგა და თუმცაღა გულით სწადდა, ფეხს ვერ ინაცვლებდა. ძილშივე მიხვდა, რომ ეს უცხო ქალი ცირა იყო, თუმცა გარეგნობით სულ არ ჰგავდა მას.

სამი დღე ზედიზედ ტანჯავდა ეს ზმანება, მერე კი ისევ ქალები მოევლინენ მხსნელად და მალე ცირაც მიავიწყეს და სიზმარიც. ამის შემდეგ, რატომღაც, უფრო გულცივი გახდა და უფრო თავდაჯერებულიც; ისევ ისე, ადვილად უახლოვდებოდა და შორდებოდა ქალებს და ისე გრძელდებოდა მანამდე, ვიდრე იმ ღამეს, როდესაც ელამ წასვლა დაპპირა, რაღაც იდუმალმა და მასზე ძლიერმა ლამის ძალისძალად არ ათქმევინა ის სოცარი და დიდებული სიტყვა, რომელსაც ლევან ლაშაური ქალთან პირველად ლოგინში ჩაწოლამდე, გაგიხარია, მარჯვნივ და მარცხნივ, დაუფიქრებლად ატყლაშუნებდა შოლტივით და არც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. შემდეგ კი, ყოველგვარი მოულოდნელი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, სხვა, უფრო მოხერხებული სიტყვებით ცვლიდა.

ყველაზე მეტად იმან გააოცა, რომ ამ სიტყვამ ერთბაშად მოიპოვა სულ სხვა მნიშვნელობა, უსასრულოდ ყოველისმომცველი და ამაღლებული გახდა და ახლაღა ჩახვდა ლევანი მის აზრს, აქამდე ბევრებში საგულდაგულოდ ჩამალულს.

...ერთი თვის შემდეგ, როდესაც საბოლოოდ გადაეწურა ელას ჩამოსვლის იმედი, ისევ ნახა ის უცნაური სიზმარი. გამოქვაბულიც ივგვე იყო, იმავე თეთრ, ქათქათა ტყავებზე ისევ ის ლამაზმანი ნებივრობდა და თუმცა არც ოქროსფერი თმა ჩამობნეოდა მხრებზე და არც სახით ჰგავდა ელას, ნინე აშკარად ელა იყო.

ლევან ლაშაურმა გამოცდილებით იცოდა ამ სიზმრის წამალი და არც დაუხანებია: მომდევნო ღამე ორ გიბოცდილ კახპასთან ერთად გაატარა, მაგრამ ამჯერად წამალმა არ გაჭრა — მტანჯველი გამოქვაბული თითქმის ყოველ ღამე ეზიზრებოდა...

...სახლში შესვლა ვერ მოასწრო, რომ კარზე დარეკეს. ბაბუას გასაღები ჰქონ-

და, ლევანს კი არავის ნახვა არ უნდოდა და ამიტომ კარის გაღება არც უფიქრია, ისე წამოწვა დივანზე.

რეკვა არ წყდებოდა.

ლევანმა ბრაზით შეუკურთხა, წამოდგა, კარს მიაშურა, გააღო და სახტად დარჩა — ზღურბლზე ელა იდგა.

— დიდი ხანაა მოგყვებოდი, — თქვა ელამ. — დაგინახე, მაგრამ ვეღარ დაგეწიე.

— შემოდი, — ძლივს მოახერხა ლევანმა.

— სახლში არის ვინმე?

— არა, ბაბუა სადღაც წასულა.

— ხომ დაბრუნდება?

— კი.

— მაშინ ჩემთან წავიდეთ. იქ უფრო თავისუფლად ვილაპარაკებთ. ხელს ვერავინ შეგვიშლის.

ერთი პირობა, ლევანს სურვილმა წამოუარა, უხუშად მოეცილებინა ქალი და ეს, ეტყობა, სახეზეც შეეტყო, რადგან:

— არ გინდა, რა, მაგას ყოველთვის მოასწრებ! — მოესმა ელას ნათქვამი.

ქუჩაში გავიდნენ და მანქანა გააჩერეს, ელამ მძღოლს მისამართი უთხრა.

მთელი გზა უხმოდ იმგზავრეს.

მანქანა ვიწრო ქუჩაზე გაჩერდა.

ელა რკინის ალაყაფში შეუძღვა, მოზრდილი, რიყის ქვით მოკირწყლული ეზო გადაჭრა, კარს გასალები მოარგო ღა ბინაში შევიდა. ლევანი შეჰყვა და ვიწრო შუშაბანდში აღმოჩნდა, რომლის ერთ ბოლოში ონკანი და გაზქურა მოჩანდა. მეორეში — ძველებური განჯინა და პატარა მაცივარი.

— ოთახში შემოდი, — უთხრა ელამ.

მოზრდილ ოთახსაც ძველებური იერი დაჰკრავდა: მრგვალი მაგიდა, ტყავგადაკრული, ტყავის მუთაქებიანი „ატმანკა“, ბრინჯაოს შანდლებიანი შავი პიანინო, ნიკელისთავებიანი რკინის საწოლი, ოთხი ზურგაზნექილი ხის სკამი. შორეულ კუთხეში ძმიმე, შინდისფერი ფარდები სადღაც გამავალ კარს ფარავდა, უახლოეს კუთხეში კი რქებატოტილი ტელევიზორი შეყუჟულიყო.

ლევანი სკამზე დაეშვა, იდაყვებით მაგიდას დაეყრდნო, მერე სიგარეტი მოიძია და გააბოლა.

— დალევ რამეს?

ლევანმა უხმოდ დაუქნია თავი.

ელა შუშაბანდში გავიდა. იქიდან ჯერ მაცივრის გაღება-დახურვის ხმა მოისმა, მერე ჭიქების წკარუნი და ელაც შემობრუნდა, უკრაინული „გორილკა“ და ბროლის სირჩები შემოიტანა. ბოთლი გახსნა და ჩამოასხა.

— ჯერ დავლიოთ, არა? ლაპარაკს მერეც მოვასწრებთ, — პასუხისათვის არ დაუცდია, ისე გადაჰკრა. — წყალი მოგიტანო?

— არ მინდა, — „კახპებიც თუ არ ვაცი...“ — ისევ ახმიანდა ვონებაში.

ელამ ხელახლა შეავსო სირჩები.

— აღარ მელოდი?

— არა.

— ნაწყენი ხარ, რა თქმა უნდა, ამას კითხვაც არ სჭირდება.

— შენი აზრით, არ უნდა ვიყო?

— უნდა იყო, — დაეთანხმა ელა, — მეალბათ, სახლშიც არ შემოგიშვებდი. ეს-აზეც მადლობელი ვარ, რომ წამომეყევი.

— მაინც: სად დაიკარგე?

ელამ არ უპასუხა. სასმელი ჩამოასხა და მხოლოდ ამის შემდეგ ამოიღო ხმა:

— ეგ უკვე წარსულია, ლევან, წარსული, რომლის გახსენება არ მინდა, — უმწეოდ. ბავშვურად გაუღიმა. — მე შენი ნახვა მინდოდა და აი, განახე კიდეც ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული. მე არაფერს ვთხოულობ. მით უმეტეს, არ მოვითხოვ, ოღონდ ერთი მინდა, იცოდე: ჩემი ყველა პრობლემა წარსულშია, ეს წარსული კი ჩემთვის აღარ არსებობს.

— ვერ გავიგე...

— ჰო, ეტყობა, გაუგებრად ვლაპარაკობ, მაგრამ მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია

— სულ ეგ არის?

ელამ თავი დაუქნია.

ლევანი წამოდგა, მაგიდას შემოუარა, ქალი წამოაყენა და უხუშად დაეწაფა ტუჩებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელამ თავი გაითავისუფლა.

— ვთხოვ, არ გინდა. მოდი, დავლიოთ.

—არ მინდა დალევა, — იბღვავლა ლევანმა, — არ მინდა, გესმის და ნუ მათამაშებ, მე შენი...

სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ სახეზე სილა გაჰწნეს.

უეცრად მოეშვა, ულონოდ დაჯდა, თითქმის დავარდა სკამზე, ისიც ოერძნო, როგორ აუხურდა სახე. მერე ანგარიშიუცემლად მისწვდა არყიან ბოთლს, პირდაპარ მოიყუდა და ბოლომდე დასცალა ნახევარზე დასული ბოთლი.

— მაპატიე, — სალანაკრავ ლოყაზე ნაზად მოუთათუნა ხელი ელამ. — გეტკინა? მე ხომ მოვედი, სულელო, — ლოყით ლოყაზე აეკრა, — რაღას ბობოქრობ, ნერვებს რატომ იწყვეტ? დარჩები ჩემთან?

— შენ, ვითომ, გინდა? — მცირე ყოყმანის შემდეგ ჰკითხა.

— მე ხომ თვითონ მოვედი, ამფიბია!

...ვვიან ღამით, როდესაც ელას მის მკლავზე ჩაეძინა, ლევან ლაშაურმა მთელი არსებით შეიგრძნო, რომ მისთვის ყველა ქალი დამთავრდა ამქვეყნად ამ ერთადერთის გარდა.

●

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა, — ლევანი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, სამშენებლო ფაკულტეტის მეოთხე კურსზე სწავლობდა, ელამ კი მხატვარმოდელიერად დაიწყო მუშაობა.

ელა ყველას მოეწონა, გიორგი ლაშაური და, განსაკუთრებით, მისი მეუღლე ნელი ხომ სიხარულს არ მალავდნენ, რადგან ელამ მამა-შვილს შორის არსებული გულცივი დამოკიდებულება მთლიანად თუ არ გაალღო, ნაწილობრივ მაინც გაანელა. ამ გარემოებით ლევან ბაბუაც ძალიან კმაყოფილი იყო, თუმცა ლევანი ქვეშეცნეულად გრძნობდა, რომ მოხუცს დიდად არ ეზატებოდა გულჩეკ ახლად მოვლენილი „სასძლო“, მაგრამ ეს არაფრით გამოუხატავს, პირიქით, ძალიან თბილადაც ექცეოდა ქალს; ერთი კი იყო: თბილისში დარჩენა არაფრით აღარ ისურვა, გუდა-ნაბადი აიკრა და სოფელში გადასახლდა იმ საბაბით, იქაურობასაც მოვლა-პატრონობა სჭირდებაო. მთელი შემოდგომა იქ გაატარა და მხოლოდ საახალწლოდ ჩამოკითხა შვილიშვილს პურ-ღვინით დატვირთულმა.

ელამ დეკემბრის დამდეგს თავისი ბინის გაყიდვა მოახერხა. თანხა არც ისე დიდი იყო, მაგრამ ამ ფულმა საერთოდ მოხსნა პრობლემა — გადაეტანა თუ არა ლევანს საბუთები საღამოს დასწრებულზე და მუშაობა დაეწყო, რადგან, მოთვარაუდით, ელას ხელფასი, ლევანის სტიპენდია და ეს თანხა (ბაბუას ყოველთვიური დახმარების ჩაუთვლელად) იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ლევანი მშვიდად შემლებდა ინსტიტუტის დამთავრებას და, შესაძლოა, სწავლის შემდგომ გაგრძელებასაც კი.

როგორღაც, ძალიან უბრალოდ მოხდა ისიც, რომ თავიანთი ურთიერთობის კანონიერად გაფორმება არც უცდიათ. ერთხელ კი წამოიწყო ლევანმა ამის თაობაზე ლაპარაკი, სწორედ მაშინ, როდესაც გამოირკვა, რომ ელა ფეხმძიმეა იყო, მაგრამ ქალს სასაცილოდაც არ ეყო ეს ამბავი — შე სულელო, მაგას რა მნიშვნელობა აქვსო, და ლევანმაც იფიქრა: ბავშვი რომ დიბადება, ამას თავისთავად მოევლებაო და მერე აღარც გახსენებია.

ახალ წელს ბაბუასთან ერთად შეხვდნენ.

მოხუცის საყვარელი, ქამრიანი ჭიქებით სვამდნენ მუქ და სქელ „საფერავს“ და თან ტელევიზორს უყურებდნენ. ლევანს გულით უხაროდა, რომ ადრევე ყველა მიპატიჟებაზე თქვა უარი და ახლა ისევე, როგორც ბავშვობისას, ბაბუას საახალწლო საღამოგრძელოებს ისმენდა.

ღამის ორი საათი სრულდებოდა, როცა კარზე გაბმულად დარეკეს და ცოტა ხნის შემდეგ ოთახში გვარიანად შეზარხოშებული, აღგზნებული გიორგი ლაშაური შემოიჭრა, სამივე გადაკოცნა, ჭიქა შეივსო, ახალი წლის მობრძანება დალოცა და შემდეგ კატეგორიულად განაცხადა: ჩემთან მივდივართო.

ლევანს ელასთან და ბაბუასთან ყოფნა ერჩია, მაგრამ შეატყო, რომ არც მოხუცი იყო წასვლის წინააღმდეგი, და ელის ხომ პირდაპირ სახე გაუბრწყინდა, თან იმასაც მიხვდა, ამჯერად მამასთან უარი არ გაუვიდოდა და უხალისოდ დაყაბულდა.

გიორგიმ სულის მოთქმა არ აცალაო, მანქანა მელოდებაო, და თვითონვე შეგმოიტანა პალტოები.

გიორგი ლაშაურის ბინაში, ათიოლი მისი მეგობარი შეკრებილიყო.

თამადამ — დაბალმა, ჩამრგვალებულმა, საოცრად მეტყველთვალებიანმა თეატრმცოდნემ პირველად ლევან ბაბუა აღდგრძელა და „მრავალჟამიერი“ წამოიწყო. თანამეინახენიც მშვენივრად აჰყვნენ.

მერე ელა და ლევანი აღდგრძელეს — ახალ წელს ახალი ბედნიერება, ძეობა, და, ვინ იცის, რაღა არ უსურვეს. სადღეგრძელო ისე გაიჭიმა, არ უნდა წამოვსულიყავიო, ინანა ლევანმა და როგორც კი საოქმელი ჩაათავეს, ღვინოს მიეცალა, იქნებ ამან მაინც გამომიკეთოს გუნებაო.

გიორგი ლაშაურმა კედელზე მიყუდებული გიტარა აიღო და ბაბუას მიუჯდა:

— მოდი, მამაჩემო, ერთი ძველებურად შეეუბეროთ! — მერე სტუმრებს მიუბრუნდა და თითის აწევით აუწყა: — რომ იცოდეთ, სიმღერა და გიტარა მამაჩემის მოგონილია!

— კარგი ერთი, რაღა დროს ჩემი სიმღერაა, შეიღლ! — ბაბუა აშკარად ნასიამოვნები ჩანდა და თავპატიჟს იდებდა.

— გთხოვთ, ბატონო ლევან, გთხოვთ! — ახმაურდნენ სტუმრები.

ბაბუამ გიორგის გიტარა ჩამოართვა, სიმებს ცერა თითი ჩამოუსვა და მაინ ჟღერადობით კმაყოფილმა, საქმიანად იკითხა:

— პირველს ვინ იტყვის?

— მოდი, თემო, ახლოს მოგვეჯექი, — გასძახა გიორგიმ.

თმამოშვებული ახალგაზრდა მსახიობი წამოდგა, მაგიდას შემოუარა და მამაშვილს დაადგა თავზე.

ძველებური რატმით აჟღერდა გიტარა და „ახოლოდ შენ ერთს“ წამოიწყო გიორგიმ.

ლევანს აღარც კი ახსოვდა, როდის მოისმინა უკანასკნელად ბაბუას სიმღერა. ამ სიმღერამ ბავშვობა მოაგონა და კიდევ ის, თუ რამდენს ეწვალა თავის დროზე ბაბუა, მისთვის ხმაში სიმღერა რომ ესწავლებინა და როგორ უშედეგოდ ჩაიარა ამ მცდელობამ. საოცარი იყო: მთელი ოჯახი მღეროდა, ბაბუა, დედამამა, ნათესავები... თავს რომ მოიყრიდნენ, მათ მოსმენას არაფერი სჯობდა, ლევანს კი, თითქოს მართლა დათვმა დაბაჯაო ყურზე, არაფერი გამოსდიოდა.

ახალი სიმღერა დაეკენესა გიტარამ.

— «Прошли года и вы мне изменили...» — მღეროდა იმპროვიზირებული ტრიო.

ალბათ, ეს არისო ბედნიერება, გაიფიქრა ლევანმა, ელას სკამის საზურგეზე ხელი გადადო და თვალები მინაბა — ბაბუას ხავერდოვანი ბანით შეზავებული სიმღერა ყურს ეალერსებოდა.

●

ახალი წლიდან მოყოლებული, მთელი კვირა გადაბმულად მოუწია სმა. პირველ ორ დღეს თვითონ იყენენ სტუმრად, შემდეგ კი უკვე მათთან არ გამოელია მოსვლელი.

შვიდ იანვარს — შობაააო, ბიჭები არ მოეშვნენ და სვანეთის უბანში წაიყვანეს ვიღაცის ძმაკაცის ძმაკაცთან, რომელიც საკუთარ ეზოში ღორს კლავდა თურმე.

ძლივს მოახერხა გამოპარვა, სმისგან გადაღლილს ერთი სული ჰქონდა, როდის დადებდა ბალიშზე თავს და მართლაც, ლოგინში ჩაწოლისთანავე ჩაეძინა.

...ყაყაჩოებით გადაფეთქილ მინდორზე მიდიოდნენ ის და ელა.

სისხლისფერი იყო უკიდეგანო მინდორი.

თითქოს სისხლში მიპაიჯებდნენ თვითონაც — არაფერი ხარობდა დიდი, შაე

წითელი ყაყაჩოების გარდა, არც ერთი ყვავილი.

ყაყაჩოების გვირგვინი მოწნა ელამ, თავზე ჩამოიცვა და რატომღაც, ნაღვლიანად გაუღიმა.

დიდხანს იარეს ასე, ვიდრე ღრეჩ ხევს მიადგებოდნენ უეცრად.

პატარა ბოგირი იყო გადებული ხევზე — უბრალო ფიცარი.

ხევს გაღმა ყაყაჩოები არ ჩანდა, მხოლოდ ეკალბარდიანი, დიდი, შავი ბუჩქები ირხეოდა.

ბოგირზე გადასვლა მოინდომა ელამ.

ნუ გადახვალო, შეეხვეწა ლევანი.

მე გადავალ, შენ აქ მელოდეო, — თავისი არ დაიშალა ქალმა.

არ უნდოდა მისი მარტო გაშვება, მაინც არ უთხრა უარი და მორჩილად მიადევნა მზერა, რა მოხდენილად გადიოდა ბოგირზე ელა.

ის-ის იყო თვითონაც დაეპირა ბოგირზე შედგომა, რომ...

მოეჩვენა თუ რა იყო?

ნაპირზე გადასვლისთანავე ქალმა, თითქოს უნებლიედ, ფეხი გაჰკრა ფიცარს.

ბოგირი აქანავდა და ზანტად გადაეშვა ხევში.

უმწეოდ, რაღაც არაბუნებრივად წამოიკივლა ელამ და ლევანს ენიშნა — უწვეულოდ აუელვარდა ქალს თვალები.

ხევში ჩასასველელ ბილიკს დაუწყო ძებნა ლევანმა, ბოგირის ამოტანას აპირებდა, მაგრამ ხევი ციცაბო აღმოჩნდა და ვერაფრით ვერ მოახერხა ჩასვლა.

ამაზრზენი ხარხარი მოესმა ამ დროს.

საშინელი ურჩხული წამომართულიყო გაღმა მხარეს: უზარმაზარი ხელიკის მსგავლქერცლიანი ტანი ჰქონდა, ოთხი, ბოძივით სქელი, ასევე ქერცლიანი ფეხი; გაბარაზებით ფხოჭნიდა მიწას თეთრი, ბასრი კლანჭებით, გრძელი, დაკუნული კუდი ყოველ მოქნევაზე მტვრის ბუღს აყენებდა, ძირიანად თხრიდა შაკელიან ბუჩქნარს, კისერთან კი, პირდაპირ ქაცვებიანი სხეულიდან, მამაკაცის ახოვანი მხრები ამოზიდულიყო, ორ ძლიერ, დაკუნულ ხელს მაგრად მიეკრა სქელი ჯაგრით დაფარულ მკერდზე ელა, ბოროტი სახე კი ლევანს შემოსცქეროდა გამყინავი თვალებით და საზარლად ხარხარებდა.

— ელაა! — იბღავლა ლევანმა.

ელამ უფრო ღრმად ჩარგო სახე ჯაგრით დაფარულ მკერდში, კისერზე მკლავები შემოაჭდო ურჩხულს და გაინაპა, მაგრამ მანამდე მარჯვენა ხელით თავიდან გადაიძრო ყაყაჩოების გვირგვინი და უკან მოუხედვად, ხელუკუღმა მოისროლა ხევში.

ურჩხულმა კიდევ უფრო საზარლად გადაიხარხარა და წასასველელად შებრუნდა, უკანასკნელ წამს კი მძლავრად მოიქნია ოთხკუთხა, დახორკლილი კუდი.

კუდის ბოლო ლევანს მარწუხივით შემოეჭდო წელზე და ხევში გადაუძახა...

აშმორებულ ჭაობში ჩავარდა ლევანი, მაგრამ გონი არ დაუკარგავს და ფორთხვით გავიდა ნაპირზე.

წამოსადგომად წამოიჩოქა და მუხლში მწარედ შეესო რაღაც.

დახედა — ელას ვვირგვინი იყო, ოღონდ შავ-წითელი ფურცლები აღარ შერჩენოდა არც ერთ ყაყაჩოს, მათ ადგილას კი უზად ამოსულიყო სისხლისფერი თეთრსისხლით გაჟღენთილი, შავწეერწამახული ეკლები.

გადასაგდებად მაინც ვერ გაიმეტა და უნებურად თავზე დაიდგა.

სიმწრისაგან იღმუვლა — მაგრად შეესო ეკლები.

ტკივილი უფრო ადვილად დამაძლევინებსო ციცაბო კალთას, და ჯიუტად შეუფაჯა აღმართს.

სისხლისგან იწრიტებოდა თითები, სისხლიან კვალს ტოვებდა ბასრ ქიმებზე მისი სხეული...

ბოლოს, როგორც იქნა, ააღწია ხრამის კიდეს და ქანცგაწყვეტილი წამოდგა.

აღარც ელა ჩანდა სადმე და აღარც ურჩხული.

მათი კვალიც კი გამქრალიყო: ურჩხულის მიერ მოთელილი ეკლიანი ბუჩქების ნაცვლად უამრავი სხვა ამოსულიყო და ურღვევ კედლად აღმართულიყო მის წინაშე — ბილიკიც კი არსად ილანდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუბლზე ხელი მოისვა ლევანმა და სწრაფადვე უკან გასწია ელდანაკრავი-ვით — შაწყვერა ეკალი მწარედ შეესო თითში.

გამწარებულმა, ეკლიანი გვირგვინის გადაძრობა სცადა, მაგრამ თითქოს ფესვები გაიდგა გვირგვინმა — ვერაფრი-ვერ მოიგლეჯა.

და ამ დროს ნელ-ნელა დაიძრა მისკენ ეკლის კედელი, უმოწყალოდ და შემზარავად.

გამწარებით იბღავლა ლევან ლაშაურმა და შიშველი, დასისხლიანებული ხელებით თვითონაც ეკლის კედლისკენ გაემართა...

...ცივ ოფლში ცურავდა.

საწოლთან მიდგმული „ბორჯომის“ ბოთლი მოიძია და სულმოუთქმელად დაცალა.

მერე საწოლზე წამოჯდა გაბრუებული და სიგარეტს მოუკიდა — ფანჯრიდან შემოჭრილი შუქ-ჩრდილები ისევ სიზმარში აბრუებდნენ.

ელას მშვიდი სუნთქვა ჩაესმა უეცრად და ცოტათი დაწყნარდა.

ძილზე ფიქრიც ზედმეტი იყო, წამოდგა, სამზარეულოში გავიდა და სინათლე ჩართო.

ზედიზედ ეწეოდა სიგარეტს, მაინც ვერ დაიოკა ნერვები.

ვერც კი გაიგო, როგორ შემოვიდა პერანგისამარა ელა.

— რა მოხდა?

— არაფერი.

— რაღა არაფერი, როცა კაცის ფერი არ გადევს! ცუდად ხომ არა ხარ?

— ცუდად კი არა..

— აბა, რა მოგვიდა?

— სიზმარი ვნახე.

— სიზმარი? მომიყევი, რა! — ელამ მის პირდაპირ, სკამზე მოიკალათა. — საშინლად მიყვარს სიზმრების მოსმენა.

— მოიცა რა, სისულელე იყო...

მაინც მოუყვა და ამ მოყოლაში საბოლოოდ დამშვიდდა.

სამაგიეროდ ახლა ელა გაფითრდა.

— ასეც ვიცოდი!

— რა იცოდი?

— ის, რომ არ შეიძლებოდა ყველაფერი ასე დიდხანს, ასე კარგად ყოფილ-ყო. აი, ნახავ, რაღაც ცუდი თუ არ მოხდება!..

— არ უნდა მომეყოლა, — დანანებით თქვა ლევანმა. — რამ შეგაშინა, სულელო, ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ სიზმარია, ბრიყვული სიზმარი!

— ჰო, რა თქმა უნდა, — ძალისძალად გაიღიმა ელამ და სახეზე ხელი მოუთათუნა, — საწყალი ბიჭი, ჯერ ისევ ეტყობა შუბლზე ნაეკლარები!

ლევანმა გაიცინა და შუქი ჩააქრო. თენდებოდა.

●

ბაკურიანში გატარებული დღეები თითრ ზღაპარს ჰგავდა — ხან განუწყვეტლივ ბარდნდა, ხანაც მზე ისე აცხუნებდა, რომ თხელი, ნაქსოვი პერანგების ამარა დასრიალებდნენ თხილამურებით.

...იმ დილას ხვავრიელად თოვდა.

კოხტაგორიდან ეშვებოდნენ — წინ ელა მიჰქროდა, უკან, ოციოდე მეტრის დაშორებით, ლევანი...

ელა რომ დაბალ ფიჭვებს მიეფარა, ლევანმა გადაწყვეტა დასწეოდა, რამდენჯერმე მძლავრად დაჰკრა ჯოხები თოვლს და მოსახვევში საკმაოდ დიდი სიჯრაფით შეავარდნილმა ისღა მოახერხა, რომ ზედ არ შესცდომოდა წაქცეულ ქალს — მარცხნივ გადავარდნა მოასწრო. წაქცევისას ფეხი იტკინა, მერე, უხერხულად მწოლიარემ, რის ვაი-ვაგლახით შეიხსნა თხილამურები და თოვლში ამოგანცლული, კოჭლობით გაეშურა ქალისკენ.

ელა თოვლზე იჯდა და იცინოდა — ორმო ვერ შევნიშნეო, თან ირწმუნებოდა, არაფერი მტკენიაო, მაგრამ იმავე საღამოს ისე ცუდად შეიქნა, რომ საავადმყოფოში წაიყვანეს.

მოსაცდელში გაჭიმული დრო იმით დასრულდა, რომ ხანგაზმულმა ექიმმა გამამხნევებლად მოუთათუნა ლევანს მხარზე ხელი, თქვენს მეუღლეს ორიოდე დღეში გამოვწერთ, საშიში არაფერიაო და დაამატა: ეჰ, რა ხართ ეს ახალგაზრ-

ღები, სად ფეხმძიმე ქალი და სად თბილამურებიო, გულს ნუ გაიტეხთ, შვილები, კიდევ ბევრი გეყოლებათო, და გაშორდა.

ელა მართლაც ორ დღეში გამოწერეს და იმავე ღამეს თბილისს გამოემგზავრნენ...

ამის შემდეგ ელა უეცრად შეიცვალა, უჩვეულოდ სიტყვაძვირი გახდა, უმეტესად ტელევიზორს მისჩერებოდა, მაგრამ ლევანი არც იმაში იყო დარწმუნებული, გაეგებოდა თუ არა ქალს გადაცემების შინაარსი. ლევანს სჯერდა, რომ ელა ამ მდგომარეობიდან მალე გამოვიდოდა, მაგრამ მთელი თვე მიიწურა, ქალი კი სულ უფრო გულჩახრობილი ხდებოდა.

ერთ დღეს ლექციებიდან დაბრუნებულმა ლევანმა საფოსტო ყუთიდან, გაზეთებთან ერთად, კონვერტი ამოიღო, რომელზეც ვიღაცას ნაბეჭდი ასოებით გამოეყვანა ორი სიტყვა — **ELA CIRI-KIDZE**. არც ლევანის ან გამომგზავნის მისამართი ეწერა ზედ და არც საფოსტო შტამპელი ემჩნეოდა.

ელა, ჩვეულებისამებრ, ტელევიზორს უყურებდა და ლევანმა დივანზე დაუდო კონვერტი. ქალს სახეზე არაფერი გამოხატვია, იღონდ მთელი ტანით დაიძაბა და ხელის ნერვული კანკალით გახსნა წერილი.

კონვერტი ცარიელი იყო.

— რას ნიშნავს ეს?

ელამ მხრები აიჩეჩა, წამოდგა და სამზარეულოში გავიდა.

ლევანმა ერთხანს ტელევიზორს უყურა, მერე თვითონაც სამზარეულოს მიაშურა და ჭიქა შეუშვირა ცივი წყლის ჭავლს.

ელა მაგიდას მისჯდომოდა და ხაჯს ჭრიდა. სახეზე რაღაც უცნო, გაქვავებული გამომეტყველება აღბეჭდვოდა და ერთ წერტილს მისჩერებოდა, ხელები კი ბრმად განაგრძობდა ხახვის ჭრას.

უცებ ქალმა დანით გადაისერა მარცხენა ხელის სალოკი და ცერა თითები, — სისხლით შეღება ხის დაფა და დაჭრილი ხახვი, იმან კი თითქოს ვერც იგრძნო, ისევე ანგარიშმიუცემლად განაგრძო ჭრა.

— ელა! — იყვირა ლევანმა. — რა მოგდის, ელა?!

ქალი გამოერკვა, დაბნეულმა ჯერ ლევანს შეხედა, მერე გაფსერილ თითებზე გადაიტანა მზერა და გულგრილად თქვა:

— უი, გამიჭრია, — გაჭრილ მარცხენას მარჯვენა ხელი შეუშვირა ქვემოდან, იატაკი არ დავსვაროო, და საababანოში გავიდა. რამდენიმე მუქი წვეთი მაინც კვალად გაჰყვა უკან.

ლევანმა იოდს და ბინტს დაუწყო ძებნა, მაგრამ რომ ვერ იპოვა, ორი ღერი სიგარეტი გახია, თამბაქო დაფშვნა და ელასთან მივიდა. ქალს ხელი დაბანა, მაგრამ სისხლი ისევ მოსდიოდა და ababანის კედლებზე ალისფერ ზოლებს ტოვებდა. ლევანმა თითებზე, სქლად დაყარა თამბაქო და ჭრილობა სუფთა ცხვირსახოცით შეუხვია.

— წავალ, აფთიაქიდან იოდსა და ბინტს მოვიტან.

ელამ უხმოდ დაუქნია თავი.

შინ მობრუნებულს ოთახიდან რაღაც მოთქმის მაგვარი ბუტბუტი მოესმა და ყური მიუგდო...

მხოლოდ ერთი სიტყვა გაარჩია — „იწყვეტა“, ყურმიგდებით დგომაც ეუხერხულა და ხმაურით მიხურა შემოსასვლელი კარი.

ბუტბუტი შეწყდა.

ლევანმა ელას ცხვირსახოცი შეხსნა. სისხლი აღარ დიოდა, მაგრამ მაინც წასცხო იოდი და ბინტით ხელახლა გადაუხვია. მერე გასისხლიანებული ცხვირსახოცი ababანოში შეიტანა, დაჭრილ ხახვს სანაგვე ვედროში ჩაუბარა და იატაკზე ჩვრით სისხლის წვეთები მოწმენდა.

ოთახში შესულმა დაინახა, რომ ელას დივანზე ჩასძინებოდა — მშვიდი ღიმილი აღბეჭდვოდა სახეზე. თხელი საბანი გადაეფარა, თაროდან წიგნი ჩამოიღო და საწოლ ოთახში გავიდა.

კითხვას ელი ვერ დაუდო — ელაზე ფიქრობდა. „ბავშვი ეყოლება და გაუკლის“, — იპოვა აზრმა გამოსავალი და

ამან ლევანი უცებ დაამშვიდა. ისევ წიგნს მიუბრუნდა და მხოლოდ გამთენიის ხანს გაახსენდა, რომ დილით ლექციებზე იყო წასასვლელი.

...სტიპენდიის დღე, ტრადიციისამებრ, სახინკლეში სრულდებოდა ხოლმე. იქ დღესაც ამოჩეებულ კუთხის მაგიდასთან დაიკავეს ადგილი. მერე სიტყვას სიტყვა მოჰყვა, საღღეგრძელოს სადღეგრძელო, ბოლოს არაყიც გაწყალდა და შინ რომ დაბრუნდა, უკვე ნახევრად მძინარეს გაიხადა ტანსაცმელი.

— ლევან, ლევან! — ჩაესმა ძილში და გამოეღვიძა.

შემოსასვლელიდან შემოჭრილი შუქი სახეზე ეცემოდა და უსიამოვნოდ ჭრიდა თვალს.

— ლევან, გაიღვიძე, ლევან! — ელას ხმა იყო.

საათს დახედა — სამი სრულდებოდა

წამოდგა და მეორე ოთახში გალასლასდა.

ელა ჩაცმული იწვა დივანზე და ტკივილისაგან იკრუნჩხებოდა.

— რა მოხდა?

— ცუდადა ვარ, — ამოიკვნესა ქალმა და მუცელზე მიიჭირა ორივე ხელი. — საშინლად მტკივა!

— ახლავე მეზობელს დავუძახებ, — ლევანმა ფაციფუცით დაიწყო ჩაცმა.

— არ გინდა, სასწრაფოს გამოუძახე.

— რატომ ადრე არ გამაღვიძე?

ქალმა არ უპასუხა, სიმწრით მოაკვნიტა ტუნი.

ცივმა ოფლმა დაასხა ლევანს, აღარ იცოდა, რა ექნა. ბედად, რამდენიმე წუთში კარზე დარეკეს და იქით გავარდა.

კართან თეთრხალათიანი ახოვანაკაცი იდგა.

ლევანს მისი სახე ეცნაურა; ნეტავ, სად მინახავსო, ერთი კი გაუელვა, მაგრამ ახლა ამის არც დრო ჰქონდა და არც თავი.

— ლაშაურის ბინაა? თქვენ გამოგვიძახეთ?

— მობრძანდით, მობრძანდით!..

ექიმი ოთახში შევიდა, შავი ტყავის ხელჩანთა მაგიდაზე დადო, ავადმყოფს მიუჯდა და რამდენიმე პროფესიული შეკითხვა მისცა. მერე ჩანთიდან შპრიცი ამოიღო და ლევანს წყლის გაცხელება დაავალა.

ლევანი სამზარეულოსკენ გავარდა, სიჩქარეში მაგიდაზე მდგარ ბროლის ლარნაკს წამოედო და ნამსხვრევებად აქცია. დანებულმა უკან რომ მოიხედა, მოეჩვენა, რომ ექიმს კმაყოფილმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, თითქოს ლარნაკის გატეხა ესიამოვნაო.

ექიმმა ელას ნემსი გაუკეთა და მკლავზე საობური დაადო.

ელამ სულ დაკარგა ფერი და გულწასული, უცებ ბალიშზე მიესვენა.

— საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთ, — გადაჭრით თქვა ექიმმა. — არ მომწონს ეს ტკივილები... შესაძლოა, ოპერაცია დგებოდეს!

— იქნებ...

— არავითარი იქნებ! დროს ნუ კარგავთ! სამწუხაროდ, ჩვენი მანქანა გაფუჭდა და კოლეგის საკუთარი მანქანით მომიხდა მოსვლა. ამიტომ საკაცე არ გვაქვს და ხელში მოგვიწევს ავადმყოფის აყვანა.

ელა შალის გადასაფარებელში გაახვიეს, ლევანმა ხელში აიყვანა და ექიმს მიჰყვა, რომელმაც ბინიდან გასვლამდე, რატომღაც, ხალათი გაიხადა, ხელჩანთაში ჩატენა და ისე სწრაფად დაწინაურდა, რომ ვიდრე ლევანი სადარბაზოდან გავიდოდა, ის უკვე გზის პირას, დიდი ჭადრის ძირას მდგარ მანქანაში იჯდა და იქიდან უქნევდა ხელს.

— ავადმყოფი აქ მომაწოდეთ, თქვენ კი წინ დაჯექით, — თქვა ექიმმა და მაშინვე მაჯაზე სწვდა გულწასულს.

მძღოლმა, რომელსაც ამ შუალამიანი, რატომღაც, დიდი მუქი სათვალე ეკეთა, მანქანა დაძრა. ელას უმწეოდ გადაუვარდა თავი საზურგეზე.

— თუ იცოდით, რომ თქვენს მეულლეს მუცლის არეში ტკივილები აწუხებდა? — ადრე ჰქონია ამგვარი შეტევა?

— არა... თუმცა.. — და ლევანმა მოკლედ უამბო, რაც ბაკურიანში მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანქანა უკვე ეკაკ-საბურთალოს გზაზე მიჰქროდა.

— საით მივდივართ?

— ონკოლოგიურში.

— თქვენ ფიქრობთ, რომ...

— წინასწარ ვერაფერს გეტყვით, გამოკვლევაა საჭირო. შესაძლოა, არც არაფერი იყოს, მაგრამ ზოგიერთი სიმპტომი მაფიქრებს...

ექიმი დადუმდა, მერე ლევანს შეხედა, ჩანთა გაახსნა და რაღაც ფლაკონი ამოიღო:

— დალიეთ, ცუდი ფერი გაქვთ.

— არ მინდა.

— თქვენი გულის წასვლაღა მაკლია! დალიეთ, მხოლოდ ერთი ყლუპი, მეტი არა.

ლევანი უხალისოდ დაემორჩილა და მალე იგრძნო, რა თანდათანობით გაქრა დაძაბულობა მისი სხეულიდან, ცოტა ხანში უჩვეულოდ მოდუნდა და საშინლად მოუნდა ძილი. ერთიორჯერ თვალებიც მოიფშვნიტა, სცადა გამოფხიზლებულიყო, მაგრამ ნელ-ნელა მაინც ჩაიძირა ბურანში. ვიდრე ღრმა ძილს დანებებოდა, ექიმისა და მძღოლის ხმები მოესმა, მაგრამ ცალკეული სიტყვებიდან აზრი ვერ გამოიტანა და საბოლოოდ მისცა ძილს თავი.

...წყალი შხუოდა, სულ უფრო გარკვევით ესმოდა ეს ხმა.

მთელი სხეულით კანკალებდა, თვალის გახელა უჭირდა. თავს ძალა დაატანა და დამძიმებული ქუთუთოები თითქმის ძალით აგლეჯა ერთმანეთს.

მბრეჯისფერი შეპარვოდა ცას, მკრთალად ციმციმებდა ვარსკვლავები.

მიხვდა: მიწაზე იწვა, მიწაზე კი არა, რიყეზე. წამოიწია და მიიხედ-მოიხედა — მისგან ორიოდე ნაბიჯზე გაშმაგებით მიაქანებდა მღვრიე ტალღებს გაბაფხულით გაგიჟებული მდინარე, სხვა ხმა არ ისმოდა მდინარისპირა მეჩხერ ჭალაში.

წამოდგომა გაუჭირდა, სისუსტეს გრძნობდა მუხლებში, ციებიანივით კანკალებდა. მდინარეში შეტოპა და სახეზე პეშვით წყალი შეისხა რამდენჯერმე — მაინც ვერ მოეგო გონს.

მთავარულიანი იბოდიალა ჭალაში, ბოლოს, როგორც იქნა, გზატკეცილზე გავიდა და ქვაზე ჩამოჯდა — არ იცოდა, საით წასულიყო. იჯდა და კბილს კბილზე აცემინებდა. ისევ სიარული ამჯობინა და იქით დაადგა გზას, საითაც შორეული სინათლის შუქი დალანდა თითქოს.

უფრო ინათა და ჩრდილებმაც უკან დაიხია გზისპირა ჭალაში.

სიარული უჭირდა, ძალიან ნელა მიიწევდა წინ. ცოტა ხნის შემდეგ სატვირთო მანქანის კონტურები გაარჩია ბინდბუნდში და მიხვდა, რომ ის შორეული შუქი, წელან რომ დაინახა, ამ მანქანიდან მოდიოდა. მიუახლოვდა და მძღოლიც შენიშნა, რომელსაც კაპოტი აეხადა და რაღაცას ჩაჰკირკიტებდა.

— თბილისში ვერ წამიყვანთ?

მძღოლმა დიდხანს ათვალიერა დაკვირვებით, მერე, როგორც იქნა, დაუქნია, ამოდერღა და მაშინვე დახურა კაპოტი, თითქოს ლევანის მოსვლას ელოდებოდა.

— მაგრა იქეიფე? — მანქანა დაძრა თუ არა, ჰკითხა მძღოლმა.

— ჰო, — ლევანს ახსნა-განმარტებების არც თავი ჰქონდა, არც სურვილი.

— მერე ძმაკაცებს დაეთესე, არა?

— რა ძმაკაცებს?

— აბა, მარტო ქეიფობდი აქ?!

— სადა ვართ?

— ეაჰ, კარგად შეგიბერია, აი! სადა ვართ და, ფონიჭალაში.

— აქ საიდან მოვხვდი?!

— ნიჩევო, ხდება ხოლმე, — დაამშვიდა მძღოლმა. — აი, მე ერთი ძმაკაცი მყავს, რო დათვრება, მერე ხან მოსკოვში გამოფხიზლდება ხოლმე, ხან ხარკოვში, ხან კიდევ, ვინ იცის, სად. ერთხელ...

მძღოლი დიდხანს ყვებოდა რაღაცას, მაგრამ ლევანს მისი სიტყვები აღარ ესმოდა: ერთმანეთში აერია გუშინდელი და დღევანდელი, ცალკეულ სურათებად ჩნდებოდა მის გონებაში სხვადასხვა ეპ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იზოდები, რომლებიც ვერაფრით ვერ დაუკავშირა ერთმანეთს, აზრი ვერ გამოიტანა.

მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როდესაც მანქანა მის სახლთან შეჩერდა. ისიც აღარ ახსოვდა, როდის უთხრა მძღოლს მისამართი, მაგრამ ამაზე არც დაფიქრებულა, ფულს დაუწყო ძებნა ჯიბეებში და რომ ვერ იპოვა, დამნაშავესავით გაუღიმა:

— დამიკარგავს... ახლავე გამოვიტან...

— არაფერი არ გინდა. არა უშავს, ერთხელ იქნება მეც შეგხვედე მთვრალი — შინ მიმიყვან და ბარიბარს ვიქნებით.

ლევანმა მადლობა გადაუხადა და მანქანიდან გადმოვიდა.

ეზოში შესვლა ვერც მოასწრო, ზურგს უკან საყვირის გაბმული ხმა მოესმა. შეჩერდა და მძღოლს მოხედა. მძღოლმა კიდევ ერთხელ დააჭირა საყვირს ხელი და მანქანა ადგილს მოსწყვეტა.

სახლის ფანჯრებში უგარაჟო მანქანის დაფეთებული მფლობელები გადმოეყუნენ.

ნეტა, რა მოელანდა ამ კაცსო, — ესაა გაიფიქრა ლევანმა და სადარბაზოსკენ გასწია.

არაფრის თავი არ ჰქონდა, სველი, ჭუჭყიანი ტანსაცმელი შემოსასვლელშივე გაიხადა და იატაკზე მიყარა, მერე წამლები მოძებნა და ლოგინს მიაშურა.

დროდადრო ეღვიძებოდა, გრძნობდა, რომ დიდი სიცხე ჰქონდა, წამლის გადაყლაპვაც უჭირდა — ძალისძალად სვამდა და ისევ კოშმარულ ძილ-ბურანში იძირებოდა.

ეტყობა, წამლებმა იმძლავრა და საბოლოოდ რომ გამოერკვა, თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა, სიზმარივით ახსოვდა წუხანდელი თავგადასავალი და ვიდრე ლოგინში ნებივრობდა, დარწმუნდა თუ თავი დაირწმუნა, რომ ყველაფერი არყოფილა და ლუდით გალეშილს დაესიზმრა. ამ აზრით გულმოცემული სწრაფად წამოდგა საწოლიდან. მართალია, სისუსტე იგრძნო, მაგრამ ისიც წინადღით დალეული სასმელს, დაბრალა და ფეხშიშველა გაემართა შხაპის გადასვლებად, ოთახიდან გავიდა თუ არა, რაღაც შეესო ფეხში. ასკინკილა დაბრუნდა საწოლთან, ჩამოჯდა და გამოიძრო, — შუშის ნამსხვრევი შერჩა ხელში. ეს უკვე სიზმარი აღარ იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ უნდოდა დაჯერება — ხომ შეიძლება ლარნაკი მთვრალმა გაეტეხე და მერე სხვანაირად ვნახე სიზმარშიო, გაიფიქრა და მაჯის საათს დასწედა. საათი გაჩერებულიყო, მაგრამ მისი პატარა კალენდარი იუწყებოდა, რომ საათს შაბათი დღის — 11 რიცხვის 5 საათამდე ემუშავა, ესე იგი, პარასკევს შემდეგ, ერთი დღე მაინც გასულა. ახლა შემოსასვლელს მიაშურა — ტალახში ამოგანგლული ტანსაცმელი იატაკზე ეყარა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ყველაფერი ის, რაც მას, ლევანს, კოშმარულ სიზმრად მიაჩნდა, ან სინამდვილეში მოხდა, ან კიდევ...

ან კიდევ ლევან ლაშაური შეიშალა!

აკანკალებული ხელით ჩართო ტრანზისტორი — საკუთარი გულის ბაგაბუგი ესმოდა. რადიომიმღები მცირე ხანს დუმდა, შემდეგ კი დიქტორის ხმა გაისმა: „ამით ვამთავრებთ კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილ კონცერტს, ახლა თბილისის დროით ჩვიდმეტი საათი და ოცდაათი წუთია...“

ლევან ლაშაური მოწყვეტილივით დაეშვა საწოლზე.

„კოსმონავტიკის დღე — თორმეტი აპრილი!“ — წაიმეორა-უკუღმა დაუტრიალდა ეს სიტყვები თავში.

კოშმარი, ოღონდ ცხადი და არა სიზმარეული, გრძელდებოდა, მაგრამ იმ წუთს ლევანს აზრადაც არ მოსვლია და არც შეიძლებოდა მოსვლოდა, რომ ეს საშინელება გრძელზე-გრძელი, მრავალწლიანი კოშმარის მხოლოდ და მხოლოდ ერთი პატარა უვერტიურა იყო.

●

რკინის კარი ხმაურით გაიღო და მორიგე მილიციელმა ყოველგვარ ემოციებს მოკლებული ხმით გამოაცხადა:

— ლაშაური, დაკითხვაზე!..

— მადლობა ღმერთს, — აღმოხდა ლე-

ვანს, — ვიღაცას გავახსენდი, იქნება ახლა მაინც მითხრან, რა უნდათ ჩემგან.

...ლევანის აღელვებულ, გულისწყრომით აღსავსე და, ცოტა არ იყოს, არეულ მონოლოგს გამომძიებელმა ირონიული ღიმილით მოუსმინა და მერე ღიმილითვე ჰკითხა:

— როგორ გგონიათ, მოქალაქე ლაშაური, ჩვენ საქმე გამოგველია და უდანაშაულო ხალხს ვიჭერთ?

— მე არ მაინტერესებს, ვის იჭერთ და რატომ! — ისევ აფეთქდა ლევანი. — მე მოვითხოვ, ახლავე გაარკვიოთ ეს აბსურდული გაუგებრობა და დაუყოვნებლივ გამიშვათ აქედან!

— საქმე არც ისე უბრალოდაა, როგორც თქვენ გგონიათ! — ღიმილი ჩამოიცალა სახიდან გამომძიებელმა.

— რა საქმე?

— მოქალაქე ლაშაურო, თქვენ ბრალი გედებათ თქვენი საყვარლის, ელა მიხეილის ასული ცირკიძის მკვლელობაში.

— სისულელეა!

— ჰმ, ჩვენ მოწმეები გვყავს.

— რისი მოწმეები?

— მკვლელობის!

ლევანს მოულოდნელობისაგან ხმა ჩაეხრინწა და მხოლოდ ერთი სიტყვა ამოიხავლა:

— შეუძლებელია...

— არ მოელოდით, არა? ასეა, არც ერთი ბოროტმოქმედება არ იმალება უკვალოდ, — დამრიგებლური კილოთი განაგრძო გამომძიებელმა. — მაშასადამე, საქმე ისაა, ერთი დამნაშავე პირდაპირ სამხილებს ტოვებს, მეორე კი ნიღბავს, დანაშაულს, რომ... მაგრამ ბოლო ყველას ერთი აქვს. თქვენს შემთხვევაში, კი, მაშასადამე, თქვენს მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებაში, პირდაპირიც და არაპირდაპირიც იმდენია...

— რა შემთხვევა, რა ბოროტმოქმედება?! გამაგებინეთ მაინც, რა ხდება?

— უნდა გავაფრთხილოთ, რომ დანაშაულის გულწრფელი აღიარება საჯელს ამსუბუქებს. ეს კარგად დაიმახსოვრეთ! ჯეუტობით და ფაქტების უარყოფით მხოლოდ მდგომარეობას გაიუარესებთ. მე პირადად დრო ბევრი მაქვს და არც მოთმინება მაკლია. მაშასადამე, დავიწყოთ?

— რა დავიწყოთ?

— ნუ გამოისულელებ, ბიჭო, თავს! — უცებ გაცხარდა გამომძიებელი. — ვითომ არ გესმის, რას გელაპარაკები! მიპასუხებ თუ არა შეკითხვებზე?

— შემეკითხეთ, — მხრები აიჩეჩა ლევანმა.

— კარგი. ხომ ვერ გაიხსენებ, რა მოხდა ამა წლის ათ აპრილს, გამთენიისას, ამ ათიოდე დღის წინ, მაშასადამე.

— ყველაფერი?

— დაგვდეთ პატივი...

ლევანმა თანამდევრობით გაიხსენა ყველაფერი, რაც იმ უცნაურ და, როგორც შემდგომში გამოირკვა, მისთვის საბედისწერო დღეს მოხდა. არაფერი დუმალავს, თვით ისეთი უმნიშვნელო დეტალებიც კი გაიხსენა, ადრე არასგზით რომ არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ ახლა მისი გონება გამომთვლელი მანქანის სიზუსტითა და ოპერატიულობით მოქმედებდა, მიუხედავად ასეთი დაძაბული სიტუაციისა ან, იქნებ, სწორედ ამის გამოც.

— დაამთავრეთ? — მთელი ამ ხნის კვნავლობაში გამომძიებელმა პირველად ამოიღო ხმა.

— კი, სულ ეს იყო.

— მაშასადამ, თქვენ არ უარყოფ..., რომ ათ აპრილს, დილის სამ საათზე, ბინიდან ხელში აყვანილი გაიყვანეთ თქვენი საყვარელი, მაშასადამე, ელა მიხეილის ასული ცირკიძე და დაახლოებით დილის რვა საათისათვის მარტო დაბრუნდით უკან.

— ხომ აგიხსენით, რაც მოხდა, — ლევანს უკვე ნერვებს უშლიდა ეს გაუთავებელი „მაშასადამე", რადგან წამდაუწუმ ნახმარი შორისდებული სხვა სიტყვებს ლაქასავით ფარავდა აზრის მოკრებაში უშლიდა ხელს.

— მდაა, მოწმეც ამას ამტკიცებს, მაშასადამე, ჩვენებენ ერთმანეთს ემთხვევა, — გამომძიებელი აშკარად კმაყ-

ფილი ჩანდა. სად წაიყვანეთ დაზარალებული?

— რომელი დაზარალებული?

— ელა ცირკაძე.

— რატომაა ელა დაზარალებული? დაზარალებული მე ვარ, მგონია.

— ეგ შენ გგონია ასე, ლაშაურო, ჩვენ კი სხვა სიგნალი გვაქვს.

— რა სიგნალი?

— აქ შეკითხვებს მე ვიძლევი! მაშასადამე, მოწმე გურასაშვილი ამტკიცებს, რომ ელა ცირკაძეს, რომელიც ხელში ავეკინალი მიგყავდათ, თავი უსიცოცხლოდ ჰქონდა უკან გადაგდებული. რას იტყვი?

— რომელი გურასაშვილი? თუმცა რადა რომელი, ის მოხუცი ქალი იქნება, ქსენია, დღე და ღამე ფანჯარაში რომა აქვს თავი გამოყოფილი.

— შეკითხვაზე მიპასუხე!

— მართალია, გულწასული იყო, ეგ მგონია, წელან ეგეც მოგახსენეთ.

— გამეორება ცოდნის დედაააო, ხომ გაგიგია. საკვირველი ისაა, მაშასადამე, რომ ეგ გულწასული ქალი მას მერე არავის უნახავს, თქვენს ბინაში კი, სანაგვე ყუთში აღმოჩნდა სისხლით მოსვრილი დაჭრილი ხახვი, საამბანოში — გასისხლიანებული ცხვირსახოცი; სისხლის მცირე ლაქები ემჩნევა იატაკსაც და იატაკის საწმენდ ტილოსაც. ამაზე რას გვეტყვი? ოღონდ არ დამიწყო ახლა, ცხვირიდან სისხლი წამსკდაო, გესმის?

— კარგი, მაგასაც აგიხსნით, ოღონდ ეგ იმ დღეს არ მომზდარა, — და ლევანი მოუყვა, როგორ გაიჭრა ხელი ელამ, იმ უცნაური წერილის მიღების შემდეგ.

— ხელი გაიჭრა, არა? — გამომძიებელი არც ცდილა ირონიის დაფარვას. — ცხვირიდან სისხლის წასკდომისა არ იყოს, ეგეც კლასიკური პასუხია. კეთილი და პატიოსანი! მაშინ კონვერტი რა ქნა ანქა, ბინაში არავითარი კონვერტი არ გვინახავს.

„ამ კაცს ჩემი არც ერთი სიტყვა არ სჯერა, — გაიფიქრა ლევანმა. — და არც უნდა, რომ დაიჯეროს“.

— არ ვიცი.

— რა თქმა უნდა, არ იცი, ან საიდან უნდა იცოდე, მაშასადამე, როდესაც ასეთი კონვერტი საერთოდ არ არსებულა.. ახლა კი ერთ რამეს განვენებ, რომელიც უფრო მეტად დაგაინტერესებს, ვიდრე ის გამოგონილი წერილი, მაშასადამე, — გამომძიებელმა უჯრა გამოაღო და მაგიდაზე ოქროსძოწკვანი, გულის ფორმის, ოქროს medaliونი დადო. — ხომ არ გეცნობა ეს ნივთი?

— პირველად ვხედავ, — უყოყმანოდ უპასუხა ლევანმა. — რატომ მეკითხებით?

— ახლავე აგიხსნი: ეს სამკაული ერთი თვის წინ, ღამის თორმეტ საათზე, მოქალაქე გაგლოევას ჩამოგლეჯეს ყელიდან. დაზარალებულმა მძარცველის სახე ვერ დაიმახსოვრა, რადგან ქუნაში ბნელოდა... თუმცა რას გიყვები, შენ უკეთ არ იცი, როგორც იყო?

— მე რა შუაში ვარ?!

— იმ შუაში ხარ, ბიჭი, რომ ეს medaliونი შენს ბინაში ვიპოვეთ ჩხრეკის დროს, — ფაიფურის საუქრეში.

დარტყმა მოულოდნელი იყო, ლევანი საოცრად დაიბნა, ერთხანს ხმა ვერ ამოიღო, მაგრამ ბოლოს მაინც მოისაზრა:

— მითხარით, თითების ანაბეჭდები თუ ეტყობა medaliونს?

გამომძიებელმა არ უპასუხა.

— ჩემი ანაბეჭდები თუ არის ზედ? — არ მოეშვა ლევანი, რადგან ჰატარა ინდი აუჭიატდა.

— შევამოწმებთ.... — გამომძიებელი წამით ჩაფიქრდა და მაშინვე გადაუწურა იმედიც. — თუმცა ეგეც არაფერს ამტკიცებს, რადგან ანაბეჭდების წაშლა ყოველთვის შეიძლება. მთავარი ის არის, მაშასადამე, რომ ნაძარცვი ნივთი შენს ბინაში აღმოჩნდა.

— თქვენ ჩემი არ გჯერათ!

— რატომ უნდა მჯერდეს? მე ფაქტების მჯერა, ლაშაურო, იმ ფაქტების, რომლებიც მძარცველსა და მკვლელს ამხელენ!

გაცოფებული ლევანი ფეხზე წამოიჭრა.

— დაჯექი! — იღრიალა გამომძიებელ-

მა და მაგიდას ძლიერად დაჰკრა გაშლილი ხელი.

ხმაურზე მებადრაგე მილიციელმა შემოაღო კარი.

ლევანნ ძმამედ დაეშვა სკამზე და თავი ხელებში ჩარგო.

მილიციელმა კარი გაიხურა.

— მაშ, მოდი, თავიდან დავიწყოთ.

— როგორ?

— თავიდან გავიხსენოთ, რაც იმ დღეს მოხდა, ოღონდ მაიმუნობის გარეშე, გაიგე?

— ხმასაც აღარ ამოვიღებ, მე უკვე ყველაფერი გითხარით.

— კეთილი და პატიოსანი. მაშინ მე მოგიყვები, რაც მოხდა: უკვე შემიძლია დავამტკიცო, რომ შენ ორმაგ ცხოვრებას ეწეოდი — ეს არც ისე იშვიათი ამბავია. დასაზუსტებელია, თანამზრახველები გყავდა თუ არა, უფრო სწორად, როგორ გყავდა, ფაქტია: დაზარალებული სახლიდან რომ გაიყვანე, გარეთ მანქანა გელოდებოდა. მაშასადამე, დასაზუსტებელია — ვინ უჯდა საჭეს, მაგრამ ეჭვი არ შეგეპაროს, გავიგებთ. ორმაგ ცხოვრებაზე მოგახსენებდი — აქაც უტყუარი ნიუმტკიცება გვაქვს — ბინაში აღმოჩენილი ნაძარცვი მედალიონი, რომელიც, ეტყობა, შემთხვევით შემოგრჩა.. ჰო, მართლა, დღეს სახლში რომ მიგიყვანეს, ის სატვირთო მანქანა რა ნომერი იყო?

— ორმოცდათხუთმეტი-სამოცდაშვიდი.

— უპასუხა ლევანმა და თვითონვე გაუკვირდა, საიდან დამამახსოვრდაო.

— სერია?

— სერია არ მახსოვს.

გამომძიებელმა ჩაინიშნა და განაგრძო:

— მაშასადამე, ელა ცირკაძე, როგორც ჩანს, თქვენი თანამზრახველი იყო და, ეტყობა, რაღაცაში, სავარაუდოა — ნაქურდალ-ნაძარცვის გაყოფაში ვერ მორიგდით; ის დაგემუქრათ, შენ და შენმა ამფსონებმა კი გზადან ჩამოიცილეთ.

არსებობს მეორე ვარიანტიც: ქალმა შენი „ნამდვილი პროფესიის“ შესახებ არაფერი იცოდა, შემთხვევით გაიგო, თქვენ კი შეგეშინდათ და... თუმცა მე უფრო პირველი ვერსიის მომხრე ვარ.. მთავარი ისაა, რომ ძალადობის დამადასტურებელი ნიუმტკიცებებიც სახეზეა და მოწმის ჩვენებაც არსებობს. მე, შესაბამლია, დეტალებში ვცდებოდე, მაგრამ დანაშაულის ძირითადი არსი ასეთია, მაშასადამე, ამაში ეჭვიც აღარ მეპარება. აღიარებ თუ არა დანაშაულს?

— მე ყველაფერი მოვიყევით, — დალლილად თქვა ლევანმა. — დასამატებელი არაფერი მაქვს.

— იქიდან, რაც შენ მომიყევი, მოქალაქე ლაშაური, მხოლოდ ორი ფაქტია საინტერესო: პირველი ის, რომ გინწასული თუ უკვე მოკლული ქალი ღამით სახლიდან გაიყვანე, და მეორე ის, რომ დილით უმისოდ დაბრუნდი შინ. დანარჩენი ბელეტრისტიკაა, ესე იგი, ზღაპარი, მაშასადამე.

გამომძიებელმა კალამი მოიმარჯვა და წერას შეუდგა, თან სიგარეტს ეწეოდა.

„რა დავუშავე ამ კაცს ისეთი, ასე დაბეზღითვით რომ ცდილობს ჩემს ჩაძირვას? — ფიქრობდა ლევან ლაშაური. — არადა საიდანღაც მეცნობა... ნამდვილად შევხვედრივარ, მაგრამ სად? ღმერთო, გამახსენე.. რით გავაბოროტე ასე, რატომ ახარებს ჩემი დაღუპვა?“

გამომძიებელს წერაში სიგარეტი ხელს უშლიდა, ეტყობა, ბოლმაც თავლები აუწვა, რადგან ცრემლი მოადგა. მარცხენა ხელი რაღაც უცნაური, მკვეთრი მოძრაობით, მოახლეტით გაშალა და სიგარეტი გამოლებულ ფანჯარაში მოისროლა; თუმცა საფერფლე იქვე, მაგიდაზე ედგა.

გამომძიებელმა, როგორც იქნა, წერა დამთავრა და მსხვილი ასოებით აჭრელებული ხელნაწერი ლევანს გაუწოდა:

— წაიკითხე და ხელი მოაწერე.

ლევანმა დაკითხვის ოქმი ჩაიკითხა, რაც სწორად არ მოეჩვენა, წაშალა (ეს საკანში ასწავლეს „გამოცდილებმა“) და მხოლოდ ამის შემდეგ მოაწერა ხელი.

— მოსაფიქრებლად დრო საკმარისი გექნება, მაშასადამე, რაც აღრე გაიხსენებ საქმის ნამდვილ ვითარებას, მით უკე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრ შენთვის, — თქვა გამომძიებელმა და ბადრაგს გამოუძახა.

●

თევზაობის მოყვარულებმა კარგად იციან: საკმარისია მიწაზე საულდაგულოდ გაშლილ ძუას შემთხვევით ფეხი წამოსდგა, ან ქარმა წამოუბეროს და შენდა შეუმჩნეველად, ოდნავ მაინც დაარღვიოს მისი რგოლების წყობა, რომ წყალში გატყორცნისას იგი ისე ჩაიხლართება, იმდენ უცნაურ და საოცარ ნასკვს წარმოქმნის, თევზსაც დავავიწყებს და თავ-ბედსაც გაწყვეტინებს — იჯახირებ მთელ ნახევარ საათს, რის ვაი-ვაგლახით გახსნი ერთ კვანძს, შვებით ამოისუნთქავ, მაგრამ მალევე მიხვდები, რომ ნაადრევად გაგხარებია, რადგან გახსნილის ნაცვლად სამი სხვა წარმოქმნილა, იმ სამის შემდეგ კიდევ სხვა თხუთმეტი და ასე, გაუთავებლად. თუ შენს ბედნიერ მდგომარეობას ისიც ემატება, რომ დროდაღრო ქარი უბერავს, ილაჯვაწყვეტილს ბოლოს და ბოლოს ერთი გზა დაგრჩენია: ორივე მხრიდან უნდა ჩაჭრა და შორს მოისროლო აბურდული ძუა, რომელიც შეშლილი ობობის მოქსოვილ ალბალდას დამსგავსებია, და ნერვებდაწყვეტილმა ეცადო ხელახლა არ გაება ასეთივე მახეში.

სწორედ ამგვარად ჩაკვანძულ-ჩახლართულ გორგალს დაემსგავსა ლევან ლაშაურის საქმე, ოღონდ უბედურება ის იყო, რომ მისი ჩაჭრაც შეუძლებელი გახდა.

...ორი კვირის შემდეგ დაკითხვაზე კამოძახებულ ლევანს უკვე სხვა გამომძიებელი დახვდა, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათი გამოდგა, რადგან მის საწინააღმდეგოდ ისეთი მზაკვრული და ლოგიკური თნამიმდევრობით აეწყო ფაქტები თუ მოწმეთა ჩვენებები, რომ სგანგებოდ მოწვეული ცნობილი ვექილიც კი საკონებელში ჩავარდა.

საქმის ვითარება კი ასეთი იყო: მოწმის ჩვენებით და ლევანის სიტყვებითაც დასტურდებოდა, რომ მან დამით ხელში აყვანილი გაიყვანა სახლიდან ქალი. დილით კი მარტო დაბრუნდა.

ჩადენილი ბოროტმოქმედების უტყუარ საბუთად იქცა საბაბაზნიში აღმოჩენილი, ერთიანად გასისხლიანებული ცხვარსახოცი, სანაგვე ყუთიდან ამოღებული, სისხლშემხმარი ხახვის ნაჭრები, აგრეთვე სისხლის კვალი იატაკსა და საწმენდ ტილოზე.

ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ეს სისხლი ლევანს არ ეკუთვნოდა, რაც, რაღა თქმა უნდა, თვით ლევანმაც მშვენივრად იცოდა, მაგრამ ის, რაც სინამდვილეში მოხდა და რასაც ყოველ დაკითხვაზე ჯიუტად იმეორებდა ლევან ლაშაური, არაფრით მტკიცდებოდა, ის კი არა, უფრო და უფრო მეტ უნდობლობას იწვევდა მის მიმართ.

ბინის ჩხრეკისას ნაპოვნ ოქროს მედალიონზე, მართალია, ლევანის თითების ანაბეჭდები არ აღმოჩნდა და ვერც გაძარცული გაგლოვება ადებდა პირდაპირ ხელს — სიბნელეში სახე ვერა გავარჩიეო, ამბობდა, მაგრამ არც საპირისპიროს ამტკიცებდა და ამგვარად, სამხილი მაინც სამხილად რჩებოდა — ნივთი ხომ ლევანის ბინაში ნახეს!

მართალია, ერთ-ერთმა მოწმემ ჩვენებაში აღნიშნა: ლაშაურების ბინაში მთელი ღამე შუქი ენთო და ერთი-ორჯერ ფანჯარაში ვიღაცის ლანდსაც მოეკრიო თვალი, მაგრამ ბინაში შესული ან იქიდან გამოსული არავინ დაუნახავს და ვერც ლევანმა გაიხსენა, ანთებული დაუნდა შინ მობრუნებულს შუქი თუ არა, თუმცა ის კი კარგად ახსოვდა, რომ გამოსვლისას, ელა რომ გამოაყავდა, შუქის გამორთვა აზრადაც არ მოსვლია. ვერც ის დამტკიცდა, რომ ვიღაცამ წინასწარი განზრახვით გადამალა მედალიონი ლევან ლაშაურის ბინაში — გამომძიებლის აზრით, ამის გაკეთება მხოლოდ ორ პირს შეეძლო: ელა ცირკიძეს და ლევანის უცნობ თანამზრახველს დ-რადგან ასეთი პიროვნების არსებობას ლევანი გადაჭრით უარყოფდა, ხოლო მასტიკური ექიმისა და მისი თანამოსაქმის არსებობა გამოძიებას არ სჯეროდა, ლე-

ვანი კი ვერ ამტკიცებდა, რჩებოდა მხოლოდ ელა, გამოძიების მიერ მსხვერპლად მიჩნეული. მათი ერთ-ერთი ვარაუდით, ელამ სპეციალურად გადამალა ნაძარცვი მედალიონი, რაშიც, შესაძლოა, ადრეც იყო შემჩნეული და ამან ლევანისა და მისი თანამზრახველის რისხვა და ქალის მკვლელობა გამოიწვია — სავარაუდო მომძიებელი პრაქტიკაში მრავალად იყო ფიქსირებული შემთხვევები, როდესაც ბოროტმოქმედები გაცილებით უფრო ნაკლებად ღირებული ნივთის გამოც კი გასწორებიან ერთმანეთს.

ამას ისიც დამატება, რომ არსად, — არც სახლში და არც სამსახურში არ აღმოჩნდა ელას არც ერთი საბუთი და არც ერთი ფოტოსურათი. სამაგიეროდ მისმა თანამშრომლებმა გაიხსენეს, რომ გაუჩინარებამდე ორი დღით ადრე ელამ რაღაც მიზეზით გამოიტანა თავისი საბუთები, უკან კი აღარ დაუბრუნებია და ეს სწორედ ამ დღეს მოხდა, როდესაც ლევანმა მიაკითხა სამსახურში. რამდენიმე ფოტოსურათი ელას მამიდის საოჯახო ალბომში აღმოჩნდა, მაგრამ ეს ფოტოებზე ელა მხოლოდ ათი-თორმეტი წლისა თუ იქნებოდა და ამიტომ საქმისთვის უსარგებლო იყო.

ყველა ამ გარემოებამ გამოძიება იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მკვლელობა დიდხანს და გულმოდგინედ მზადდებოდა: ბოროტმოქმედს ქალის სადმე გატყუება და, საერთოდ, მისი კვალის მოსპობა ჰქონდათ ჩაფიქრებული, ხოლო ის ფაქტი, ბოროტმოქმედება ან მისი პირველი ეტაპი ბინაში რომ მოხდა, მხოლოდ მოულოდნელ შემთხვევას მიეწერებოდა.

●

— მოწმე ცირეკიძე!

დარბაზში ხანშესული, შავოსანი ქალი შემოვიდა.

— თქვენი გვარი?

— ცირეკიძე დარეჯან გრიგოლის ასული.

— ვინ იყო თქვენი ელა მიხეილის ასული ცირეკიძე?

— ძმისშვილი, — ქალმა ცხვირსახოცი ამოიღო და თვალები შეიმშრალა.

— როდის ნახეთ უკანასკნელად თქვენი ძმისშვილი?

— ერთი კვირით ადრე. ვიდრე დაიკარგებოდა.

— რას გვეტყვით ამ შეხვედრის შესახებ?

— ბევრს ვერაფერს, გენაცვათ, ცოტა უცნაური კი მომეჩვენა.

— რა მოგეჩვენათ უცნაურად?

— ისე იყო გაფაფრებული, რამდენიმე დღის უძინარი გეგონებოდათ. მერე კიდე ასე მითხრა: შეიძლება უკანასკნელად ვხვდებით ერთმანეთსო.

— მიზეზი არ უთქვამს?

— ჩავეკითხე, მაგრამ ვიხუმრეო, მიპასუხა. ეტყობა, გული უგრძნობდა.

— ბრალდებულს თუ იცნობთ? — ლევანზე მიუთითა პროკურორმა.

— არა, პირველად ვხედავ. რა გინდოდა, ბიჭო, რა დაგიშავა იმ უბედურმა? ფულმა დაგაბრმავა, შე ჩემი ცოდვით სავსე? — ქალი ხმამაღლა აქვითინდა. — ფულისთვის როგორ გაიმეტე ანგელოზივით გოგო?

— რა ფულს გულისხმობთ? — შეეკითხა მოსამართლე.

— ბინა გავყიდეო, მითხრა. ესე იგი, ფული ჰქონდა.

— რას გვეტყვით ამის შესახებ, ბრალდებული?

— მე ფული თვალითაც არ მინახავს. ელამ თქვა, შემნახველ სალაროში შევიტანეო. მეტი არაფერი ვიცი.

— გამოძიებამ დადგინა, — წამოდგა პროკურორი, — რომ ელა ცირეკიძეს მთელი თანხა, შვიდი ათას რვაასი მანეთი, სწორედ დაღუპვამდე ერთი დღით ადრე გამოიტანა შემნახველი სალაროდან.

— რატომ მოკალი, ბიჭო, ფული წაგელო, გოგოს რას ერჩოდი?! — მოთქვამდა ქალი.

ლევანს მეტის გაძლება არ შეეძლო და ფეხზე წამოიჭრა.

— არ მომიკლავს, არა!.. — მთელი ხმით იღრიალა.

— ბრალდებული, დაჯექით!

— არ მომიკლავს! — ბღაოდა ლევან ლაშური და ისეთი ძალით ჩაფრენოდა ხის ბარიერს, რომ ორი მებადრაგე კარგა ხანს ტყუილად ცდილობდა მის ადგილზე დასმას.

●

დაკითხვას დაკითხვა მოსდევდა, სულ უფრო იხლართებოდა კვანძები, უფრო და უფრო მცირდებოდა მათი გახსნის იმედი და როდესაც სამი თვის შემდეგ, სადღაც, მტკვრის შესართავთან ახლოს, მეთევზეთა ბადეს ხელებგაკრული, სადისტურად სახედაჩეხილი ახალგაზრდა ქალის გახრწნილი გვამი ამოჰყვა, წრე შეიკრა: სქელ სპორკილე ჯაჭვს ის უკანასკნელი რგოლი დაემატა, რომელმაც ლევან ლაშურის საშინელი დანაშაული დაადასტურა.

...სასამართლოზე ლევანი კვლავ ჯიუტად უარყოფდა ბრალდებებს, მაგრამ მის ყოველ უარყოფაზე პროკურორს ყოველთვის ერთი და იმავე სტენოგრამა ჰქონდა მომარჯვებული:

— მითხარით, მოქალაქე ლაშური, რატომ ბატონ მოსამართლეს არ ადებს მოწმე ხელს?

ან კიდევ:

— რატომ ბატონი მსაჯულები არ აღმოჩდნენ ასეთ, მე ვიტყოდი, უცნაურ მდგომარეობაში?

ლევანმა არ იცოდა, რა ეპასუხა ამ საკმაოდ ბრიყვულ შეკითხვებზე და უმწეოდ ჩუმდებოდა, რითაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა შემკითხველს.

როდესაც მიხვდა, რომ ხსნა არსად იყო, სრული გულგრილობა დაეუფლა. ერთი პირობა იქამდეც კი მივიდა, კინაღამ აღიარა არჩადენილი დანაშაული, თუმცა ბოლო მომენტში მაინც მოეგონა.

უკანასკნელ სხდომაზე, როდესაც ფეხზე წამომდგარ დამსწრეთ მოსამართლემ განაჩენი გააცნო, ლევანს მისი სიტყვები არც კი გაუგონია, მხოლოდ რამდენიმე სიტყვის შინაარსი მისწვდა მისგონებას:

„...მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ათი წლის ვადით“.

●

მძიმე ნაბიჯით მიუყვებოდა ლევან ლაშური ალმართს — პიჯაკის მარცხენა შიდა ჯიბეს საიმედო ტვირთად აწვებოდა დატენილი ნაგანი.

...— მოწმე ბესარაშვილი, — მოითხოვა პროკურორმა.

დარბაზში საშუალო ტანის, გამხდარი, ოდნავ შემელოტებული მამაკაცი შემოიყვანეს.

— თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი.

— ბესარაშვილი ივანე ესტატეს ძე.

— პროფესია?

— მძღოლი, „გრუზაიკზე“ ვმუშაობ.

— დაფიქრდით და გვიპასუხეთ: იცნობთ თუ არა ბრალდებულს?

— ცნობით არ ვიცნობ, ისე, ერთხელ კი მყავს ნახული.

— მოახსენეთ სასამართლოს, სად და როგორ ვითარებაში მოხდა თქვენი შეხვედრა.

— რეისიდან ვბრუნდებოდი დამე...

— როდის მოხდა ეს?

— ათ საპრილს, დილის ექვსი საათი იქნებოდა.

— განაგრძეთ.

— ფონეჭალასთან ახლოს მატორი ჩამიქრა, გადმოვედი და კაპოტი ავხადე, დიდხანს ვიწვალე, ბოლოს, როგორც იქნა, გავარემონტე და ამ დროს ეს ამხანაგიც მოვიდა.

— როგორ გამოიყურებოდა ბრალდებული?

— მუხლებამდე სველი ჰქონდა შარვალი, ფეხსაცმელიცა და კოსტუმიც ტალახში ჰქონდა ამოსვრილი. თანაც სიცივისაგან კანკალებდა, თუმცა იმ ღამეს არ ცივდა. ამიტომ ვიფიქრე, მაგარი ნამთვრალევია-მეთქი...

— შემდეგ?

— წამიყვანეო, მთხოვა და სახლამდე მივიყვანე, ფული არ ჰქონდა და არც მომითხოვია. თუ გინდათ, თვითონ მაგას შეეკითხეთ.

— რაიმე საეჭვო ხომ არ შეგიმჩნევიათ?

— საეჭვო? არა, არაფერი... თუმცა.. ეგრე მგონია, არც ისეთი მთვრალი იყო, როგორც უნდოდა, რომ მომჩვენებოდა.

— ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ ბრალდებული თავს ძალით იმთვრალიანებდა?

— დიახ.

— როგორ გგონიათ, რაში სჭირდებოდა ეს?

— აბა, მე რა ვიცი,

— მე შეკითხვა აღარა მაქვს, — პროკურორი დაჯდა.

— მე მაქვს შეკითხვა, — წამოდგა დამცველი. — მოწმე ბესარაშვილი ამტკიცებს, რომ იმ ღამით რეისიდან ბრუნდებოდა. ჩვენ დავადგინეთ, რომ ცხრა დათა აპრილს იგი რეისში არ წასულა, რადგან არავითარი საბუთი არ არსებობს ამის შესახებ. როგორ აგიხსნით ამას? სად იყავით იმ ღამეს და როგორ მოხვედით ფონინჭალაში?

მოწმე ცოტა ხნით ჩაფიქრდა.

— რეისში ვიყავი, — როგორც იქნა, ამოღერღა და დაბნეული ღიმილით დაამატა: — „ლევანი" რეისი იყო, ერთმა კლიენტმა კარგი ფული შემაძლია და..

— ვინ იყო ის კლიენტი? რა სახელ-ტვირთი გადაუტანეთ და სად ჩამოცალეთ?

— ვინ იყო, არ ვიცი. ხუთი დიდი „მეშოკი" შეყარეს „კუზავოზე"... რუსთავში რომ შევდიოდით, გზაზე გამაჩერეს დაიქ გადმოცალეს, ფულიც მაშინვე ჩამითვალეს და მეც წამოვედი.

— ხომ არ გგონიათ, მოწმე ბესარაშვილო, რომ თქვენი მოქმედებით სახელწოდ ქონების დატაცებას შეუწყეთ ხელი?

მოწმემ მხრები აიჩეჩა.

— ეგ ჩვენს საქმეს არ ეხება, — წამოხტა პროკურორი. — ამაზე „ობეზეესმა" უნდა იზრუნოს.

— კიდევ გაქვთ შეკითხვა? — მიმართა დამცველს მოსამართლემ.

დამცველმა უარი განაცხადა და დაჯდა.

...გრძელ, უძილო ღამეებში ვიდეოჩანაწერივით წაღმა-უკუღმა ატრიალებდა წარსულს ლევან ლაშარი, განსაკუთრებით კი იმ ბედუკუღმართ ღამეს. დრო ამისათვის ბევრზე ბევრი ჰქონდა და მანაც თანდათანობით გაიხსენა ყველა ეპიზოდი; ყოველი წვრილმანი და დარწმუნდა, რომ ერთობ მზაკვრულად ჩახლართული, წინასწარ მომზადებული ბოროტმოქმედების მსხვერპლად ქცეულიყო. ის კი, ვინც იმ ღამეს ექმიად მოვლინა და, როგორც ჩანს, ყველაფრის ორგანიზატორი იყო, ალბათ, არხეინად დასეირნობდა ამ ქვეყანაზე და იქედნურად იღიმებოდა იმის გახსენებაზე (თუკი ახსენებდოდა ოდესმე), ვისი ცხოვრებაც მისი წყალობით ტანჯვათა უსასრულო ჯაჭვად იქცა.

და ვიდრე ლევან ლაშაურს პირში სული ედგა, არ შეეძლო მშვიდად ცხოვრება — მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირვებოდა, მაინც უნდა ეძებნა ის კაცი, თავდაპირველად ურჩხულის სახით რომ გამოეცხადა სიზმარში, შემდეგ კი, უკვე ცხადში, ნებისმიერ ურჩხულზე დიდი სისასტიკე გამოიჩინა და ახლაც ხშირად აღვიძებდა ლევანს თავისი შემაზრზენი ხარხარით.

ამ კაცისკენ მიმავალი ერთადერთი ძაფი კი მძღოლი ვანო ბესარაშვილი იყო, ვისაც ბევრი რამ უნდა სცოდნოდა და აი, რატომ: ლევანი მას აღრე არასოდეს შეხვედრია და სრულიად უცნობმა კაცმა ისე მიიყვანა შინ, მისამართი არ უკითხავს. აქედან გამომდინარე, ბესარაშვილი გზაზე საგანგებოდ ელოდებოდა. მერე კი, შინ რომ მიიყვანა, გამბუღლი საყვირით განზრახ წამოყარა ფეხზე ლევანის მძინარე მეზობლები, რათა მათ ტალახში ამოგანგლული ლევანის დაბრუნება ეხილათ, თვითონ კი მსწრაფლვე გაუჩინარდა და ლევანს მისდა უნებურად გონებაში რომ არ ჩარჩენოდა მანქანის ნომერი, ალბათ, საერთოდ აღარ გამოჩნდებოდა. მაშასადამე, ვანო ბესარაშვილი ბოროტმოქმედების მონაწილეთუ არა, ხელშემწყობი მაინც იყო. ბოროტმოქმედებისა, რომელმაც ლევან

ლაშაურს საზოგადოების თვალში სამუდამოდ მიაწება მკვლელისა და მძარცველის იარლიყი და ათი გრძელზე-გრძელი, ჯოჯოხეთური წელი არგუნა.

...ვიწრო, დამრეც ქუჩაში პატარა ბიჭები ომობანას თამაშობდნენ.

— ბესარაშვილი სად ცხოვრობს? — ჰკითხა ლევანმა ერთ-ერთს.

— რომელი ბესარაშვილი?

— ვანო, მძღოლი.

— თქვენ ვინ ბრძანდებით? — რატომღაც ეჭვი გაუკრთა ბიჭს თვალებში.

— მე მისი მეგობარი ვარ.

— მერე არაფერი გაგიგიათ?!

— არა, დიდი ხანია არ მინახავს, რუსეთში ვცხოვრობდი და ახლახან ჩამოვედი. მაინც, რა უნდა გამეგო?

— ვანო ძია გარდაიცვალა.

— როგორ? როდის? — ლევანს სიცხელი მოაწვა სახეში.

ბიჭმა თანაგრძნობით შეხედა მეგობრის დაკარგვით დამწუხრებულს.

— ავარიაში დაიღუპა, ხუთი წელი იქნება უკვე.

— ჰო, ხუთი წელი გავიდა, მაშინ პირველ კლასში ვიყავით, — დაემოწმა მეორე.

— წამობრძანდით, დედამისთან მიგიყვანთ.

— არა, ახლა არა, სხვა დროს ვინახულებ, — ესღა მოახერხა ლევანმა და დაღმართზე დაეშვა მთვრალივით ფეხარეული.

ვანო ბესარაშვილი დაიღუპა — გაწყდა უკანასკნელი ძაფი...

(დასასრული იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ ოდიშარია

ღამე

ღამე — მჩხიბავი ქალბატონი,
თმებმოცმეცმე, მიუსაფარი,
მოხეტიალე, მპარავი სულთა.

ღამე — ძუ მგელი აყმუვლებული,
ბებერი, ბრძენი, ბეწვაჯაგრული,
წინამძღოლი მარტოობისა.

ღამე — უშმაგეს გზათა მეუფე,
აბრიალებულ რკინიგზებით
გულდაფლეთილი
და მაინც მშვიდი, ჩუმი, დიადი.

ღამე ჩხვლეტს ქალაქს
ნემსებით ნათლის
და სულს უბერავს მუგუზლებივით
აბრიალებულ სახლებს მდუმარე
გარეუბანთა.

ღამე წრიალებს,
ღამე — სიზმართა გამრიგებელი,
ღამე — ცრემლივით რომ გეწვეთება
სულში და მერე
ავადმყოფი ბაშვივით კვნესის...

ხომ გახსოვს „ღამე“,
სიტყვა — „ღამე“,
ამოგლეჯილი წიგნებიდან, ვითარც
„ნაღველი“,
„სევდა“, „წყვდიადი“...
ტუსაღი „ღამე“, შუბლგაბზარული,
ციმბირის ყინვით თვალჩაშრეტილი
„ღამე“ ხომ გახსოვს?..

ხომ გახსოვს ღამე — მიბნედილი,
ბანგბაგიანი, მკვნესარე, ნაზი...
ჰო, დამუხტული ენებით,
წუთებით მონატრებისა?
მოწყალე ღამე, ღამე ნორჩი,
გემების შუქით განათებული...

ხომ გახსოვს ღამე,
შუაღამე — სიკვდილის ღამე,
ყვითელშუბლა,
ყინულივით ციცი, მარადი,
მთვარის ზარებით გაყუჩებული,
მკვდარი, მკვდარი,
მკვდარი შუაღამე, მკვდარი...

ხომ გახსოვს ღამე — აღსავლის სხივით,
ფრთოსანთა ხმებით,
ვარდების შუქით შემკრთალი და
გაბრუებული,
რიჟრაჟის გრილი მდინარეებით
ათრთოლებული?..

და ხომ გახსოვს დღე — ღამენათევი,
ნაბახუსევი, სიკვდილხილული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეოცნებე და მარტოსული,
მზიბავი ქალბატონი — დღე,
თმებმოციმციმე, მპარავი სულთა?..

დიახ, დღე — ღამის გაგრძელება,
ორეული მისი,
ნიღაბი.

სახლი ქალაქის გარეუბანში

(1992 წლის აგვისტოს სოხუმი)

ფეხაკრეფით
უახლოვდება ცას
მთვარის შუქი
ფრთხილი

შენ კი
ქალაქის გარეუბანში
ზღვისა და მიწის
გასაყართან
მთვლემარე სახლის
ყვითელ ოთახს
შეხიზნული
ნებივრობ

სიგარეტი
ტელევიზორი
ნახევარი ბოთლი ოჯალეშიც

შორს —
განათებული პროფილი ზღვის —
საყვარელი და ნაზი
მშობლიური
ვითარც სახე ანგელოსისა

ვითარც უძველესი ალეგორია
უცისფრეს გზათა
სხივიერი
ქალბატონების

მეჩვენება —
მფრთოვან ნაპირზე დაეხეტებიან
ნაბახუსევი დამსვენებლები
და ისმის ჩურჩული
სიმღერა
გადაძახილი

სიცილიც —
ქალების სიცილიც
ხორბლისფერი

ჯიშიანი ქალების
რომელთა მედუზებივით
გამჭვირვალე სხეულები
დანაღმულია
აგვისტოს მკვრივი ზღვით
და რომელთა თამამი ძუძუები
თიმთიმებენ
შედედებული შუქით
მთვარისა

ზღვის ზედაპირს მისდევს
ვერტმფრენი
ცადაგრაგნილი —
მყუდროების მაროდიორი
თითქოს ქამბალა უზარმაზარი
გაექცა სიღრმეს
მფრინავი ქამბალა —
რაკეტების ქარცით
ტანშემოვერცხლილი

მინაზე —
ტყვიის მორიელი —
შედევრი სროლის

უხმოდ დაგორავს
ქალაქის თავზე
თვალითუჩინო კამათლები
ბედისწერისა

მეჩვენება —
ბალღები და ლეკვები
იცინიან
იცინიან
ემალებიან ერთმანეთს
ლაღობენ
და გალობს ქვიშა

ბოტანიკური ბაღიდან
მორიალებენ

ᲛᲐᲜᲐᲜᲝᲑᲔᲚᲘ ᲢᲧᲕᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ
ᲔᲡ ᲘᲛᲐᲡ ᲜᲘᲨᲜᲐᲕᲡ
ᲠᲝᲛ ᲐᲧᲕᲐᲕᲘᲚᲓᲐ
ᲐᲧᲕᲐᲕᲘᲚᲓᲐ
ᲑᲐᲦᲨᲘ ᲣᲪᲮᲝᲖᲔ
ᲣᲪᲮᲝ ᲛᲪᲔᲜᲐᲠᲔ —
ᲒᲐᲓᲐᲛᲗᲘᲔᲚᲘ
ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲔᲑᲘᲗᲛᲧᲝᲠᲪᲜᲘ
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲤᲔᲠᲤᲔᲡᲔᲑᲘ —
ᲐᲛᲝᲩᲐᲜᲩᲮᲚᲣᲚᲘ
ᲛᲝᲩᲘᲜᲐᲜ ᲨᲝᲠᲘᲗ
ᲙᲕᲐᲛᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲩᲝᲚᲐᲕᲘ
ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲪᲮᲚᲘᲚᲘ
ᲔᲒᲙᲚᲘᲞᲢᲔᲑᲘᲪ

ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ
ᲩᲐᲡᲐᲤᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲢᲐᲜᲙᲘ
ᲔᲤᲬᲘᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲙᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲕᲘᲗ
ᲛᲝᲗᲘᲚᲘᲡᲛᲔᲑᲣᲚᲘ
ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲒᲣᲯᲔᲠᲐ ᲠᲝᲛ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ
ᲣᲤᲠᲝ ᲖᲣᲡᲢᲐᲓ —
ᲨᲔᲮᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ
ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡ ᲑᲐᲦᲨᲘ
ᲨᲔᲘᲜᲐᲓᲑᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲟᲝᲙᲯᲝᲙᲐ
ᲗᲕᲐᲚᲘ ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡᲤᲔᲠᲘ
ᲓᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲐᲥ
ᲒᲐᲠᲓᲚᲘᲡᲐᲮᲔᲑᲐ
ᲮᲔᲓ ᲤᲝᲠᲗᲝᲮᲚᲘᲡᲐ
ᲓᲐ ᲨᲔᲜ ᲒᲣᲯᲔᲠᲐ ᲠᲝᲛ

ᲛᲘᲡᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ
ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲥᲐᲐ
ᲘᲒᲘ ᲛᲣᲓᲐᲛ
ᲐᲥ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ
ᲛᲣᲮᲚᲣᲮᲔᲑᲘᲗ
ᲩᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲡ

ᲨᲔᲜ ᲐᲠ ᲓᲐᲚᲐᲢᲝᲑ
ᲛᲗᲕᲐᲠᲔᲡ
ᲡᲘᲒᲐᲠᲔᲢᲡ
ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲡ
ᲡᲐᲮᲔᲖᲔ ᲑᲣᲓᲐᲡ ᲓᲘᲛᲘᲚᲒᲐᲓᲐᲤᲔᲜᲘᲚᲘ
ᲓᲐ ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ
ᲤᲠᲗᲮᲘᲚᲐᲓ
ᲔᲙᲝᲗᲮᲔᲑᲘ ᲓᲕᲘᲜᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲓᲕᲐᲡ
ᲗᲣ ᲡᲐᲓ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ —
ᲪᲮᲐᲓᲨᲘ
ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲝᲠᲨᲘ
ᲗᲣ ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲛᲔ ᲓᲔᲗᲘᲣᲠ ᲬᲘᲒᲜᲨᲘ
ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲐ

ᲐᲜ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲡᲣᲚᲐᲪ
ᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲐ ᲗᲔᲤᲨᲘᲡ
ᲔᲙᲘᲞᲐᲟᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ
ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ
ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲨᲘ
ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲪ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲐ
ᲰᲥᲕᲘᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურად ჭანტურია

დათვი

მოთხრობა

ბიჭს ჯერ თვალით არ ენახა უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ბებერი დათვი, მაგრამ ისე მიიღო იგი, როგორც მემკვიდრეობას იღებენ ხოლმე.

უ. ფოლკნერი, „დათვი“.

— **არა,** დრო ზუსტად არ მახსოვს. ყველაფერი ბაბუაჩემისაგან ვიცი. იმან კიდევ — მამისაგან თუ ბაბუასაგან, იმ ბაბუამ კიდევ, ალბათ, — თავისი მამისაგან ან ბაბუასაგან და ასე... მაგრამ ეს ამბავი რომ ჭეშმარიტი და ნამდვილია, წყალი არ გაუვა. შემიძლია ხვალვე, აი, როგორც კი პირველი მამალი იყივლებს, ან თუნდაც მაშინ, მთვარიანი ღამის ბაც ფერს ოდნავ რომ შეეპარება დილის ნათელი, ყოველივე ამის კვალი თვალნათლივ გაჩვენოთ და გათქმევინოთ: კი, ბატონო, კეთილი და პატიოსანი, უტყუარი და ცხადზე უცხადესია, რასაც ბრძანებ და რასაც, შეიძლება, ცოტას მაინც რომ უმატებ, ისიცო. ნუ გვიწყენთ და, ხომ იცით ადამიანის — თუნდაც ყველაზე ბრძენისა და დინჯის — ბუნებაო.

გინდირიათ თქვენ, ჩემო ბატონო, როდისმე ხელში გჭერიათ თოფი? ოჰ, არა, ღმერთმა გვაშოროს! მე სულ სხვა რამეზე მოგახსენეთ. ეს იმიტომ ვთქვი, რომ ის, ვისაც მთაში ნადირის მოლოდინში ჩასაფრებულს, თავზე დასთენებია, ადვილად მიხვდება, რატომ ვახსენე მამლის ყივილი და... უფრო სწორად, — „თუნდაც მთვარიანი ღამის ბაცი ფერი“ და „დილის ნათელი“.

ამოხუცი ოდნავ გვერდულად, წინ წამოხრილი ზის. ცალი ხელით ჯოხს დაჰყრდნობია, მეორე ხელში სიგარეტი „კოსმოსი“ უჭირავს. ჩვეულებრივ, თითებს შორის კი არა აქვს გაჩრილი, არამედ ცერა და სალოკი თითებით პეშვში მოუქცევია. გვერდით, სკამზე, ბროლის საფერფლე უდევს და რომ აფერფლებს, იმასაც ცოტა უცნაურად: სიგარეტის ლულას თითს კი არ წაჰკრავს, არამედ საფერფლის გვერდზე ისეთნაირად ურტყამს, თითქოს უკაკუნებდეს და მის იდუმალ, ჩვეულებრივი ადამიანისთვის ყურმიუწვდომელ ხმას უსმენდეს.

სუფთად გაპარსული პირისახის დახვეწილი ნაოჭები მოწიწებას იწვევს. ამ განცდას კიდევ უფრო ამძაფრებს წინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხარეს აკეცილი კოლხური ფართო თეთრი ქუდი, რომლის ქვემოდანაც ღრმად ჩამჯდარი კუშტი თვალები იმზირება. ხანდახან მაში, თითქოს მწველი მოგონების ალი აკიაფდაო, რაღაც ნაპერწკალი გაკვესავს.

ტანზე კოხტად მორგებული პიჟამა, რომელსაც გულის ჯიბესთან უცხოური წარწერა აქვს ამოქარგული, უნებურად გაფიქრებინებს, თითქოს აქ, ტიპიურ მეგრულ ეზოში მდგარი ორსართულიანი სახლის პირველ სართულზე ბუხართან კი არ სხედხართ, არამედ სადღაც, საზაფხულო დასასვენებელ სახლში იმყოფებთ. მაგრამ განწყობას მყის უკუაგდებს ბუხარში დანთებული ცეცხლი (გვიანი შემოდგომაა და ოდნავ ცივა) და აქვე ანტიკვარული ნივთივით მდგარი ძველებური, დაბალი მაგიდა — ტაბაკი. ზედ დგას: დოქით ღვინო, მომცრო გრაფინით — ორნახადი ჭაჭის არაყი, ფართო ლანგარი, რომელზეც დალაგებულია ჩურჩხელა, ტკბილისკვერი, ჩირი, სხვადასხვა ტკბილეული და ხილი. ირგვლივ შემოწყობილია რამდენიმე თეფში, დანა-ჩანგალი და სხვადასხვა ზომის ჭიქები.

— ჰოდა, ჩემო ბატონო, — ხრინწიანი ხნიან განაგრძობს მოხუცი და ჩაახვევლებს: ხმას იწმენდს. — იმას ვამბობდი, ეს ამბავი ისევე ნამდვილია, როგორც ა, ეს ცეცხლი, ბუხარში რომ ანთია, ანდა ეს ღვინო, ე მაგ დოქში რომ ასხია. შენ, შეიძლება, დღევანდელი ცხოვრების შემყურეს, ცოტა უცნაურად მოეჩვენოს, მაგრამ ეს ჩვენი ქალაქი ადრე, როცა ჯერ კიდევ სოფლად მოიხსენიებოდა, უფრო დიდი და ვრცელი ყოფილა. 1884 წელს, როგორც ამას ოთხი წლის შემდეგ ძველი ქართული ჟურნალი „მწყემსი“ იუწყებოდა, ჩვენი დასახლება ორად გაიყო: მდინარის გადაღმა — ჭალის საზოგადოებად და მდინარის აქეთ — ჯვარის საზოგადოებად. ხოლო მაშინ, როცა ჯვარი ქალაქად გამოცხადდა, ჩქვალერის თემი ცალკე შეიქმნა და ჯვარს, ბუნებრივია, ეს ნაწილიც ჩამოშორდა. ამას იმიტომ გიყვებით, რომ ყველაფერზე, რამდენადაც შესაძლებელია, ზუსტი წარმოდგენა შეგექმნათ, უფრო სწორად, იმიტომ, რომ კარგად გაიცნობიეროთ ადგილები, სადაც ის ამბავი მოხდა, რომლითაც დაინტერესებულხართ და რის გამოც მოსულხართ აქ, ჩემთან. ისე კი, როგორც თავში მოგახსენეთ, ეს ამბავი ბევრად უსწრებს და ბევრად უფრო ადრინდელია, ვიდრე ჩემს მიერ მოხმობილი თარიღი.

საიდან დავიწყო, ან რითი დავიწყო, მართალი გითხრათ, ვერ გადამწყვეტია, რადგან ამბავი, რომელიც უნდა მოვითხროთ, ანდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით — რომელიც წინ უსწრებდა შემდგომ დატრიალებულ ტრაგედიას, ერთბაშად — რომელიმე წელს, რომელიმე დღეს ან საათს — კი არ დაწყებული, არც ერთბაშად, რომელიმე დღეს ან წელს დამთავრებული, თუკი, რა თქმა უნდა, შეგვიძლია ვთქვათ: „დაიწყო“ ან „დამთავრდაო“. არც მარტო ის ადამიანები ყოფილან მისი მონაწილენი, რომელთა დროსაც მომხდარა ასე ავადმოსაგონარი წყალდიდობა, წარღვნა, რომლის გახსენებაზეც მყის შენდა უნებურად დაგეკუშტება სხეული და შუალამეც რომ იყოს, ზეზე წამოგაყენებს, ძილს გაგიტეხს, თავს აგატკიებს და შუბლს ერთი ორჯერ მაინც მოგასრესინებს.

საოცრად მოულოდნელად და უცნაურად დაატყდა სოფელს ის უბედურება. ძლიერი, ხანგრძლივი წვიმების შემდეგ ერთიანად მოწმენდილ ცაზე უცაბედად ელვა რომ გაკრთდება ან მეხი რომ გავრდება, ისე. თანაც სწორედ მაშინ, როდესაც ყველას ეგონა, უფრო ზუსტად — ყველამ რომ ირწმუნა: რაც შიში და ვაი-ვუი, რაც ჭირ-ვარამი გამოვიარეთ, როგორც იქნა, წარსულს ჩაბარდაო, როგორც იქნა, დადგა დრო, მშვიდად ვნნათ და მშვიდად ვთესოთ, მშვიდად ვთიბოთ და მშვიდად ვმწყემსოთ, მშვიდად ვსვათ და ვჭამოთ, უზრუნველად ვიძინოთო და ასე შემდეგ. ანდა, ვინ იფიქრებდა, რომ მდინარე, რომლისთვისაც განგებას სოფლის სიცოცხლის

მთავარი არტერიის როლი დაეკისრებინა დასაბამითგანვე, ასეთ საშინელ, თანაც თითქოსდა მოულოდნელ ტრაგედიას დაატეხდა თავს ამ სოფელს და, მაშასადამე — საკუთარ შვილთ; სხვათა შორის, ის დათვიც ასე მოულოდნელად და უცნაურად მოადგებოდა სოფელს. თუმცა, შეიძლება ეთქვათ: წაადგებოდა თავზე, ანდა: შემოვიდოდაო, ანდა კიდევ: დაატყდებოდაო, ან: წამოეპარებოდაო თუ კიდევ სხვა რამ. როგორადაც უნდა თქვათ, მაინც მართალი იქნება. მართალი იქნება იმიტომ, რომ მართლაც ხან ასე იყო და ხან ისე, ხან კიდევ — ღმერთმა იცის, როგორ. ახვედოდი, მაგალითად, ერთ მშვენიერ დღეს ყანაში და თავიდან-ბოლომდე მიწასთან გასწორებული დაგხვდებოდა. ის ღმერთამწყრალი ჭამით ხომ იმდენს ჭამდა, ერთ კარგა მოზრდილ ურემზე რომ არ დაეტეოდა, მაგრამ მერე მიდგებოდა და გორაობა-გორაობით მთელ ყანას გადაბულრავდა.

ფარეზში რომ შეეპარებოდა თუ ფარას დაეცემოდა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, რისსხვასაგან დაატყდებოდა თავს, ყოველ სულდგმულს სათითაოდ ხერხემალს ნაუტეხავდა, ერთმანეთში ისე აზელდაზელდა, რომ, რა რომელი იყო, ვერ გამოარჩევდი. ყველაზე დიდსა და საუკეთესოს, ცხადაა, ზურგზე მოიგდებდა და ისეთი ნელი, მშვიდი ძუნძულით აუყვებოდა ფერდობს, თითქოს სოფლის წინაშე უაღრესად კეთილშობილური ვალი მოეხადოს.

ანდა, აგერ, ჰა, საღამოს ბინდბუნდში გაიხედავდი და შუა მდინარეში უზარმაზარ ტკილი შეამჩნევდი. გაიკვირვებდი: ამხელა ლოი როდის ან როგორ ჩამოაგორა მდინარემო. კარგად დააკვირდებოდი და შიშისან მუხლები აკანკალდებოდა ამხელა, მთასავით უზარმაზარი დათვის დანახვაზე. ჩამავალი მზისა თუ ახალამოსული მთვარის შუქზე თათებში ასხმარტალებული თევზის გაკვესების დანახვასაც მოასწრებდი... მართლაც უცნაური დათვი იყო. მაინც-დამაინც აქ უნდა ჩამოსულიყო და სოფლის შუაგულში უნდა აეტეხა დგაფუნი — თითქოსდა ეს მდინარე იმ მთებიდან და იმ ტყეებიდან არ ჩამოედინებოდა, სადაც თვითონ გაჩენილიყო, ამდაგვარი გამხდარიყო, და საიდანაც ისე კი არ გამოდიოდა, როგორც ამ მთებისა და ამ შიშის მომგვრელი იდუმალებით მოცული ტყეების შვილი, არამედ — თითქოსდა გამოეყოფოდა მას, როგორც ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი. თუ ვინმეს ეწერა, რომ ლაჯვებში სიმწრის ოფლი სწორედ მაშინ გასჯდომოდა, როცა დათვი ტყიდან გამოაბიჯებდა და ორ ფეზზე წამომართული, სოფელს ალმაცერად და გვერდულად გახედავდი, ის კი არ მოეჩვენებოდა, ტყიდან ვინმე ან რაღე გამოვიდაო, არამედ იფიქრებდა, ამ მთას ნაწილი მოსწყდა თავის ტყიან-ბალახიან-ლოდებიანად და ახლა ზე აზვირთებული საშინელი ვრუზუნით დაეშვება სოფლისკენ, თან გაიტანს და გასრესს ყოველიფესო.

დათვი ყველაფრით უცნაური იყო, ავებულებითაც, იერითაც — დათვი იყო და არც იყო დათვი, რადაც მანამდე არნახულ ურჩხულს უფრო ჰგავდა; ფერითაც — ჟანგისფერი ბეწვითაც; ხასიათითაც — სოფელში თითქოს იმიტომ კი არ მოდიოდა, რომ ცხოველური ცხოვრების კანონი აღესრულებინა — შიმშილი მოეკლა და თავი გაეტანა, ანდა თუნდაც ემსუნაგა, არამედ, იფიქრებდი, რადაც დაუოკებელ სურვილს აუტანია და ჟინს იკლავსო.

დათვის გამოჩენის ამბავი ელვის უსწრაფესად მოედებოდა ხოლმე მთელს სოფელს. სოფლელი მამაკაცები და ჭაბუკები, ვისაც ოდნავ მაინც ერჩოდა ძალა და გული, რითაც შეეძლო, იმით შეიარაღდებოდა. ცოტაც და, ყველანი მთისკენ მიმავალ ფერდობთან მოიყრიდნენ თავს. აქ უკვე ადრე მოსულ ძალლებს საშინელი გნიასი აეტეხათ, ყურთასმენა აღარ იყო, სიბრაზისა და გახელებისაგან ლამის ცა ჩამოეხიათ, მაგრამ ახლოს მისვლას, აბა, რომელი გაბედავდა?! შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ერთი მთა მეორეს უახლოვდებაო. ერთიც

ჟანგისფერი იყო და მეორეც, რადგან ამ დროსთვის, როგორც წესი, შემოდგომა დამდგარიყო უკვე. თუ რომელმე ძაღლი ახალბედა იყო და თავისი გამოუცდელობით წინ გადაუდგებოდა დათვს, ის არც შეჩერდებოდა, ტორის ერთი მოქნეკვით ჩვარივით მოისროდა ძირს ხერხემალ და ნეკნებჩამტვრეულს და ძაღლის პატრონს ისღა დარჩენოდა, ხელმეორედ გაეტენა თოფი და ამჯერად ძაღლისთვის — უკვე შედეგიანად — დაეხალა. დათვისთვის კი, ყველა უჩვეულობასთან ერთად, კანიც უჩვეულოდ სქელი ებოძებინა ბუნებას. მარტო ამ სოფელში კი არა, მთელს ამ კუთხეში განოქმულ მონადირეებს სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯიდანაც უსვრიაათ მისთვის, მაგრამ ან ტყვია სხლტებოდა, ან ვერ ატანდა ტყავში. ოღონდ ეგ იყო, სიმწრისგან ერთს ისეთს დაიღმუილებდა, მთის ფერდებს ლოდები სწყდებოდა. საკმაოდ მაგარ ვაჟკაცებსაც კი გულები უსკდებოდათ ასეთ დროს და, ვაი იმას, ვინც ახლოს იდგა და გაქცევას ვერ მოასწრებდა! რამდენჯერ ყოფილა, სხეულის რა ნაწილი რომლისა იყო, ვერ გაურჩევიათ და ხმლის ერთი მოქნევით ტანმოსხვილ ხეებს სიმინდის ღეროსავით რომ სხეპდნენ, ისეთი ვაჟკაცები ერთ საამო საფლავში ჩაუსვენებიათ. დადევნება არ იცოდა: თითქოს რა ექნა, იძულებული იყო, თორემ ადამიანის ცოდვის დადება არც უნდოდა, მყის უკან მიბრუნდებოდა და ისევ ჩვეული, ნელი ძუძუღეთ ტყისკენ დაადგებოდა გზას.

ერთადერთი საშველი ისღა რჩებოდა, რომ მამაკაცები საგზალ და ტყვია-წამალჩაწყობილ აბგებს გადაიკიდებდნენ მხარზე და თოფების ბათქაბუთქით ნელნელა, დიდი სიფრთხილით შევიდოდნენ ტყეში, უკან მიჰყვებოდნენ და დევნიდნენ დათვს ძაღლა, რაც შეიძლება შორს, შორს, საიდანაც გაისამდე თუ არა, კარგა გვარიან ხანს მაინც უნდა დაზარებოდა ჩამოსვლა. როგორც უკვე ვთქვი, თუ რამე გამოუვალი მდგომარეობა არ შეიქმნებოდა, დათვი ერიდებოდა ადამიანებს და მათთან შებმას გაურბოდა. მაგრამ კაცებს ღამით კი არა, მეორე დღესაც, მზისთაც, დიდი სიფრთხილე სჭირდებოდათ, რომ ქარაფებში და ორწოხებში, სადმე არ გადარეხილიყვნენ.

მესამე თუ მეოთხე დღეს, ნაშუადღევის შემდეგ, მდინარის პირას შეგროვილი და მოდარაჯე ყმაწვილები ერთ ყივილ-ხივილს ასტეხდნენ: წამოვიდა! წამოვიდაო!

არა, დათვის გამო კი არ ატყდებოდა ეს ალიაქოთი, არამედ მდინარეზე მოტივტივე ხის მორები გამორნდებოდა. იწყებოდა ხის დაცურება. გაზაფხულიდან შემოდგომამდე ძაღლა მთებში, მდინარისა და მისი შენაკადების ნაპირებზე, აგრეთვე შესართავებთან, წყალდიდობებისა თუ ღვარცოფების შედეგად უამრავი ხე-ტყე გროვდებოდა. სოფლელი კაცები, რომელთაც, თოფებთან ერთად თან ნაჯახებიც მიჰქონდათ, ტოტებს სხეპდნენ და მორებს დინებას დააყოლებდნენ. უკან დაბრუნებისას მდინარეს ნაპირ-ნაპირ მოჰყვებოდნენ, რათა მორები სადმე არ ჩახერგილიყო.

ბავშვებს ნამდვილი ზეიმიც სწორედ მაშინ იწყებოდა. მოზრდილები წყალში შეცვივდებოდნენ და მორებს ხეების შესაქუჩებლად განკუთვნილ უბეში შეაცურებდნენ. იმდენი შეშა გროვდებოდა, მთელს სოფლს გაზაფხულამდე თავისუფლად ჰყოფნიდა.

დათვი კიდევ, თითქოს დაუოკებელი ენინ მოიკლაო, იმ წელს ხელმეორედ მართლაც არ გამორნდებოდა. უფრო ზუსტად — ძალიან იშვიათად თუ გამორნდებოდა. თითქოს განგებას წესად დაეწესებინოს მისთვის, მისულიყო სოფელში, ყველაფერი აეთრგანა, ხალხი აეწიოკებინა, ამით ვალი მოეხადა თუ დანაშაულება გაემართლებინა და მიეუჩებულიყო. მერე ზამთარიც დგებოდა და, როგორც ყველა დათვი ამქვეყნად, ისიც იძინებდა, ალბათ, და თუ მაინცდამაინც გამოიღვიძებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ თათები ელოკა და ელოკა.

მერე გაზაფხული დგებოდა. ბუნება იღვიძებდა. ხეხილი აყვავილდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხკაცი გუთანს ჰკიდებდა ხელს. ხნულში მარცვალი იყრებოდა. ახლდებოდა ყველფერი. გუნება-განწყობილებაც კი. ახალ ყლორტებს გამოისხამდა კაცის ოცნებაც, მისწრაფებაც. ერთი სიტყვით, კვლავ იწყებოდა, ყველფერი კვლავ იწყებოდა...

ბაზაფხულს ზაფხული მოჰყვებოდა...

ზაფხულს — შემოდგომა...

დედამიწა ტრიალებდა. ტრიალებდა და ყოველ შემოტრიალებაზე, იმედთან და ახნეობასთან ერთად, ვინ იცის, სად ჩასაფრებული ხიფათის განცდაც ძლიერდებოდა. თანდათანობით ძლიერდებოდა. ამიტომ მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს საქმის ნამდვილ არსს, ამ ამბის დასაწყისში რომ მოგახსენეთ: დათვი მოულოდნელად წაადგებოდა, შემოიპარებდა თუ თავს დაატყდებოდა სოფელს-მეთქი. გაზაფხულის პირველი ყვავილს შვებისმომგვრელი სურნელი, თავის განუმორებლობასა და ხიბლთან ერთად, ვინდოდა თუ არ ვინდოდა, ნებასი თუ უნებლიეთ, მყის იმ მძაღე სუნსაც მოგაგონებდათ, რომელსაც ის უზარმაზარი და ბებერი დათვი, მიუხედავად თავისი ბეწვის ბრწყინვალებისა და დიდებულებისა, მაინც ტოვებდა უკვე სასაფლაოს დამსგავსებულ ფარეხში, საიდანაც ყველაზე საუკეთესო პირუტყვს გაატაცებდა; ტოვებდა ყანაში, მინდორში, მდინარეში თუ ორღობეში, — ყველგან, სადაც კი ფეხს დაადგამდა. ტოვებდა თავის უზარმაზარ, შიშის მომგვრელ ნაგებურებთან ერთად.

მზის სხივებს სახნისით გადახსნილი მიწის გულიდან, სიცოცხლისა და იმედის ოხშივართან ერთად, ეს მძაღე სუნიც ამოჰქონდა. ეს სუნი მყის შეგახსენებდათ თავს ხეხილის ბაღების დამპრობელი სურნელების შეგრძნებისას, ზვრებში დასკდომამდე დატენილი და ქარვისფერად ქცეული მტევნების დანახვისას. ეს სუნი თითქოს კოჟრებად ქცეული, დახეთქილი ხელისგულებიდანაც გდიოდა და გეგონებოდა, ვერა და ვერ მოიშორებდი, რაც უნდა გეზეხა, ვეზეხა და გეზეხა ქვიშით. და, რა თქმა უნდა, ეს არ იყო ის სუნი, ის ძალა, რომელიც ასე, ათასფრად რთავდა და ხატავდა გარემოს, ბუნებას, არამედ, პირიქით, განგებას იმისთვის გაეჩინა, რომ სწორედ მისი დაძლევითა და გადალახვით ქცეულიყო ირგვლივ ყოველივე ასე მრავალფეროვანი, თავისთავადი და მშვენიერი. და რაც უფრო გექნებოდა უნარი მისი აღქმისა, მით უფრო მეტი ნიჭი გჭირდებოდა მასთან გამკლავებისა. და რაც უფრო ძალუმად შეიგრძნობდი მას, მით უფრო უნდა გაეზიენოდა სურვილი მასზე გამარჯვებისა.

ასე და ამგვარად, ისე იყო, თითქოს შემოდგომით — თუკი ისე არ მოხდებოდა, რომ დათვი ყოველგვარი აყალმაყალის გარეშე, უწოქმრად არ მიითვლიდა იმას, რაც სოფლის სახელით მისთვის მიეკუთვნებინა ბუნებას თუ თავად თავისივე სურვილით დაესაკუთრებინა და დაეჩემებინა — დგებოდა ჟამი ამ სურვილისა და ნიჭის გამოცდისა. ჯერჯერობით ძნელი იყო გაგერკვა, ვინ იყო ამ ბრძოლაში გამარჯვებული ან დამარცხებული, რადგან, ერთი მხრივ, კი მიჰქონდა დათვს თავისი წასაღები, კი ანადგურებდა თავის გასანადგურებელს, მაგრამ სოფელსაც ხომ, რაც უნდა ყოფილიყო, მუდამ ჰქონდა ის, რისი წაღებაც შეიძლებოდა და განადგურებაც; მეორე მხრივ იყო შემოხვევა, დათვს კუდამოძუებულს მოუსვია აქედან ისე, რომ სოფლის განაპირა ყანაშიც კი არ შეუყვია ცხვირი, მაგრამ არასოდეს, ოდნავადაც არ ჩამკვდარა მასში სურვილი (ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა, ფაქტები თავად ამტკიცებდნენ) უარი ეთქვა თავის ამ კანონიერ თუ უკანონო ნადავლზე.

და, ვინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა ასე, რომ სოფელში, ღმერთმა უწყის, საიდან მომავალი და სად მიმავალი ბოშათა ბანაკი სრულიად მოულოდნელად არ გამოჩენილიყო.

სიმღერითა და ცეკვა-თამაშით, ჩემი ბატონო, ქართველ კაცს რას გაკ-

ვირვებ... — მოხუცი მუჯში ახველებს, ხმას იწმენდს. სიგარეტი „კოსმოსი“ კვლავ ცეცა და სალოკ თითებს შორის მოუქცევია. დროდადრო ისევ უკაკუნებს საფერფლის კიდეს, თან დაძაბული აჩერდება, თითქოს იდუმალ ხმათა და მოგონებათა გამოხმობა უნდოდეს. ამჯერად ისე ძალუმ ებერება ძარღვები საფეთქელზე, უნებურად გაიფიქრებ: შეიძლება მოლად ყველაფრის არა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმისი, რისი თქმაც ახლა უნდა, უშუალო მომსწრეა და ახლა მეხსიერებას ძალას ატანს, რათა ყველაფერი ზუსტად ისე გადმოსცეს, როგორც სინამდვილეში მოხდა — არც არაფერი მოუმატოს, არც არაფერი დააკლოსო.

— ჰოდა, ჩემო ბატონო, სიმღერითა და ცეკვა-თამაშით ქართველ კაცს რას ვაკვირვებ, — იმეორებს მოხუცი და თვალებს წკურავს. — მაგრამ, როცა ძუძუებმოთახთაბე ქალი წინ გამოვარდა და ხელი-ფეხი-გავა-წელი ერთბაშად ათთამაშა-აამღერა, როცა ციბრუტივით დატრიალდა და ასფურცელი და ათასფერადი კაბის კალთები ზეცას შეასკდა, რაღა გასაკვირი იყო, რომ მზეს თავისი შუქი დაეკარგა და ამ უცაბედ სიბნელეში რაღაც წარმოუდგენელ, თვალგაუსწორებელ სითეთრეს ელვასავით გაეკვეთა და სულის სიღრმეებიდან მომსკდარ, მაგრამ იმ წამს გაუცნობიერებელ ღელვას თავდავიწყებით აეტაცებინე! ლამის გეფიქრა, რომ ეს ქალი კი არ ტრიალებდა ნახევარწრედ შეკრებილ და როკვად, ბგერად და ჰანგად ქცეულ ბოშათა წინ, არამედ ცეცხლი, ხანძარი გაჩენილიყო, ამომსდარიყო მიწიდან და, ცოტაც და, ყველაფერს — მთელ დედამიწას — სულიერ-უსულოიანად გადაბუგავდა. მერე მეორე კოცონი აბრიალდა, შემდეგ — მესამე, მეოთხე, მეხუთე და ბოშათა მთელი ბანაკი მობრიალე კოცონებს დაემსგავსა. ქვეყანას ხანძარი ეკიდა!

ამგვარ სიმხურვალესა და თავდავიწყებას რა გაუძლებდა და, როდესაც ყველაზე უფრო მობრიალე ცეცხლმა თქვა: მოდით, ვისაც გსურთ, გითხრათ ბედი თქვენიო, — აბა, ბიჭი იყავი და, არ დაგეჯერა! ეს სასწაულს დამატებული სასწაული იყო.

მერე იმ ღამეს, ვინ იცის, სოფლის რომელ კუნჭულში იშიფრებოდა და იშიფრებოდა სოფლელთა ბედი, რომელი ყანის პირას და რომელი ბუჩქის ძირას გიზგიზებდა და გიზგიზებდა ენით აუწერელი სიმხურვალის კოცონი. თითქოდა, ეს იყო რაღაც, ჯერ კიდევ ბოლომდე დაუსიზმრებელი სიზმრის აცხადება, თუ პირიქით — მძიმე და ეკლიანი ცხოვრების წამიერ ტკბილ სიზმრად ქცევა.

არ ვიცი, და შესაძლოა, მაშინ არც იმდროინდელმა სოფლელებმა იცოდნენ, თუ რომელმა ბოშა ქალმა მაგიური ჩურჩულითა და ჟრუანტელით შეატოვა სოფლელთა ხელისგულს ასეთი, თითქოდა წინაადმდეგობრივი წინასწარმეტყველება: ადრე თუ გვიან ეგ დათვი ადგილობრივი მკეთდრის ხელით ჩაძაღლდება, მაგრამ იმასაც ვხედავ, რომ მაგ ურჩხულს აქაური იარაღით სიკვდილი არ უწერიაო.

ამ ცნობამ ელვის სისწრაფით, შეიძლება ითქვას, ჭორზე უსწრაფესად მოიარა სოფლის ყოველი კუთხე-კუნჭული და მეორე დილით, განთიადისას, როცა თითქმის ნახევარი სოფელი შეიყარა გაანპირა ბორცვზე, რათა თვალი ედევნებინა, თუ როგორ შეუერთდნენ ვარდისფრად აფერადებულ ჰორიზონტს სოფლიდან მიმავალ ბოშათა ჭრელა-ჭრელა კარავებიანი ოთხთვალები, ეს წინასწარმეტყველება ლამის რაღაც ძყარ ნივთად იქცა, ხოლო აქ მოსულ სოფლელებს ისეთი განცდა ჰქონდათ, თითქოს ეს ნივთი მათთვის ბოშებს რაღაც-რაღაცებზე გადაეცვალოო.

და იყო კიდევ რაღაც, რაც დაეტოვებინათ ძუძუებმოთახთაბე და თეძოებმოთამაშე ბოშათა ასულებს თუ, ხელისგულებიდან და თვალებიდან ცეცხლის ნაპერწკლებს რომ აკვესებდნენ, ისეთ შავ რკინად ქცეულ ვაჟკაცებს. და იყო კიდევ რაღაც, რაც წაელოთ და რაც ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩანდა, როგორც ჰაერი, მაგრამ ისე იგრძნობოდა, როგორც დილის ნიავი.

მერე, უბრალო დამთხვევა იყო თუ ბოშებს საგანგებოდ მზის მიმართულებით აეღოთ გეზი, ზუსტად იმ ადგილიდან, სადაც ისინი ცას შეუერთდნენ, ვარდისფერი ნისლის ფარდა გადაეხსნა და მზემ გამოანათა.

— ოო! — ამოიქშინა, ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ გლეხის ყველაზე უმცროსმა შვილმა და საკინძე ჩაიხია.

ცხელოდა.

არ ვიცი, ამ ამბიდან, ესე იგი, ბოშათა სტუმრობიდან რამდენი ხნის შემდეგ, რადგან ეს ჩემთვის არც ბაბუაჩემს უთქვამს და, როგორც ჩანს, არც მისთვის გადმოუცია თავის ბაბუას, იმისთვის კიდევ — იმის ბაბუას და ასე შემდეგ, მაგრამ ერთი რამ, ალბათ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას: თითქმის ისეთნაირად ამოდიოდა მზე ამ სოფელში, როგორც ბოშთა გაცალების დღეს ამოვიდა, და მიუხედავად დილის ნიავისა, მაინც ისეთნაირად ცხელოდა, რომ ერთ თითქმის ჩვეულებრივ საღამოს გლეხის საკინძჩახეულმა უმცროსმა ვაჟმა სთხოვა თავის ერთ-ერთ გაუთხოვარ დას: თუ გიყვარდე, ეგ საკინძე ამომიკერე ერთი კოხტადო.

მაგრამ აქ გვეყოს უნდა კეთილსინდისიერება, მით უმეტეს, თუ დასაძრახი ან სამარცხვინო არაფერია ამაში, და ისიც უნდა ვალიაროთ, რომ ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ გლეხის უმცროსი, საკინძეჩამოხეული შვილის იმ გადაწყვეტილებაში, რომელიც მის მიერ ნათქვამ სიტყვებში ჯერ კიდევ გაუშიფრავი ბედივით იდო, ამ ჩვეულებრივად ამოსულ მზეზე, ამ ჩვეულებრივად მქროლავ მსუბუქ ნიავზე და ქოხის ჩვეულებრივად ჩახუთულ ჰაერზე არანაკლები წვლილი ედო იმ — ცოდვა გამხელილი სჯობია და — ცოტა არ იყოს, ზერელედ ამოლეცილ ლობიოსაც, რომელიც საკმაოდ მოზრდილი ქოთნიდან გადმოელო მისთვის დედამისს, და მიუხედავად იმისა, რომ ქალს, რამდენადაც შეეძლო, სამართლიანად გაენაწილებინა, მეწისქვილის ნაბოლარა ბიჭს მაინც სევდიანად გაეფიქრა: კბილებშუა ხომ არ ჩამრჩა, ნეტავ, მუცლამდე არც კი ჩაუღწევიაო?! მერე ლობიოში მოხვედრილი ტყემლის კურკა გამოელო პირიდან და ისეთნაირად დაჰკვირვებია, თითქოს ხელისგულზე გზის მაჩვენებელი ნატვრისთვალი დებოდა.

არც ის იქნებოდა სწორი, გვეთქვა: უმცროსი ბიჭის გადაწყვეტილება მის მშობლებს ამაზე უფრო მეტად გაუკვირდათ, ვიდრე ის, ვთქვათ და, მას რომ განეცხადებინა: რამდენ ხანს ვატარო ეგ საკინძეჩახეული (თუ კიდევ სხვა რამეს არ დაუმატებდა) პერანგი, ბოლოს და ბოლოს ახალს როდისღა მიყიდითო. ხოლო ბიჭმა, ოთახში უცაბედად გამეფებულ სიჩუმეს და მოჩერებულ რამდენიმე წყვილი თვალის მზერას რომ ვერ გაუძლო, თავი დახარა, ხელისგულზე მოქცეულ ტყემლის კურკას თითქოს სინჯავსო, მეორე ხელის თითით დაუწყო წვალება და თქვა:

— წავალ ერთი, ქვეყანას ვნახავ... ბედს ვეწიო იქნებ!

თუმცა არც დამშლელი იყო ვინმე და არც მომწონებელი, მაინც, რატომღაც, მოუთმენლად, უცბად დაუმატა:

— რაც უნდა იყოს, მაინც ვერავინ გაექცევა თავის ბედისწერას!

და, ალბათ, არც ღირს იმის ხაზგასმა, რომ იმ ბიჭის გულაჩვილებულ დას ცდა და მონდომება არ დაუკლია, რამდენადაც თვით პერანგი იძლეოდა ამის საშუალებას, საგულდაგულოდ ამოეკემსა და გაელამაზებინა იგი.

ხოლო მეორე დილით, როცა გლეხის საკინძეამოკემსილი ბიჭი მზის ამოსვლამდე დაადგა გზას ზუსტად იმ მიმართულებით, საითაც მიეფარნენ თვალს ჭრელ-ჭრელკარვებიანი ოთხთვალები, გოგომ მორიდებულად იკითხა:

— ის ბოშები ზუგდიდში ცხოვრობენ?

— ზუგდიდს აქეთ მხარეს რა უნდა, ბოთვ?! — ჩაიბურდღუნა გლეხის ერთ-ერთმა ბიჭმა და თუმცა არც მამის შეშინებია, არც დედის, მით უმეტეს — არც

თავისი თმადაუვარცხნელი დაიკოსი, ერთი ლაზათიანად არ წაუთაქებია მისთვის თავზე, როგორც ამას სხვა დროს სამართლიანობა, წესი და რიგი მოითხოვდა.

ვერ გეტყვით და, ალბათ, ამას ვერც ვერავინ გეტყოდთ მაშინაც: სოფლიდან გზის გაკვალვა ქარბორბალასავით, სრულიად მოულოდნელად შემოჭრილ ბოშათა ბანაკს ჩაეთვალა აქტივში თუ ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ გლეხის საკიმეჩამოხეული ბიჭს, მაგრამ ერთი რამ ცხადია: იმ გაკვალულ ბილიკს მერე ერთი და ორი ბედისმძიებელი როდი მიჰყვა. და თუ თავდაპირველად ამ გაკვალულ გზას ისე ემჩნეოდა, ცხრა შვილი რომ ჰყავდა იმ გლეხის ბიჭის და ამ გზით წასულ სხვა სოფლელთა ნაკვალევი, როგორც სოფელში დარჩენილი მათი და-ძმების პერანგებსა და შარვლებს — ნაკემსარები, მერე და მერე, დადგა დრო და, ეს გზაც ისე გადაიტკეპნა, გადაიბეგვა და ისეთი ორგანული, განუყოფელი ნაწილი გახდა აქაურობისა, როგორც მის პარალელურად თუ პერპენდიკულარულად (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს) სოფლის შუაგულში გამავალი მდინარე, რომლისთვისაც, სრულიად მისახვედრი მიზეზის გამო, მაგანა, ესე იგი, ნამგალა უწოდებათ. ეს მდინარეცა და ეს გზაც სოფელს თითქოს მასაზრდოებელი ფესვებივით გაედვა აქეთ-იქით და, როგორც ხე ნადაგიდან, ისე იწოვდა ამ სამყაროდან იმ მინიმუმს მაინც, რაც საჭირო იყო არსებობისათვის თუ იმ პროცესებისათვის, რაც, ასე თუ ისე, უზრუნველყოფდა, უფრო სწორად — შეუნარჩუნებდა აწმყოსაც და მომავლის იმედსაც. როგორც მაგანას შემოჭქონდა სოფელში შემოსატანი და გაჰქონდა გასატანი, ასევე ამ გზასაც გაჰქონდა და შემოჰქონდა თავის გასატან-შემოსატანი. როგორც მდინარე ჩაბმულიყო დასაბამიდან მუდმივ მოძრაობაში, ასევე გზაც, გაჩენიდანვე შეერთებოდა სოფლის ამ უცვლელ კანონს — ღონისა და სიცოცხლის მომცემს. და აწ, როგორც არ შეიძლებოდა ერთის შეწყვეტა, ისე არ შეიძლებოდა მეორის შეჩერება...

ჰოო, დათვს კი, ჩემი ბატონო, როგორც ამბობდნენ და, ვგონებ, ასეც იყო: ისე არ აწუხებდა იმ მეორე ფესვის გაჩენა, როგორც არასდროს შეუწუხებია პირველის არსებობას. კვლავ ძველებურად, მოულოდნელად და, შეიძლება ითქვას, უცნაურადაც მოადგებოდა სოფელს. კვლავ შეიძლებოდა გეთქვა: წაადგა თავს სოფელს, ანდა — შემოვიდაო, ან კიდევ — დაატყდაო, წამოეპარაო თუ კიდევ სხვა რამ. რაც უნდა გეთქვა, ისევ და ისევ სიმართლე იქნებოდა. და სამართლეც იმიტომ იქნებოდა, რომ სინამდვილეში ამგვარად ხდებოდა.

ახე ხდებოდა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს სოფლის განაპირას, ბორაკზე მოთამაშე ბავშვებმა ერთხმად არ ატეხეს ყვირილი: გამოჩნდა, გამოჩნდაო!..

არა, არც ამჯერად ამტყდარა დათვის გამო ამგვარი ალიაქოთი. არც მდინარეზე გამოჩენილა მოტივტივე მორები. ახლა ჯერ კიდევ ადრეული ზაფხული იდგა და, წესისა და რიგის მიხედვით, არც ერთი უნდა გამოჩენილიყო და არც მეორე.

ვიღაცა მოდიოდა გზაზე!

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ამაში უნდა ყოფილიყო რამე განსაკუთრებული და უცხო, რადგან ამ გზაზე, როგორც უკვე მოგახსენეთ, ვიღაცა თუ რაღაცა ყოველთვის მოდიოდა და მიდიოდა. იმ ბორაკზე მოთამაშე ფეხშიშველა და სანახევროდ ტოტლიკანა ბავშვებიც აშვეიათად როდი ტეხდნენ ამგვარ ალიაქოთს, მაგრამ ეს დღე შემდეგ მომხდარმა შემთხვევამ გამოარჩია. მერე, თავისთავად, ისე ამოატივტივა მეხსიერებიდან, აი, როგორც წიგნის კარადას მავდებით ხოლმე და იქიდან იმ წიგნს ამოვარჩევთ, რომელიც რაღაც მიზეზის გამო დავეჭირვებია.

ვიღაც მოდიოდა გზაზე და რაღაც უცხო მელოდიას ისეთნაირად, უდარდელად, დარდიმანდულად თუ ჯიუტად (იმ ბორაკზე მოთამაშე ბავშვებიდან მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე ზოგი ასე ამბობდა, ზოგი ისე) უსტ-ვენდა, გეგონებოდა, ერთი იმხელა გზა კიდევაა აქეს გასაფელი, რაც აქამომდე გამოუფლიაო. მარჯვენა ხელში ოთხკუთხა, მოზრდილი ჩემოდანი ეჭირა, მარცხენა მხარზე კი საკმაოდ გრძელლულიანი თოფი ჩამოეკიდა. თოფის კონდახი ხანდახან ლამის კოჭებზე ეხეთქებოდა და ამ დროს ლუკა, რაღაცნაირად, შავ-თეთრად რომ პრიალებდა, მზის სხივებს ტყვეისფრად აკვესებდა.

როცა იმ გორაკს მიაღწია, სადაც ბავშვები თამაშობდნენ და ახლა ცნობისმოყვარეობის გამო პირდაღებულნი და გაშეშებულნი იდგნენ, კაცმა სტვენა მიატოვა, შედგა. სოფელს გადახედა, მიმოავლო თვალი, თითქოს უნდა დარწმუნებულიყო, ღირს თუ არა სოფელში ასე, სტვენა-სტვენით შესვლა, თუ უფრო სერიოზული და დინჯი კაცის იერი მივიღოო.

ზუსტად ვერც ამას გეტყვით, ჩემო ბატონო, — არ ვიცი, ეს იქნებ თვითონაც არ მიკითხავს, როცა ბაბუაჩემი მოყვებოდა ამ ამბავს; ის კი არა, შესაძლოა, მასაც არ მიექცია მაინცდამაინც დიდი ყურადღება ამისათვის. გამორჩეული არც ის არის, რომ დრო-ჟამმა მასაც გადააყარა თავისი ბურუსისფერი მტვერი. და თუ ასეა, ალბათ, იმიტომ, რომ მერე და მერე არა ერთი და ორი შემოვიდა სოფელში მხარზე გადაკიდებული იმგვარი თოფით, რომლის კონდახსაც, ერთი შეხედვით, მოკრძალების აღმძერელი უცხოური, გაუგებარი და, მაშასადამე, იდუმალი წარწერა ამკობდა. ასე თუ ისე, პირველად შემოსული კაცის ვინაობა „ქალაქელების“ ზოგად სახელში გაითქვიფა და გაწქარდა. თითქოს ამ სიტყვამაც კი ახალი შინაარსი შეიძინა: სამასი წელი რომ გეცხოვრა და აქედან ორას ოთხმოცდაცხრამეტი ქალაქში გაგეტარებინა, ქალაქელიაო, ვერავის თქმენენებდი, სოფელში მხარზე თოფგადაკიდებული თუ არ შემოხვიდოდი, და რახან ამდენი ხანი გადაიკარგებოდი და მოანატრებდი სოფელს თავს (თუ საერთოდ გაახსენებდიდი!), რაღა ბედი გაგიწყრებოდა და ზუგდიდის ბაზარში ნაყიდი ფილთაქვით, ესე იგი, კაეის თოფით მოელინებოდი აქაურობას?!

— ოო?!. — ამ ორი, სრულიად გასაგები ბგერით გამოუხატავს თავისი აზრი პირველად ამგვარად შემოსული კაცის პირველივე შემხვედრ სოფელელს და მერე ეს ორი ბგერა გადამდები სენივით მოსდებია ყველას, ვისაც ხელში დაუჭერია ბედის მაძიებლის მიერ სოფელში შემოტანილი, მანამდე არნახული სიმშვენიერის და უფრო მეტი ეგზოტიკის მფრქვეევი იარაღი. თუმცა, უფრო ზუსტი იქნება, ალბათ, გვეთქვა: ამ ეგზოტიკას თავად თოფი კი არ „აფრქვევდა“, არამედ — მის კონდახზე მყარად მიმაგრებულ მუქ-ვერცხლისფერ ფირფიტაზე ამოტვიფრული ასოები, რაც, სოფლელთა მტკიცებით, უთუოდ „ფრანციული“ ან „ნემეცური“ ან „ანგლიური“ უნდა ყოფილიყო. ვერ გეტყვით, რას ემყარებოდა ეს მოსაზრება, მაგრამ დღევანდელი რომელიმე პოლიტიკური პარტიის „უცილო“ ჭეშმარიტებასავით რომ იყო სოფელში, ეს ფაქტია. ერთი შეხედვით, შეიძლება გეფიქრა, ეგ აზრიც იმ თოფივით შემოვიდა (თუ შემოიტანეს) სოფელშიო. თუმცა, ესეც უნდა ითქვას, ისეთებიც ყოფილან, რომლებიც ამტკიცებდნენ თურმე: ეს აზრი რომელიღაც, ერთ-ერთ თანასოფელეს ეკუთვნის, უფრო ადრე რომ გაუდგა ბოშათა ბანაკს (აგრეთვე —ცხრა შვილი რომ ჰყავდა, იმ გლეხის ნაბოლარა შვილის) ნაკვალევს, ვიდრე იმ პირველი თოფის შემომტანი, მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი მისი თანატოლივით ხელმოცარული დაბრუნდა უკანო. ხოლო მაშინ, როცა განაცხადა: ეგ თოფი ფრანციულია ან ნემეცური ან ანგლიურიო, — ამით უმალ თავისი განსწავლულობასათვის ხაზგასმა უნდოდა, ვიდრე ჭეშმარიტების დადგენაო.

ერთი სიტყვით, უკვე მაშინ ყველაფრიდან ჩანდა, რომ იმ ბოშა ქალის, ვინ იცის, როდის-როდის (ამ დროისათვის

უკვე!) მაგიური ჩურჩულით ნათქვამ სიტყვებს ასრულება ეწერა. ოღონდ ეგაა, რომ ამასთან დაკავშირებით ამ ამბის სხვადასხვა ვარიანტი არსებობს. ერთის მიხედვით, წუთისოფლის ტრიალში ჩაყოლილ თუ ჩათრეულ სოფელებს, არა თუ ბოშა ქალის (უფრო ინტიმურს რომ წაგავდა, ისეთი) ჩურჩული, საერთოდ ბოშათა ბანაკის მაშინდელი სტუმრობაც კი არ ახსოვდათ. მეორე ვარიანტის მიხედვით, ის მხარზე თოფგადაკიდებული კაცი ჯერ კიდევ გზაზე მიდიოდა, ბავშვებს ჯერ კიდევ არ აეტეხათ ყვირილი — გამოჩნდა, გამოჩნდაო! — როცა სოფელში დიდ-პატარა უკვე გრძნობდა რაღაც ახლის მოახლოებასო. ხოლო იმ კაცის შემოსვლა ამ წინათგრძნობის აცხადება თუ იყო მხოლოდო. თანაც ის კაცი ისე მიიღეს, თითქოს იმ ბოშა ქალს საგანგებოდ ეყიდოს მისთვის ეს იარაღი და ლოცვა-კურთხევით გამოეგზავნოს აქეთკენო. მესამე ვარიანტი კიდევ, რაღაც საშუალოა პირველსა და მეორეს შორის: მთლად ისე როგორ იქნებოდა, ვინმეს რომ არ გახსენებოდა იმ ბოშა ქალის ნათქვამი.

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ გითხარით, პირველი უჩვეულო რამეც იმავე წელს მოხდა: ისე გავიდა ზაფხული, შემდეგ — შემოდგომა, და ისე გადაეხურა სოფელს ზამთარი, რომ დათვი ახლოსაც არ გაჰკარებია ყანებს და ფარეხებს, არც მაგანის წყალი უმღვრევია და არც ბღავილით გაუხეთქია გული სოფლელებისათვის. უფრო მეტიც: დათვი არც მეორე წელს გამოჩენილა და არც მესამეს. შესაძლოა, გულმა რაღაც ავი უგრძნო და არჩია, კუჭი შიმშილით აწვოდა, ვიდრე ის, რომ არაფრად ჩაეგდო ხიფათის მაუწყებელი წინათგრძნობა. არც ის არის გამორიცხული, რომ ამ ხნის განმავლობაში თავის თავში ებრძოდა ამ ამაფორიაქებელ, მტკივნეულ განცდას და ერთი სული ჰქონდა, სოფელში შემოსვლის ჟინი ძველებურად დაეცხრო.

ისე კი, სხვადასხვა ვერსია აქაც არის. ზოგიერთი ორ-სამ წელიწადს კი არა, მეტსაც ასახელებს. ისიც შესაძლოა, რომ არც არაფერი ყოფილიყო ამაში უჩვეულო და ამგვარი რამ ადრეც ხდებოდა, მაგრამ დრომ, მაშინ რომ მოსავალს უწოდებდნენ, თავისი ლოგიკის ძალით, ეს ეპიზოდი გამოარჩია სხვა დანარჩენისაგან...

გაზაფხულის პირველი ყვავილის შვებისმომგვრელი სურნელი თავის განუმეორებლობასა და ხიბლთან ერთად, ნებისით თუ უნებლიედ, კვლავ მოგაგონებდათ ხოლმე იმ მძაღე სუნს, დათვი, მიუხედავად თავისი ბეწვის ბრწყინვალებისა, მაინც რომ ტოვებდა მაშინ სასიფლაოს დამსგავსებულ ფარეხში, ყანაში, მინდორში თუ ორღობეში, — ყველგან, სადაც ფეხს დაადგამდა. ტოვებდა თავის უზარმაზარ, შიშისმომგვრელ ნაფეხურებთან ერთად.

მზის სხივების სახნისით გადახსნილი მიწის გულიდან სიცოცხლისა და იმედის ოხშივართან ერთად, ისევ და ისევ ამოჰქონდა ეს მძაღე სუნი. იგი მყის შეგახსენებდათ თავს ხეხილის ბაღების დამათრობელი სურნელების შეგრძნებასთან ერთად, ზვრებში დასკდომამდე დატენილი და ქარვისფრად ქცეული მტევნების დანახვისთანავე. ეს სუნი კოჟრებად ქცეული, დახეთქილი ხელისგულებადანაც გდიოდათ და გეგონებოდა, ვერა და ვერ მოიშორებდი, რაც უნდა გეზეხა ქვიშითა...

და, რა თქმა უნდა, რა გასაკვირი უნდა ყოფილიყო იმაში, რომ სოფლელი მამაკაცები, როგორც კი მოსავალს სიმწიფე შეეპარებოდა, ისევ აისხამდნენ იარაღს, ისევ ჩაეწყობდნენ აბგებსა და ზურგჩანთებში ორიოდე დღის საგზალსა და ტყვია-წამალს, სარტყელში ნაგაზებს გაირჭობდნენ, მერე ტყის პირას გაიშლებოდნენ, გაიფანტებოდნენ და თოფების ბათქაბუთქით ნელ-ნელა, დიდი სიფრთხილით აუყვებოდნენ ტყეს მაღლა. ბუნებრივია, სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა და, თუ სადმე, ახლომახლო, ამ არემარეში დათვი მართლაც არ იყო ჩამოსული, ისიც საქმე იქნებოდა, თუკი მის მძაღე სუნს მაინც არე-

კავდნენ მაღლა, რაც შეიძლებოდა შორს, იქამდე, საიდანაც არც დათვს და არც ქარს არ უნდა შემლებოდა, იმ წელიწადს მაინც, მისი ისევ სოფელში შემოტანა. დიახ, ისე გამოდიოდა, თითქოს ‘ნაღაც ტრადიციულ-სახალხო-სიმბოლურ, მაგრამ აუცილებელ რიტუალს ასრულებდნენ. და, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად ასეც იყო.

ისიც სიმბოლური გახლდათ, რომ ამ განახლების მაცნენი სოფლის განაპირას, მაგალას ნაპირზე შეგროვილი და დადარაჯებული ყმაწვილები იყვნენ.

„ეოდის, ეოდის!..“ — ატყდებოდა ჟეილ-ხეილი, როცა დათვის კვალს თუ დათვის სუნს ფეხდაფეხ მიყოლილი მამაკაცების მიერ მდინარეზე დაცურებული მორება გამოჩნდებოდა. სოფელი შვებით ამოისუნთქავდა, რადგან ეს ჟეილ-ხეილი იმის ნიშანიც იყო, რომ მამაკაცები საჭირო ადგილამდე მშვიდობით მისულიყვნენ, ისეთი რამე არ მომხდარა, მათთვის ხელი შეეშალა, — უკან მობრუნებისას მდინარის ხეობას ჩამოჰყოლოდნენ და მის ნაპირებზე დაგროვილი მორება დაეცურებინათ. ხალხს ხალისი ემატებოდა, ვისაც ოდნავ მაინც შესწევდა ძალა და იმდენი ხელისმოსმა კი შეეძლო, რომ წყალში არ დამხრჩვალიყო, მდინარეში შეცვივდებოდა და იწყებოდა ხეების შეცურება-შექუზება წინდაწინ სათანადოდ მოწყობილ უბეში. იმდენი შეშა გროვდებოდა, რომ ორ სოფელს გაზაფხულამდე თავისუფლად ჰყოფნიდა.

მეორე უჩვეულო ამბავი, დათვი კვლავ რომ გამოჩნდა, იმ დროს მოხდა. თუმცა, უფრო სწორი იქნებოდა, თუ ვიტყვით: თვითონ დათვი გამოჩნდა უჩვეულოდ. ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს სოფლის განაპირას მცხოვრები ელეხის ქოხის კარს ვიღაცამ ბრაგაბრუგი აუტეხა. ძილ-ღვიძილში მყოფ ელეხს გაჭირვების ჟამს კარს მომდგარი მეზობელი ეგონა, კარი სასწრაფოდ გააღო და სანამ გონს მოვიდოდა, ლავიწჩამსხვრეული, უკვე ქოხის კუთხეში ეგდო. ელეხს ქოხში რა უნდა ჰქონოდა, მაგრამ, რაც ჰქონდა და ვინც დახვდა იქ, დათვმა ღრიალ-ღრიალით ჭვეშტრის ცომივით აზილი ერთმანეთში, შემდეგ ისე მიადგა მეორე ელეხის ქოხს და ისე შეუმტვრია კარი, თითქოს ძალიან საშური საქმე ჰქონდა და ეშინოდა, ვერ მოვასწრებო.

უნდა თქვას, რომ ამ ეპიზოდის ზუსტი ვერსიაც არ არსებობს. ზოგის მიხედვით, დათვმა იმ ღამეს ნახევარი სოფელი მიბეგეა, დაასახიჩრა და დააკცა, ზოგიც ორ-სამ ოჯახს ასახელებდა, სხვას კიდევ მიაჩნდა, რომ იმ პირველი ელეხის სახლში ამტყდარმა ალიაქოთმა მყის ფეზზე წამოყარა მთელი სოფელი. ასე იყო თუ ისე, ერთ რამეში ყველანი ეთანხმებოდნენ ერთმანეთს: როგორც ჩანს, ასაკი მხეცებშიაც თავისას შვრება და სიბერეში დათვი გაგიჟდა (თუ გაცოფდაო)! აბა, რა მოხდებოდა ისეთი, რა ჭირი დაეტაკებოდაო?!

მე რომ მკითხოს კაცმა, იყო ამაში რაღაც, ბედისწერის მაგვარი. დათვი ხომ ადრე არასოდეს დასხმია თავს ადამიანებს. მით უმეტეს, — სახლში არავის შეევარდნია. ამჯერად კი ისე მომხდარიყო, გვერდი აევლო მოზმუილე ძროხებისა და მოპეტელე თხებისათვის, არაფერს მორიდებია და პირდაპირ ადამიანებს ისე დასხმია თავს, თითქოს საბოლოო ანგარიშსწორების ჟამი დამდგარიყოს. სინამდვილეშიც, კაცმა რომ თქვას, ასეც მოხდა. ოღონდ ეგ იყო, თავი რომ გემტვრია, ვერ მიხვდებოდი, ალბათ, რა ჟინი, რა მოტივი, რა მიზეზი თუ სხვა რამ ედო სარწყლად ამ ანგარიშსწორებას, თუმცა უფრო ზუსტი იქნება, თუ ძალზე ბუნდოვანი არ გამოვა და ვიტყვით: — ამ უთითერთმიმართებას, რა თქმა უნდა, რაღაც საბოლოო შედეგამდე ისედაც უნდა მიეყვანეთ. წინათგრძნობა და ინსტინქტი, მოგეხსენებათ, ნადირს ადამიანზე უფრო აქვს გამახვილებული. ჰოდა, გაგიჟდებოდა, გაცოფდებოდა, აბა, რა იქნებოდა?!.

თურმე ამ არეულ-დარეულობაში თოფის ხმაც არავის გაუგონია. მხოლოდ

ისღა დაუნახავთ, უზარმაზარი მთა, რომელიც რაღაც სასწაულის ძალით სოფელში ჩამოგორებულიყო და რაც გზაზე შეხვდებოდა, მიწასთან ასწორებდა ყველაფერს, ერთბაშად როგორ შედგა, მერე თითქოს ზე აიწია და იქვე, მიწყვეტით ჩაზვავდა. დიდი თუ პატარა ჯერ კიდევ აქეთ-იქით უთავბოლოდ გარბოდა, როცა მეორე უცხოური თოფის პატრონი პირველზე არანაკლებ უშიშრად მიახლოებია უკვე მართლაც მთასავით უძრავ დათვს და ყოველ შემთხვევისათვის, ერთი ტყვია კიდევ დაუხლია.

ᲚᲘᲝᲜᲘᲡ სამი, ყველაზე საუკეთესო მონადირე დილადანვე შეუდგა დათვის გატყავებას და საღამოდე ძლივს მორჩნენ თურმე. მერე ის ტყავი ოთხ კაცს აუღია და ძლივს ჩაუტანიათ სოფლის ცენტრში, სადაც იმ საღამოს თითქმის მთელი ჯვარი და ახლო-მახლო სოფლები შეკრებილა. უმსჯელიათ, უმსჯელიათ და ჯვარელებს ასე გადაუწყვეტიათ: დათვის ტყავი აი, იმ უზარმაზარ რცხილაზე გავაკრათ, რათა ყოველმა შემოსულმა იცოდეს, ვისთან და რა ხალხთან აქვს საქმეო!

გადაუწყვეტიათ და კიდევაც გაუკრავთ ტყავი ხეზე.

ვერ გეტყვით, მერე რამდენი ხანი ეკიდა ის ტყავი აქ. რატომღაც ისე მოხდა, რომ დათვის მოკვლიდან იმ ტრაგედიამდე, რომელიც თქვენ ასე გაინტერესებთ, ზოგიერთი რამე, ისიც რატომღაც ძალზე ბაც ფერებში, თუა შემორჩენილი. ისე კი, თუ კარგად ჩაუკვირდებით, აქვს ამასაც თავისი ახსნა, მაგრამ, ბუნებრივია, თქვენ თვით ფაქტები უფრო გაინტერესებთ, ვიდრე მათი ჩემეული შეფასება, მათდამი ჩემი დამოკიდებულება.

დათვის სიკვდილით სოფელმა უზარმაზარი საფრთხე და საზრუნავი გადაიგდო ზურგიდან, შვებით ამოისუნთქა. არც ხვნა-თესვა უნდა დაზარებოდა კაცს, არც საქონლის მომრაველება და არც სხვა რამ, რადგან ის, რასაც გააკეთებდი, იშრომებდი და მოიწევდი, შენი იქნებოდა, უნებლიე მოწილე არ გამოვიჩნდებოდა. ასე რომ, სოფელს არა მარტო შვებით უნდა ამოესუნთქა, სულიც უნდა მოეთქვა, მოღონიერებულიყო და წელში გამართულიყო. და თუმცა, ამის შესახებ სხვადასხვა აზრი არსებობს, მე მგონი, რომ ასეც მოხდა. არც ამდენი აზრთა სხვაობა იქნებოდა, ის ახალი, სრულიად მოულოდნელი უბედურება რომ არ დასტეხოდა თავზე სოფელს, თანაც — იმ დროს, როდესაც გეგონებოდა, რომ არავითარი საფრთხე არსაიდან მოელის და სმა-ჭამისა და დროს ტარების გარდა, საზრუნავი არაფერი აქვსო, როცა გარეგნულად ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს იმ ერთი, უფრო ზუსტად — ორი გასროლით, ერთბაშად აღიქმულ ქვეყანაში მოხვედრილიყვნენ.

ერთ რამედ ღირდა სოფლელთა ის თავმომწონე ფარული ღიმილი, რითაც რომელიღაც შორი ქვეყნიდან ჩამოსულ კომერსანტს (როგორც თარჯიმნის მეშვეობით წარმოადგინა თავი) უმასპინძლეს. იგი თავისი ჭრელი პიჯაკით, ასევითვე კეხიანი ქუდით, გაპრიალებულ „ბაშმაკებში“ ჩატანებული გალიფე შარვლით და ილღიაში გაჩრილი ჯოხით, რომელსაც საუბრისას უფრო ხშირად იყენებდა, ვიდრე საირულის დროს, ცირკის მსახიობს (ახლანდელი თვალსაზრისით) უფრო ჰგავდა, ვიდრე (მისივე სიტყვით) „მნიშვნელოვანი საქმის გამო“ ამ სიშორეზე ჩამოსულ საქმოსანს.

ვინც ამ ამბავს ესწრებოდა, ყურს არ დაუჯერეს და კიდევ ზედიზედ ორჯერ გაამეორებინეს თარჯიმანს. არადა, ცოტა არ იყოს, მართლაც ძნელი დასაჯერებელი იყო არა მარტო ის, რომ ამხელა გზა — ვინ იცის, რით და როგორ — გადმოელახა ტყავის გულისთვის, არამედ უფრო ის, რომ ამ ტყავის ამბავი იქ, ამ სიშორეზე ჩასულიყო. თუმცა, უფრო დაუჯერებელი რამ მოგვიანებით თქვა, როცა სოფელთა დაბნევა თავისებურად, ყოყმანის ნიშნად მიიღო და

დათვი

სანაცვლოდ ისეთი თანხა დაასახელა, ვინც იქ იდგა, ყველას (თარჯიმანსაც კი) ფერი წაუვიდა.

უკვე თავისთავად გასაგები გახდა, რომ ასეთ რამის ასე ერთბაშად გადაწყვეტა არ შეიძლებოდა და კომერსანტი, რომელსაც, როგორც მერე მოვიდა ამბავი, ქალაქში ყველაზე კარგი სასტუმროოთახებიანი დუქანი მთლიანად დაექირავებინა, მეორე დღისთვის დაიბარეს. თვითონ კი, როგორც ადრე ხდებოდა სოფლისათვის ფრიად მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტისას, დასხდნენ იმ ხის ძირას, რომელზედაც უკვე საქვეყნოდ ცნობილი (როგორც გაირკვა) დათვის ტყავი იყო გაკრული და მოჰყვნენ მსჯელობას. ყველას, ვის სიტყვასაც ფასი ედო ხალხში, თავისი აზრი გამოუთქვამს. ჭრელპიჯაკიანი კომერსანტის მიერ შემოძღვეული თანხა სოფელს მომავალში არნახულ, ზღაპრულ ფერებში ცხოვრების მომხიბლავ პერსპექტივას აძლევდა და, რა გასაკვირაა, თუკი უმრავლესობას სწორედ ამისდა მიხედვით გადაეწყვიტა. სწორედ მაშინ ამდგარა ის მერონვურე-ოსტატი და დიდი ტაქტით უთქვამს ასეთი რამ:

— კარ ვიცით, სხვა როგორ ფიქრობს და ჩვენ კი ასე გვგონია, რომ ჩვენი დაცემა და გათახსირება მაშინ დაიწყება, როცა ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, ამ დათვის ტყავს გავყიდით!

მაგრამ ეს საერთოდ, და მით უმეტეს მაშინ, აბა, რაღა საბუთი იყო. უფრო სწორად, რაღა ხელის ჩასაჭიდი საბუთი იქნებოდა. ხალხს, მოგეხსენებათ, ისეთი საბუთი უნდა, ყურს რომ ეამება ან თვალს ხიბლავს. აქ კი არც ერთი იყო და არც მეორე. ცოტა არ იყოს, გაუგებარიც ჩანდა. იქნებ უბრძნესი რამეც იყო, მაგრამ ბევრი ფიქრის დროც არ ჰქონდათ. კომერსანტს, კაცს, რომელსაც ამხელა გზა გამოეცალა, აბა, ამდენი სად ეცლებოდა, ხვალვე მიემგზავრებოდა: ის გზა, აქეთ რომ გამოეცალა, იქითაც ხომ ჰქონდა გასაცალელი. კომერსანტი იმიტომაა კომერსანტი, მით უმეტეს, — იმიტომაა მილიონერი თუ მილიარდერი, რომ დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავს. და თუ კომერსანტი დროს ტყუილუბრალოდ არ კარგავს, მით უფრო საფიქრებელია, რომ არც ფულს დაკარგავდა უაზროდ და ტყუილუბრალოდ. ჰოდა, ჩონგურების ოსტატსაც, ყურს რომ ეამებოდა, ისეთი საბუთის მოხმობაც მაინცდამაინც არ გასჭირვებია:

— ყველასათვის ცნობილია, კომერსანტებად მხოლოდ ჭკვიანნი და ანგარიშში რომ არ ტყუვდებიან, ისეთი ადამიანები ხდებიან. — აქ ცოტა შეყოვნებულა და თვალი მიმოუყლია შეკრებილთათვის: — კომერსანტი, როგორც წესი, ნაკლებში ზედმეტს არ გადაიხდის. ამიტომ რა თანხაც უნდა შემოგვაძლიოს, ეს დათვის ტყავი იმ თანხაზე უფრო ძვირი იქნება ყოველთვის.

ასე გადაურჩა მაშინ დათვის ტყავი სოფლიდან გატანას. იგი კვლავ მაღალ ხეზე გაშლილად ეკიდა და სოფელში საგანგებოდ მის სანახავად თუ სხვა საქმეზე შემთხვევით მოსულთა აღტაცებას იწვევდა. აღტაცებასთან ერთად, ბუნებრივია, რომ სტუმარს მასპინძლებისადმი პატივისცემისა და რიდის გრძნობაც უნდებოდა: ხალხი, რომელსაც ამხელა დათვი მოეკლა და მერე ხეზე ჩამოეკიდა, ამქვეყნად შემთხვევის წყალობით მოსულს არ ჰგავდა.

ზაფხულის ბოლოს ან შემოდგომის დასაწყისში სწორედ ამ ხის ძირას იკრიბებოდნენ იარაღასხმული და ზურგზე საგზალმოკიდებული მამაკაცები და აქედან იწყებოდა ამჯერად უკვე მართლაც მხოლოდ სიმბოლურ ტრადიციულ რიტუალად ქცეული „ტყისკენ სვლა“ და „დათვის მაღლა, მთებში არევა“ (როგორც გინდა, დავარქვათ). ამასთან, რაც დრო გადიოდა, მით უფრო საზეიმო ელფერი ეძლეოდა მას და თანდათანობით შორდებოდი ის შინაგანი ნიფაითით აღსავსე სულისკვეთება, რაც სამუდამოდ უსახლდებოდა სულში ყველას, ვინც დათვის ღრიალს ერთხელ მაინც, თუნდაც შორიდან, მოისმენდა: ამ სულისკვეთებას ახლა საკუთარი ხელით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოკოპიტებულ საკავზე მეჩონგურეოსტატის მიერ შესრულებული გულის მომწურავი სიმღერის ჰანგები აღანთებდა. ეს ჰანგები სოფლის რიტუალის ჟამის დადგომას შეახსენებდა და მოჯადოებულივით მიიყვანდა ხოლმე ხის ძირას... ისე მომხდარიყო, რომ დრის მეჩონგურისათვის დიდი ფუნქცია დაეკისრებინა. ჩონგურის ხმა მეხსიერების ყველაზე ღრმა ჯურღმულებში აღწევდა და მიეყენებულ ვრძნობებსა და განცდებს აღვიძებდა. ვერ გეტყვით, ჩონგურის ხმა შეარხევდა ჰაერს და მოებიდან ნიავი დაიძვრებოდა, თუ მეჩონგურე ფხიზლობდა ასე და სწორედ ისეთ დღეს შეარჩევდა, მთებიდან ნიავს რომ უნდა დაებერა — დათვის ტყავის ბეწვი მინდვრის ბალახივით იწყებდა ძღივე გასაგონ შრიალს და დათვის მძაღე სუნი, რომელიც ტყავს უდიოდა ხოლმე, გამჭვირვალე ნისლივით, ნელ-ნელა მოედებოდა სოფელს, ყველს სახლში შეაღწევდა და დიდ-პატარას უკლებლივ გარეთ გამორეკავდა... ამ სუნს ვერაფრით მოიშორებდი. თოფის წამლის სუნი იყო ერთადერთი წამალი. იცით, ალბათ, რაგინდ სპრინი ან სარეცხი საშუალება იხმარო, შაბიამნის ლაქებს ვერ მოიშორებ ხელიდან, — ერთადერთი, ძმარი აქრობს მას უკვალოდ. სწორედ რომ ამგვარი ძმრის ფუნქცია დაკისრებოდა თოფის წამლის სუნს. ამიტომ იყო, რომ მერე და მერე იმათ, ვისაც არ ჰქონდათ ვაგონილი დათვის ამბავი და, ბუნებრივია, არ იცოდნენ, თუ როგორ იქნა ჩამოკიდებული დათვის ტყავი სოფლის ცენტრში მდგარ ყველაზე მაღალ და ყველაზე ტანმსხვილ ხეზე, ეგონათ, რომ სოფლის ტრადიციული რიტუალი, რომელიც უფრო უწეველი აზრებას ჰგავდა, ვიდრე სოფლის არსებობისათვის აუცილებელ წეს-ჩვეულებას, სწორედ იმიტომ იყო გამოგონილი, რომ ნიავს ტყიდან წამოერეკა თოფების ბათქაბუთქისაგან ვაჩენილი ნაცრისფერი კვამლი და სოფლისთვის მოეფინა.

და ასე ეგრძელდებოდა...

შემოდგომას ზამთარი მოჰყვებოდა...

ზამთარს გაზაფხული ცვლიდა...

გაზაფხულს ზაფხული შეენაცვლებოდა...

ერთი სიტყვით, დედამიწა ტრიალებდა და ყოველ შემოტრიალებასთან ერთად, უწუმრად თუ თვალხილულად, რაღაც აკლდებოდა და ასევე რაღაც ემატებოდა. წუთისოფელს იმიტომ ჰქვია წუთისოფელი, რომ ყველაფერს, რაც აქ ხდება, თვალს ვერ მიადევნებ; რომც მიადევნო, ბუნებრივია, ვერც ახსნას მოუძებნი, ბურუსს ვერ გაარღვევ. ამგვარი ბურუსით იყო მოსილი მეჩონგურის გაქრობაც. ლამის გეფიქრა: ცით იყო, ალბათ, მოვლენილი და კვლავ ცად ამაღლდაო, თორემ ადამიანის, მიწის შვილის ასე უკვალოდ გაქრობა წარმოუდგენელი იყო. რომ არა მისი ჯადოსნური ხელებით წელმოყვანილი ჩონგურები, თითო მაინც რომ იყო ყოველი სოფლელის სახლში, რომ არა ის სიმღერები, ხალხი ახლა ისე რომ მღერდა, თითქოს მეჩონგურეს გუშინ, სადამოს შეექმნას, შესაძღოა, გეთქვა, არც არასოდეს ყოფილაო იგი ამქვეყნად. როგორც ჩანს, მზემ, ქარმა და წვიმამაც თავისი ჰქნეს: იმ ტყავსაც გაუხუნდა თანდათანობით თავისი ფერი და დაკარგა ის მძაღე სუნი, წელეწადში ერთხელ მაინც მოსვენებას რომ უკარგავდა სოფლის მცხოვრებლებს. ბუნებრივია, რომ ამასაც — ყველაფერ სხვასთან ერთად — მოუძღოდა თავისი წვლილი იმაში, რომ უნებურად თუ ბეღისწერის შედეგად, სოფლის თანდათანობით ფუნქციამოშლილი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. ალბათ, იმასაც უნდა ანგარიშის გაწევა, რომ დროსაც მოაქვს თავისი ახალი ტრადიციები, რომლებიც, ასე თუ ისე, ძველთა ადგილს იკავებენ. უბრალოდ, უკვე შეშის ჩამოსატანადაც კი არ მიდიოდნენ შორს. ტყე ერთი ხელის გაწვდენაზე იყო და კლდეღრე ხეტიალს, ორმაგ-სამმაგ ოფლის დენას რაღა აზრი უნდა ჰქონოდა? მდინარეს კი თითო-ოროლა ხის მორი თუ ჩამოჰქონდა, ბოლოს ისიც შეწყდა. ახლა რომ გეთქვა: ამ წყალს თავის დროზე იმდენი შეშა ჩამოჰქონდა, ორ სო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფელს თავზესაყრელად ჰყოფნიდაო, არც დგებოდნენ. თუმცა ისე ჩანდა, რომც დაეჯერათ, ამით არც არაფერი მიეტტებოდა სოფელს და არც არა დაკლდებოდა რა. სოფელი ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდა: ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, ჭამდა, სვამდა... ხელსაც არავინ უშლიდა, და არც არსაიდან ჩანდა საფრთხე.

კოდა, იმას ვამბობდი, რომ... — მოხუცს აღელვება დეტყო და მაგიდაზე სიგარეტის კოლოფს გადასწვდა. — სოფელი ჩვეულებრივი, ნორმალური ცხოვრებით ცხოვრობდა: ხნავდა, თესავდა, საქონელს უვლიდა, ჭამდა, სვამდა, აშენებდა. ცხოვრება წინ მიდიოდა. თითქოს ნანატრი დრო დამდგარიყო, არსაიდან ჩანდა საფრთხე. სიმშვიდე და მშვიდობა სუფევდა.

და ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ მაშინ, როცა სოფელს ეგონა: ყველა ოცნება აგვიხდა, ნანატრი დრო დგებოდა, არანაირი საფრთხე არ გვემუქრება არსაიდან, ვიცხოვრებთ, როგორც მოგვეხასიათება, ისეო, — სწორედ მაშინ მოევლინებოდა ისეთი განსაცდელი, სხვა ყველაფერი, რაც ადრე იყო, მასთან მონაგონი გეგონებოდა...

ფეიდგრეიფი ბევრი კამათი, აზრთა სხვაობა გამოიწვია იმან, თუ როგორ, და რატომ გამოეპარა სოფელს ასეთი აშარა საფრთხე. თუმცა მომხდარზე მსჯელობა მერე ადვილია და ხშირად ისეთ კურიოზულ გაუფრთხილებლობასაც წარმოაჩენს, რომ ძნელად თუ დაიჯერებ. საფიქრებელია, მდინარეში წყლის დონე ისე ნელ-ნელა კლებულობდა, რომ ერთი შეხედვით რამის შემჩნევა, ალბათ, შეუძლებელიც იყო. მხოლოდ მაშინ გაფაციცდა სოფელი, როცა ერთ მშვენიერ დღეს მდინარის კალაპოტი საერთოდ ამოშრა. მაგრამ, როგორც ჩანს, ისე იყვნენ ამ დროისთვის გადაჩვეულნი შიშს, რომ ეს გაფაციცება ცნობისმოყვარეობისა და გაკვირვების ფარგლებს არ გასცილებია. მართლაც სასწაული იყო: არც ერთი ზეპირი თუ წერილობითი გადმოცემა, არც ერთი თქმულება და ლეგენდა ამაზე არაფერს იტყობინებოდა. ვინ იცის, ვინმე რომ სერიოზულად ჩაფიქრებოდა ამ ამბავს, ვინმე რომ შეშფოთებულიყო, იქნებ ჯერ კიდევ არ ყოფილიყო გვიან, იქნებ ჯერ კიდევ შესძლებოდათ ტრაგედიის თავიდან აცდენა. მაგრამ ყველანი ისე იყვნენ გართულნი თავ-თავიანთი საქმეებით, რომ ამ გაწამაწიასა და წუთისოფლის დაუოკებელ სრბოლაში დავიწყებას მისცემოდა სოფლის მსახურდოებელი უძველესი ფესვი. თუმცა, გულწრფელად თუ ვიტყვით, ამ დროისთვის მთავარი ფესვის, მთავარი ძარღვის ფუნქცია მას უკვე არც კი ჰქონდა.

კატასტროფა გამთენიისას დატრიალებული. ჯერ იყო და, საშინელი გრიგალი ამოვარდნილა და ზოგიერთი იმასაც ამბობდა, როცა ნიაღვარი მოვარდა, არც ერთი სახლი, არც ერთი ხე უკვე ისედაც აღარ იდგა, მიწასთან იყო უკვე ყველაფერი გასწორებულიო. მერე მაგალის ხეობიდან უზარმაზარი რუხი მასა გუგუნითა და ტრიალ-ტრიალით ამოვარდნილა. ვინც რაღაც სასწაულით გადაურჩა ამ საშინელ წარღვნას, მერე იგონებდა თურმე: ჯერ გვეგონა, ის დათვი გაცოცხლდა ისევ და, ამდენი ხნის დაკეკების შემდეგ, გაფთრებით დაიძრა სოფლისკენო.

ყველაფერი სულ ორიოდ წუთში მორჩენილა. ხოლო ამ ორიოდე წუთის შემდეგ სოფლის ნამოსახლარზე, მდინარის უზარმაზარი კალაპოტი დარჩენილა, ამ კალაპოტს შუა მაგანა ისე მშვიდად მიედინებოდა, იფიქრებდი, არც არასოდეს ადიდებულაო. თითქოს არც სოფელი არსებულიყო აქ, ხოლო ის, რაც ადრე ჩანდა, მირაჟი ყოფილიყო და მირაჟივით გამქრალიყო. ირგვლივ კი უამრავი ხის მორი ეყარა და მერე ამის მიხედვით მიმხედარან, რაც მოხდა: მიმხვდარან, თუ როგორ ნელ-ნელა იხერგებოდა ხეობა, როგორ გადაკეტა, დაგუბებულმა ზღვამ როგორ გაარღვია ჯებირი, როგორი გრიალით გამოხეიქა ხე-

ობაში და როგორ გადაუარა ნახევრად მძინარე სოფელს...

მოხუცს სახე წამონთებია. სკამზე ოდნავ გვერდულად ზის. ცალი ხელით ჯოხს დაყრდნობია, ცალი ხელით კი ისევ აფერფლებს სიგარეტის ნამწვს ბოლოს საფერფლეზე, ხელი შესამჩნევად უკანკალებს.

საფერფლე სიგარეტის ნამწვითაა სავსე.

— ჰო, ჩემო ბატონო, — მოხუცი ჩუმად ახველებს, ხმას იწმენდს. — ასე მოხდა ეს საშინელი ამბავი. წარღვნა იყო, რა იყო, აბა?! ის გადარჩენილები ერთხმად ირწმუნებოდნენ მერე: ჩვენ ჯერ კიდევ აზრზე არ ვიყავით, მაგრამ მოვარდნილი ღვარცოფიდან ცხადად მოგვეხმა — შენ რომ ჩემი ხმა გესმის ახლა, ისე — დათვის საშინელი ღრიალიაო. ცრუმორწმუნენი ამბობდნენ: ალბათ, ტყავში ჩაბუდებულმა დათვის სულმა დაიღრიალა, საფრთხე რომ იგრძნოო. სხვები კიდევ ვარაუდობდნენ: იმ დათვს მოდგმაც ეყოლებოდა და გაცოფებულმა ნიაღვარმა შეიძლება რომელიმე თან გამოიყოლა, გამოიტაცაო.

ერთი-ორი ისეთნიც ყოფილან, სულ სხვა რამის გამო რომ იფიცებდნენ ყველაფერს, მაგრამ მათი ნათქვამი იმდენად არარეალური ჩანდა, ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც ერთგვარად დაბნეულნი ამბობდნენ თურმე: კარგად არც ვიცი, სიზმარში ვიყავი თუ ცხადში, სანამ გაცოფებული ნიაღვარი მოვარდებოდა და საშინელი გრუხუნ-გრიალით გამოვარდებოდა ხეობიდანო, ჩონგურის ხმა ისეთნაირად ჩამესმა, თითქოს ამ უბედურების ჟამსაც მეჩონგურე ოსტატი სოფლის ცენტრში, ისევ იმ დათვის ტყავჩამოკიდებული ხის ძირას მჯდარიყოსო.

თქვენი საქმე თქვენ უკეთ იცით, ცხადია, მაგრამ მე გირჩევდით, ამ ჩანაწერებისთვის სწორედ „დათვის ტყავი“ დაგერქმეოთ. ასე უფრო გასაგები იქნებოდა იმათთვის, ვისაც დრო არ დაენანებოდა და წაიკითხავდა ამ ამბავს, ამბავს, რომელიც იმ წარღვნის შემდეგ წლობით გადადიოდა თაობიდან თაობაზე.

ხვდებით, მე მგონია, იმასაც, რატომ ამბობდნენ ბაბუაჩემზე — ძალიან ჭკვიანი და წინდახედული კაცი იყოო. კი იყო, ამას რა მტკაცება ან უარყოფა უნდა, მაგრამ დააკვირდით: მისთვის კიდევ თავის ბაბუას რომ არ მოეყოლა, იმისთვის კიდევ — მის ბაბუას და ასე შემდეგ, მაშინ?.. ეს ისეა, როგორც აი, აგერ, ბუხარში! ხომ ხედავთ, რამხელა ქვაბი ჰკიდია ამ ჯაჭვზე! ერთი რგოლი რომ იყოს აქ ხინჯიანი ან სუსტი, ხომ მოგჭამა ჭირი?.. რატომ ვამბობ ახლა ამას? თუ კაცი ხარ, ჩემზეც არ ჩაწერო ახლა მანდ, ასე და ისეო, ასეთი და ისეთიო, ქე რომ ვიცით ხანდახან სუფრაზე ისე! კი უხერხულიცაა და ვერ იქნება მთლად მოსაწონი და გონიერი: გინახავთ ისე, თავისით, ჰაერზე ამოსული უფესვო ხე? ამას ემგვანება ესეც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახა ტიგინაშვილი

მაცნე

მოვიჩქარი,
მე ვარ მაცნე გზად გაკრული
დაუსრულებლად,
ვარ ფლოქვის ხმა —
აპოლონის ერთი ისარი;
თან მოვიტან
ახალ სიოს,
ახალ კანონებს,
ახალ მოდას,
ახალ პროექტებს,
თან წავიღებ —
ძველი ყოფის წაშლილ მოტივებს...
და თქვენს გულებს,
თქვენს სივრცეებს დავაკავშირებ...

ხეები

მხოლოდ ხეებს შეუძლიათ
არ გაწყვიტონ
სივრცეების კავშირი
მხოლოდ ხეებს შეუძლიათ
ამოვიდნენ
იმ გზის პირას
ოდესმე რომ დაგვაბრუნებს
მშობელ მხარეში

დიასახლისი

ის დგება დილით
აწვდილ ხეებში
და აფრენილ ჩიტ-ბატონებში...
საღამოზე კი,
მიწიერ სახლში,
ქრისტეს მოელის.

დაბერებული ქალაქი

პირველად რომ ჩამოვედი ქალაქში,
ქუჩაში გამოვიდნენ ყველანი
და ლამპის შუქზე მიცქეროდნენ
კარგახანს.
მას შემდეგ,
სიჩუმეში მარტო დარჩენილს,
დამფარფატებენ ლანდები მათი
და ჭოტები კივიან ჩემი უბიდან,
როგორც საიმედო ხის ფუღუროდან.

ᲓᲐᲚᲐᲥᲘ

მაღალი, გამხდარი დალაქი ისე ოსტატურად პარსავდა მუშტრებს, ყველანი აღტაცებაში მოჰყავდა. დალაქს კიბო სჭირდა და სულ მალე უნდა გამოთხოვებოდა ქვეყანას. სხვებსაც სმენოდათ ეს ამბავი, მაგრამ ერთმანეთს ვერ უმხელდნენ. ჩვეულებრივ მუსაიფობდნენ, სხვა დალაქებს ძველებურად შურდათ მისი... და იცოდნენ, კიდევ დიდხანს უნდა ეცქირათ — ჩვეულ ადგილას მოხდენილად მდგომისთვის — სიკვდილის შემდეგაც.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲘ

ვის არ უნახავს მტვრიანი გზები, გამურული მატარებლები. მაგრამ ყურადღება ყველას როდი მიუქცევია, როგორ კაშკაშდებიან ზოგჯერ ისინი, როგორ იმუხტებიან და ხდებიან გამორჩეულები იმავ გარემოში, სადაც ცოტა ხნის წინათ უფერულად მოჩანდნენ.

აგერ მატარებელი, აქამდე მგზავრებს მოკლე მანძილზე — თბილისიდან ბორჯომამდე თუ დაატარებდა, ლიანდაგიდან მომწყდარა და უგანზომილებო სივრცეში მეფურად მიირწევა. ის ახლა მიწიერ ჩრდილებზე და ბიწიერების ორომტრიალზე მაღლაა. სამარშრუტე წარწერები მომძვრალი აქვს. უმიზნოდ, უგზოუკვლოდ მიექანება. განათებულ ვაგონებში კანტიკუნტად სხედან ცხოვრებაზე გულაყრილი ადამიანები, რომლებსაც ერთადერთი სურვილი დაუფლებიათ: გზაში იყვნენ და არასოდეს თავდებოდეს ეს გზა!

ᲐᲦᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ზაფხულის გაწელილი დღეა. ირგვლივ ხვატია და ხეებზე ფოთოლიც კი არ იძერის. ნელა მიიზლაზნება ცხოვრება. ოთახში ვზივარ და ვერაფერს ვაკეთებ, მხოლოდ ბუზებს ვიგერიებ და სარკმლიდან მოწყენილ ქალაქს გავცქერი.

უცებ მეზობლის ბავშვი შემოვარდება, მაგიდასთან მიირბენს და ვენტილატორს ჩართავს (რატომ აქამდე ვერ მოვიფიქრე?). ტრიალდება ოთახი, ტრიალს იწყებს მთელი ქვეყანა. იბადება ადამი, იბადება ევა. მწიფდება აკრძალული ნაყოფი... აგებენ ბაბილონის გოდოლს, ნოეს კიდობანი კი ტალღებს მიაპობს... ღმერთი სწყალობთ აბრამს და მოსეს... მოდის ქრისტე და მიუყვება გოლგოთას... მერე გროვდება ცოდვა, გროვდება ცოდვა და დღემდე ჟონავს ჩვენი თვალებიდან, უხვად მოსჩქეფს ეუკლანიდან. ხანზარებს მიწა. ახლოვდება აღსასრული. გაუმარჯოს აღსასრულს!

ლეონიძეების
ბიბლიოთეკა

სურო

ლოლიტა ქმარს ეძებდა. ვერ იჯერებდა ომში დაკარგულის ამბავს. ჩემი ჰორაციო ხომ არ გინახავთო, — ეკითხებოდა გზაში გამვლელებს და შაოსანი დაეხეტებოდა აღმა-დაღმა. არავის ენახა მისი ქმარი: ჯარისკაცები მარსის მზეს იფიცებოდნენ, ქალები — შვილებს, ელექტროშემდუღებლები — მიწისქვეშა წმინდა მდინარეს...

მხოლოდ ღამით გამოღებული ფანჯრიდან მწვანე სურო იჭრებოდა შრიალით ლოლიტასთან — ტანკენარი, დიდებული სურო და ალერსიანად ეხვეოდა წელზე მძინარეს.

ეპზავრის დღიურიდან

...ღამის მატარებელი ველურ ადგილზე გაჩერდა. აქ არ არსებობს არავითარი კონტროლი, მოშლილაა კომუნიკაციის ყოველგვარი საშუალება... ვგონებ, დავიკარგეთ. ვერავინ გვიპოვის. საძებნელად წამოსულები გვერდით ჩაგვიელიან, დაგვეჯახებიან, მაგრამ ვერასოდეს შეგვამჩნევენ!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაია ცირამუა

ვარიაციები თემაზე—„მიუ“

მოთხრობა

I. დაბადება

სასაცილოა, მაგრამ მინდა სახელი გამოვიცვალო. თუმცა ვერ ვახდენ სახელდებას.

ან კიდევ რა საჭიროა?

მერქვას — მიუ.

ახლა უნდა წარმოვიდგინო, როგორი იქნება მიუ. სამკუთხედივით?

ან ასეთი II



მაგრამ იგი ვერ იქნება გაწონასწორებული. ე. ი. ეს ორი ფიგურა არ გამოდგება.

ო, ეს შეიძლება გამოდგეს.

დაახლოებით ასეთი ვიქნები.

აჰა, უკვე შევქმენი რაღაც ფორმა. a წვეროში ემოციები, b-ში ნება, c-ში ინტელექტი.

ემოციები ყველაზე პატარა კუთხეს ქმნის, ანუ ყველაზე წვეტიანია.

არ მომწონს!

ნამდვილად არ უნდა წავსულიყავი გუშინ.

სად? მგონი არსად ვყოფილვარ. მთელი დღე ვემზადებოდი და ვფიქრობდი, როგორი მაკიაჟი მომიხდებოდა. ომას საგულდაგულოდ ვივარცხნიდი და გული მწყდებოდა. რაზე? აღარც მახსოვს.

სამარცხვინოა ამდენი ტავტოლოგია!

არა, ვიცი, რომ ვერ ვიტან წესრიგს მეტყველებაში. თანაც რამდენჯერ გამეორებული ერთი და იგივე სიტყვა აძლიერებს შთაბეჭდილებას.

ოჰო, ესეც მორიგი სისულელე!

მოკლედ, მქვია მიუ.

ახლავე ავდგები და ამ ხმელ ყვავილებს გადავყრი. არ ღირს! მაშინ ყავას დავლევ. არა, მერე ვერ დავიძინებ.

ზარს რეკავენ. გავხსნა?

აი, ისიც. ცხვირწინ მიზის. დაღლილი სახე აქვს. რატომ აცვია ასე დაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევრად? ვერ ვიტან შეკითხვას — რატომ! მოიცა, მოიცა, რაღაცას მეკითხება. აა, როგორა ხარო. მე ვარ ვერტიკალურად. ოდნავ დახრილ მდგომარეობაში. მშვიდად და ბუნდოვნად. ალბათ, დამეთანხმები, რომ თვალზე ჯობდა ყავისფერი ჩრდილები გამეკეთებინა, უფრო ჯდება სახის ტონში. ცხვირზე აუცილებლად უნდა დამეხატა ჭორფლები და თმაც გამეშალა. ვერ მოვასწარი. მნიშვნელოვანი და გადაუდებელი საქმეები მაქვს. უნდა ვიპოვო სახელი და ერთი პატარა კუთხე. შეხედე ოთახის მესამე კუთხეს. თუმცა გაინია საიდან დაეწყებთ ათვლას. მე ვიქნები ათვლის წერტილი. მოკლედ — ერთი, ორი, სამი.

აი, აქ, იმ კუთხეში ახლავე მოვთავსდები. შუქი არ აანთო. ვერ ვიტან სინათლეს. ასე ნუ მიყურებ. აა, გამახსენდა, მგონი შენ გიყვარდი. კარგია! არ უნდა გეკოცნა ჩემთვის. ჯერ უნდა გეთქვა, რომ უნდა გეკოცნა და მერე... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. მაშინ ვერ ვხედავდი, რომ მოკლე და სასაცილო ნიკაპი გაქვს. არც ამასა აქვს მნიშვნელობა. უნდა გეფიქრა იმაზე, მე მინდოდა თუ არა. არც მახსოვს, მინდოდა?

ჯობდა დამჯდარიყავი შენთვის—დიდხანს გეყურებინა ანთებული ნათურისთვის, მერე თვალები დაგეხუჭა და დაკვირვებოდი კვლს. ძალიან საინტერესო გასართობია.

ახლა ისევ ჩემს კუთხეზე.

მოვთავსდი. თავი კედელს მივაყრდენი. აქ დავკიდებ წითელ ტილოს სამკუთხედურად. გვერდზე მოვიწყობ ჩემი ლაკის ფეხსაცმლებს და „საკვიაჟს". ესეც მასალა ნატურმორტისთვის. შენ რომ ჭკუა გქონდეს, დამხატავდი. მერე ნახატს წაიღებდი გამოფენა-გაყიდვაზე. მიყიდნენ. იმ ფულად შეიძენდი ფორთოხალს და ბრინჯს.

ჯობს სათვალე მოვიხსნა. როცა კარგად ვერ ვხედავ, კარგადა ვარ. შენ იჯექი, სადაც ზიხარ.

თუ მაინცდამაინც — აიღე კალამი და ფუცელზე გაუსვი ვერტიკალური ხაზები. შეგიძლია პარალელოპიპედებიც დახატო. შიგადაშიგ ჩრდილებიც გაუკეთო.

ჩემზე ფიქრით თავს ნუ დაიღლი. მე თვითონაც კარ ვიცი, რა სახელი მოვძებნო ჩემთვის.

ვერ ვისწავლე საუბარი. დაიხსომე: ცალ თვალს რომ ჩაგიკრავ, ე. ი. სადმე წასვლა მინდა. თუ ორივეს დავხუჭავ და უცებ გავახელ — სკამი უნდა გამოიცვალო, ოღონდ იცოდე, მაგ სკამს ფეხი აქვს მორყეული. ვიცი, ძნელია ჩემთან ურთიერთობა. რაღაცებს მივედებ-მოვედები ხოლმე. შენც კარგად იცი, რომ ძალიან მსიამოვნებს, როცა ჩემი მარჯვენა ფეხი შენს მარცხენა ფეხს ეხება, როცა დახუჭული გაქვს თვალები და ფიქრობ, რომ...

არა, ფარდა ნამდვილად არ არის ამ ოთახში საჭირო.

უკვე მიდიხარ? ჰო, კარგი, აბა შენ იცი. გასტრონომში გაიარე და იყიდე ორი ყუთი სიგარეტი.

...ისევ მარტო ვარ. მგონი ახლა უნდა შემაწუხოს ამ პრობლემამ. მომინდეს ადამიანი, თანაგანცდა. შენც არ მომიკვდე! თუ მე მიხარია, არ არის აუცილებელი სხვასაც უხაროდეს და პირიქით.

ეს გამმარი ყვავილები მაინც ვერ გადაეყარე. ვერაფრით გავიგე, რატომ ვსწავლობდი ხოლფეჯიოს ცუდად? პასუხები არ არის საჭირო. მთავარი საკითხის დასმაა — ამბობენ.

რას ვიზამ ახლა? გავალ სამზარეულოში, დავლევ ცივ წყალს. მოკლედ, აქ დაისმება წერტილი.

სახელი აღმოვაჩინე. მიუ! კარგია! მშვენივრად ჟღერს — შენ მე მაწყენინე — მიუ! არ შეიძლება ასე, მიუ! და ა. შ.

მიუ-მიუ-მიუ — ეს მოფერებით.

მიიუ! — გაკვირვებით. მიუუ! — გაბრაზებით. ე. ი. ვარ ბევრი მიუ, სხვადასხვა კონტექსტით და სამკუთხა კუთხით, რომელიც თუ მე იქ არ ვზივარ, არ არის მასალა ნატურმორტისთვის.

ჭორფლები ცხვირზე არ მინდა. არც მოხარშული ბრინჯი გემრიელი ფორთოხლის წვენით.

მიუ მოგზაურობს

არაფერია აქ უცხო და ლამაზი. აქ არის ნარცისების ბაღი და მოთუხუხე ჩაიდანი.

— ერთი ფინჯანიც, გთხოვთ.

— იქნებ, ალუბლის წვენი სჯობდეს?

ტუჩებს ეტყობათ დაღლა, თვალებს პატარა, წვრილ-წვრილი წერტილები. ხელს ხელში უჭირავს ასკილის ყვავილი და ვიოლინო, რომელსაც არა აქვს ხემი.

ვიოლინოს, რომელსაც არა აქვს ხემი, ასევე არა აქვს არც ერთი სიმი.

— რას ინებებთ, შტრაუსს?

— ოღონდ რიჰარდს.

მკვრივი ბგერები. ჩაის სმა ხრუტ-ხრუტით.

აქ არიან ისინიც: გრძელი და გამხდარი (I),

ქალი ქვიშიფერჩარჩოიანი სათვალით, ყვითელქურთუკიანი, გრძელი და გამხდარი (II),

და არც გრძელი და არც გამხდარი.

არის ჭუჭყის და პატნის სუნი.

მას, რომელსაც უჭირავს ასკილის ყვავილი და ვიოლინო, არ უჭირავს არანაირი ადგილი მათ შორის.

ვიღაც უკრავს ფორტეპიანოზე და ვიღაცის მუცელი ბუყბუყებს.

— ნუშის ნამცხვარი მომაწოდეთ, გეთაყვა.

— ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ალტერნატივა.

— ფიქრობთ, სჯობს ჭამო სამი ნაჭერი ერთი ნამცხვრის, ვიდრე სამი ნაჭერი სამი ნამცხვრის?

— ო, ეს საინტერესო მიგნებაა!

— ფრიად მოხარულნი ვიქნებით, თუ შემოგვიერთდებით ამ სახალისო დისკუსიაში.

— რას ბრძანებთ, ვერ შევძლებ — ყვითელფრთებიანი პეპლები უნდა გადავარჩიო და ფურცლებზე დავაკრა.

ყვითელქურთუკიანი მორჩა ასანთის ღერით კბილების ჩიჩქნას და მწვანე პლედი გადაუფარა ქვიშისფერჩარჩოიანს.

მას, რომელსაც უჭირავს ასკილის ყვავილი და ვიოლინო და არ უჭირავს არანაირი ადგილი — მარჯვენა ლოყაზე აქვს ცრემლი — ზუსტად ხალის გვერდით.

— ძალიან მაწყენინებთ, თუ უარს იტყვით ამ წინადადებაზე.

— კარგია, როცა წინადადება თხრობითია.

— ვერ დაგეთანხმებით, მე კითხვითი უფრო მხიბლავს.

გრძელი და გამხდარი (I) მარჯვენა ხელის შუათითით ეფერება გრძელი და გამხდარი (II)-ის მარცხენა ხელის ნეკას.

ქვიშისფერჩარჩოიანს აღარ ახურავს პლედი და შიშველი მუხლები უნანს. ყვითელქურთუკიანი (რომელიც კარგა ხანია მორჩა კბილების ჩიჩქნას) ლარნაკში ნარცისებს აწყობს და ითვლის.

არც გრძელი და არც გამხდარი ღილს იკერებს პერანგზე და უსმენს შტრაუსს, ოღონდ რიჰარდს.

— მას ღრმა და საინტერესო ემოციები აქვს.

— საინტერესოა, ვინ უფრო მოსწონს— თომას მანი თუ ანშტაინი?

— ის ისეთი მგრძნობიარეა, ისეთი ნატიფი ღირებულებები აქვს?!

— ტყუილად გამოცვალეს ფირფიტა, არა ვარ ბერლიოზის განწყობაზე.

— თანაც როგორი სექსუალურია!

— მომწონს, როცა გახსნილი ღილკილოდან უჩანს ორიოდე ბეწვი მარჯვენა ძუძუს თავზე.

მოთუხუხე ჩაიდანი აღარ თუხთუხებს და დგას შიშველმუხლებიანსა და ნარცისებით სავსე ლარნაკს შორის და ყვითელქურთუკიანი ცარიელ ფინჯანში ყრის გადარჩეული ბრინჯის მარცვლებს.

— ჯობია ილაპარაკოთ, იკონტაქტოთ

— ასე უფრო იოლია, გულს მოგეშვებათ.

— ვწუხვარ, ვერასოდეს შევძლებ მას სიყვარულში გამოვუტყდე.

— გირჩევთ აკოცოთ ნიკაპზე მსუბუქად, ეს გაგამხელთ.

— ნუთუ ასე ცოტაა საკმარისი? მგონია, რომ არც სიტყვები მეყოფა და არც აღერსი ჩემი ემოციის გამოსახატავად.

— როგორმე უნდა დაძლიოთ ნარცი-

სიზმი და შეძლოთ ჭეშმარიტი სიყვარული.

— ეფიქრობ, მას არ ვუყვარვარ.

— ადამიანს არ უნდა ჰქონდეს ალტერნატივა. ეს მას ღუპავს.

თიხის ხუთ ჯამზე მოხარშულ ბრინჯს ანაწილებს ყვითელქურთუკიანი და ფორთოხლის წვენს ასხამს.

სადილობის ჟამმაც მოადწია. არც გრძელი და არც გამხდარი სვენებ-სვენებით ღეჭავს ლუკმას. გრძელი და გამხდარი (I) და გრძელი და გამხდარი (II) ერთმანეთის თვფშებიდან ერთმანეთს აჭმევენ. ქვეშისფერჩარჩოიანი მხოლოდ ფორთოხლის კანს წუწნის. ყვითელქურთუკიანი, რომლის ჯამიც ჯერ კიდევ სავსეა, მალულად აგდებს ასანთის ღერს ნარცისებიან ლარნაკში.

მას, რომელსაც უჭირავს ასკილის ყვავილი და აღარ უჭირავს ვიოლინო, მას, რომელსაც ჰქვია მიუ და არ უჭირავს არანაირი ადგილი მამ შორის, მარჯვენა ლოყაზე აქვს მხოლოდ ხალი, რადგან აღარა აქვს ცრემლი.

მიუ გზას განაგრძობს

მას, რომელსაც ჰქვია მიუ და არ ჰქვია არც ერთი სხვა სახელი, აქვს დისუნქცია — ან გზა განაგრძოს, ან შეჩერდეს.

მის სხეულზე შიშველ მავთულზე ჩამოკიდებული მბეუტავი ნათური მისივე სხეულს იმეორებს. პირი გამოვსებული აქვს ცივი ატმით და ჯერ საყლაპავ მილში და შემდეგ სხვა ნაწილებში ვერტიკალურად ინაცვლებს სასიამოვნო ხიგრილე. ჩანს მოძრავი ტუნები, რომლებიც სხეულზე არეკლილ გამოსახულებას ნელ-ნელა ანადგურებენ. დაღეჭილ ატამთან ერთად ვერტიკალურად ინაცვლებს ქვემოთ მსუყე და გამჭვირვალე სხეული.

ატამს აქვს ბუსუსებიანი კანი, რომელიც მის ხელისგულებზე იწვევს ალერგიულ გამონაყარს.

აქ, სადაც არის მიუ, აღარ არიან ისინი — გრძელი და გამხდარი (I), (II), ყვითელქურთუკიანი, ქვეშისფერჩარჩოიანი, არც გრძელი და არც გამხდარი.

და ახლა მას, უჭირავს რა ადგილი დისუნქციის ორ კომპონენტს ან-ან-ს შორის, შეუძლია გადაწყვიტოს.

მიუ გზას განაგრძობს.

დიალოგი საკ ხმაში

— სული ისევე მოძრაობს, როგორც ქვიშა — ხელისგულებიდან დაცურებული.

— უსასრულოდ აღვიგზნება, როცა ქვიშა ეხება ჩემს რომელიმე ეროგენულ ზონას.

(აოქვეფილი კვერცხის გულის ნიღაბი ძალიან მოუხდება მის გამომშრალ სახეს).

— ეფიქრობ ქვიშასაც აქვს სული და იგი ისეთივე წესით მოძრაობს, როგორც თვითონ ქვიშა.

— ზოგჯერ მეჩვენება, რომ იგი ძალიან სექსუალურია, რადგან ყოველწამს მზად არის მიიღოს ყოველგვარი სხეული, თუნდაც ძალიან მახინჯი.

(მომწონს ორი მქრქალი ნაოჭი მისი მარჯვენა თვალის ქვეშ).

— მას, ე. ი. ქვიშას შეუძლია არ იმოძრაოს, ისევე, როგორც შეუძლია იმოძრაოს.

— როცა მე იგი ფეხისგულებს მწვავს, ტანში დარბის გაუსაძლისი წყურვილი.

(ჯობდა ნიახურის ნახარში დამელია — წარმოუდგენლად აუმჯობესებს საჭმლის მონელებას).

— მას შეუძლია გაზომოს დრო, თუმცა დრო მისთვის არ არსებობს, იგი მკვდარია და გარს აკრავს გამოშიგნულ სივრცეს.

— ჩემი ფეხისგულები ცდილობენ მის უფრო ღრმა ფენებს შეეხონ. მე იგი მითრევს თავისი მხურვალებით და გაუმაღრობით.

(მარჯვენა მხარეს ზედა მესამე კბილი საშინლად გამოხრული აქვს, დროა მიხედოს!)

— როცა ის სველდება, ისევე მძიმდება, როგორც სული.

ქვიშას ეტყობა ორი სხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვიშაზე განხორციელებული ავტოპორტრეტები:

I. გლუვი და ფაფუა ფორმები აქვს. მრგვალი ცხვირი და ორი თვალიდან ერთი დახუჭული.

II. მარჯვენა წარბიდან წამოსული გრძელი ვერტიკალური ხაზი კვეთს მოკუმულ ტუჩებს.

მარცხენა წარბიდან წამოსული ჰორიზონტალური ხაზი სივრცეში გადის და გრაფიკული ისრით ბოლოვდება, რომელსაც სივრცის წითელ წერტილში გამოაქვს დახუჭული თვალი.

III. ოდნავ მოწითალო თმა. სახის ოვალი. და ზემოთ ლამაზად აზიდული თვალების ფორმის სათვალე.

სულ ესაა ის, რომელსაც ჰქვია მიუ.

მიუ დაღლილია, ანუ როგორ გარდაიცვალა უდაბნო

საცოდავია პალმა, რომელსაც დანით გახლეჩილი მერქნიდან გადმოსდის ბლანტი მოყვითალო ფერის სითხე.

ძნელია ეძებო უდაბნოში დამნაშავეისევე, როგორც ძნელია ეძებო პალმა უდაბნოში.

დამნაშავენი სახლობენ აქ – ჩალისფერ სასახლეებში, და ყინულის ნაჭრით გაზავებულ ლიმონის წვენს მიირთმევენ.

...მაინც გაურკვეველია, ვის ჰქონდა დანა უდაბნოში და თუ ჰქონდა, რატომ გადახლინა პალმის კეთილშობილი მერქანი და თუ გადახლინა, რატომ მაინცდამაინც პალმა, სწორედ ის, რომელსაც უყვარს ის, ვისაც ჰქვია მიუ და არ ჰქვია არც ერთი სხვა სახელი.

მიუს, რომელსაც არ ჰქონდა არანაირი განზრახვა თავი მოეწონებინა პალმისთვის, ვარდის ზეთის სურნელი ასდიოდა და მარჯვენა ძუძუს ქვემოთ ჰქონდა დიდი ლაქა, რომელიც ძალიან გავდა კოღოს ნაკბენს.

პალმის მწვანე ფოთლის ნაგლეჯი, რომელიც ლაქის გასაქრობად იდო შიშველ კანზე – გრძნობდა საშინელ სიმხურვალეს და უხერხულობას.

მიუ კითხულობდა ფოლკნერს დარცხვენილი პალმის ჩრდილში და ფეხის ქუსლით ეფერებოდა ცხელ ქვიშას.

მიუ დაუსრულებლად მიიწევდა ქვიშის ღრმა ფენებისკენ. პალმა დაუსრულებლად მიიწევდა მიუსკენ.

პალმას ჰკლავდა მიუს სურვილი. მიუს – ქვიშის.

ტრივიალური ფორმა სამთა შორის ურთიერთობისა ჰქმნიდა ტრაგედიას, ხოლო ხიდი მდინარეზე გადებული – ქმნიდა ქალაქის უმშვენიერეს პანორამას.

– მოხიბლული ვარ ღღევანდელი მზის ჩასვენებით.

– იქნებ ფეხები წყალში დაგელბოთ, კანი გაუხეშებული გექნებათ.

– გმადლობთ, უმჯობესია სახლიდან წამოღებული გამმბარი ხურმა მივირთვათ, მე ის საოცრად მაგონებს ჩემს დაბადებას.

– სამწუხაროა, არ მახსოვს ჩემი დაბადება, სამაგიეროდ მეხსიერებას ლამაზად შემორჩა ის დრო, როცა ჩემი სხეულიდან სისხლმა იწყო წვეთა.

– საშინლად დაღლილი ვარ. ჯობს დავიძინოთ.

ღამე, რომელსაც არა აქვს მთვარე, იმდენად გრძელია და უსასრულო, რომ უდაბნოში თავისუფლად დათარეშობენ დამნაშავენი. მათ ტომრებით გადაქვთ ქვიშა უდაბნოს პრესტიჟულ რაიონებში, უყვართ ჯდომა სამოვართან და საუბარი ეგზისტენციალურ პრობლემებზე. ხშირად ჩხუობენ და კლავენ ერთმანეთს, თუმცა ძალიან უყვართ ერთმანეთი, უფრო მეტად, ვიდრე საკუთარი თავი. სწორედ ამიტომ დაიქეთ თან ბასრპირიანი დანა, რადგან უნდათ, რომ საკუთარი თავი უყვარდეთ ყველაზე მეტად. მერე ისინი ერთმანეთს მარხავენ მოპარულ ქვიშაში და ცხარე ცრემლით ტირიან, იმდენად ინტენსიურად და ექსპრესიულად, რომ ქვიშა სველდება და მძიმდება.

აქაც თამაშდება ტრივიალური ტრაგედიები. თუმცა რომელი ტრაგედია არაა ტრივიალური. ყველა ერთმანეთსა

ჰგავს — უდაბნოსიც და ხიდებიანი ქალაქისაც. თუმცა არის სხვაობაც — უდაბნოს დამნაშავენი თვლიან, რომ სიცილია ყველაზე დიდი ტრაგედია. მეტწილად არ იცი რატომ იცინი, და თუ იცინი, ყოველთვის გგონია, რომ მერე აღარ გაგეცინება; თუ მარტო იწყებ სიცილს, ბოროტი ხარ; თუ სხვას აყვები სიცილში — სულელი. ხოლო თუ მარტო იწყებ ტირილს, ბედნიერი ხარ, თუ სხვას ჰყვები — კეთილი.

ეჯობია, არც იცინო და არც იტირო. უდაბნოში ამ წესით ცხოვრობენ. საერთოდაც რა საჭიროა აკეთო რამე, როცა არსებობს ქვეშის გორები, რომელთაც ესაჭიროებათ ტომრებით გადაზიდვა.

გამთენიისას, როცა მზე ზის პალმის თავზე, პალმას მიწამდე აქვს დახრილი ტოტები და უფრთხილდება მას, რომელსაც ჰქვია მიუ და რომელსაც საკუთარ თავთან ერთად უყვარს ქვიშაც.

თუმც აქ აღარ არის ქვიშა. აქ ახლა მარტოოდენ დანით განგმირული პალმაა (ქვიშა მათ წაიღეს. მიუც მათ გაჰყვა). აქ ახლა გარდაცვლილი პალმის გვერდით ერთადერთი სულიერი კოღოა, რომელიც ეძებს ტკბილ სხეულს, რათა სისხლით გაიტკბნის და მერე თვითონაც მიიცვალოს, რადგან უდაბნოს არ უყვარს სიცოცხლე.

ტრაგედიები მიუსათვის

ძოწისფერი თმა, რომელიც ეგდო ბალიშზე, ჰგავდა იმ კაბას, რომელიც კარგა ხანია აღარ ჩაუცვამს მიუს და რომელიც ახლა ლამაზად დაკეცილი იდო მისსავე ჩემოდანში.

თავად კი იჯდა შეზლონგზე და ელოდა მას, რომელიც წაიდა გვიან ღამით. გაწელილი მოლოდინი, რომელსაც ზომაედა ქვეშის საათი, ვერ არღვევდა მიუს სიმშვიდეს. იგი ფერად პარალელოპიპედებს იხატავდა მზისგან გარუჯულ წვივებზე. მის თვალებს აწვებოდნენ ცრემლები. მიუ უსაზღვროდ ბედნიერი იყო, რადგან ემზადებოდა ახალი ტრაგედიისთვის, რომელიც ძალიან ჰგავდა დეკორაციის შეცვლას ძველ ოთახში.

მიუ უსმენდა რომელიღაც აღმოსავლურ მელოდიას და საგულდაგულოდ იკეთებდა ყავისფერ ჩრდილს მარჯვენა თვალის ქუთუთოზე.

ყველაფერი კი დამთავრდა იმით, რომ მოვიდა ის, ვისაც ელოდა მხოლოდ მიუ და სხვა არავინ.

დიალოგი, რომელიც დაიწყო მიუმ, იყო დაძაბული და ბუნდოვანი.

— პატონო ჩემო, მე ვერ შევძელი ადრევე მეთქვა თქვენთვის, რომ მიყვარხართ.

— ეს საშინელებაა! დროა დაფიქრდეთ! მეც მომიფრთხილდეთ!

— რას ბრძანებთ, ისედაც ბევრი ტკივილი გადავიტანე.

— საოცარია, ვერაფერს ვხედებოდი.

— მიჭირს მარტოს გრძნობასთან ჭიდილი. გთხოვთ დამეხმაროთ.

— ამაოდ...

მიუ მარჯვენა ხელის შუათითზე იხვევდა თავის ძოწისფერ თმას, ხოლო ხმა ჰქონდა სასოწარკვეთილი და ბუნდოვანი, პარალელურად ტუჩებზე დასთამაშებდა გამოუცნობი ღიმილი:

— ნება მიბოძეთ, აქ დავასრულო ჩვენი თანაარსებობა.

— დავასრულოთ?

— დიახ, მხოლოდ იმიტომ, რომ მიყვარხართ.

მიუს ახლა ნამდვილად შეეძლო ტირილი მარტო დარჩენილს. თუმც კმაყოფილებით აღსავსე ათვალიერებდა თავის გამომეტყველებას კედელზე დაკიდულ სარკეში და დაუსრულებლად ათამაშებდა ენით საღეჭ რეზინს, რომელსაც ანანასის გემო ჰქონდა.

ტრაგედია № 2 (და საბოლოო, რადგან ამის შემდეგ მიუ გადაწყვეტს, თავი არ მოიკლას).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მამუკა დოლიძე

მოთხრობები

წყალდიდობა

სულხანი ხაჭოს საყიდლად გადიოდა, როცა ფოსტის ყუთიდან გაზეთებთან ერთად ის შემაძრწუნებელი დეპეშა ამოაცოცა. ადიდებულმა მდინარემ მისი სოფელი წალეკა. დაეღუპა დედა და მამა. სულხანი ოცდახუთი წლის წამოსული გახლდათ სოფლიდან. კრიტიკოსები ერთხმად აღნიშნავდნენ სოფლის თემის მოზღვავებას მის პოეზიაში, ნოსტალგიასა და ერთგვარი სინანულით ტკბობას. ოცდახუთი წელია არ ჩასულა იქ და ახლა, როცა ეს საზარელი დეპეშა გაშალა, იგრძნო, რომ სიტყვების აზრს ვერ სწვდებოდა მისი გონება. დაიღუბნენ, სახლი წყალმა წაიღო, მაგრამ ხაჭო? თუ არ აჩქარდა, გათავდება და ეძებე მერე მთელ ქალაქში! დიდი უბედურება დაატყდა თავს, მაგრამ ცხოვრება არ ჩერდება და სადღაა მოგონების ან მწუხარების დრო! მოესწრება ზარსაც და გლოვასაც; ახლა კი ვითომ არაფერი იცის, რძის პროდუქტებს უნდა მიასწროს, სავსე ჩანთით უნდა დაბრუნდეს შინ. მერე სამსახურში გავარდეს, კვარტლის ბოლოა და გაცდენა გამორიცხულია. მხოლოდ საღამოს, მთელი დღის ნაჯიჯაგნი რომ შეაღებს თავისი ოთახის კარს, შეიძლება გონს მოეგოს და ატირდეს. ნეტა ბოლო წლებში მაინც ენახა რომელიმე, — ეს დაწყეველილი სადოქტორო ვერა და ვერ მიიყვანა ბოლომდე; სახლის რემონტიც გაჭიანურდა. შპალერი გაუთავდა. ის ოხერი მლებავიც სმას გადაჰყვა, თუ არ მუშაობს, ლოთობს, სხვანაირად არ შეუძლია. მისი აივანი საეჭვო ტიპების ბუდედ იქცა. ახლა ეს ბავშვის მოწყობა, — შვიდასოცი მოსთხოვეს, ამდენი არ ღირს მისი პოეზია, ისედაც ყველაფერს ორ-ორჯერ ბეჭდავს. რა უბედურებაა, ღმერთო, რა საშინელებაა! ღამე, ღრიალით მოვარდნილი ღვარცოფი, მისი სახლ-კარის დამანგრეველი! მშრალი ჯობია თუ დიეტური? პირადად მას დიეტური უყვარს, მაგრამ ბიჭები მშრალს უფრო მიირთმევენ... ალბათ, სახურავზე აძვრენ ის საცოდავები, მაგრამ ტალღებმა საძირკველი მოანგრიეს. „არა, ქალბატონო, მე ხუთმანეთიანი მოგეცით!“ კედლები დალეწეს და სახურავიც ჩამოინგრა; ასე, ნაფოტებთან ერთად ჩაითრია მორევმა, წაიღო და გადაჩეხა ჩანჩქერში... „რატომ მანეთი, რაო? აქ არ ვიდექი? მე ამ კაცის უკან დავიკავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგი...“ „ალო, გისმენ, ჰო, ეხლა მოვბრუნდი მაღაზიიდან, რძე ალარ იყო, პური? გზად შევიარე. გაზეთები ამოვიტანე...“ პირველად „თბილისში“ გაჩნდა ინფორმაცია წყალდიდობის შესახებ, მაგრამ მაშინ დისერტაციაზე მუშაობდა და მიიჩიწყა. მერე ავთანდილი ჩამოვიდა მთიდან, — ისეთი მკაცრი, პირქუში, — ხმას არ იღებდა. თვითონაც ალარ ჰკითხა არაფერი, ნათელი იყო, რაც მოხდა, თანაც ეჩქარებოდა, სად ჯანდაბაში — ალარ ახსოვს და აი, ახლა მეხი მასაც დაატყდა თავს. დრო რომ ჰქონოდა, ალბათ მწუხარებასან დაიწვებოდა, დაიფერფლებოდა, მაგრამ თორმეტს ხუთი უკლდა: თუ რედაქტორს კართან არ დახვდა, ღლის ბოლომდე ველარ ნახავს, გეგმა დამტკიცდება და მისი წიგნი ერთი წლით გადაიდება. „დედ! ნუთუ ველარ განახავ!“ დაგვიანდა! ტროლეიბუსით ველარ მიასწრებს! მანქანა უნდა დაიჭიროს. ამიტომ სჯობს, პროსპექტზე ალარ ჩავიდეს, აქვე, გზაჯვარედინზე ჩასაფრდეს, პირში სამი თითი ჩაიყოს და დაუსტვინოს, ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში რიყეზე აკეთებდა ამას, რა ბედნიერი იყო მაშინ, ღმერთო!

საღამოს მთელი დღის ნაჯაჯგანი, დაქანცული ძლივს ავიდა თავის კიბეზე, გაუზდელად მიეგდო საწოლზე და იატაკზე ჩამოვარდნილ დეკეშას დააცქერდა. სიტყვებმა ნელ-ნელა დაიბრუნეს აზრი და სიცხადე. ადიდებულმა მდინარემ მისი სახლ-კარი წალეკა. დაელუპა დედ და მამა. სულხანმა ძალა მოიკრიბა, პერანგი გაიღეღა, თავში ხელი შემოირტყა, მაგრამ ვერ იქნა და ველარ დაიყვირა. ყვირილი გულის სიღრმიდან ამოსკდა და სადღაც, შუაში გაჩხერილი, ბურთივით გაეჭედა ყელში.

საწერი მაგიდის სრულყოფისათვის

პირველ რიგში აუცილებელია საჭე და ბორბლები. თუ ფეხებს საგორავები მოჰყვა, უმჯობესია მოიხსნას, რადგან მაგიდის წინ და უკან ჭრიალით შორს ვერ წახვალ. უფრო უპრიანია, ველოსიპედის ბორბლები შეაბა: პროტექტორი მართალია ლაქს გააშავებს, სამაგიეროდ ოჯახის წევრებს ძილს არ დაუფრთხობს თვლების რახრახი. მაგიდა ოდნავი ბიძგითაც კი მოსწყდება ადგილს და რბილად გაგორდება.

საჭე ფუჭი ფორმალობაა, რადგან არასოდეს იცი, საით გაგიტაცებს საწერი მაგიდა და თუ გაგიტაცა, შენს ნებაზე მაინც არ შემობრუნდება. ამიტომ მისაჯდომთან ამაგრებენ სათამაშო საჭეს, უქმად რომ ტრიალებს და არავითარ გავლენას არ ახდენს მაგიდის ორიენტაციაზე. საჭე უფრო მაგიდასთან მჯდომის პატივმოყვარეობას ემსახურება. ხელი დიდის ამბით ატრიალებს რვოლს და იქმნება შთაბეჭდილება, რომ მაგიდის ეს თავისუფალი, შეუცნობელი სვლა წინასწარ სწორედ ასეა ჩაფიქრებული და მონიშნული.

არსებობენ უფრო დახვეწილი საწერი მაგიდებიც, სავარძელს რომ შეიცავენ თავიანთ სიღრმეში. მათ მხოლოდ ორი ბორბალი უმაგრდებათ და, ამდენად, წინასწორობას მხოლოდ მოძრაობის დროს იცავენ. ოდნავი შეჩერება, დაფიქრება, სულის მოთქმა და უკან მოხვდება ასეთი მაგიდის გადაყირავებას იწვევს. ამიტომ დამწყებთათვის და, საერთოდ, ახალგაზრდა კალმოსნებისთვის სასტიკად აკრძალულია მსგავსი ორთვლიანი კონსტრუქციებით სარგებლობა, მაგრამ უკვე კავშირის წევრებისთვის და ზემოთ, ვინც შეჩვეულია სიტყვის სწრაფ, სულმოუთქმელ ფრქვევას, ვინც გადი-გამოდის გზაწვრილებსა და ბეწვის ხიდებზე, ფასდაუდებელი საჩუქარია ამგვარი, მსუბუქი და მობილური საწერი მაგიდა.

საწერი მაგიდით ბეწვის ხიდზე გასვლისას აუცილებელია აგრეთვე ჭოკი, მეტრნახევრიანი ფანქარი ან პასტა-კალმისტარი, რომელიც მერყეობის უამს წონასწორობის დაცვისთვის არის გათლილი. იგი არ უნდა აკურიოთ სარბენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲭᲝᲙᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲣᲛᲐᲒᲘᲓᲝ, ᲒᲐᲣᲜᲐᲗᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲘᲡᲐᲜ ᲡᲘᲛᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲧᲠᲝᲑᲐᲡ ᲚᲐᲛᲝᲑᲘᲜ. ᲩᲕᲔᲜ ᲨᲔᲛᲘᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲔᲚᲝᲕᲐᲜᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲘᲛᲐᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲙᲐᲧᲠᲝᲑᲐ, ᲐᲡᲔᲕᲔ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲔᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲐᲪ ᲨᲔᲜᲐᲒᲐᲜ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲘᲗᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲮᲘᲓᲖᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲡ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲕᲘᲐᲖᲔᲑᲣᲚ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲕᲗᲥᲕᲐᲗ, ᲕᲔᲠ ᲨᲔᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲗ ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲘᲠᲝᲠᲝᲑᲐ, ᲬᲐᲒᲓᲔᲚᲘᲐ ᲡᲣᲚᲛᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲐᲜᲐᲓ ᲖᲓᲐᲠᲗᲐᲜᲘ ᲛᲝᲐᲓᲔᲜᲘ ᲐᲥᲕᲤᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲕᲐᲠᲗᲔᲑᲨᲘ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲮᲘᲓᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲠᲓᲜᲘᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ:

ᲐᲡ) ᲒᲐᲐᲜᲫᲠᲘᲡᲗ ᲮᲔᲚᲘ (ᲓᲐ ᲤᲔᲮᲘᲪ), ᲠᲐᲗᲐ ᲬᲧᲐᲚᲤᲐᲓᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲕᲐᲚᲝᲗ, ᲐᲠᲐᲛᲘᲓᲔ ᲓᲐᲝᲯᲔᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲰᲯᲕᲔᲑᲐ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲗ.

ᲑᲘ) ᲗᲣ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲘᲣᲬᲕᲓᲐ, ᲛᲝᲒᲑᲔᲓᲐᲣᲭᲛᲘ ᲢᲝᲩᲡ ᲐᲜ ᲛᲘᲬᲐᲛᲝᲪᲚᲔᲚ ᲤᲣᲜᲯᲔᲑᲡ — ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚ ᲐᲛᲝᲚᲣᲜᲗᲘᲗᲕᲘᲗ ᲐᲑᲘᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲯᲣᲗᲐᲠᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲓᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲘᲜᲐᲓ.

ᲗᲕᲘᲗᲝ ᲛᲝᲛᲒᲝᲛᲣᲚᲘ ᲢᲝᲩᲘ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐᲓᲐᲪ ᲨᲔᲜᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲠᲘᲒᲘᲗ ᲨᲔᲜᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲠᲘᲛᲔᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲨᲔᲒᲐᲒᲔᲛ ᲓᲘᲜᲔᲑᲐᲛ. ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ ᲣᲙᲐᲜᲐ ᲑᲝᲠᲑᲐᲚᲝ ᲛᲝᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲬᲘᲜᲐ — ᲩᲐᲤᲣᲨᲣᲚᲘ. ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲡᲐᲭᲕᲘᲗ ᲑᲠᲘᲯᲘᲗᲔᲑᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲡᲐᲮᲕᲐᲕᲔ ᲢᲠᲘᲜᲐᲚᲔᲑᲘ, ᲔᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲮᲔᲚᲘ, ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲑᲣᲜᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲛᲞᲐᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐ ᲮᲐᲠ ᲛᲝᲮᲣᲕᲔᲓᲠᲘᲚᲘ, ᲡᲠᲣᲚᲘ ᲡᲯᲚᲘᲗ ᲛᲘᲔᲥᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲮᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲮᲔᲜᲘᲡᲙᲔᲜ. „ᲒᲖᲐ! ᲒᲖᲐ!“ — ᲣᲧᲕᲘᲠᲘ ᲮᲐᲚᲮᲚ, ᲐᲠᲘᲐᲜᲘᲜᲔᲑ, ᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑ ᲡᲐᲭᲕᲘᲗ, ᲤᲘᲤᲮᲚ ᲐᲭᲘᲠ ᲜᲐᲮᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲫᲕᲠᲐᲚ ᲫᲘᲠᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲐᲠᲐᲒᲘᲜ ᲘᲤᲘᲥᲠᲗᲘ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲜᲘᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲒᲕᲘᲓᲔᲡ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲦᲘᲪ ᲘᲤᲘᲥᲠᲗᲘ, ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲘᲭᲘᲠᲐᲕᲓᲐ, ᲔᲠᲐᲕᲠᲔ ᲨᲔᲛᲘᲜᲯᲔᲓᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲦᲘᲪ ᲘᲤᲘᲥᲠᲗᲘ, ᲗᲐᲕᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲜᲘᲗ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲐᲜᲬᲘᲚᲔᲑᲓᲐ ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲡ, ᲨᲔᲜᲘᲗ ᲡᲐᲬᲘᲜᲐᲝᲛᲔᲓᲘᲠᲔᲑᲝᲓ ᲨᲔᲛᲘᲛᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲓᲐ. ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲗᲐ, ᲒᲐᲢᲪᲔᲮᲔᲚ ᲛᲐᲒᲘᲓᲐᲡ ᲐᲛᲝᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲔᲠ ᲐᲐᲛᲝᲫᲠᲐᲕᲔᲓ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲘᲠᲒᲚᲘᲕᲘ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲥᲐᲠᲘᲨᲮᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲠᲣᲗᲡ ᲓᲐᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲕᲔᲠᲐᲠᲐᲕᲘᲜ ᲒᲐᲐᲠᲩᲕᲔᲗ, ᲠᲐ ᲮᲓᲔᲑᲐ ᲨᲔᲜᲘ ᲗᲐᲕᲘ — ᲬᲘᲜ ᲛᲘᲓᲒᲘᲐᲠ ᲗᲣ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ ᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑ...

ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲐ ᲬᲝᲜᲘᲛᲘᲗ. ᲡᲘᲪᲘᲪᲔᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲭᲘᲠᲐᲕᲓ ᲛᲘᲡ ᲮᲐᲮᲣᲚ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲓᲒᲐᲜᲐᲪ ᲐᲠ ᲕᲘᲪᲐ — ᲡᲐᲓ, ᲠᲝᲛᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ ᲕᲐᲠ, ᲐᲛ ᲬᲣᲯᲐᲓ, ᲧᲝᲕᲔᲚ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲛᲝᲠᲒᲔᲑᲣᲚ ᲮᲐᲚᲔᲚᲖᲔ ᲫᲘᲠᲗᲐᲓᲖᲔ.

ᲛᲝᲚᲔᲚᲘᲡ, ᲩᲐᲛᲝᲐᲠᲐ ᲬᲝᲜᲘᲛᲘᲗ.

— ᲒᲐᲘᲭᲔᲓᲔ? — ᲛᲙᲘᲗᲮᲐ.

— ᲓᲘᲠᲛᲐ ᲒᲐᲒᲣᲜᲣᲚᲘ, — ᲐᲛᲝᲗᲘᲝᲗᲮᲠᲔ. — ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘᲐ.

— ᲞᲠᲝᲢᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲔᲭᲘ ᲠᲐ ᲧᲠᲘᲐ ᲞᲐᲠᲘᲖᲘᲗᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ, — ᲛᲝᲗᲐ ᲨᲔᲛᲐᲮᲔᲓᲐ. — ᲔᲠᲗᲘ ᲞᲘᲠᲐᲓᲐᲓ ᲕᲘᲪᲜᲝᲑ ᲙᲘᲓᲔᲕᲐᲒ.

— ᲒᲐᲘᲛᲘᲬᲘᲐ ᲛᲐᲨᲜᲔ ᲛᲔᲒᲔᲮᲣᲠᲝᲑᲐ! — ᲓᲐᲕᲔᲚᲠᲘᲯᲔ.

ᲩᲝᲜᲘᲛᲘ ᲩᲐᲛᲝᲯᲓᲐ. ᲯᲔᲠ ᲡᲘ�გᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲝᲚᲕᲐ ᲣᲜᲓᲝᲓᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲐᲮᲚᲘᲜᲔᲓ, ᲠᲝᲛ ᲔᲗᲘᲛᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐᲮᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲛᲘᲜᲯᲔᲚᲘ ᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲧᲐᲚᲝᲜᲘᲡ ᲐᲛᲝᲔᲓᲝ.

— ᲗᲐᲘᲓᲐᲜ ᲑᲠᲫᲐᲚᲔᲑᲘᲡ? — ᲘᲡᲔ ᲛᲙᲘᲗᲮᲐ, ᲗᲘᲗᲘᲗᲘᲗᲘᲡ ᲐᲘᲪᲘᲠᲐ, ᲕᲘᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ.

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲑᲔᲭᲕᲘᲡ ᲮᲘᲓᲘᲡᲙᲔᲜ ᲒᲐᲕᲔᲨᲕᲘᲠᲔᲗ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲗᲮᲘᲡ ᲜᲐᲒᲚᲔᲯᲘᲚᲘ ᲤᲠᲐᲒᲚᲔᲑᲓᲐ ᲥᲐᲠᲨᲘ.

ᲩᲝᲜᲘᲛᲘᲗᲘ ᲪᲐᲡ ᲐᲮᲔᲓ, ᲛᲮᲠᲘᲗ ᲐᲘᲩᲔᲜᲐ ᲓᲐ, ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲞᲘᲠᲯᲕᲐᲠᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲬᲧᲠᲐ.

ᲐᲛᲐᲮᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲬᲧᲠᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲐ ᲖᲣᲠᲒᲖᲔ ᲛᲝᲕᲘᲯᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲒᲐᲐᲮᲚᲘᲜᲔᲓ, ᲕᲘᲜ ᲕᲘᲧᲐᲕᲐ.

— ᲡᲐᲝᲓᲐᲜ ᲑᲠᲫᲐᲚᲔᲑᲓᲐ! — ᲛᲝᲒᲖᲐᲮᲛᲐᲠᲘᲗ. ᲯᲔᲠ ᲛᲝᲒᲔᲛᲘᲝᲓᲝᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲨᲠᲐᲚ, ᲒᲐᲚᲔᲯᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲮᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲔᲭᲐᲖᲔ.

ᲐᲡᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲤᲘᲗᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲛᲩᲙᲐᲠᲐ ᲘᲧᲝ ᲩᲔᲛᲘ ᲝᲗᲮ ᲙᲔᲓᲔᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲧᲓᲔᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲑᲘᲚᲘᲙᲘᲛᲐ ᲮᲔᲝᲑᲘᲗ ᲨᲔᲒᲕᲘᲯᲕᲐᲜᲐ. ᲩᲝᲜᲘᲛᲘ ᲬᲘᲜ ᲒᲐᲠᲑᲝᲓᲐ. ᲛᲔ, ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲡᲘᲛᲫᲘᲛᲘᲗᲘᲗ ᲬᲔᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲠᲘᲚᲘ, ᲫᲚᲘᲔᲚ ᲛᲘᲒᲔᲑᲐᲜᲪᲐᲚᲔᲑᲓᲘ. ᲝᲤᲚᲘ ᲓᲘᲐᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲘᲓᲘᲓᲝᲓᲐ, ᲬᲐᲛᲬᲐᲛᲔᲑᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲚᲝ ᲓᲐ ᲔᲚᲠᲐ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲜᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲗᲐᲨᲠᲘᲔᲠᲗᲘᲡ, ᲪᲘᲡ ᲡᲬᲘᲓᲘᲗᲝᲓᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲮᲐᲜᲯᲐᲠᲘ. ᲒᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲘ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც ვერ ამოვიკითხავდი ამ კომპოზიციას, ვერ ჩაეწვდებოდი მის საერთო განწყობილებას. ჟამარეული ქვეყნის წიაღში ეტრიალებდა, მის განუსაზღვრელ დროსა და სივრცეში... ეს დაუდოლარი, მარადქმნადი წიაღი ქვეყნის გულიც იყო და კიდეც — გააჩნია, საიდან შეეხედავდი, საოცრად მიზიდავდა და მატკბობდა ქნნადობის ეს მფეთქავი არე, მსიამოვნებდა მის შუაგულში ტრიალი, რადგან ჩემივე თავით ვიყავი სავსე და აღარაფერი მსურდა ამ სავსეობის იქით... საწერი მაგიდის სიმძიმეს ახლა თითქმის ვერ ვგრძნობდი. წელგამართული, თავისუფლად მივედინებოდი საგანთა მფეთქავი არსიდან საკუთარი არსებობისკენ. მივედინებოდი სისხძარვებით დაქსაქსულ მინდორზე და ჩემი გონებაც და ჩემს გარეშე ყოფი ქვეყანაც იყო სრულიად თავისუფალი და ამაევე დროს ემორჩილებოდა რაღაც ერთიან, განუყოფელ ბირთვს, რომელიც ვიყავი მე, ჩემს გრძნობა-გონებაზე მაღლა მდგომი მე, რომელსაც შეეძლო ყველაფრის ამოკითხვა და გათავისება და რომელთანაც ვერ ვბედავდი ახლა მიახლოებასა და შერწყმას... და თუმცა აქ, დაბადების ამ თავბრუდამხვევ სპირალზე არაფერი იყო გამოკვეთილი და ცხადი, ბუნდოვნად მაინც იგრძნობოდა რაღაც თემები და ტენდენციები, რომლებსაც ჩემდა უნებურად მიეთვედი. ძირითადი მოტივი ამ ტენდენციებისა ის იყო, რომ საკუთარ თავში ტრიალით შინაგან სისრულეს კი მივაღწევდი, მაგრამ ჩემგან განსხვავებულს ვერაფერს შეექმნიდი. საჭირო იყო გასვლა ამ ჩაკეტილი ხეობიდან უკვე დასრულებულ და დამდგარ ქვეყანაში, საჭირო იყო ერთდროული ყოფნა აქაც და იქაც, რომ ჭეშმარიტების ხელუწვდენელ კოშკზე ორივე მხრიდან მიმეტანა იერიში.

და აი, ხეობიდან გამოსვლისას ისევ ვიგრძენი საწერი მაგიდის სიმძიმე, ისევ დავინახე ბეწვის ხიდივით გაბმული სიტყვა, რომელიც იდუმალებით მოცული იქითა ნაპირს კი არ გამოხატავდა, უბრალოდ — სახელს არქმევდა მას. ზოსიმე ხეობის კართან მელოდა.

— სადა ვართ? — მივიხედ-მოვიხედე.

— მთას გადავევლით და იმ სოფლისკენ ვიბრუნებთ პირს. იქ ყველაფერი მოიძებნება: პროფექტორიც და ლერძიც...

შეეუდექით თუ არა აღმართს, ფერდობსშეფენილი ტყიდან მხედართა გუნდი გამოიჭრა ჩვენკენ. ზოსიმემ მაშინვე ყუმბარა ამიიღო, მაგრამ ხელი დაეუჭირე: თანამედროვე ხელყუმბარა არ შეეფერებოდა ამ რომანტიული რაინდების მაღალფარდოვან სტილს. ცხენოსნებმა ისე ჩაგვიქრილეს, თითქოს არც ვარსებობდით მათთვის, წინ მიმავალ შავწოხიანებს შემოარტყეს ალყა. ატყდა ხმლების ჭახაჭუნი, ჯაჭვის პერანგებისა და ძელების ჩეხვა. სისხლითა და ვვამებით აივსო ხეობა. შევცქეროდი მათ და რაღაც მეხამუშებოდა, თითქოს ერთ სტილში არ იყო ბრძოლა გადწყვეტილი: ბმერის სახე არ შეეფერებოდა ხასიათს, ხასიათი კი ქმელებას. ჩხირივით გაეხდარი შავწოხიანი (ჩოხის კალთებიდან აშკარად რომ მოუჩანდა ბოტასებში ჩაკეცილი სპორტული რეტუზი) ხმლის ერთ მოქნევით ჩეხავდა რკინის თავბმბორა რაინდებს, ხოლო ნამდვილი ვაჟკაცი, ტანადი, თვალადი და წვერულვაშაქონილი, მოფარებულში იყოდა და ტიროდა. მის ვეერდით ჩალმაოხვეული მეომარი ტრიალებდა (საგმირო ნაწარმოებებში მხდალ და ვერაგ მოძალადეს რომ განასახიერებს ხოლმე) და გააფორებული იცავდა სლაკური წარმოშობის დედა-შვილს... მერე კი საადანღაც ამერიკელი სუპერმენიც გაჩნდა, ავტომატის ჯერი რომ დაყარა ცხენოსნებს... მაგიდა ზურგიდან გადმოვიღე და ამოვატრიალე. მაშინვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე! გალუნული ლერძი სახეთა გამნაწილებელ კოლოფში იყო შეჭრილი! ლერძი, როგორც იქნა, ამოვაგდე ნამსხვრევებიდან, მაშინვე კოლოფიც ჩამოვარდა და შიგ ჩახლართული ფოლადის ძარღვებიც ძირს გადმოიყარა. იმავე წამს უზარმაზარი კლდე მოსწყდა ფერდობს და ქვათა ცვენამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფსკრულში ჩაიტანა ერთმანეთს შეჭიდებული მეომრები. ზოსიმეც წაბარბაცდა, კინაღამ მოცურდა გმირებთან ერთად, მაგრამ დროულად ეტაცა ხელი.

გადასასვლელამდე ჩუმად მივდიოდით. შიგანგამოცლილი საწერი მაგიდა შემსუბუქდა, აღარ მაწვებოდა თავისი ამღვრეული ხილვებით. უღელტეხილზე გადაველდით თუ არა, სოფელიც გამოჩნდა — ტყის პირზე გრაფიკულად შემოწერილი რამდენიმე ქოხი. სოფლის თავთან, ყანაში ნამგალმოელვარე კაცი იყო ჩაზატული.

— საწერი მაგიდა გაგვიფუჭდა! — შორიდანვე შესძახა ზოსიმემ.

მთიბავი რბილად, ნელ-ნელა ამოცურდა ჯეჯილის ზვირთებიდან.

— პროტექტორმა გვიღალატა, — ვუთხარი მე. — ღერძიც მორყეულია!

მთიბავმა სათვალე გაიკეთა და ჩემს გაუბედურებულ საწერ მოწყობილობას ჩახედა.

— ეს რა ხდება! — დაუსტვინა და გაოცებულმა ამომხედა. — რაღას მოათრევ, ჯართია!

— ჯართი შენა ხარ! — ვუღრიალე. — ეგაა ჩემი მარჩენალი!

— კარგი მარჩენალი გყოლია! სადაა ტრავერსი, ¦ბიტარა, ¦ამნაწილებელი?

— ხელოსანს ვერ მიგვასწავლი? — ჩაგვერია ზოსიმე.

— ეს სოფელი სულ ხელოსნები არა ვართ? — ამოიოხრა, — მაგრამ არაფერი გვაბადია და იშოვნით რამეს?

— თუ ნაწილებს გვაშოვნინებ და მაგიდასაც აგვიწყობ, თანაავტორად გაგიყვანთ. — ხმა მოიხავერდა ზოსიმემ. — რასაც ეს მაგიდა გამოომუშავებს, მესამედი შენი იქნება.

— ნახევარი.

— ჯანდაბას, ორმოცი პროცენტი იყოს! თვალებზე ვეტყობა, ყაბულს ხარ! — ხელი გაუშვირა ზოსიმემ.

— სიკოს რაღა ვუყო?

— სიკო ვინ ოხერია?

— სიკოა, რაცაა. უმაგისოდ აქ კოღო ვერ გაიწუილებს.

— სამ პროცენტს მაგასაც მივაშავებთ.

— გადადით აბა ეგერ, „საკანცელარიო საქონელში“. გრიფელი გვჭირდება და ცოტა ღორის ქონი.

„საკანცელარიო საქონელი“ შერეულ მაღაზიას ეკუთვნოდა. მაღაზია საძირკვლიდან ისე იყო გადაქანებული, თითქოს ვერ გადაეწყვეტა — ხვეში ჩაცურებულიყო, თუ დარჩენილიყო კლდეზე. ღორის ქონი კი ჩამოვგიჭრეს, მაგრამ გრიფელზე წეწვა-ბლეჯვა იყო გამართული. რიგში ჩადგომას აზრი არ ჰქონდა, კალმოსნები თავეგას ამტვრევდნენ ერთმანეთს. არადა სულ ცოტა მჭირდებოდა, ბევრს მაინც ვერაფერს მოვიფიქრებდი ამ გაუმართავ სამაგიდო ვითარებაში, მაგრამ კალმოსნები ისე იღრინებოდნენ, ისეთ ღვარძლსა და ბოღმას აფრქვევდნენ ერთმანეთს, რომ ბაცლა ვამჯობინე.

— მოიცა! — წამომეწია ზოსიმე, — მაკრინესთან ყიდიან თურმე ხელზე!

მაკრინე სოფლის განაპირას, კოშკური ტიპის ნაგებობაში ვაჭრობდა. გრიფელის ხსენებაც კი არ შეიძლებოდა, იქვე მოფუსფუსე ჟურნალისტებს რომ არ ეგნოსათ რამე. ჩვენ ვითომ კოლექციონერები ვიყავით, თანაც ეაგროვებდით მთის ბროლს, სამაგიდო ხელოვნებისთვის ფრიად განყენებულ კრისტალს.

— რით შემიძლია გემსახუროთ? — გამოიცქრიალდა დახლიდან სახეგემრიელი მაკრინე.

— ეჰ, ჩემო მაკა! — ამოვიოხრე. — ნეტა პოეტი ვიყო, ლექსებში გაცხოვრებდი! აფსუს, რომ მხოლოდ ინჟინერი ვარ, ისიც სამთო...

— თუ კოლექციონერი? — გამიღიმა.

— იცი შენ, რაც მინდა და ნუღა მაწვალებ.

— სსუ! — მაკრინემ შეხლონგებში ჩაწოლილ ჟურნალისტებს გადახედა, მზეს რომ ეფიცხებოდნენ. — სვავებივით არიან. თუ სადმე უპატრონო მაგიდას წაეწყდნენ, გაიტაცებენ. იკითხე მერე მაგათი ბელტების სუნით ბაჟღენთილი, ეროვნულ-სამეურნეო პროზა.

— ღმერთმა დაგვიფაროს!

— ჯვარი გვწერია, — თავი დამიქნია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თქვენ როგორი ბროლი გნებავთ, მაღალმთიანი თუ ვაკე-ბორცვებისა? — ხმას აუმაღლა. — ერთი აქეთ მობრძანდით.

შეკვეცი თუ არა საწყობში, მომეზვია.

— ვითომ ერთმანეთი გვიყვარს! — საკინძე გამიხსნა და უბეში რაღაც შეფუთული ჩამიცურა. — მაგარი გრიფელია, თელ ჩვენს რომანზე გაგწვდება.

ერთიც ჩამკოცნა და გარეთ გამომიშვა. ჟურნალისტებმა მაშინვე თავები წამოყვეს შეზღონვებიდან. „დამშვიდდი, არაფერი შეგამჩნიონ! ვერა! ყოველი კუნთი მიცახცახებს, ჩქარა მაგიდისაკენ! გაქქონო, გავმართო და ჰაიდ! რაც შეიძლება შორს ამ მჯღაბნელებისგან!“ მაგრამ ერთმა მაინც შენიშნა ჩემი გამობერილი უბე, მიხვდა ყველაფერს და წამოიშალა მაგიდების წამგლეჯთა ლაშქარი!

— რითი ხარ ჩვენზე უკეთესი! — მომჩხავიან. ზურგს მიწვავს მათი ცხელი, ბრაზმორეული სუნთქვა.

ჩქარა — მაგიდისაკენ! ამ გრიფელით ათას საოცრებას მოვქარგავ! ზოსიმე ზურგზე მაზის. იასამნისფერ საღამოში უნაზესად იფერფლებიან ნამაგიდარი ფიქრები, პეპლებმოფარფატე ოცნებანი, უკვე დავლანდე ერთმანეთს ჩაქსოვილ სახეთა ქარგა... — მოიცა, ჯერ არ შეიძლება! — მაგიდას გადაეფარა ხელოსანი, — ღერძი გავასწორე, ახლა პროტექტორია მოსაძებნი...

„პროტექტორი, პროტექტორი“, — ხევში ჩამძვრალი ვქქაკ ატკეჩილ საბურავებს...

— მანდ არცერთი არ ვარგა! — ჩამყვირის ზოსიმე. — ერთი მეგულება ტყეში! და აი, ტყეც გამორბის. სახლი კი არა, ნამდვილი სასახლე იხსნება თვალწინ. მიეუახლოვდით თუ არა, ჭიშკრიდან ვეფხვივით გადმოხტა პიკამისამარა პროტექტორი. მაშინვე ხელი ეტაცე, ეცდილობ — რაც შეიძლება დავგრიხო, დავამრგვალო, რომ მაგიდის ღრმულში ჩავსვა, მაგრამ ზოსიმე მაჩერებს:

— ხელი უშვი! ეგ ის არ არის! ეგ სხვა პროტექტორობას გაგვიწევს!

— არა უშავს, ყმაწვილო, ვის არ ეშლება, არა უშავს! — ზოლიანი პროტექტორი წელში გასწორდა და მაგიდას მიეუჯდა.

— აი, ამ ბარათს სიკოს მიუტანთ კოშკში, — წერილი გადასცა ზოსიმეს. — ის თქვენს მაგიდას, როგორც ჯანმრთელს, ისე გააფორმებს და ბეჭედსაც დაგიჩეტყამთ.

სიკოს ციხე-კოშკი სოფლისგან მოშორებით იდგა. რაც ძალი და ღონე გვქონდა, გავრბოდით, მაგრამ კოშკი უკან იხვედა, ფერს კარგავდა და სიზმრებგანზავებულ ჰაერში ანარეკლივით იბრიცებოდა.

— მოიცა, — ხელი ეტაცე ზოსიმეს, — ასე ვერ მივაღწევთ. გადაწყვეტა აქვე უნდა იყოს, ყურისძირში.

გადავქექე ჩვენებური ყორე, ღრმულში შევძვერი, სადღაც ჩავცურდი, რაღაცას მივეწარაცხე. გონს რომ მოვედი, ტოტებდაფარებულ სიროსთან ვიდექი. ხელი შევკავი ღრმად, მივაფაურ-მოვაფაურე; ფეხსაცმელი მომხვდა ხელთ, გამოვწიე, ტერფს ფეხი მოჰყვა, ფეხსტანი და ბოლოს სახებანჯგვლიანი, ნახევრად მძინარე სიკოც გამოვთრიე.

— კაი ოხერი ხარ! — შემომამთქნარა, — ვითომ მაღალ მატერიებში დფრინავ, ისე კი არაფერი ვეშლება. არადა რამდენი გაბრიყვდა ჩემს ძებნაში! გზა კოშკისაკენ სულ ჩონჩხებითაა მოფენილი.

— ეგ ჩვენთვის არაბუნებრივი, სხვათა ფიქრებიდან ნასესხები კოშკია. ამიტომაც ბევრი ჩვენებური შეეწირა.

— შენც იქით არ მიდიოდი?

— მე ჩემი გზა მაქვს, — ვუპასუხე, — ჩვეულებრივის გახსნისა და მასში ჩაქსოვილ საოცრებათა აღმოჩენის გზა. თავიდანვე თვალში მეცა ეს ჩვეულებრივი ყორე, გადავქექე მისი უბრალოება და შენ ამოგიცანი.

— მერე რა, რომ ამომიცანი? — ისევ დაამთქნარა. — ზოლიან პროტექტორს

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მაგიდას მაინც ვერ გავაფორმებ.

— მთიბავს სამ პროცენტს შენთვის დავურიცხავთ, — ჩაგვერია ზოსიმე.

— არა გრცხვენია, ყმაწვილო? ეგ როგორ მაკადრე? — აღშფოთება გამოეხატა სახეზე.

— მე მაპატიე, რეგვენი გამომივიდა, — წავილუღლუღე.

— ჯანდაბას, გაგაფორმებთ. ოღონდ კარგად დამაკვირდით! შეხედეთ, რა თავგანწირვით ვემსახურები სოფელს! აი, — პირდაღებული ლანჩიდან დაკოჭრილი თითები აათამაშა, — ხალზე ენაგადმოგდებულმა ზრუნვამ გამიჩინა ეს! აი, — ახლა კუზი მოგვიშვირა, — ესეც თავკაცობის ტვირთის ბეჭედი! შემიტანე, რა, შენს სამაგიდო ფიქრებში, გამოძერწე ჩემგან განზოგადოებული სახე, მე ეს არ მჭირდება, ისევ შენთვის ვზრუნავ. ნახავ, მაშინვე გაღიარებენ, მთელ საკაცეთში გახმაურდება შენი მაგიდა!

ველარ მოვითმინე და საყელოში ვწედე. ზოსიმე მაშინვე შუაში ჩაგვიხტა. — არ დაარტყა! გაგვაფუჭებს!

ორივეს ზურგი შევაქციე და გამოვიქეცი.

— ის გათახსირებული მაკრინე ხომ შემოგეტენა რომანში?! ჩემთან ვინდა მოიანგელოზო თავი? — მომაძახა სიკომ.

დავიღალე. ადარ მინდა არაფერი. ეს ზოსიმეც უკვე გულს მერევს. სულ რომ დაძრწის, დაჩალიჩობს. ახლაც უკან მეწევა, რომ ამ სიბინძურეში ჩამითრიოს.

„ახლავე ბოდში მოუხადე იმ მეფისტოლა პროტოტიპს“, — მანჯღრევს, ჩამყვირის. ღმერთო! ნუთუ მე შევქმენი ეს ვმირი? მთელ სამაგიდო ხილვებს გამორჩენის თვალით რომ შესცქერის! თუ — ჩემს უკითხავად გააჩინა დრომ? ყელში ვწვდი, მოვგუდე. მაინც რომ ჩხავის? ჰაერს ებდაუჭება. მივაჩუმათე, მადლობა უფალს! კუნძივით ჩაგორდა ხევში. ხელოსანი შიშნარევი გაოცებით მიმზერს. ველარაფერს მიბედავს. თავი დამანებეთ! რას დავეძებ პროტეკტორს, ან ღერძს, ან მაგიდას, ან რა უნდა დავთესო, ან რა მოვიხვეჭო, როცა დავიღალე, როცა ადარ მინდა კავშირი ამ გაუკუღმართებულ სოფელთან, ამ სახეშეშლილ, ერომანეთზე დაგეშილ საძმოსთან! და თუკი წარმოიშვებიან ჩემს გონებაში ხილვები, თუნდაც ამღვრეულნი, თუნდაც ბინდით მოცულნი, ისინი მხოლოდ იმისთვის ჩნდებიან, რომ მაპოვნინონ და გამინათონ ერთადერთი გზა — ბილიკი, მიმავალი საკუთარი თავისკენ, რომელიც არსებობს ყოველგვარი მაგიდისა და ჭოკის გარეშე, არსებობს არა სხვებისთვის, არამედ თავისთვის და მოიცავს თავის თავში კითხვასაც და პასუხსაც — თუ ვინ ვარ მე, რისთვის ვარსებობ, რომელ ქვეყანას ვეკუთვნი: ამაოებთ, შურითა და ღვარძლით სავსე ქვეყანას, თუ ვარ ამ შემთხვევით მოხვედრილი, იმ ცადაზიდული, სხივებმოელვარე, მარადიული სიკეთის სოფლისაკენ მიმავალი მგზავრი.

ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ

თავს ალბათ ვერასოდეს დავაღწევ ამ საშინელ სიმარტოვეს. რისთვის ვწერ? ვის ვაწონებ თავს? ლანდებს, რომლებსაც ადამიანებად მოაქვთ თავი? ამ კედლებს იქით ნელა, უხმაუროდ მიედინება ქუჩა, ბავშვობის დროიდან არყოფნისაკენ. დღესასწაული, სინათლით და სიხარულით სავსე, მხოლოდ ეკრანზე ციმციმებს. არის კი სადმე ის? ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის მიუწვდომელია. აქ მხოლოდ გადის, უსამველოდ გადის ყველაფერი, ახლოვდება მზადების დრო, მზადება — რისთვის? გასაქრობად? როგორ წარმოვიდგინო ეს ადურის სახლი უჩემოდ! მე ვზიავარ შუქ-ჩრდილში, ნაცრისფერ კედელს მიჩერებული და ძმიმედ, ძალიან ძმიმედ შევიგრძნობ, როგორ წვეთავს წამი წუთიდან წუთში, სა-

ათიდან საათში, წლიდან წლამდე. მინდა დავიყვირო, მაგრამ რა აზრი აქვს? რას დავიყვირებ, როცა სათქმელიც არაფერი მაქვს? ალბათ ამიტომაც ვიქეცი მწერლად, რომ სათქმელი არაფერი მაქვს, ან კი რა უნდა ვთქვა, როცა უაზრობითაა სავსე ეს ქვეყანა, უაზრობით და შიშით. ამიტომ ვპოულობ სიტყვას და ვგრძნობ მის უძლურებას; აზრი კი არა, ტკივილი მაწვრინებს. დაყვირება მსურდა და ფურცლის ნაგლეჯი ჩამივარდა ხელი. ასე უკეთესია. არც არავის დავაფრთხობ, არც არავის გავაცინებ. გთხოვ, ბოლომდე ნუ მიიღებ, ნუ დაიჯერებ იმას, რაც დამიწერია, ან რასაც დავწერ. მე კი არა, თითქოს ვიღაც სხვას აუღია ხელში ჩემი კალამი და ფიქრობს — ისეთი რა შექმნას, რომ განაცვიფროს მკითხველი. რა იქნებოდა, ჩვეულებრივად რომ მეცხოვრა, ვიდრე ახლა, როცა სულაც არ ვცხოვრობ! ჩემი ცხოვრება საკუთარ ცხოვრებაზე დაკვირვებაა; ან როგორ ვბედავ, რომ სიტყვით ვეხები გულში იმ ცოცხლად ჩარჩენილ დროს, რაზედაც ჩემი ბაშვობაა აკინძული. ყველაფერი უნდა გამოვფინო? რომ, იქნებ, კარგად გავასაღო და მოვიხვეჭო მწერლის სახელი? ვისთვის ან რისთვის? მე აღარ ვიქნები, ჩემი ცხოვრება, ერთადერთი და შეუქცევადი, ამ სახელის ძებნაში ჩამთავრდება და ვისთვის ვიწვალო? რად მინდა, რომ მომიგონონ, როცა ერთხელ მოვედი და აღარ მოვალ და ამ შეუქცევად სვლას ახლა, უცებ, ამ უკაცრიელ კედლებში მთელი სიმწარით ვგრძნობ! ვხედავ იმასაც, რომ აღარაა გამოსავალი, რომ ის, რაც დამრჩა, არც ღირს გამოსაფენად, არც იმის ძალა მეყოფა, რომ ეს საცოდავი ფურცლები ცეცხლში შევყარო და ვერც იმას შევძლებ, სინდისზე ბოლომდე ავიღო ხელი, დავივიწყო საკუთარი თავი და გავაგრძელო შეწყვეტილი სიტყვა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ჭანტურიშვილი

●

იქ, უკუნეთში,
სადაც მეფობს მარადი ძილი,
ყველანი წავალთ,
ვერ აცდება ამ გზას ვერც ერთი...

ცხოვრების მიღმა
დასალიერს შევუერთდებით
და გაგვიღიმებს ლმობიერად
გამჩენი ღმერთი.

●

ამ ფოთოლცვენამ
გამახსენა სახება შენი.
წარსული დარდი,
წარსული სევდა
ფოთლებად ფიფქავს

და ფოთოლცვენას ახმიანებს
და რარიგ შვენის,
გულის სიმღერა
რომ შეერწყა
ნიავის სუნთქვას.

●

რაზე ვფიქრობდით? არარაზე —
და ბუნებაც გარინდულიყო.
ვიჯექით ორნი...
ვეებერთელა ღრუბლის ჩრდილქვეშ
ალბათ ძალიან უძლური ვჩანდით.

●

განცდიდან განცდაში
გედივით მცურავი
ეს ჩემი არსება
იდუმალქმნილია.

ვინ წვდება არსთა არსს,
რა არის ის ფუძე,
ბრძენი რაზეც იტყვის:
— ეს საფუძველია!

ლოცვის წუთები,
აღტყინების უებრო ჟამი...
მაია ქრება და ჰა, იგიც —
საკვირველება,
ნაზი ცისფერი რეალობის
მწველი ცალი...

ქარიშხალი

მე კი დავანთე ეს ქარიშხალი,
მაგრამ ჩაქრობის არა მაქვს ძალა;
რა ვქნა, ურჩობა ვერ დავიშალე,
ჩემივე თავმა მევე მაწვალა.

ეს ქარიშხალი თვით მე დავანთე
და ნაპერწკლიდან ავარდა ალი.
ნეტა რად მინდა, ნეტა რას ვაქნევ,
თუ უძლურია ეს გორდა ხმალი.

მე თვით დავანთე ეს ქარიშხალი
და ქარიშხალი რადგან დავანთე —
აღარ არსებობს ფონი და ფშანი,
უნდა ვიბრძოლო, უნდა დავაკვდე...

ზადენი

წარვიდნენ დრონი,
დაიფერფლა ხსენება ღმერთთა.
ხატი არ ხატობს
და მლოცველიც
განუდგა ლოცვას.
კერპების მსხვრევა
გულის მსხვრევას
საზარლად ერთვის,
არსება ჩემი
შეეგუა ამ გარემოცვას.
მე თვით არ ვიცი,
როგორ მოვხვდი იქ, ზედაზენში.
ვიარე ბევრი,
ვიბოგინე ქვეყნად რამდენი...
ჩამოიწურა გაბერილი
ღრუბელი მზეში
და აღიმართა ფერნაკრთობი
სახე ზადენის!
ჩამოიქროლა, მისალბუნა
ნიავმა ანცმა.
მთლად ერუანტელმა ამიტანა
თავით ბოლომდი...
იყო ცის გახსნა,
იყო შვება,
თუ იყო ჯვარცმა —
იდგა ზადენი,
მისცემოდა რაღაც მოლოდინს...

ხეტიალობდა ქალაქში ქარი

ხეტიალობდა მთვარეულივით
ქალაქში ქარი
და როგორც მთვრალი,
ეჯახებოდა შემხვედრ გამვლელებს.
დაათრო ალბათ,
გზად რომ შეხვდა,
ვარდის სურნელმა,
ან სიყვარულმა
აუბნია სავალი გზები.
ხეტიალობდა მთვარეულივით
ქარი ქუჩაში,
მღერიოდა ლაღად,
გაზაფხულის სუნთქვად ქცეული...
ცაში კი ენთო,
ღამის ლოცვად,
შორი სანთლები
და სრულდებოდა
შეუცნობი მისტერიები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ ნაბოკოვი

ლ ო ლ ი ტ ა

რომანი

3.

ის წინდაუხედავი ცნობისმოყვარეობით შემოიჭრა ჩემს ქვეყანაში, სოსანის-ფერ-მოშავო ჰუმბრიაში; მოათვალიერ-მოათვალიერა, ბოროტად ჩაიცინა და ახლა მზად იყო, ჩვეულებრივი ზიზღით გაეკილა. ჩემს ალერსს არასოდეს აუთრთოლებია და მხოლოდ მკივანა წამოძახილით („ეს რას სჩადიხარ?") მაჯილდოვებდა, როდესაც ყოველნაირად ვცდილობდი მის აგზნებას. ჩემ მიერ შეთავაზებულ საკვირველ სამყაროს ეს ბრიყვი ბავშვი ამჯობინებდა ყველაზე სულელურ, ყველაზე მსუყე სიროფს. როდესაც სოსისსა და ჰუმბერტს შორის არჩევანი უნდა გაეკეთებინა, გამუდმებით და უმოწყალოდ პირველ მათგანს სტაცებდა ხოლმე პირს. არ მახსოვს, ვახსენე თუ არა წინა თავში იმ ბარის სახელწოდება, სადაც ვსაუზმობდი. მას „ყინულოვანი დედოფალი" ერქვა. შეურვებულმა, ლოლიტას ვუსაყვედურე, შენ ჩემი ყინულოვანი პრინცესა ხარ-მეთქი, მაგრამ გოგონა ვერ მიმიხვდა ამ უბადრუკ ხუმრობას.

ო, ნუ იღუშები, მკითხველო! უბედური სულაც არ ვიყავი. ნიმფეტის მფლობელი, მის მიერ მოჯადოებული და დამონებული მწირი ერთგვარად ბედნიერების საზღვარს მიღმა იმყოფება! რადგან ამქვეყნად ვერაფერი შეედრება ნიმფეტთან ნებივრობას. ეს ნეტარება კონკურსგარეშეა, ის სხვა კლასს, გრძნობათა სხვა რიგს განეკუთვნება. დიახ, ვკინკლაობდით, დიახ, ლოლიტა ზოგჯერ აუტანელი იყო, დიახ, ის ყოველგვარ დაბრკოლებებს მიქმნიდა, მაგრამ მისი გრიმასების, ცხოვრების სიტლანქის, აგრეთვე — ზიფათისა დ უკიდურესი უიმედობის მიუხედავად, მაინც ჩემ მიერ არჩეული სამოთხის გულისგულში ქიმყოფებოდი. სამოთხის კიდეები ჯოჯოხეთური ალივით გიზგიზებდა, მაგრამ ეს მაინც სამოთხე იყო.

სავარაუდოა, რომ მავანი გამოცდილი (ალბათ, ჩემ მიერ ბოცვერივით მონუსხული) ფსიქიატრი, რომელიც ახლა ჩემს თხზულებას იკვლევს, მოისურვებდა, მთხრობელს ლოლიტა ზღვაზე წაეყვანა. აქ იგი დიდი ხნის ნატვრას აისრულებდა — თავს დაადწევდა პატარა მისს ლისთან განუხორციელებელი რომანის „ქვეცნობიერ" საცთურს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 7, 8, 9, 10, 11, 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გაეწყობა, ამხანაგო ექიმო! ნება მიბოძეთ, გაუწყოთ, რომ მარილაც ვეძებდი პლაჟს. ამასთან, როდესაც რუხი წყლის ამ მირაჟს მივადექით, ჩემს თანამგზავრთან ერთად უკვე ბევრჯერ ვეწეე სიტკბოებას; ამიტომ ოცნება „ზღვისპირა სამეფოს“, „სუბლიმირებული რივიერის“ ან მსგავსი რამეების შესახებ უკვე ადარ წარმოადგენდა ძთხრობლის სიღრმისეულ სწრაფვას და დაიყვანებოდა წმინდა თეორიული განცდასადმი ლტოლვამდე. ედგარის ანგელოსებმა ეს უწყოდნენ — და შესაბამისად მოაგვარეს საქმე. ატლანტიკის სანაპიროზე მივნახე სავსებით დამაჯერებელი ყურე, მაგრამ საქმე ავდარმა გაიცუდა: მძიმედ ჩამოწოლილი, ღრუბლიანი ცა, მღვრიე ტალღები, უკიდეგანო, თუმცა კი სავსებით ჩვეულებრივი ბურუსი — რა უნდა ყოფილიყო უფრო განსხვავებული ხმელთაშუა ზღვის პირას განცდილი თავგადასავლის საჩინარი გრძნებისა და ლაჟვარდისფერ-მოწითალო გარემოცვისგან? მექსიკის ყურის ორი-სამი ნახევრად ტროპიკული, საკმარისად მზიანი პლაჟი მოფენილი იყო შხამიანი, ვარსკვლავისებრი ან ლორწოვანი არსებებით, თანაც აქ გრიგალი მძვინვარებდა. ბოლოს, კალიფორნიის სანაპიროზე, წყნარი ოკეანის აჩრდილის პირდაპირ ეკადე, განვმარტოებულიყავით მღვიმეში, სადაც დამპალი ხეების მიღმა გაშლილი პლაჟიდან რამდენიმე სკაუტი გოგონას ყიჟინა მოისმოდა. ისინი პირველად ბანაობდნენ ძლიერი მოქცევისას; მაგრამ ბურუსი სველი სანაბანავით ეკიდა, ქვიშა უსიამოდ მარცლოვანი და მწებვარე იყო, ლოლიტას ხორკლიან სხეულზე ქვიშის მარცვლები მიკრობოდა და (ჩემს სიცოცხლეში პირველად!) ლამანტინზე მეტად როდი მაღელვებდა. ამასთან, ჩემი განსწავლული მკითხველების გასამხნევებლად უნდა დავძინო: კიდევ რომ მოგვეძებნა ზღვის რომელიმე გულისსმიერი ნაპირი, უკვე გვიან იყო—ჩემი „გთავისუფლება“ გაცილებით ადრე განხორციელდა, სახელდობრ, იმ წამს, როდესაც ანაბელა ჰეიზი, ანუ დოლორეს ლი, ანუ ლოლიტა გამომეცხადა — ოქროსფერი, მზემოკიდებული, მუხლებზე დაჩოქილი გოგონა, რომელმაც ქვემოდან ამოიხედა იმ უბადრუკ ვერანდაზე, ფიქტიურ, უპატიოსნო, მაგრამ ძალზე მარჯვე ზღვისპირა კომბინაციაში (თუმცა შორიახლოს არაფერი იყო, მეორეხარისხოვანი ტბის გარდა).

ამით დავასრულებ ნუსხას განსაკუთრებული შეგრძნებებისა, რომლებიც თანამედროვე ფსიქიატრიის პოსტულატებზეა დამოკიდებული ან მათგან მომდინარეობს. ამიტომ მე და ლოლიტა პლაჟებზე არ დავდიოდით არც ავდარში (როდესაც ცარიელი სანაპირო მხოლოდ სევდას გვგვრიდა), არც მაშინ, როდესაც მზე კაშკაშებდა და იქ ტევა ადარ იყო. მეორე მხრივ, ჯერ კიდევ მტანჯავდა მოგონებები ევროპის ქალაქთა პარკებში ჩემს უსასოო ხეტიალის შესახებ, ამიტომ ყოველთვის მაინტერესებდა ცის ქვეშ სასიფარული თამაშის შესაძლებლობა და ვეძებდი ხელსაყრელ ადგილებს იმ ბუნების წიაღში, სადაც ოდესღაც ამდენი სამარცხვინო ვნება განვიცადე. ბედი აქაც მეურჩებოდა. იმედის უამრავმა გაცრუებამ, რომელთა რეგისტრირებასაც ახლა ვცდილობ (და უშფოთველად აღვწერ განუწყვეტელ რისკსა და შიშს, თან რომ სდევდა ჩემს ბედნიერებას), — ჩრდილი არ უნდა მიაყენოს ამერიკის მიყრუებულ, ლირიკულ, ეპიკურ, ტრაგიკულ სანაბებს (რომლებიც, ამასთან, არასოდეს ჰგავდნენ არკადიას). ეს სანაბები მშვენიერია, გულგამგმირავად მშვენიერი. მათ ახასიათებს დიდთვალა, აქამდე შეუმჩნეველი, უმანკო უდრტვინველობა, რასაც ვერ იპოვით შეეიცარიის გალაქულ, შეღებილ, სათამაშოსმაგვარ სოფლებში და ეგზომ ნაქებ ალპებში. უამრავი მიჯნური წოლილა ევროპის მთების სწორ გაზონებზე, ძვირფასი ლებიბეიდ დრეკად ხავსზე, სარგებლობისთვის ძალზე მოსახერხებელი, ჰიგიენური ნაკადულის მახლობლად, ვენზელებით მორთულ მუზებქვეშ დადგმულ, ტლანქად გამოჩორკნილ მერხებსა და

ესოდენ უამრავ ქოხმახებში, წიფლის ტყეების საფარქვეშ. ამასთან, ლაღი ნავარდის მოყვარული ადამიანი ამერიკის მიყრუებულ სანახებში ვერ ჰპოვებს ეგზომ მარჯვე შესაძლებლობებს უძველესი დანაშაულებრივი და თავშესაქცევი ქმედებისთვის. ქალ-ბატს შხამიანი მცენარეები დაუსუსხავენ გავას, სხეულს უსახელო მწერები დუკბენენ, მუხლებს ტყის ჩხვლეტია ხალიჩა ატკენს, ხოლო პოტენციური გველების – გველების კი არა, სანახევროდ გადაშენებული დრაკონების – განუწყვეტელ ფაჩუნში მტაცებელი ყვავილების პაწაწინა, გაბარჯღული თესლები ამაზრზენი ზურმუხტისფერი ქერქივით მიეწებება როგორც წვიანკრავიან შავ წინდას, ასევე მოკლე, თეთრ, ჩაჩაწულ წინდასაც.

ცოტათი ვაზეიადებ. ზაფხულის ერთ შუადღეს, ტყის პირას, იქ, სადაც ცისფერი ყვავილედები მთის მორაკრაკე ნაკადულთან შეგროვილიყო, ბოლოს და ბოლოს ვიპოვეთ განმარტოებული რომანტიკული ადგილი დაახლოებით ასი ფუტის დაცილებით უღელტეხილიდან, სადაც ავტომობილი დავტოვეთ. ერთი შეხედვით, მთის კალთა უვალი იყო. უკანასკნელ ფიჭვს კლეფე აბობლება მოეხერხებინა და იქ ქოშინით შეჩერებულიყო (დამსაზურებული დასვენებისთვის. ვირზაზუნამ დაგვინახა, დაუსტვინა და სადღაც გაქრა. ლოლიტას პლედი გავუშალე. მის ქვეშ ოდნავ გასაგონად ატკაცუნდა მშრალი ბალახი. კიბრიდა მოვდა და წავიდა; ზედა ფერდობის თავზე ადმართულ დაკბილულ კლდესა და ჩვენს სარეცლის ქვემოთ მოდებულ ბუჩქნარს თითქოს უნდა დაეცავით მზისა და ადამიანისგან. სამწუხაროდ, ვერ გავითვალისწინე ოდნავ მონიშნული გვერდითი ბილიკი, ფლიდურად რომ მიიკლაკნებოდა ბუჩქებსა და ქვებს შორის. ძლივს გადავრჩით; ბუნებრივია, ამ შემთხვევამ სამუდამოდ განმკურნა ბუკოლიკისადმი სიყვარულისგან.

მახსოვს, ოპერაცია დავამთავრე, მთლიანად დავამთავრე. ლოლიტა ჩემს მკლავებში სლუკუნებდა. ვვითინის კეთილისმყოფელმა ქარიშხალმა დაასრულა ჭირვეული კაენის ერთ-ერთი იმგვარი შეტევა, ასე რომ გახშირდა ბოლო (საერთოდ, შესანიშნავ) წელიწადს. გავაუქმე რომელიღაც სულელური დაპირება, რომელიც მან გამომძალა (მამაკაცური ენის ბრმა მოუთმენლობით ისარგებლა) და აი, ახლა პლედზე გაშოტილი ვოგონა ცრემლებს ღვრიდა და ჩემს ალერსიან ხელს ჩქმეტდა, მე კი მხიარულად ვიცინოდი. საშინელი, ენით აუწერელი, გაუსაძლისი – და, ვეჭვობ– მარადიული ძრწოლა, რომელსაც ახლა განვიცდი, მაშინ კაშკაშა ბედნიერებით ატაცებულს, მარტოოდენ შავ წერტილად მეჩვენებოდა. აი, ასე ვიწვეთით, როდესაც ელდა მეცა (ამგვარმა განცდებმა ჩემი საბრალო გული საბოლოოდ ამოაგდო კალაპოტიდან): უეცრად წავაწყდი ორი უცნაური და მშვენიერი ბავშვის – პატარა ფავნუსისა და ნიმფეტის– შავ, დაჭყეტილ თვალებს. ერთნაირი სწორი შავი თმა და ფერმკრთალი პატარა სახეები ჰქონდათ; მიწაზე იყვნენ გართხმულნი და ჩვენ მოვეჩერებოდნენ. მათი ერთნაირი კოსტიუმების ლურჯი ფერი მთის ყვავილების სილურჯეს ერწყმოდა. თავზარდაცემულმა, პლედს ხელი ვეტაცე და დავიფარე – იმავე წამს პუშშოლის მსგავსმა კოლეტანმა რაღაცამ ჩვენს ახლოს, ბუჩქებში მოტრიალება დაიწყო და თანდათან გადაიქცა მსუქანი თმაშეკრეჭილი ქალის მოხრილ ზურგად, რომელიც ნელ-ნელა ამართებოდა. ქალმა თაიგულს მექანიკურად დაუმტა კიდეე ერთი ველური შროშანი და ჩვენკენ გამოიხედა. მისი თვალწარმტაცი, თითქოს ლურჯი ქვისგან გამოკვეთილი ბავშვები იქვე გალურსულიყვნენ.

ახლა, როდესაც ჩემს სინდისზე სრულიად სხვა უბედურებაა, ვიცი, რომ სიმამაცე არ მაკლია. იმჟამად ეს ჩემთვის უცნობი იყო. მახსოვს, როგორ გამაკვირვა საკუთარმა სიმშვიდემ: წავიწურნული ერთ-ერთი ისეთი ბრძანება, რომლითაც, საშინელი მდგომარეობის მიუხედავად, მიმართავ ხოლმე დაბნეულ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობუზულ ცხოველს — (როგორი გადარეული იმედით ან სიძულვილით უორთის ვვერდება ნორჩ ნადრის, როგორი მრუმე ვარსკვლავები ფეთქდება მწვრთნელის გულში!) და ლოლიტა ვაიძულე, ამდგარიყო. ჩვენ მედიდურად გავცილდით იქაურობას, შემდეგ კი უხამსი სისწრაფით ჩავცოცდით გზისკენ, სადაც ავტომობილი დავტოვეთ.

მის უკან იდგა საოჯახო ყაიდის კოპწია მანქანა; მეტად სანდომიანი გარეგნობის შავწვერა ასორიელი, რომელსაც აბრეშუმის პერანგი და წითელი შარვალი ეცვა (ეს, ალბათ, ბოტანიკით გატაცებული მსუქანი ქალის ქმარი იყო) სერიოზული გამომეტყველებით უღებდა სურათს ულელტეხილის სიმაღლის მაუწყებელ წარწერას. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ათიათას ფუტს. სული შეხუთებოდა. მანქანის საჭე ძლივს დავიმორჩილე და ბორბლებქვეშ ქვიშა ახრაშნდა. ლოლიტა ჯერ კიდევ იცვამდა, ჯახირობდა და ისეთი სიტყვებით მლანძღავდა, რომლებიც გოგონებმა არ უნდა იცოდნენ და, მით უმეტეს, არ უნდა გამოიყენონ.

სხვა უსიამოვნებებიც შემემთხვა. იმ დროს ლოლიტა ჯერ კიდევ ჭეშმარიტი ენებით ეტრფოდა კინოს (რაც შემდგომ, გამნაზიაში სწავლისას, ზანტ შემწყნარებლობად გადაიქცა). ერთი წლის განმავლობაში განურეველი აღტაცებით ენახეთ ას ორმოცდაათი თუ ორასი პროგრამა. ზოგჯერ ერთსა და იმავე პროგრამას რამდენჯერმე ენახულობდით: ამა თუ იმ ახალ კინოსურათს ახლდა კინოჟურნალის ერთი და იგივე გამოშვება, რომელიც თან ვვდევდა ქალაქიდან ქალაქში გადანაცვლებისას. გოგონას ყველაზე მეტად მოსწონდა ქვემოთ დასახელებული ტიპის ფილმები, ამგვარი თანმიმდევრობით: მუსიკალური კომედიები, განსტერული და კოვბოური კინოსურათები. მათში მონაწილე ნამდვილ მომღერლებსა და მოცეკვავეებს მიეწერებოდა ეგრეთ წოდებულ „სევდგამქლე“ სფერაში განხორციელებული არაჭეშმარიტი სცენური კარიერები, საიდანაც განდევნილი იყო სიკვდილი და სიმართლე. მხეოვანი, გულაჩვილებული, ტექნიკური თვალსაზრისით უკვდავი მამები თავდაპირველად უარყოფთად ეჭიდებოდნენ ახირებული ქალიშვილების არტისტულ კარიერას, მაგრამ ბოლოს გულმხურვალედ უკრავდნენ ტაშს საუცხოო თეატრებში ეამართულ პრემიერებზე. განგსტერების სამყაროც თავისებური იყო: ვამედლულ რეპორტიორებს საშინლად აწამებდნენ, სატელეფონო ანგარიშები მილიარდობით დოლარს აღწევდა და უხეირო სროლის ვაკკაცურ ატმოსფეროში პათოლოგიურად უშიშარი პოლიციელები ბორტმოქმედებს მისდევდნენ წვიმის ჩასადენ მილებსა და პაკპუზებს შორის (მე გაცილებით ნაკლები საზრუნავი გაეუწინე მათ). ბოლოს, გვხვდებოდა „ველური დასავლეთისადმი“ მიძღვნილი ფილმებიც — ტერაკოტისფერი პეიზაჟი, სახელაღლაჯა, ცისფერთვალება კოვბოი, თავდაჭერილი, მაგრამ ეშხიანი მასწავლებელი ქალიშვილი, რომელიც ახლახან ჩამოვიდა „მგრვეინავ ზეობაში“, ყალეზე შემდგარი ცხენი, საქონლის სტიქიური პანიკა, რევოლვერის ლულა წკრიალით ამსხვრევდა ფანჯრის მინას, დაუჯერებელი მუშტი-კრივის დროს იატაკზე ენარცხებოდა უამრავი ძველმოდური ავეჯი, მაგიდები იარაღად გამოიყენებოდა, ბმრი ყირაზე გადადიოდა, მის მიერ მიწაზე დაცემული ბორტმოქმედი ხელით ეძებდა დაგდებულ სანადირო დანას, მოჩხუბრები ხვნიმოდნენ, მუშტი ხმამაღლა უბრაგუნებდა ნიკას, ფეხი ფაშს ურტყამდა, ეგრირ ბორტმოქმედს ზედ ანტებოდა, და იმდენი ვაი-ვაგლახის შემდეგ, რასაც ჰერაკლეც ვერ გაუძლებდა (ახლა თვითონ ვიწვნიე ეს!), ეგრის არაფერი ეტყობოდა ბრინჯაოსფერ ყვრიმალზე დაჩნეული საკმაოდ მიმზიდველი ლაბრის გარდა, ის ცივილიზაციის შორეულ მიჯნაზე იმყოფებოდა და ეხეიდა მზეთუნახავ სასძლოს. მაგონდება ბავშვებით გაჭედილ და კინოსასუნსავის (სიმინდის შემწვარი მარცვლების) ცხელი სურნელით გაჟღენთილ პატარა დამყაყებულ კი-

ნოთეატრში ნანახი ფილმი: ყვითელი მთვარე ამოდიოდა ყელსახვევიანი, მოღღინე გიტარისტის თავზე; ის ცალი ფეხით ფიჭვის მორს დაყრდნობოდა. მე — სრულიად უწყინრად — ლოლიტას მხარზე ხელი გადავუხვიე და ლოყა მის საფეთქელს მივუახლოვე. ამ დროს ჩვენს უკან მჯდარმა ორმა დედაბერმა უცნაური ბურტყუნი დაიწყო — არ ვიცი, სწორად მივუხვდი თუ არა, მაგრამ იმან, რაც სანახევროდ გავიცნობიერე, მაიძულა, ჩემი ალერსიანი ხელი მომეშორებინა. რა თქმა უნდა, ფილმის დარჩენილ ნაწილში ვერაფერი გავიგე.

აქ უცნაური რამ უნდა ვაღიარო. გაგეცინებათ, მაგრამ სიმართლე რომ გითხრათ, ვერასოდეს მოვახერხე, ზუსტად გამერკვია მდგომარეობის იურიდიული მხარე. ახლაც არაფერი ვიცი მის შესახებ. ო, რამდენიმე შემთხვევითმა ცნობამ, რა თქმა უნდა, მოაღწია ჩემამდე. ალაბამაში მეურვეს ეკრძალება ბავშვის ადგილსამყოფელის შეცვლა სასამართლოს ნებართვის გარეშე. მინესოტა (რომელსაც თავს მდაბლად ვუხრი) ითვალისწინებს, რომ თუ ნათესავი კისრულობს თოთხმეტ წლამდე ასაკის ბავშვის დაცვასა და მეურვეობას, მაშინ სასამართლოს ავტორიტეტის მოხმობა საჭირო აღარაა. დავუშვათ, ოდნავ შეღერებულ, მომხიბვლელ, გულგამმბრავ გოგუცუნას ჰყავს ერთი თვის სტაჟის მქონე მამინაცვალი; დავუშვათ, აგრეთვე, რომ მცირე, მაგრამ დამოუკიდებელი შემოსავლის მქონე ამ ნერვასთენიკი ქვრივის წარსული მოიცავს ევროპის პარაპეტებს, განქორწინებასა და რამდენიმე საგიჟეში ყოფნას, ჩაითვლება თუ არა ასეთი კაცი ბავშვის ნათესავად და, მაშასადამე, ერთადერთ მეურვედ? და თუ არა, თხოვნით ხომ არ უნდა მივმართოთ (გონიერების შენარჩუნებისას) საზოგადოებრივი მეურვეობის რომელიმე განყოფილებას (როგორ წარადგენენ თხოვნას)? მაგრამ ასეთ შემთხვევაში სასამართლოს წარმომადგენელი გამოიძიებს თვინიერი, მაგრამ საეჭვო ჰუმბერტისა და საშიში დოლორეს ჰეიზის ცხოვრებას. ქორწინების, გარყვნილებისა და გაშვილების შესახებ მალულად წაკითხულ უამრავ წიგნში (დიდი და მცირე ქალაქების ბიბლიოთეკებში რომ მოვიძებები ხოლმე) ვერაფერი ვიპოვე, გარდა ბუნდოვანი მინიშნებებისა ამის შესახებ, რომ სახელმწიფო — მცირეწლოვანი გოგონების უზენაესი მეურვეა, პილენი და ზაპელი (თუ მათი გვარები სწორად დავიმახსოვრე) ქორწინების კანონების შესახებ დაწერილ მოზრდილ წიგნში სრულად არ ითვალისწინებენ მამინაცვლებს, რომელთაც მკლავებში და მუხლებზე ობლები შემორჩათ. ჩემი საუკეთესო მეგობარი, სოციალური უზრუნველყოფის უწყების მიერ გამოშვებული მონოგრაფია (ჩიკაგო, 1936), რომელიც სავსებით უდანაშაულო შინაბერამ დიდი წვალებით გამოქექა ბიბლიოთეკის საწყობის მტვრიანი სიღრმიდან, ამტკიცებდა: „არ არსებობს წესი, რომლის თანახმად ყოველ უწლოვანს მეურვე უნდა ჰყავდეს. სასამართლოს როლი პასიერია და ის მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როდესაც ბავშვის მდგომარეობა აშკარად სახიფათოა“. ბოლოს დავასკვენი, რომ ადამიანი მაშინ ინიშნება მეურვედ, როცა ამის საზეიმო და ფორმალურ სურვილს გამოხატავს. ამასთან, შეიძლება, მთელი თვეები გავიდეს, სანამ მას საქმის მოსასმენად დაიბარებენ და მისი ჩინის შესაბამისად, ორი მტრედისფერი ფრთის ამოზრდის უფლებას მისცემენ. მშვენიერ დემონურ ბალღს კი კანონი ბედის ანაბარად ტოვებს. ეს, ფაქტიურად, დოლორეს ჰეიზსაც შეეხება. შემდეგ საქმეს ისმენენ. მოსამართლის ორისამი შეკითხვა, ადვოკატის ორი-სამი დამაწყნარებელი პასუხი — და თანამდებობა უზრუნველყოფილია. მაინც ვერ გავკადნიერდი. სორონი შემშვიდა, მობუზულ თაგვს დავედარე. სასამართლო მხოლოდ მაშინ მოქმედებდა სწრაფად, როდესაც საქმე ფულის საკითხს ეხებოდა: ორი ანგარებიანი მეურვე, გაქურდული ობოლი, მესამე — კიდევ უფრო ხარბი — მონაწილე... მაგრამ ამ შემთხვევაში საშიში არაფერი იყო, ინვენტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიზაცია დიდ ხნის წინ გაკეთდა და დედისეული მცირე მემკვიდრეობა ხელუხლებლად ელოდა დოლორეს ჰეიზის სრულწლოვანებას. ყველაზე კეთილგონივრულ კურსად მიმაჩნდა თხოვნის შეუტანლობა. კეთილი, მაგრამ საქმეში ხომ არ ჩაერევა რომელიმე ორგანიზაცია, ვთქვათ, „კაცთმოყვარე საზოგადოება“, თუკი მეტისმეტად შეუმჩნევლად მოვიქცევი?

ჩემ მიმართ მეგობრულად განწყობილი ფარლო, მგონი, სასამართლოს რწმუნებულად მსახურობდა და, ალბათ, შეეძლო, სამედო რამ ერჩია. ამასთან, ის ცოლის სიმსივნური დაავადებით იყო შეშფოთებული და დპირებულზე მეტად ვერ მომეხმარებოდა (ჯონი კელაე ზრუნავდა შარლოტას მწერ ქონებაზე, სანამ მე ძალზე ნელა არ მოვმჯობინდებოდი ცოლის სიკვდილით გამოწვეული ელდის შემდეგ). ფარლოს მტკიცედ ჩავაგონე, რომ დოლორესი ჩემი უკანონო ქალიშვილი იყო. ამიტომ მას არ დაინტერესებდა ჩემი მდგომარეობა. კითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ უხერხო საქმოსანი ვიყავი, მაგრამ სიხარმაცისა და უცოდინრობის მიუხედავად, პროფესიული დახმარება უნდა მეთხოვა. ისიც მაშინებდა, რომ თუ ბედს შევუჩნდებოდი და მისი საარაკო ნობათის გააზრებასა და დასაბუთებას შევეცდებოდი, ამ ნობათს დავკარგავდი; ასე ქრებოდა ადმოსაელურ ზღაპარში მთის მწვერვალზე წამოჭიმული სასახლე, როდესაც ესა თუ ის მუშტარი დარაჯს ეკითხებოდა, რატომ ჩანდა ჩამავალი მზის სხივებით განათებული ცის ზოლი ასე მკვეთრად შავ კლდესა და სამირკველს შორის.

გავიფიქრე, რომ ბერდსლეიში (სადაც ბერდსლეის უნივერსიტეტი იყო განლაგებული) უეჭველად ვიპოვიდი ჩემ მიერ ჯერჯერობით შეუსწავლელ ცნობარებს, მაგალითად, ვერნერის ტრაქტატს „მეურვეობის ამერიკული კანონის შესახებ“ ან „ბავშვთა ბიუროს“ მიერ გამოცემულ ზოგიერთ ბროშურას.

ამას გარდა, ლოლიტას აწინდელ უსაქმურობასა და დემორალიზებას ყველაფერი სჯობდა. იმდენნაირად მატკბილებდა, რომ ჰედაგოგ-თეორეტიკოსსაც კი განაცვიფრებდა, მაგრამ ვერაფრით დავიყოლიე, რაიმე წაეკითხა, ეგრეთ წოდებული „კომიქსების წიგნისა“ ან ქალთათვის განკუთვნილი იაფფასიანი ჟურნალების გარდა. მეტ-ნაკლებად დახვეწილი ლიტერატურა გამნაზიას აკონებდა და თუმცა თანახმა იყო, ოდესმე გასცნობოდა შეჰერეზადას ზღაპრებს ან „პატარა ქალებს“, მაგრამ კატეგორიულად არ სურდა არდადეგებს გაცდენა ასეთი სერიოზული, რთული წიგნებისათვის.

ალბათ, დიდად შევცდი, როდესაც ამერიკის აღმოსავლეთში დაებრუნდი და ლოლიტა ბერდსლეის კერძო გიმნაზიაში შევიყვანე. აჯობებდა, როგორმე გადაგველახა მექსიკის ეს ოდენ ახლო საზღვარი და ორიოდ წლით მივმალულიყავით სუბტროპიკულ პარადიზში, რის შემდეგაც არხეინად დავქირწინებოდი ამ პატარა კრეოლ ვოვნაზე; საკუთარი ჯერკელებისა და განგლიების მდგომარეობისდა მიხედვით, დღის განმავლობაში მონაცვლეობით ვიხრებოდი ორი პოლუსისკენ: უპირველეს ყოვლისა, მაშმაგებდა აზრი, რომ 1950 წელს თავიდან უნდა მომეცილებინა მოზარდი, რომელსაც იმ დროისთვის ხელმქმნელი ნიმფეტობის ვადა გაუვიდოდა; მეორე მხრივ (ეარკვეული გულმოდგინებისა და იღლიანობის შემთხვევაში), ალბათ, ვაიძულებდი, უახლოეს მომავალში ეშვა მოხდენილი „ლოლიტა მეორე“, რომლის ძარღვებში ჩემი სისხლი იჩქროლებდა; 1960 წელს (მაშინ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცი ვიქნებოდი) ის რვა თუ ცხრა წლისა შესრულდებოდა; მეტსაც ვიტყვი, ჩემი გონების (თუ უგუნურობის) ჭოვრიტი მოვიმარჯვე და წლების შორეთში დავინახე ჯერ კიდევ ჭარმაგი („მწვანე“) ბერიკაცი (იქნებ ეს სიმწვანე, უბრალოდ, სიდამპლეა?); ეს უცნაური, ალერსიანი, დორბლიანი დ-რი ჰუმბერტი უსაზღვროდ მშვენიერ მესამე ლოლიტაზე ივარჯიშებდა „ბაბუად ყოფნის ხელოვნებაში“, რასაც ვიქტორ ჰიუგომ უმღერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი უწვეულო მოგზაურობის განმავლობაში ერთ ლოლიტას მამობა ვერ გავუწიე, თუმცა ყოველ ღონეს ვხმარობდი ამისთვის. წაიკითხე და გადაიკითხე ბიბლიური სახელწოდების მქონე წიგნი „შეიცან ასული შენი“ (ისევ მაღალბიში ვიყიდე, სადაც ლოლიტას დაბადების მეცამეტე წლის აღსანიშნავად შევიძინე ანდერსენის „ალის“ საუცხოო, ლამაზი ილუსტრაციებით გაფორმებული ვამიცემა). მაგრამ თვით საუკეთესო მომენტებში, როდესაც წვიმიან ამინდში კითხვით ვიქცევდით თავს (ლოლიტას მზერა ამ დროს მოუსვენრად გადარბოდა ფანჯრიდან მაჯის საათზე, შემდეგ კი – კელავ ფანჯარაზე), ან კარგად და მაძღრისად ვსადილობდით გაჭედილ „დაინერში“ (უძრავ ვაგონ-რესტორანში) ან ბანქოს ვთამაშობდით, ან მაღალბიეში დავხეტიალობდით, ან სხვა ავტომობილისტებთან და მათ შვილებთან ერთად მდუმარედ ვათვალიერებდით დამსხვრეულ, დასისხლიანებულ მანქანას და ვამჩნევდით თხრილში ჩავარდნილ ქალის ფეხსაცმელს (შემდეგ გზას ვაგრძელებდით და ლოლიტა მეუბნებოდა: „სწორედ ამგვარი სპორტული ფეხსაცმელი გუშინ ამაოდ ავეუწერე კრეტინ ნოქარს“) – ყველა ამ შემთხვევაში მამის როლს უხეიროდ ვასრულებდი, ლოლიტაც საეჭვო ქალიშვილი იყო ალბათ, ჩვენი ხეტიალი დამლუპველად მოქმედებს მიმიკრიის უნარზე-მეთქი, ვიფიქრე. მდგომარეობა უნდა გაეუმჯობესებინა მუდმივ საცხოვრებელ ადგილსა და სასკოლო ცხოვრების რუტინას.

ბერდსლეი იმატომ ავირჩიე, რომ აქ იყო არა მარტო ქალთა შედარებით რიგიანი გიმნაზია, არამედ – ქალთა ცნობილი უნივერსიტეტიც. მსურდა, გარკვეული საცხოვრებელი ადგილი მქონდა. ჭრელ გარემოში უნდა დავმკვიდრებულიყავი, რათა ტუსაღის ზოლიანი ტანისამოსი შეუჩნეველად შერწყმოდა მას. ჩემი ერთი ნაცნობი მომაგონდა. ეს იყო ბერდსლეის უნივერსიტეტის ფრანგული ენის პროფესორი, რომელიც ჩემ მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით ასწავლიდა სტუდენტებს და ერთხელ მიმიწვია კიდეც ლექციის წასაკითხად. ქალთა უნივერსიტეტის ლექტორობა ვერ მაცდუნებდა, რადგან (ეს არაერთხელ აღვნიშნე) წინამდებარე აღსარების ფურცლებზე) არაფერი ძძაგს უფრო მეტად, ვიდრე სტუდენტი ქალიშვილების უმრავლესობის ზორბა გავები, მოშსხო წვივები და ბუჩრიანი შუბლები. (ჩემი წარმოდგენით, ქალთა ტლანქი სხეულები ის აკლდამებია, რომლებშიც ცოცხლად არიან ჩაპარხულნი ჩემი ნიმფეტები!); მაგრამ მსურდა, მქონოდა იარლიყი, სასიცოცხლო ფონი, ნიღაბი. გარდა ამისა, არსებობდა კიდევ ერთი საკანგები, საკმაოდ უწვეულო მიზეზი, რომლის გამო გასტონ გოდენთან ურთიერთობა გამომადგებოდა.

ბოლოს, ფულის პრობლემაც მაწუხებდა. ჩემი შემოსავალი ვერ უძლებდა ჩვენს გასაჭირთა მოგზაურობასთან დაკავშირებულ ხარჯებს. მართალია, იაფი სადგომების შერჩევას ვცდილობდი, მაგრამ ბიუჯეტს ხშირად უთხრიდა ძირს ხმაურიან საუკეთესო ოტელებში ან პრეტენზიულ ფსევდორანჩოებში ცხოვრება. განსაცვიფრებელი ოდენობის თანხები იხარჯებოდა აგრეთვე ღირსშესანშნაობათა დათვალიერებასა და ლოლიტას გარდერობზე. ჰეიზების ჯაბახანა ავტომობილი გამძლე და ძალზე ერთგული მანქანა იყო, მაგრამ მასაც გამუდმებით ესაჭიროებოდა მეტ-ნაკლებად ძვირად ღირებული რემონტი.

ცოხის ხელისუფლებამ მოწყალედ ნება დამრთო, ამ ჩანაწერებისთვის ჩემი ქალალდებით მესარგებლა. მათ შორის შემოხვევით შემორჩა მომცრო წიგნაკებად აკინძული სამაჯრუტო რუკები. ერთ-ერთ მათგანში ვიპოვე სახელდახელოდ ჩაწერილი ვამთანგარიშებანი: 1947-48 ექსტრავაგანტურ წელს, ერთი აგვისტოდან მეორემდე, ბინასა და კვებაში 5.500 დოლარამდე გადაგვიხდია, ხოლო ბენზინსა, ზეთსა და მანქანის შეკეთებაში – 1,234 დოლარი; ასეთივე თანხა გამიღია დამატებით ხარჯებზე, ასე რომ, მგზავრობის ეს ორმოცდაათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღის განმავლობაში (დაახლოებით 27.000 მილი გავიარეთ!) და შუალედური შეჩერებების დაახლოებით ორასი დღის მანძილზე მოკრძალებულმა რანტიემ, ჰუმბერტმა 8.000 დ, შესაძლოა, 10.000 დოლარიც კი გადაიხადა (რადგან არაპრაქტიკულობის გამო, ალბათ, ბევრი დანახარჯი დამავიწყდა).

და აი, კვლავ აღმოსავლეთისკენ გავეშურეთ. ქინის დაკმაყოფილებამ კი არ ალმაფრთოვანა, არამედ — გამომფიტა; ჯან-ღონით სავსე ლოლიტას კვლავ ბიჭივით ვიწრო თეძოები ჰქონდა, თუმცა სიმაღლეში ორი გოჯი მოიმატა, ხოლო წონაში — რვა ამერიკული ფუნტი. ყველაფერი დავთვალიერეთ. საერთოდ კი, არაფერი გვინახავს. დღეს ასე მგონია, რომ ჩვენმა ხანგრძლივმა მოგზაურობამ ლორწოს კლაკნილი ნაღვენთით წაბილწა მშვენიერი, მიმნდობი, მეოცნებე უზარმაზარი ქვეყანა. ჩემს მოგონებებში ის დაიყვანება გაქუცული რუკების, დაგლეჯილი მეგზურებისა და მანქანების ძველი სალტეების კოლექციამდე, აგრეთვე — ლოლიტას ქვითინზე (ყოველ, ყოველ ღამეს, როგორც კი თავს მოვიმძინარებდი).

4.

როდესაც შუქ-ჩრდილის გირლიანდები განვლეთ და თეერის ქუჩის მე-14 ნომერს მივადექით, სერიოზულმა პატარა ბიჭუნამ გადმოგვცა გასაღები და გასტონის წერილი — მას ეს სახლი დაქირაოვებინა ჩვენთვის. ლოლიტამ შეხედვის ღირსადაც არ ჩათვალა ახალი სამყოფელი, ბრმად ჩართო რადიო, რომელთანაც ინსტინქტმა მიიყვანა, და სასტუმრო ოთახში მდგარ დივანზე წამოგორდა. გოგონა მყისვე დააცხრა ძველ ილუსტრირებულ ჟურნალებს, რომლებიც ასეთივე ბრმა სიზუსტით ამოიღო დივანთან მიდგმული პატარა მაგიდის ქვედა უჯრიდან.

ჩემთვის, არსებითად, სულ ერთი იყო, სად ვიცხოვრებდით, თუკი ლოლიტას გამოკეტვას შეეძლებდი, მაგრამ გასტონის ბუნდოვანი წერილების მიხედვით, ბუნდოვნად წარმოვიდგინე სუროს ფოთლებით დაჩრდილული აგურის ვილა; მეტად შემაწუხა იმან, რომ სინამდვილეში ჩვენი ახალი სავანე ძალზე წაგავდა ჰეიზების სახლს (რომლისგანაც მხოლოდ ოთხასი მილი გვაშორებდა): ეს იყო რუხი ფიცრებით ნაგები ისეთივე ამაზრზენი შენობა სოლყავრის სახურავითა და მჭრეალი მწვანე ფერის მარკიზებით; შედარებით მომცრო ოთახები თუმცა უფრო მკაცრ პლუშ-თეფშებიან სტილში იყო მოწყობილი, მაგრამ მსგავსი განლაგება ჰქონდა. ამასთან, ჩემი კანონეტი მოუსოდნელად ვრცელი ოთახი აღმოჩნდა. იატაკიდან ჭერამდე ქიმიის ორი ათასამდე წიგნი ელაგა — სახლის პატრონი სწორედ ამ მეცნიერებას ასწავლიდა ბერდსლეის უნივერსიტეტში.

მომსწავლეა მოსწავლე გოგონებისთვის განკუთვნილი ბერდსლეის ქალთა გიმნაზია ძვირად ღირებული სკოლა იყო და მეტად ეფექტური სატანურჯიშო დარბაზი ჰქონდა. შუადღისას გოგონებს საუზმით უმასპინძლდებოდნენ. ვიმედოვნებდი, რომ ეს გიმნაზია არა მარტო ნორჩ სხეულებს წვრთნიდა, არამედ მოსწავლეთა ნორჩ გონებასაც აწვდიდა გარკვეულ საზრდოს. გასტონ გოდენი იშვიათად გამოთქვამდა მართველ შეხედულებებს ამერიკის ყოფის შესახებ; ამასთან, სწორედ მან გამაფრთხილა, რომ ეს იყო ერთ-ერთი იმ სკოლათაგანი, სადაც, მისი თქმით (გასტონს, როგორც უცხოელს, უყვარდა ამგვარი ფრაზები), „ასწავლიან არა იმდენად გრამატიკულ კანონებს, რამდენადაც არომატულ წესებს“. ვშიშობ, რომ ლოლიტამ ესეც კი ვერ აითვისა.

გიმნაზიის გამგემ, მისს პრატმა, პირველი შეხვედრისას მოიწონა ჩემი ასული „ლამაზი ცისფერი თვალები“ (განა ლოლიტას ცისფერი თვალები ჰქონდა?) და კმაყოფილება გამოთქვა „ჩვენს გენიალურ ფრანგთან“ (განა გასტონი გენიოსი იყო?) ჩემი მეგობრობის გამო; შემდეგ მან დოლი გადასცა ვიღაც მისს კორმორანტს, შუბლი შეიჭმუხნა, თით-

ქოს აზრებს იკრებსო და, პაუზის შემდეგ, ასე დაიწყო:

„მისტერ ჰუმბარდ, ჩვენ არ ვაიძულებთ მოსწავლეებს, რომ წიგნის ჩრჩილებად გადაიქცნენ ან სხაპასხუპით ჩამოთვალონ ევროპის ყველა დედაქალაქის სახელწოდება – რაც მაინც არავინ იცის – ანდა დაიმახსოვრონ დავწყებული ბრძოლების თარიღები. ჩვენ გვაინტერესებს ბავშვის შეგუება ჯგუფის ცხოვრებასთან. აი, რატომ ვანიჭებთ ასეთ მნიშვნელობას ცეკვებს, დებატებს, მოყვარულთა სპექტაკლებსა და ვაჟებთან შეხვედრებს. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტი. თქვენი მშვენიერი დოლი მალე გადავა იმ ასაკობრივ ჯგუფში, სადაც ტერმინები „კავალრები“, „კავალერთან ერთად სეირნობა“, „გამოსასვლელი კაბა“ და ასე შემდეგ ისეთივე არსებითი იქნება მისთვის, როგორიც თქვენთვისაა „კომერციული საქმეები“, „კომერციული კავშირები“, „კომერციული წარმატება“, ჩემთვის კი (აქ მან ყალბად გაიღიმა) – ჩემი მოსწავლეების კეთილდღეობა. დოროთეა ჰუმბარდი უკვე ჩაერთო სოციალური ცხოვრების იმ სისტემაში, რომელიც შედგება – სულ ერთია, მოგვწონს ეს თუ არა – სოსიესების გასაყიდი კიოსკების, კინოსურათების, ცეკვების, რძის ბარების, ალაოსა და ქოქოსის სასმელების, პლაჟებზე გამართული პიკნიკებისა და სპორტიკმაჩერო საღამოებისგანაც კი, რომლებზეც გოონები ურთიერთს ვარცხნიან! რა თქმა უნდა, ბერდსლეის ვიმნაზია უარყოფითად ეკიდება ზოგიერთ ამგვარ ინტერესს, რამდენიმე მთავარნი კი გადაგვყავს სხვა, შედარებით უფრო კონსტრუქტიულ რელსებზე. ყოველთვის ვცდილობთ, ნისლს ზურგი შევაქციოთ, პირით კი მზისკენ დავდგეთ! მოკლედ რომ ვთქვათ, თუმცა ვსარგებლობთ ფორმალური განათლების ზოგიერთი მეთოდით, მაგრამ გაცილებით მეტად გვაინტერესებს კომუნიკაცია, ვიდრე კომპოზიცია; დიდ პატივს ვცემთ შექსპირსა და სხვებს, მაგრამ გვარწევნია, ჩვენმა გოგონებმა ლაღი ურთიერთობა დამყარონ მათ გარემომცველ ცოცხალ სამყაროსთან, ვიდრე დაობებულ ფოლიანტებს ჩაუღრმავდნენ. მართალია, ჯერ კიდევ ბრძად მივიწევთ წინ, მაგრამ რაციონალურად ვმოქმედებთ, იმ გინეკოლოგის მსგავსად, სიმსივნეს რომ სინჯავს. ჩვენ, დოქტორო ჰუმბურგ, ყველაფერს ორგანული და ორგანიზაციული თვალსაზრისით განვიხილავთ. თავი ავარიდეთ მთელ რიგ უსარგებლო სიტყვებს, რომლებსაც ოდესღაც ტრადიციულად ასწავლიდნენ ქალიშვილებს და დროს არ ტოვებდნენ პრაქტიკული ცნობებისა და გამოყენებითი ხელოვნებისთვის, აგრეთვე – ყველა იმ ცნობისთვის, რომლებიც მათ დასჭირდებათ, როდესაც შეუდგებიან საკუთარი ცხოვრების მოწყობას და, ცინიკოსი დუმატებდა, ქმრის ცხოვრების მოწყობასაც. მისტერ ჰუმბერსონ, ნება მიბოძეთ, აზრი ამგვარად გამოვხატო: პლანტის ზუსტი ადგილდებარეობის ცოდნა უთოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ ახალგაზრდა დიასახლისისთვის, აღბათ, გაცილებით უფრო არსებითია სამზარეულოში მაცივრის დასადგმელად ხელსაყრელი ადგილის მიგნება. თქვენ ამბობთ, რომ გსურთ, გოგონამ კარგი განათლება მიიღოს სკოლაში. მაგრამ როგორ გესმით ცნება „განათლება“? უწინ ეს იყო, უპირატესად, სიტყვიერი მოელენა; სხვაგვარად, თქვენ შეგეძლოთ, ზეპირად გვსწავლებინათ ბავშვისთვის კარგი ენციკლოპედია და მას, ალბათ, უფრო მეტი ეცოდინებოდა, ვიდრე ამას სკოლა ითვალისწინებს. დოქტორო ჰუმერ, გესმით თუ არა, რომ თანამედროვე ქალიშვილისთვის რომელიმე შუასაუკუნეობრივი ლაშქრობა გაცილებით უმნიშვნელო სასიცოცხლო ღირებულებისაა, ვიდრე (აქ მან კინაღამ თვალი ჩამიკრა) კაფეტერიის დალაშქვრა ჭაბუკთან ერთად? ეს ხუმრობა ამას წინათ გავიგონე ჩვენი ფსიქოანალიტიკოსისგან. ჩვენ არა მარტო იდეათა სამყაროში ვცხოვრობთ, არამედ საგანთა სამყაროშიც ვიმყოფებით. პრაქტიკული გამოცდილების გარეშე სიტყვები მნიშვნელობას კარგავს. კაცმა რომ თქვას, რას უნდა წარმოად-

ეროვნული ბიბლიოთეკა 2022

გენდეს დროოთეა ჰუმერსონისთვის რომელიმე საბერძნეთი ან ახლო აღმოსავლეთი მათი ჰარამხანებითა და მხეველებით?“

ამ პროგრამამ პირველად, ცოტა არ იყოს, შემაშფოთა; მაგრამ შემდეგ რჩევა ვკითხე ორ ჭკვიან ქალბატონს, რომლებიც წინათ სკოლასთან იყვნენ დაკავშირებულნი; მათ დამარწმუნეს, რომ გოგონები გიმნაზიაში ბევრს და საფუძვლიანად კითხულობენ, ხოლო მთელი ეს სისულელე „კომუნიკაციის“ შესახებ — უბრალოდ, სარკკლამო აურზაურის შედეგია, რომლის მიზანია ბერდსლეის ძველი ყაიდის გიმნაზიისთვის ფინანსურად სასარგებლო „მოდერნული“ ელფერის მინიჭება, თუმცა სინამდვილეში ის მეტისმეტად დარბაისლურია.

ბერდსლეის სკოლაში კიდევ ერთი რამ მომეწონა. ზოგიერთ მკითხველს, ალბათ, გაეცინება, მაგრამ ჩემთვის ამ დეტალს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ქუჩის გადაღმა, ჩვენი სახლის პირდაპირ, შენობებს შორის არსებული შენანგრევი დავლანდე. ეს იყო სანაგვე ადგილი, სადაც შევამჩნიე ხასხასა ფერის ბუჩქნარი, აგურების გროვა, უწესრიგოდ დაყრილი რამდენიმე ფიცარი და შემოდგომის უბადრუკი ყვავილების იისფერ-მოყვითალო ქაფი; ბუნდოვნად მოჩანდა ჩვენი ქუჩის პარალელური სასკოლო ქუჩის მონაკვეთიც, ხოლო ამ მონაკვეთს მიღმა სკოლის სათამაშო მოედანს მოვკარი თვალი. დოლის სასკოლო ცხოვრების მეზობლობა ჩემს ყოველდღიურ ცხოვრებასთან მეტად მანუგეშებდა. გარდა ამისა, მყისვე მივხვდი, რა სიამოვნებას მომანიჭებდა დიდ დასვენებაზე დოლის გარშემო მოთამაშე გოგონებში მძლავრი ბინოკლის დახმარებით ნიმფეტების სტატისტიკურად გარდუვალი პროცენტის დადგენა. სამწუხაროდ, პირველსავე სასწავლელ დღეს მუშები მოვიდნენ და შენანგრევი შემოღობეს. ამის შემდეგ ღობის მიღმა სწრაფად ამოიზარდა ყვითელი ხის ნაგებობა, რომელმაც ჯადოსნური შენანგრევი მთლიანად დაფარა. როდესაც უამრავი მასალა დაახვავეს, ამ აბსურდულმა მშენებლებმა მუშაობა შეწყვეტეს და აღარასოდეს გამოჩენილან.

5.

თეერის ქუჩაზე — ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო არასავაჭრო ქუჩა — დარგული ხეების მწვანე, წითურ, ოქროსფერ კარვებქვეშ გარდუვალად გვხვდებოდნენ პიროვნებები, რომლებიც მეტეოროლოგიური მისალმებების თავაზიან ყეფას გვაგებებდნენ. ვამაყობდი მათთან დამყარებული ურთიერთობის ზუსტი ტემპერატურით: არაკეთარი უამეხობა, მაგრამ სრული გაუცხოება. ჩვენი სახლის დასავლეთით მცხოვრები მეზობელი, რომელიც, მგონი, საქმოსანი ან პროფესორი იყო (ან ორივე პროფესიას უთავსებდა ერთმანეთს), ზოგჯერ საუბარს მიბამდა, როდესაც გაზონს პარსავდა ან აეტომობილს რწყავდა, ან, უფრო მოგვიანებით, პარმალისკენ მისასვლელ გზას ადნობდა (ფეხებზე მკიდია, თუ ეს შეუსაბამო ზნენია); ამასთან, ჩემი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ბურტყუნი მხოლოდ იმდენად იყო დანაწევრებული, რომ ტრაფარეტულ თანხმობად ან პაზოს შესავსებად განკუთვნილ შეკითხვად აღქმულიყო და ხელს უშლიდა ფამილარული ურთიერთობების განვითარებას. ჩვენს პირდაპირ, უდღეური შენანგრევის ორივე მხარეს, ერთი სახლის კარ-ფანჯარა აეფიცრათ, მეორეში კი ინგლისური სიტყვიერების ორი პროფესორი ცხოვრობდა: ტვიდის ტანისამოსში ჩაცმული, თმაშეკრეჭილი მისს ლესტერი და ნაზი, მიმჭკნარი მისს ფაბიანი. ტროტუარზე სეირნობისას ჩვენი მოკლე საუბრების ერთადერთ თემას წარმოადგენდა (მათ ტაქტს ვემადლიერებოდი!) ჩემი ასული ნორრი სიტურფე და გასტონ გოდენის „გულუბრყვილო ხიბლი“. აღმოსავლეთით გაცილებით საზიფათო ქალბატონი ცხოვრობდა. ეს ბანალური გაიძეერა თითქოს პირდაპირ ფარსიდან გამოვიდა. მისი განსვენებული ძმა „უნივერსიტეტში მსახურობდა“ — უფროსი დარაჯის თანმდებობაზე. მახსოვს, მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ დღი ქუჩაში შეაჩერა, რომლისაც სასტუმრო ოთახის ფანჯარასთან მოუომენლად ველოდი გოგონას დაბრუნებას სკოლიდან. ბილწი შინაბერა, რომელიც ხელჯოხივით მჭლე ქოლგას ეყრდნობოდა, ცდილობდა, არაჯანსაღი ცნობისმოყვარეობა დათაფლული კეთილმოსურნეობით ‖შეენიღბა (ხორხოშელა თოვლის ცვენა ის იყო, შეწყდა და ღრუბლებიდან გვერდულად გამოსხლტა ცივი, სველი მზე). ნესტიანი ამინდის მიუხედავად, ღოლის ყავისფერი პალტო გაეღვენა; ბიუვარზე დაწყობილი რამდენიმე წიგნის ორსართულიან ნაგებობას მუცელზე იხუტებდა (სახელმძღვანელოების ასე ტარება მოდში იყო); ქვედტანსა და რეზინის მაღალ ჩექმებს შორის ვარდისფერი მუხლები მოუჩანდა. დროდადრო მოსულელო, დაბნეული ღიმილი უნათებდა სახეს. ზამთრის მკრთალ შუქზე ის თითქმის ულამაზოდ მეჩვენებოდა, უბრალო გერმანელ გოგონას ჰგავდა; აი, ასე იდგა და ცდილობდა, მისს ალმოსავლეთის კითხვებზე ეპასუხა: „დედაშენი სადაა, ჩემო ძვირფასო? შენი საბრალო მამა რასა იქმს? უწინ სად ცხოვრობდით?“ ერთხელ ამ საზიზღარმა არსებამ ქუჩის კუთხეში მომიხელთა და მისალმების ნიშნად, შემომყმუესა — მაგრამ საუბარი მივაფუჩეჩე. რამდენიმე დღის შემდეგ ლურჯარაშვიანი კონვერტით ბარათი (ბადგასა და ბალღამის ნაერთი) გამოგვიგზავნა. ღოლის სთავაზობდა, რომელიმე კვირადღეს მეს‖ტუმრე, საკარძლებში მოკალათდეთ და საუკეთო წიგნების (რომლებიც დედაჩემმა მაჩუქა ბავშვობისას) თვალიერებით გაკვირთთო. სჯობს, ასე მოიქცე, ვიდრე ყოველ ღამე რადიო ვვიანობამდე აყვიროო.

დიდ სიფრთხილეს საჭიროებდა აგრეთვე ურთიერთობა ქალბატონ გულიგანთან. ეს დამლაგებელი (და საძაგელი მზარეული) ძველი მობინადრეებისგან მემკვიდრეობით მივიღეთ მტვერსასრუტთან ერთად. დღისით ღოლი სკოლაში საუზმობდა; საკმაოდ უხე ბრეკფასტს მე ვამზადებდი, საღამოობით კი ქალბატონი გულიგანის მიერ მოხარშულ კერძს ვაცხელებდი. მადლობა ღმერთს, ეს კეთილმსურნე, უწყინარი ქალი საკმაოდ თვალმილეული იყო და დეტალებს ვერ ამჩნევდა; ქვეშაგებს მე ვალაგებდი და ამაში დიდად გავიწაფე. მაინც გამუდმებით მეშინოდა, სადმე საბედისწერო კვალი არ დამეტოვებინა. ქალბატონი გულიგანის ჩვენთან ყოფნისას ზოგჯერ ლოლიტაც შინ იყო‖გული მისკდებოდა, რომ გულუბრყვილო გოგონას ამ გულისხმიერი დედაკაცის ალერსიანი ხიბლის ზეგავლენით რაიმე არ წამოერომა. ხშირად ჩვენი საბინადრო გაკაშკაშებულ, გამჭვირვალე, მინის სახლად წარმომიდგებოდა. სახე გაცრეცილ, თხელტუჩა მეზობელ ქალს შემოხვევით რომ შემოეხედა ფარდაგდაწეულ ფანჯარაში, ისეთი სეირით დატკბებოდა, რომლის ერთი შეხედვისთვის უხამსი სანახაობების ყველა გულმოყიერჭვნული მოყვარული მცირე ქონებასაც არ დაიშურებდა.

6.

ორიოდ სიტყვა გასტონ გოდენის შესახებ. ამ კაცთან ურთიერთობა მსაბამოვნებდა — ან, ყოველ შემთხვევაში, არ მაწუხებდა — სრული უსაფრთხოების იმ ფლუიდების ზეგავლენით, რომელნიც მისი ბრეგ სხეულიდან გამოკრთოდა და ჩემს საიდუმლოს ყოველი მხრიდან გარს ერტყმოდა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გასტონი რაიმეს მიმიხვდა: გულის გადახსნის სურვილი არ გამჩენია, ის კი ეგოცენტრული და გონებადაფანტული ადამიანი იყო; ვერ შეამჩნევდა და ვერ ივრძნობდა ვერაფერს ისეთს, რაც, მისი მხრივ, გულახდილ შეკითხვას გამიოწვევდა და ასეთივე გულახდილი პასუხისკენ მიბიძგებდა. ბერწლელის სხვა მოსახლეებთან, ჩემი ეს კეთილი მოცექული ძალზე მაქებდა. რაიმე რომ შეეტყო ლოლიტას სტატუსის შესახებ, მხოლოდ იმდენად დაინტერესდებოდა, რამდენადაც მის მიმართ ჩემი დამოკიდებულების არსში გარკვევის საშუალება მიეცემოდა. ალბათ, უკვირდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც დაძაბული თავაზიანობას ვიჩენდი, არც თავგასულობით ვაწუხებდი. უღიმღამო გონებისა და დანისლული მეზნიერების მიუხედავად, რასაკვირველია, ესმოდა, რომ მის შესახებ გაცილებით მეტი რამ ვიცოდი, ვიდრე ბერდსლე

ლოს კი დაიბუგბუგებდა ხოლმე და ამ დროს ლაშები ლორწოსავით უთრთოდა; როდესაც ვუთითებდი, რომ სწორედ მისი მეფე იყო განწირული, გასტონი ღრმა ოხვრით მაღლა სწევდა სამკუთხა წარბებს.

ჩემს ცივ კაბინეტში მესმოდა, როგორ ეუფლებოდა ფეხშიშველი ლოლიტა სპალეტო ტექნიკას სასტუმრო ოთახში. გასტონს სასიამოვნოდ თენთავდა თამაში და მის ცნობიერებამდე ვერ აღწევდა ეს შიშველი რიტმები — ერთი-და, ორი-და, ერთი-და, ორი-და, (ხმეულის სიმძიმე ინაცვლებს გამართულ მარჯვენა ფეხზე, მარცხენა ფეხს სწევთ გვერდზე და ზევით; ლოლიტა მაღლა ხტებოდა და ფეხებს შლიდა, ან კიდევ ცალ ფეხს ხრიდა და მეორეს მაღლა სწევდა, შემდეგ მიფრინავდა და ფეხის წვერებზე ეცემოდა — და მხოლოდ მაშინ იწყებდა ჩემი ამრეზილი, უფერული, მედიდური მოწინააღმდეგე ლოყის ან თავის სრესას, თითქოს ამ შორეულ კაკუნს ამ საშინელ დარტყმებთან აიგივებდა, რომელთაც მას ჩემი მრისხანე ლაზიერის ტარანი აყენებდა.

ზოგჯერ ლოლა დაუდევრად შემოგომანდებოდა ხოლმე ჩვენთან, სანამ დაფასთან თავს ვიმტვრევდით—ამ დროს დიდ სიამოვნებას მანიჭებდა გასტონის ქცევა: ის სპილოსნაირ თვალს ფიგურებს არ აცილებდა, თან ცერემონიულად დგებოდა, რათა ლოლიტას მისალმებოდა, ხელის ჩამორთმევისთანავე იცილებდა ვოგონას დუნე თითებს, ისე, რომ სახეზე არც კი უფურებდა; შემდეგ კვლავ ჯდებოდა და ჩემ მიერ დაგებულ მახეში ებმებოდა. ერთხელ, საშობაოდ, ორი კვირის უნახავმა გასტონმა მკითხა: „როგორ არიან თქვენი ქალიშვილები?“ ერთადერთი ლოლიტა ჩვეს მეგობარს გაემრავლებინა კოსტიუმთა იმ ნაირახეობებზე, რომელთაც ის პირქუშად შეავლებდა ხოლმე თვალს ვოგონას სტუმრობის დროს; ლოლიტას კი ხან ვიწრო ლურჯი შარვალი ეცვა, ხან — ქვედატანი, ხან — ტრუსი, ხან — დალიანდაგებული ხალათი, ხან — პიჟამა.

არ მსურდა, ამდენი ყურადღება დამეთმო საბრალო გასტონისთვის (დასანანია, რომ ერთი წლის შემდეგ ის ვეღარ დაბრუნდა ევროპაში მოგზაურობიდან — ბინძურ ამბავში გაეხვია, რაც, თითქოს საგანგებოდ, ნეიპოლში მოხდა). ამ კაცს სულაც არ მოვიხსენიებდი, მაგრამ ბერდლეიში მისი ყოფნა მეტად უცნაურ კონტრასტს უქმნიდა ჩემს ცხოვრებას. ის ახლა თავის დასაცავად მჭირდება. აი სრულიად უნიჭო ადამიანი; უვარგისი მასწავლებელი; უზეიერო მეცნიერი; უგუნებო, ზორზოხი, ბინძური, გამოუსწორებელი მამათმავალი, რომელსაც ასე სძაგდა ამერიკა; რომელიც კმაყოფილი იერით ყოყოჩობდა, რომ ინგლისურ ენას არ ფლობდა და ამასთან, მშვენიერად გრძნობდა თავს დარბაისლურ ახალ ინგლისში; მოხუცების ნებიერი და ყმაწვილების მიერ ნაფერები გასტონი დღემუდამ განცხრომას ეძლეოდა და ყველას ასულელებდა; და მე კი —

7.

ახლა უსიამო რამ უნდა გაუწყოთ: ლოლიტას ზნეობრივი იერსახე ძალზე შეირყვნა. ერთი მხრივ, ვოგონას მონაწილეობა მის მიერ შთაგონებულ სასიყვარულო ალმაფრენაში ყოველთვის უმნიშვნელო იყო; მეორე მხრივ, ვერც ანგარება აიძულებდა, ხათრი გაეწია ჩემთვის. მე კი უნებისყოფოდ, წინდაუხედავად ვიქცეოდი და ჩემი გიმნაზიისტი ნიმფეტის ტყვეობაში ვიმყოფებოდი. რაც უფრო კნინდებოდა მისი ადამიანური თვისებები, მით უფრო მძაფრდებოდა ჩემი ჟინი, ჩემი ვნება, ჩემი გვემა; და ლოლიტამაც ისარგებლა ამით.

ყოველკვირეულ ჯამაგრის იმ პირობით თვეზედი, რომ დღეში სამჯერ თავისი ძირითადი მოვალეობა შეესრულებინა; ბერდსლეის ეპოქის დასაწყისში ის ოცდაერთ ცენტს აღწევდა (ხოლო ამ ეპოქის დასასრულს დოლარსა და ხუთ ცენტამდე გაიზარდა. ასე, რომ ყოველი სეანსი ერთი კი არა, უკვე ხუთი ცენტი მიჯდებოდა). ეს იყო ძალზე გულუხვი ანაზღაურება, თუ გავითვალისწინებთ,

რომ გოგონა გამუდმებით ღებულობდა ჩემგან წვრილ-წვრილ საჩუქრებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამეკრძალა ტკბილეულის გასინჯვა ან ახალი ფილმის ნახვა; რა თქმა უნდა, ამისთვის მოეთხოვდი დამატებით კოცნას ან დამატებითი ალერსის მთელ ასორტიმენტს, როდესაც ვიცოდი, რომ მას სული ელოდა მისი ასაკისთვის შესაფერისი სიამოვნების მოლოდინში. შევნიშნავ, რომ ლოლიტასთან ურთიერთობა ადვილი როდი იყო. ის მეტად უხალისოდ ცდილობდა თავისი სამი კაპიკის (შემდეგ კი — სამი შაურის) გამომუშავებას; ზოგჯერ უწყალოდ მევაჭრებოდა, როდესაც შეეძლო, აღეკვეთა ჩემთვის დამლუპველი, საგანგებო, უზეკეული, შემპარავი, საამო სამსალა, **რომლის გარეშე** ზედიზედ რამდენიმე დღესაც კი ვერ გავძლებდი. უზომო ნეტარება ისე მადუნებდა, რომ ძალდატანებას ვერ მიგმართავდი. ლოლიტას კარგად ჰქონდა შეგნებული თავისი ფაფუა ბაგეების ჯადოსსური ძლევამოსილება. ერთი წლის განმავლობაში მოახერხა, ამ მომსახურების საზღაური სამ და ოთხ დოლარამდეც კი გაეზარდა! მკითხველო! ნუ გაგეცინება! უკიდურესი ტკბობისას მოშლილ მანქანასავით ვანთხევდი სიმდიდრეს — ჩხრიალით ვყრიდი ორშაურიანებსა და ხუთშაურიანებს, ზოგჯერ — ვერცხლის მსხვილ დოლარებსაც. ეპილეპტიკოსის გახელების გამომწვევი გოგონა ზემოდან დასცქეროდა მას; მოინტეხი ღონეებად ჩაებღუჯა პაწია მუშტში, რომელსაც შემდგომ ღონიერ ფრჩხილებს ვაჭერდი და ვუხსნიდი (თუკი, რა თქმა უნდა, სადმე გაქცევასა და ნაქურდალის დამალვას არ მოასწრებდა). ხშირად ვჩხრკედი ლოლიტას ოთახს, ვსინჯავდი ეარდებით მოხატულ ლამაზ სანაგვე კალათში ჩაყრილ ქაღალდის ნაფლეთებს, ვამოწმებდი ჩემ მიერ ახლახან მიღებებულ ქალწულებრივ საწოლს (ზუსტად ასევე, ყოველ მეორე დღეს ნელ-ნელ გარს ვუვლიდი სასკოლო რაიონს; ვათვალიერებდი რძის ბარებსა და ეზვერავდი ბნელით მოცულ ხეივნებს, რათა გულის ცემის ხმაურსა და ფოთოლცვენის შრიალში ყური მიმეგდო გოგონების შორეული კისკისისთვის). ლოლიტას ერთ წიგნში (რომელსაც შესაფერისი სახელწოდება ჰქონდა — „განძთა კუნძული“) რვა დოლარი ვიპოვე, ხოლო უისტლერის „დედის“ რეპროდუქციის უკან, კედლის ხვრელში კი ოცდაათიოდ დოლარი და ხურდა აღმოვაჩინე, ვთქვათ, სულ ოცდაექვსი დოლარი; ეს თანხა არხეინად მივითვისე. ლოლიტასთვის არაფერი მითქვამს. მალე მან თავხედურად თვალი თვალში გამიყარა და „უნაბუსო ქურდი“ უწოდა უპატიოსნეს ქალბატონ გულიგანს. შემდეგში ლოლიტამ გაამართლა თავისი მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი და ისეთი სამალავი გამიძახა, რომლის პოვნა ვეღარ მოვახერხე; მაგრამ ამ დროისთვის ეკონომიური რევოლუცია განვახორციელე და ვაიძულე, საძნელო, გულისამრევი ხერხით თანდათან დაეშახურებინა სკოლის თეატრალურ პროგრამაში მონაწილეობის უფლება; გაკოტრება არ მაშინებდა; უბრალოდ, ვეარაუდობდი, რომ ლოლიტა საკმარისი თანხის მოგროვებისთანავე გამექცეოდა. ამ საცოდავ, გამწარებულ გოგონას, ალბათ, ეგონა, რომ ორმოცდაათიოდე დოლარის მეშვეობით ბროდვეიმდე ან ჰოლივუდამდე მიაღწევდა ან, ყოველ შემთხვევაში, გზისპირა რესტორნის ამაზრზენ სამზარეულოში („გვესაჭიროება მიმტანი“) ამოყოფდა თავს; პირქუში შტატის ტრამალებში ქარი ზუზუნებდა. გოტარების, ფარებისა და ბარების თავზე ვარსკვლავები ციმციმებდნენ. ირგვლივ სიბილწე, სიდამპლე, სიკვდილი სუფევდა.

8.

ბატონო მოსამართლე, ყოველნაირად ვეცადე, „კავალრების“ პრობლემა გადაეწყვიტა. არ დაიჯერებ, მაგრამ ადგილობრივ გაზეთს, „ბერდსლეის ვარსკვლავსაც“ კი ვთვალიერებდი — აქ ყმწვილთათვის საგანგებო რუბრიკა იყო გამოყოფილი. მსურდა, გავრკვეულიყავი, რა მომემოქმედა.

„რჩება მამებს: ნუ დააფრთხობთ თქვენი ასულის ახალგაზრდა მეგობრებს. დაუშვაო, გიჭირთ იმის შეგნება, რომ ახლა ის ვაჟებს მოსწონთ; თქვენი პატარა გოგონა, ჭაბუკების შეხედულებით, მშვენიერი და საინტერესო, ლამაზი და მხიარული ქალიშვილია. დღეს მსხვილი გარიგებებით ხართ დაკავებული თქვენს სადირექტორო კაბინეტში, მაგრამ გუშინ, უბრალოდ, გიმნაზისტი ჯიმი იყავით და ჯენის ეხმარებოდით საჩელმძღვანელოების ტარებაში. აბა, გაიხსენეთ! განა არ გსურთ, რომ ახლა თქვენი ასული გაბედნიეროს იმ ვაჟებს აღტაცებამ, რომლებიც მას მოსწონს? ნუთუ არ გსურთ, რომ მათ ერთობლივად შეიქციონ თავი ჯანსაღი გართობით?“

ჯანსაღი გართობით? ღმერთო ჩემო!

„რატომ არ გსურთ, ეს ტომი და ჯონი თქვენს სტუმრებად მიიწვიოთ? რატომ არ შეიძლება, გაეს აუბროთ მათ? აიძულეთ ჭაბუკები, ილაპარაკონ, იცინონ, ილაღონ“.

ჩემს სახლს ეწვევი ხომ, ვით საროს კიპოს, ტომ?

„თუ გოგონა უწესოდ იქცევა, ნუ ეჩხუბებით მისი თანამშრახველის თანდასწრებით. დაე, მან თქვენი უკმაყოფილების სიმძიმე მაშინ შეიგრძნოს, როდესაც მარტონი დარჩებით; კავალერს ნუ აფიქრებინებთ, რომ მისი სატრფო ბებერი კაციჭამიას ქალიშვილია“.

ბებერმა კაციჭამიამ პირველ რიგში ორი სია გაამზადა — ერთი „აბსოლუტურად აკრძალულისა“, მეორე კი „უბალისოდ ნებადართულისა“. აბსოლუტურად აკრძალული იყო კავალერთან ერთად სეირნობა — განმარტოებით, სხვა წყვილთან ან ორ სხვა წყვილთან ერთად (შემდეგი ნაბიჯი მათ მასობრივ ორგიამდე მიიყვანდა). ნებადართული იყო რძის ბარში სიარული მეგობარ გოგონებთან ერთად, აგრეთვე — ხითხითი და ყბედობა იქ შემთხვევით გაცნობილ ვაჟებთან (სანამ მე ავტომობილში ველოდებოდი). ლოლიტას ვუთხარი, რომ თუ მის ჯგუფს ყოველწლიურ მეჯლისზე (მასწავლებელთა და მათი ცოლების ზედამხედველობით) მიიწვევდა ვაჟთა კერძო გიმნაზიის (ეგრეთ წოდებული „ბატლერის გიმნაზიის“) სიცაცალურად შესაფერისი ჯგუფი, მაშინ ლოლიტას ნებას მივცემდი, ჩაეცვა პირველი სამეჯლისო კაბა — ჰაეროვანი, ვარდისფერი კაბა, რომელშიც თხელკალეგებანი ცამეტი-თოთხმეტი წლის გოგონა ფლამინგოს წააგავს. გარდა ამისა, აღვუთქვი, რომ ჩვენს სახლში სალამოს წვეულებას მოვაწყობდი. მას შეეძლო, დაეპატიჟებინა ყველაზე ლამაზი მეგობრები და ყველაზე ზრდილი გიმნაზისტები, რომელთაც იმ დროისათვის გაეცნობდა ბატლერის გიმნაზიის მეჯლისზე. ამასთან, დავარწმუნე, რომ სანამ ჩემი რეჟიმი ბატონობდა, არასოდეს, არასოდეს დავრთავდი ნებას, კინოში წასულიყო აღგზნებულ ვაჟთან ერთად, ან კავალრებს შეხვედროდა მეგობარი გოგონების მიერ გამართულ წვეულებებზე, ან სმენდაზის ზღვარს მიღმა დიდხანს ემასლაათა ტელეფონით რომელიმე ჭაბუკთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ლოლიტას „მხოლოდ ჩემს ერთ მეგობართან მისი დამოკიდებულების გარკვევა“ სურდა.

გოგონას აშმაგებდა ეს აკრძალვები და შეზღუდვები. „ქეციანი გაიძვერა“ ხარო, მიყვიროდა და უარესი გამოთქმებითაც მამკობდა. ბოლოს და ბოლოს მოთმინებას დავკარგავდი, მაგრამ უეცრად ყოველივეს მივხვდი (და გულზე მომეშვა); ლოლიტა ამიტომ კი არ ბრაზობდა, რომ ამა თუ იმ საამეს ვაკლებდი, არამედ ზოგადი უფლებების აღკვეთას გამოჰყავდა წონასწორობიდან. მე, თურმე, ხელი აღემართე ცხოვრების პირობით პროგრამაზე, საყოველთაოდ მიღებულ გასართობებზე, იმაზე, რასაც ყველა აკეთებს, ყმაწვილურ რუტინაზე; რადგან არაფერია ბავშვზე უფრო კონსერვატული, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ბავშვი გოგონაა — საზღაპრო, ქერა, თეთრ-ყირმიზი ნიმფეტი, რომელიც ოქტომბრის ვენახისფერი ნისლეულითაა გარემოცული.

სწორად გამიგეთ. ვერ დავიფიცებ, რომ იმ ზამთრის (1948-1949 წ.წ.) განმავლობაში ლოლიტამ უგვანი ურთიერთობა არ დაამყარა ბიჭებთან. ჩემი მოცლილობის ჟამს მას თვალს არ ვაცლებდი, მაგრამ ზოგჯერ დრო მაინც გაურკვევლად მიჟონავდა სადღაც, რასაც ლოლიტა მეტისმეტად მიკიბულ-მოკიბული განმარტებებით ნიღბავდა; ჩემი ეჭვიანობის დატეხილი ჭანგები რამდენჯერმე მაინც გამოდო ნიმფეტური მზაკვრობის სიფრიფანა ქსოვილს; ამასთან, მკაფიოდ ვგრძნობდი, — და ახლა შემიძლია დავდასტურო ამ გრძნობის სისწორე, — რომ სერიოზული საშიშროება არ მემუქრებოდა. არასოდეს წავწყდომივარ სადღაც, უკანა პლანზე მოფუსფუსე, მდუმარე, მამრობითი სქესის რომელიმე სტატისტის ნორჩ კესერს(რომელსაც იოლად მოვკრიხავდი). „ცხადზე ცხადი იყო“ (დეიდაჩემის საყვარელი გამოთქმა), რომ ჩემს პატარა, გაწაფულ სატრფოს ერთნაირად სძაგდა უფროსკლასელი ვაჟები, დაწყებული გაოფლილი ყეყეჩით, გულის ფანცქალით რომ მოელის ჩაბნელებულ კინოთეატრში ბევრნი მჯდარი გოგონას ხელზე ხელის მოკიდების წამს, და დამთავრებული სარბოლი მანქანასავით სწრაფი ავტომობილის მფლობელი, თავდაჯერებული, ბუგრიანი მოძალადეთ. „გულს მირევენ ბიჭები და მათი ნიჭები“, დაჯღაბნა მან სახელმძღვანელოში. ქვემოთ კი მონას (რომელსაც წუთი წუთზე მოველოდი) ხელწერა გავარჩიე: „რიგერზე რა აზრისა ხარ?“ (მისი მოსვლის დროც იყო).

ამიტომ ლოლიტას ნაცნობი ჭაუკები ჩემს მეხსიერებაში უპიროვნო არსებების სახით აღიბეჭდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა („წითელსვეტრიანმა“) გოგონა სახლამდე მოაცილა. ეს იმ დღეს მოხდა, როდესაც პირველი თოვლი მოვიდა. სასტუმრო ოთახის ფანჯრიდან ვუცქერდი, როგორ საუბრობდნენ ისინი პარმალთან. ლოლიტას ეცვა მისი პირველი ბეწვისაყელოიანი პალტო; ჩემს საყვარელ ვარცხნილობას (თმა შუბლზე თანაბრად ჰქონდა შეკრეჭილი, ყურებს ხუჭუჭი კულულები უფარავდა, კეფაზე კი ბუნებრივი ტალღები ეფინა) ყავისფერი ქუდი შეენოდა. სინესტისგან ჩამუქებული მოკასინები და თეთრი წინდები ჩვეულებრივზე უფრო ულაზათოდ მეჩვენებოდა. როგორც ყოველთვის, ლოლიტა მკერდზე წიგნებს იხუტებდა, თან თანამოსაუბრეს უსმენდა. ფეხების ჟესტიკულაცია წამითაც არ შეუწყვეტია: ხან მარცხენა ფეხს მარჯვენა ფეხის ზურგს აბჯენდა, ხან ქუსლს უკან სწევდა ან ფეხებს გადაჯვარედინებდა ხოლმე; შემდეგ ქანაობას იწყებდა, მონიშნავდა რამდენიმე წინ გადასადგმელ ნაბიჯს, — და მთელ სერიას „ქარგამძღე“ ჭაბუკიც, რომელიც კვირადღეს ლოლიტას რესტორნის წინ ელაპარაკებოდა, ვაჟის დედას და დას კი მე სადღაც მივაყავდი და უსაგნო საუბრის გამას აპირებდნენ; ფეხები უკან მრჩებოდა და განუწყვეტლივ ვიხედებოდი ჩემი ერთადერთი სიყვარულისკენ. ლოლიტამ არაერთი ტრადიციული გრიმასა აითვისა, მაგალითად, „ზრდილი ქალიშვილივით“ იკრუნჩხებოდა სიცილისაგან: თავს დაბლა ხრიდა, ჯერ კიდევ უმწეოდ იცინოდა, რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევდა (გული უგრძნობდა, რომ მალე დაკუმახებდი), შემდეგ შემოტრიალდებოდა ხოლმე და ჩამქრალი ღიმილით ჩემკენ მოემართებოდა. გაცილებით უფრო მომწონდა, როდესაც ის ოხერით („ოჰ, ღმერთო ჩემი!“) ბედისადმი მხიარულმეოცნებე მორწმეებას გამოხატავდა ან დაბალი ხმით ნელა ბრდღვინავდა: „აჰ, არა!“ თუმცა ბედისწერა უკვე აღსრულებული იყო. მაგრამ ყველაზე უფრო ვეტკებოდი მისი ცქერით, როდესაც — რაკი საუბარი ჟესტებსა და სინორჩეზე ჩამოვარდა — თავის ახალ ველოსიპედზე შემჯდარი გოგონა თვერის ქუჩაზე აქეთ-იქით სვირნობდა. ველოსიპედსაც თვალწარმტაცი და ნორჩი იერი ჰქონდა; ლოლიტა პედალებზე მაღლა იწევდა, რათა უფრო სწრაფად ეტრიალებინა ისინი, შემდეგ კვლავ ნარნარად

ᲯᲓᲔᲑᲝᲓᲐ და ამ მდგომარეობას ინარჩუნებდა, სანამ ველოსიპედი ხელას არ შეაწყვეტდა; ჩვენს ფოსტის ყუთთან ჩერდებოდა, სწრაფად ფურცლავდა ყუთიდან ამოღებულ ჟურნალს, კვლავ ყუთში აგდებდა მას, ენის წვერს ტუჩის კუთხეს აბჯენდა, ფეხს მაწას ჩაკრავდა და ისევ მიარღვევდა შუქ-ჩრდილიან მკრთალ ორნამენტებს.

საერთოდ, ლოლიტა მშვენივრად შეეგუა თავის გარემოცვას. ადრე ამაში ეჭვი მეპარებოდა, განებივრებულ პატარა მხეკალს ეუთვალთვალებდი და ვაკვირდებოდი მისი ქცევის სამაჯურებიანთ საჩინო თავისებურებებს (რომლებთაც მას გულუბრყვილოდ თავი მოჰქონდა იმ ზამთარს, კალიფორნიაში ყოფნისას). თუმცა ვერასოდეს შევეგუე მუდმივ მღელვარებას, რომელიც თან ახლავს დიდი ცოდველების სათუთი გულების ძგერას, მაგრამ მიმაჩნდა, რომ დაცვითი შეფერილობის თვალსაზრისით უფრო დამაჯერებელს ვერაფერს ვიპოვიდი. როდესაც ლოლიტას ცივ საძინებელ ოთახში განცდილი თაკვანებისა და სახოწარკვეთის შემდეგ ჩემს ვიწრო საკაბინეტო საწოლზე ვწევებოდი, განვლილი დღის მოვლენებს ვიგონებდი: ფეხაკრეფით მივიპარებოდი (და არა, უბრალოდ, მივდიოდი) საკუთარი წარმოსახვის აგზნებული შინაგანი თვალთახედვის წინაშე. ვხედავდი, როგორ აცილებდა ქალიშვილს სკოლაში დ-რი ჰუმბერტი – ბულვარული რომანების ეს „ლამაზი შავგვრემანი მამაკაცი“, რომლის ძარღვებში, შესაძლოა, კელტური სისხლიც ჩქეფდა. ის, ალბათ, კონსერვატულ (ან ყველაზე კონსერვატულ) რელიგიას მისდევდა; ვაკვირდებოდი, როგორ ესალმებოდა დ-რი ჰუმბერტი ნელი ღიმილითა და შავი, ხშირი წარბების აწკეპით კეთილ ქალბატონ გულიგანს, რომელიც საშინლად ყარდა და რომელიც, პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში სახლის პატრონისეულ ჯინის ბოთლს მოიყუდებდა. დასავლეთით მცხოვრები მეზობლის (ყოფილი ჯალათის ან რელიგიური ბროშურების ავტორის – ვისი რა საქმეა?) თვალით, მისი კაბინეტის გულახდილი ფანჯრიდან ეუმზერდი ჩვენს გმირს (რა ჰქვია? მგონი, ფრანგია ან შვეიცარიელი), რომელიც საბეჭდ მანქანასთან იჯდა და რაღაცაზე ფიქრობდა (საკმაოდ მოთენთილი პროფილი, ფერმკრთალ შუბლზე თითქმის ჰიტლერის მსგავსად ჩამოცვენილი თმა). უქმე დღეებში მოხდენილ პალტოში ჩაცმული, ყავისფერხელთათმანებიანი პროფესორი ჰ. ჰ. მიდიოდა „ვალტონთან“ (ეს კაფე ცნობილი იყო ფაიფურის ციფერბლბთებიანი ბოცვრებითა და ზოკლადის კოლოფებით; ხშირად მათ შორის ვიჯექი და ვუცდიდი, როდის განთავისუფლდებოდა ორი კაცისთვის განკუთვნილი, წინამორბედი წყვილის ნასუფრალით გაბინძურებული მაგიდა). საბუშაო დღეებში პროფესორი მედიდურად ესალმებოდა ადმოსავლეთით მცხოვრებ ასთვალა მეზობელ ქალს; ფრთხილი მანევრირების შემდეგ, ავტომობილი გარაჟიდან გამოჰყავდა, ღვიის წყეულ ბუჩქებს გვერდს უქცევდა და მოლიპულ გზაზე ჩამოდიოდა. უნივერსიტეტის ჩახუთულ ბიბლიოთეკაში წიგნს გულგრილ მზერას ეაცილებდი და კედლის საათს ვუყურებდი. ჩემ გარშემო ისხდნენ ჭარბი ცოდნისგან ლოდებად ქცეული ახალგაზრდა ქალები. კოლეჯის ეზოში მივაბიჯებდი კულტის მსაზურ რიგვრთან ერთად (ის ქალთა გიმნაზიაში შეთავსებით ასწავლიდა სალმრთო სჯულს): „ვიღაცამ მითხრა, რომ დოლის დედა სახელგანთქმული მსახიობი იყო და თეთმფრინავის ავარიას ემსხვერპლა. ასე არაა? მაშასადამე, ცუდად გამიგია, მართლა? აი, თურქე როგორ ყოფილა საქმე. ძალზე დასანანი“ (დედაშენის სუბლიმირებას ცდილობ, ჩემი კეთილო?). დინჯად მივაგორებდი ლითონის ეტლს, რომელიც სუპერმარკეტის ლაბირინთში პროდუქტებით ივსებოდა. ჩემ წინ ასევე დინჯად მიაბიჯებდა პროფესორი ვ. უწყინარი ქერეკი, რომელსაც ვაცას თვალები ჰქონდა. ნაჩბათ ვასუფთავებდი დათოვლილ შესასვლელს: პიჯაკი არ მეცვა, კისერზე სუტლოო შავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრი შარფი მქონდა შემოხვეული. უკან მიეყვებოდი ჩემს გიმნაზიისტ ქალიშვილს, რომელიც სახლში შედიოდა. ავზორცი მოუთმენლობის ნიშანწყალი არ მეტყობოდა (ისიც კი მოვახერხე, რომ ჭილობზე ფეხები გამეწმინდა). დინტისტთან მიმავალ დოლის ვახლდი... სანდომიანი ასისტენტი გაბრწყინებული თვალებით შეჰყურებდა მას... ძველი ჟურნალები... „ბარძაყებს ნუ აჩენ“, ოგორც განსვენებული იტყოდა ხოლმე. დოლისთან ერთად ვსადილობდი რესტორანში: შევნიშნეთ, რომ მისტერ ედგარ ჰ. ჰუმბერტი ბიფშტექსს ევროპული წესით მიირთმევდა — შეუსვენებლივ ხმარობდა დანას. მეგობრები (თითქის ორეულები) კონცერტით ტკბებოდნენ: სახემკრთალი გულდამშვიდებული ფრანგები გვერდგვერდ ისხდნენ — მუსიე ჰუმბერტი მუსიკალური ქალიშვილის თანხლებით და მუსიე გოდენი პროფესორი ვ.-ს (რომელიც ბიგიენურ სადამოს ატარებდა ბორდელებით განთქმულ ქალაქ პროვიდენსში) არანაკლებ ნიჭიერ ვაჟიშვილთან ერთად. გარაჟს ვალებდი: სინათლის კვადრატი მანქანას შთანთქავდა და ქრებოდა. ჭრელი პიჟამა მეცვა. დოლის საძინებელ ოთახში ფანჯრის ფარდას დაბლა ვწევედი. ეერავინ მხედავდა, როდესაც შაბათ დილას საბაბანო ოთახის სასწორზე ვწონიდი ტიტველ, ზამთრის განმავლობაში გათეთრებულ გოგონას. კვირა დილას მეზობლები ხედავდნენ და ესმოდათ (ჩვენ კი ვვეგონა, რომ ის ეკლესიაში დადიოდა!): ჰუმბერტი ქალიშვილს ეძახდა: ძალიან არ დაიგვიანო! — გოგონა ჩოგბურთის სათამაშოდ მიდიოდა. პროფესორი თავისი სახლის კარს უღებდა ლოლიტას ძალზე დაკვირვებულ მეგობარს: „სერ, პირველად ვხედავ აბრეშმის საშინაო ქურთუკში გამოწყობილ ძამაკაცს — ასეთი რამ მხოლოდ კინოდრამებში მინახავს“.

9.

სიამოვნებით ვესწრაფვოდი ლოლიტას მეგობრების გაცნობას, მაგრამ მათ არ გაამართლეს ჩემი მოლოდინი. ჩამოვთვლი: ოპალ იქსი, ავის ჩამპანი, ევა როზენი და მონა დალი (ყველა ეს ვვარი, ერთის გარდა, მხოლოდ მიაბლოებით წააგავს გოვონების ნამდვილ ვვარებს). ოპალს, სათვალიან, მოკრძალებულ, მოუხეშავ, ბუგრიან არსებას, მზე და მთვარე ამოსდიოდა ლოლიტაზე, რომელიც მას იბრიყვებდა; სკოლის საუკეთესო ჩოგბურთელს, ლინდა ჰოლს, დოლი კვირაში ორჯერ მაინც ეთამაშებოდა სინგლის: ვფიქრობ, ლინდა ჭეშმარიტი ნიმფეტი იყო, მაგრამ ჩვენთან რატომღაც არ მოდიოდა ხოლმე (შესაძლოა, უკრძალავდნენ ამას); მისი გახსენებისას წარმომიდგება თვითნაბადი მზის აფეთქება დახურული კორტის მარკუთხედზე. სხვებს, ევა როზენის გარდა, ნიმფეტობის პრეტენზია ვერ ექნებოდათ. ავის გახლდათ ჩასუქებული, ჯმუხი გოგონა, რომელსაც ბალნიანი ფეხები ჰქონდა. მონა კი, თუმცა ტლანქი, ენებიანი სილამაზით ბრწყინავდა (ამასთან, მხოლოდ ერთი წლით უფროსი იყო ჩემს ოდნავ მობერებულ სატრფოზე), მაგრამ აშკარად აღარ იყო ნიმფეტი (თუკი დავუშვებთ, რომ ოდესღაც ის ასეთს წარმოადგენდა). ევა როზენი, საფრანგეთიდან „ადგილგადასაცვლელი“ პატარა „პიროვნება“, ააწკარავებდა, რომ არც ისე ლამაზ გოგონაში გონიერი მოყვარული ზოგჯერ აღმოაჩენს ხოლმე ნიმფეტური ხიბლის ძირითად ელემენტებს: ძალზე წერწეტ, ოდნავ გავსილ ტანს, უჩვეულო, უძრავ მზერას, მაღალ ყვრიმალებს. მისი ბრინჯაოსფერი, კრიალა თმა შეფერილობით თუ არა, აბრეშუმისებრი ბზინვით მაინც მაგონებდა ლოლიტას კულულებს. გოგონას ვარდისფერი ბაგეები, უფერული წამწამები და მოგრძო რძისფერი სხეული ჰქონდა, რაც წითურთმიანთა ზერასობრივ, დიად კლასს ახასიათებს; ამასთან, ის არ ატარებდა მწვანე ტანსაცმელს — ამ კლასის მუნდირს; ევა ყოველთვის შავ ან მუქ შინდისფერ სამოსში წარმომიდგება. მას ხშირად ეცვა უადრესად ელეგანტური შავი პულოვერი და მაღალ-

ქუსლიანი შავი ფეხსაცმელი. ფრჩხილებს ძოწისფერ-ძოწითალო ლაქით იღებავდა და (რაც ლოლიტას ძალზე ეჯავრებოდა) ფრანგულად ლაპარაკი უყვარდა. ევას ინტონაციები ჯერ კიდევ საოცარი სიწმინდით გამოირჩეოდა, მაგრამ სასკოლო და სპორტული ტერმინებისთვის ის სასაუბრო ამერიკულ ენას მიმართავდა. ასეთ შემთხვევებში მის მეტყველებას ერთვოდა ოდნავ შესამჩნევი ბრუკლინური კილო, რაც სასაცილო ელფერს ანიჭებდა ამ პაწაწინა პარიზელ გოგონას, რომელიც ახალი ინგლისის ფსევდო-ბრიტანული პრეტენზიების მქონე სკოლაში სწავლობდა. ლოლიტა თავდაპირველად პატივსცემით ამბობდა, ამ ფრანგი გოგონას ბიძა მილიონერიაო. სამწუხაროდ, მან მალე შეწყვიტა (მაღალი წრის საზოგადოებაში მიღებული მოსაზრებების ზეგავლენით) ევასთან მეგობრობა. ამიტომ ვერ მოვასწარი ამ უკანასკნელის სურნელით დატკბობა — ო, ძალზე ფრთხილად. ძვირფასი მკითხველისთვის ცნობილია, რომ ყოველთვის ვცდილობდი, ჩემს ლოლიტას პაჟი გოგონების (წამახალისებელ-საპრიზო ნიშფეტების) თმელი გუნდი ხლებოდა. ერთ დროს მონა დალს ეკავირებოდი. ის ხშირად მოდიოდა ჩვენთან, განსაკუთრებით—საგაზაფხულო სემესტრში, როდესაც გოგონები სასცენო ხელოვნებამ გაიტაცა. ზოგჯერ საკუთარ თავს ვეკითხებოდი, ნეტავ, რა საიდუმლოებები გაანდო-მეთქი აღმაფოთებლად უპირო დოლორეს ჰეიზმა მონას; ერთხელ ლო დაჰყვა ჩემს სასწრაფო და კარგად ანაზღაურებულ თხოვნას და მაუწყა სრულიად გაუგონარი დეტალები იმ რომანის შესახებ, მონამ ატლანტიკის სანაპიროზე რომ გაავა ვიღაც მეზღვაურთან. ლოლიტამ მესაიდუმლედ აირჩია სწორედ მოხდენილი, გულცივი, გამოცდილი, ზნეწაშლილი მონა, რაც ნიშანდობლივი იყო. ერთხელ გავიგონე (ჩემი გოგონა მეფიცებოდა, ყურმა მოგატყუაო), რომ მონამ დაუდევრად უთხრა ლოლიტას (რომელმაც შენიშნა, ჩემი სვიტერი ქალწულებრივი შალისგან არისო მოქსოვილი): „შენ, ჩემო კარგო, მხოლოდ ესა გაქვს ქალწულებრივი“. მონას ხმა კურიოზული ხრიწწიანობით გამოირჩეოდა; ის კარგ პარიკმახერთან იხვევდა მქრქალ შავ თმას, მოზრდილ საყურეებს ატარებდა, თაფლისფერი, ოდნავ გადმოკარკლული თვალები და მარწყვისფერი ტუჩები ჰქონდა. ლოლიტამ მიამბო, რომ მასწავლებლები ტუქსავდნენ მონას უამრავი იაფფასიანი სამკაულის ტარების გამო. მას ხელები უკანკალებდა და მძიმე ტვირთად აწვა ას ორმოცდაათი პუნქტისგან შედგენილი გონებრივი კოეფიციენტი. მახსენდება აგრეთვე ევეტა შოკოლადისფერი ხალი, რომელიც უკვე სავსებით ქალურ ზურგზე აჩნდა. ხალი მაშინ შევამჩნიე, როდესაც ლოლიტამ და მონამ ბატლერის სკოლაში გამართული მეჯლისისთვის პასტელის ფერის ღრმად ამოჭრილი კაბები ჩაიცვეს.

ცოტათი აეჭქარდი — როდესაც ბერდსლეიში გატარებულ სასწავლო წელზე ვფიქრობ, მეხსიერება ჩემდა უნებურად მთელ კლავიატურას გაირბენს ხოლმე. მადმუაზელ დალს ვკითხე, თუ რომელ ვაჟებთან მეგობრობდა ლოლიტა, მაგრამ მან მარჯვედ ამიგდო სიტყვა ბაწზე. ეს იყო იმ დღეს, როდესაც ლოლიტა ჩოგბურთის სთამაშოდ წავიდა მაღალი წრისთვის განკუთვნილ იმ სპორტულ კლუბში, რომლის წევრიც ლინდა გახლდათ; მან იქიდან ტელეფონით დამირეკა და მაცნობა, ალბათ, ერთი საათით დამაგვიანდებიო; მთხოვა, გამერთო მონა, როდესაც ის „ჭირვეულის მორჯულებას“ ერთი სცენის სარეპეტიციოდ მოვიდოდა. და აი, ლამაზი მონა თავისი ხმისა და ქცევის ყველა მოდულაციითა და მთელი ხიბლით მაჯადოებდა. მან დაუფარავი ირონიით შემოხედა (იქნებ ვცდებოდი?) და ასე მიპასუხა: „სიმართლე რომ გითხრათ, ჩვენ მეტოქეები ვართ. ორივეს გაგიეუბით გვიყვარს უწმინდესი რიგური (ეს მოარული ხუმრობა იყო. ზემოთ უკვე მოვიხსენიე გოლიათური აღნაგობის უკარება, ხეპრე კაცი, კინადამ მკვლელობა რომ ჩამადენინა —

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშობლთათვის გამართულ რომელიღაც საღამოზე, გაუთავებელი საუბარი გამბა შეეცარიაში მოგზაურობისას მიღებულ შთაბეჭდილებებზე.

„მეჯლისმა როგორ ჩაიარა?“ „ოჰ, გადასარევი იყო!“ „მაპატიეთ“ „მეჯლისი კი არა, საბოთხე იყო. ერთი სიტყვით, საუცხოო მეჯლისი იყო“. „დოლიმ ბევრი იცეკვა?“ „არც ისე ბევრი, მალე მობეზრდა“. „რას ფიქრობს მონა (მიბნედილი მონა) თვით დოლის შესახებ?“ „რა გაგებით, სერ?“ „როგორ ჰგონია მონას, დოლი წარმატებებით სარგებლობს სკოლაში?“ „უჰ, როგორი გოგოა!“ „რას იტყვით მისი საერთო ყოფაქცევის შესახებ?“ „რიგიანი გოგოა“. „კეთილი, მაგრამ მაინც...?“ „მშვენიერი გოგოა!“ მონამ ეს დასკვნა შემომთავაზა, მკვეთრად ამოიოხრა, მაგიდიდან რაღაც წიგნი აიღო, სახის გამომეტყველება სრულიად შეიცვალა და, წარბშეჭმუხნილმა მითხრა: „მომიყვეთ ბალზაკზე, სერ. ის მართლა ასეთი შესანიშნავია?“ შემდეგ ჩემს სავარძელს ისე მოუახლოვდა, რომ სუნამოსა და კრემების კოსმეტიკური ლექის მიუხედავად, აშკარად შეავიგრძენი მისი კანის არაბავშვური, უღიმღამო სურნელი. ანაზდად უეცარმა აზრმა განმაცვიფრა: ჩემმა ლოლიტამ მაჭანკლობას ხომ არ მიჰყო ხელი? თუ ასეა, მოადგილედ უხეიერო კანდიდატი შეურჩევია. მონას უშფოთველ მზერას თვალს ვარიდებდი, მაგრამ ფრანგულ ლიტერატურაზე ერთი წუთის განავლობაში მაინც ვილაპარაკე. ბოლოს დოლიც გამოცხადდა, ნაცრისფერი თვალები მოჭუტა და შეგვათვალიერა. მეგობრები მარტო დავტოვე. კიბის მოსახვევში გაჭრილი საგდულებიანი, ობობას ქსელით დფარული ფანჯრის ალაოში ჩატანებული იყო ლალისფერი მინის პაწია კკუდრატი. ეს სისხლმდინარე ლაქა, რომელიც უფერულ კკადრატებს შორის წითლად ღვიოდა, აგრეთვე – მისი ასიმეტრიული განლაგება (ცხენის სვლა, ბე-რვა-ცე ექვსი) ყრუდ მაღელვებდა ხოლმე.

10.

ზოგჯერ... აბა, გეთაყვა, მითხარით, მაინც რამდენჯერ? ხომ ვერ გაიხსენებთ ოთხ, ხუთ ან მეტ ამგვარ შემთხვევას? იქნებ ვერც ერთი ადამიანის გულს ვერ აეტანა ორ-სამზე მეტი? ზოგჯერ (ვერაფერს ვუპასუხებ თქვენს შეკითხვას), როდესაც სავარძლის გარდიგარდმო გადაწოლილი ლოლიტა უფულისყოფოდ ამზადებდა საშინაო დავალებას (თან ფანქარს წუწნიდა), პედაგოგიური თავშეკავების ბორკილებს ვიცილებდი, ყოველგვარ უთანხმოებას ვივიწყებდი, ჩემს მამაკაცურ თავმოყვარეობას ფეხქვეშ ვქილავდი – და მორჩილად მოვბობლავდი შენს სავარძელთან, ლოლიტა! გოგონა ნაცრისფერი თვალების გაოცებულ მზერას მტყორცნდა და უნდობლად ბუზღუნებდა: „როგორ, – ისევ გინდა?“ არასოდეს გინებებია იმის მიხვედრა, რომ ყოველგვარი გარკვეული განზრახვის გარეშე მწყუროდა, სახე ჩამეგრო შენი შოტლანდიური კაბის კალთაში, ჩემო სასურველო! ღმერთო ჩემო, რაოდენ ნატიფი იყო შენი შიშველი ხელ-ფეხი! როგორ მწადდა, მომედრიკა და გულში ჩამეკონებინა ეს ოთხი სიფრიფანა, თვალწარმტაცი კიღური (ფეხმოკეცილ კვიცს დაგამსგავსებდი), შენი თავი უღირსი ხელებით ჩამებღუჯა, საფეოქლების კანი ამეჭიმა და ჩინური თვალები ჩამეკოცნა. „თავი დამანებე, ბებერო პავიანო!“ – მეუბნებოდი შენ. – ღვთის გულისათვის, გთხოვ, ბოლოს და ბოლოს თავი დამანებე“! და ფეხზე ვდგებოდი; შენ კი მიყურებდი და განზრახ იმანჭებოდი – ჩემს ნერვულ თრთოლას ბაძავდი... არა უშავს რა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მე ხომ მხოლოდ ცხოველი ვარ, არა უშავს რა, განვაგრძოთ ეს გულსაკლავი თხრობა.

(გაგრძელება იქნება)

თარგმნა **თამარ ლიმბიკაევ**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როსტომ ჩხეიძე

შერისგმა

კარი მეორე

თავი IV

მიტევების ფურცელი

ჩვენს იმ სამყაროში ვარსებობთ, სადაც სიყვარული ატრიალებს ზეცასაც და ვარსკვლავებსაც — უზენაესი, უსაზღვრო სიყვარული: და ჩვენს ზეცასაც ასევე ატრიალებს, ჩვენს ვარსკვლავებსაც და ჩვენც ზევით, ზევით გვიწევს, ვიდრე წუთისოფლის კანონები კვლავ მიწაზე დაგვაბრუნებდეს და უღმობელ რეალობასთან შეგვაჯახებდეს, ოღონდ, იმავდროულად, ამ სასტიკ გარემოში სულიერების გადარჩენის იმედსაც ჩაგვინერგავდეს და ადამიანად ყოფნის იდუმალებაშიც ღრმად ჩაგვახედებდეს.

ჩვენშიც ძნელად ამყვიდრებდა ქრისტიანული მოძღვრება და მასზე დაფუძნებული სახელმწიფო კანონები ახალ სამართლებრივ წესრიგს, რათა სისხლის ძიების ადათი წარმართული ეპოქის ნაშთად გადაექცია და მერე სულ განდევნა. ადამიანის შეგნებაც ახალი მრწამსით ამსჭვალებოდა და უკვე ველარ ეგუებოდა სისხლის წილ სისხლსა და სიკვდილის წილ სიკვდილს, რაც მის თვალში შემზარავი ირეთი წარმოსდგებოდა.

ასეც გაგრძელდებოდა, ცხოვრება ბუნებრივი გზით რომ წარმართულიყო, მაგრამ მატერიალისტურმა მოძღვრებამ ისე უღმობლად დაგეიმსჭვინა ეს მრწამსი, ადამიანის შეგნებაც ისე დაამფაბლა და ქვეყანაც ისე ჩაინირია უკიდეგანო სისხლისღვრაში, რომ ლამის შიშრეული იდეალიც სამუდამოდ წაგვართვა.

და ახეთ დროს ლიტერატურას — მის იმ მთავარ ძარღვს, გაბატონებულ ტენდენციებს შორის რომ „მიიჩქმალა — განსაკუთრებით მოსწყურდა სწორედ ეს შორეული იდეალი, როგორც გადარჩენის დერეფა.

დაუნდობელია პოლიტიკური რეჟიმი... დამთრგუნველია გარემო... და მაინც ლიტერატურის ძარღვს თვალნათლივ მოპყვება უზენაესი სიყვარულის, ყოელისმპატიებლობის, ყოელისშემწყნარებლობის ქადაგება, რაც არაფერს ეპუება, თვით ბედისწერასაც კი.

ვახილ ბარნოვს მტკიცედ სჯეროდა, რომ სამყარო ბრმა ბედისწერის, ბნელ ძალთა სათარეშო იქნებოდა, მძლეთამძლე სიყვარულს რომ არ ეარსება, როგორც მიწასა და ზეცას შორის ჯადოსნური ხიდის გამდებს. სიყვარული მის ფილოსოფიურ მრწამსში ის საყრდენია, რომლის გარშემოც ბრუნავს ყველაფერი: რეალური ცხოვრების მოვლენებიც და სულიერი სწრაფვანიც. ეს რწმენა მსჭვალავს მის მხატვრულ მატიანეს ქართლის ცხოვრებისა უხსოვარი დროიდან თანდაროულ ეპოქამდე და ასეთი მსოფლხედვა მით უფრო ფასეულია, რომ ვახილ ბარნოვი — დიდად ორიგინალურ მხატვრის გარდა — წარმოსდგება ულრმეს მოაზროვნედ, ვინც მარჯვედ მოსინჯა ფილოსოფიის ურთულესი კითხვები (გეორნანი ქიქოძე). ამ გადასახედიდან ალიქვამდა სიყვარულს სიკვდილსა და ბედისწერაზე ძლი-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 11. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერად: „ეს ის სირაა, ნათელთაგან გრეხილი სმი, რომელს არ ჩკეთის ბედისწერის ბასრი მახვილი, მას დრო ვერ სწვდება და მანძილი მის წინა დნება“.

სრულიად საპირისპიროა: თვალწინ აღმართული სანაძვლიე და ასეთი რწმენა. ოღონდ ეს ის აუცილებლობაა, რამაც არავის არ უნდა დაანებოს ტრადიციის ჯაჭვის გაწყვეტა. რწმენის საძირკველში ამიტომაა ჩაბიდებული ადამიანის სულის, ერთნული მეობის გადარჩენის წყურვილი.

ამ აზრით ბასილ მელიქაშვილის ნოველა „ჯილაგიც“ ასეთი მოზფლხედვის სისხლხორცეული ნაწილია და ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაც.

აქ ბედისწერა უაღრესი სიმწვავით და ტრაგიზმით წარმოსდგება და ნოველის მხატვრული მრწამსი მის ღერძზე ბრუნავს: თითქოს ანტიკური ტრაგედიაო.

ერთმანეთს ეხლება ბედისწერა და მასთან მორკინალი ადამიანის ნება და ამ ჯიდილნი წარმოსახული ცოდვისა და მიტევების, ზეციერებისა და მიწიერების მოტივები.

ბედისწერამ შეანარცხა ორი პირველნება და თითქოს განსაზღვრა კიდეც მათ შთამომავალთა ყოფა: სისხლის ძიების გამუდმებული მონაცვლეობა, ურთიერთსიძულვილი და ცოდვილის დამფილი არსებობა.

აქეთ გამახარაის მიაქანებს აღსასრულისაკენ ბედისწერა, მსხვერპლს: ხევისბერი წინასწარ აუწუვებს, ბედის მწერალს ვერსად გაექცევი და ქარბუშელის ხატს შეწირულად მიუხვალო; და ისიც მისდევს განწირულების გზას.

ექით მკვლელს აქეზებს იდუმალი ხმა: იგი სიზმრად ისმოვის შავ ადამიანს და რაცა ამ გრძნეულს დაეკგრება, ის მიაძახებს, შენი ჯილაგის კაცი შემოგაკვდებაო: და მისი ღაღადისის პასუხად („რითია ვუუმალო, საიდუმლო ადამიანის? მითხარ, რითია ავიცდინო?“) დაარიგებს: „მოკალი პირველი შემხვედრი. ეგეს აგიცდის“ — და ეხეკ ფუძის ანგელოზის ნიშნად რომ დაეც

თა თავის ჯილაგისას, ვითა ძმას, ამ სიტყვებით: „მაგას მივაგენი“.

რეალისტური სცენა ერთბაშად ლეგენდურ საბუქრველში გაეხვა და ის ღრმა გააზრება შეიძინა, რამაც გრიგორ რობაქიძეს ასეთივე ამბავი ჩვენი ეროვნული ხასიათის თავისებურებად აფიქრებინა. იმ ლეგენდაში სინდისის ქენჯნისაგან შეშფოთებული ქვლელი მოკლულის მამას წარადგება, შურისგებით აღვსილს. და როცა პირგამეხილული მოხუცი შეხვდება, მიწას დაეშმეო, და თოხს აღმართავს მის თავგასაპობად, მოულოდნელად ყველაფერი შემოტრიალდება: მოხუცს გაუვარდება თოხი, თვითონ დაეშხიბა მიწაზე განრთხმული და ქვითინით ეტყვის: ამიერიდან შენ ხარ ჩემი ნამდვილი შვილი, როცა თოხი დაგიმაზნე, შენს სახეზე ერთი არაღეკი არ შერხეულა.

გრიგორ რობაქიძისთვის ეს ეპიზოდი ქართული რაინდფილი თვისების გამოხატულებაა, ოღონდ, ამასთან, ისიც თვალნათლეგია, რომ ქვლელის სულში მომხდარმა ღრმა ფერისცვალებამ ის სრულიად გამოარიდა თავის უწინდელ ცხოვრებას. რაკიდა ქვლელი მზად არის მსხვერპლად შეეწიროს თავის დანაშაულს, მასზე გადმოეფინება ღვთიური მადლი. გინდ დაიღუთის და გინდ ცოცხალი გადარჩეს—უზენაესი აზრით, იგი ნებაყოფლობით ზვარაკად, ღვთის ხელდებულად ითვლება. და შეუძლებელია შურისმაძიებლის თვალს გამოპარვოდა ეს საოცარი მეტამორფოზა: ცოდვა ჩამორეცხილი.

„შენ ხარ ჩემი ნამდვილი შვილი“ — ეს სიტყვები ღვთიური მადლის წინაშე ქედმოდრეკაა.

„ძმას მივაგენი“ — ესეც ასევე.

ასე გადასძალა ადამიანს ნებამ თვით ბედისწერის მიერ დასაზღვრული გზა გაუთავებელი ურთიერთშეღლისა და გვარი და ჯილაგი ცოდვის გამრავლებას გადაარჩინა. ასე იხსნა ჯაბუმა საკუთარი სულიც და შთამომავალთა ზნეობრივი სწრაფვანიც, არ შეუკვეთა ამალლებული ლტოლვანი და დამადებითივე შურისგების მორევში არ გადატყორცნა.

ამიტომ დაადგა ნათელ სიმბოლად ნოველის ფინალს ეს რომანტიკული, მარადიულობის აზრით განმსკვალული სურათი — „ქარი რომ აფოთებს ქვეყანასა და ჩამოჩუღუმდება, — მოვა ფუძის ანგელოზის ნიშნად ორი ადამიანი ფიცის ფარად და ერთიერთს გადაეხვევიან, ვითა ძმანი, ვითა ერთი ჯილაგისანი“—როგორც გაშეშებული, გამკვრივებული ხატი ყველაზე შთამბეჭდავი, უმთავრესი ფსიქოლოგიური და სულიერი აქტისა ამ ორი პიროვნების ცხოვრებაში.

ეს რომანტიკული სურათი ძალდაუტანებლად გამოიხმობს „სტუმარ-მასპინძლის“ ფინალურ ხილვას — კლდის თავზე ჯოყოლას, ზვიადაფისა და ალაზას სულთა შეხვედრის სცენას — განმსკვალულს მარადიული სიკეთის, ადამიანში სულიერი და ზნეობრივი საწყისის უკვდავების შეგნებით. ამგვარი მხატვრულ-იდეური სიახლოვე პოემისა და ნოველის ფინალური სურათების შორის მოსალოდნელიც იყო. ბასლი მელიქიშვილი პირადი სულიერი გამოცდილებითაც მივიდა ამ თვალსაზრისამდე (მისი ფსიქიკური ზუნებისათვის ბუნებრივი ჩანს ასეთი ხილვა), მაგრამ — იმავდროულად — როგორც მოთაყვანე ვაჟას გენიალი და მისი მხატვრული ძიებების გამგრძელებელი, შურისგების, ცოდვისა თუ მონანიების გააზრებისას ღრმად ითვალისწინებს თავის წინამორბედის პოეტურ გამოცდილებას; საერთოდაც, მის წარმოსახვებს მიუსაფგებს თავის გულისხმიერ და, მიუხედავად არაერთი სიახლეისა, ორიგინალურ მხატვრად ამიტომ წარმოგვიდგება, და ამ ნოველაშიც ასეა.

ელიზბარსაც (მიხეილ ჯავახიშვილი, „თეთრი საყელო“) გამახარის ვაეკვით აძრწუნებს შურისგების დაუსრულებლობა და სისასტიკე, მით უმეტეს, რომ იგი საყმის, საკრალური საზღაღოების მკვიდრი არ არის და არც მოსისხლეობის ადათის გარემოცვაში გაზრდილა. ამიტომაც ზარავს საყმის ცხოვრების წესისათვის ნიშანდობლივი რეალია, სისხლხორცეული დეკორაცია: ციხის ქვაცა თუ ბუზრის თაეზე გამოკიდებული „მარჯვენეების რიგა“ — ვაჟკაცობის დასტური ხევსურ მოყმეთათვის, ელიზბარს კი — ამის შემხედვარეს — სიტყვა ვერ დაუძრავს და სათქმელი კბილებში ეკედება...

პიროვნული შიში კი არ იწვევს მის გაუცხოებას ხევსურეთში შეშინაზეთ ამ ადათის მიმართ, არამედ ქრისტიანული მსოფლმხედველობა კანონიერების დამცველი მოქალაქის შეგნება. ამიტომ უკრის შეჩვევა, ვერ ისვენებს, ეჩვენება, თითქოს მოკრილი ხელები სულში უძარცნიან და გავაზრის კლანჭებივით უკორტნიან შიგნეულს. ძნელად ეჩვევა ანჯარა-იარაღსაც, ესეც მოკრილ მკლავებზე არანაკლებ უფორიაქებს სულს. „მაინც რა მძიმე ყოფილა ფაარმანის დროინდელი საჭურველი“, — ოხრავს იგი და ეს დრტვინვა რკინის სიმძიმეზე მეტად სულ სხვა გარემოებითაა გამოწვეული — მოსალოდნელი სისხლის დაღვრით. რახან ისიც საყმის წევრი ხდება, აქაური ქუდი უნდა დაიხუროს, ანუ მის კანონ-სამართალს უნდა მისდიოს, სისხლისა

ქეზებს სამაგიერო გადასახდელად — დათვის მოკვლაც როგორ მწარედ განიცადა და კვლავ სისხლს რაღა დაალვრეინებს; ის კი არა, როცა მისი ნათესავები იმ მოსისხლეს სიცოცხლეს გამოსახადებენენ, შვებას კი არ იგრძნობს, არამედ სულიერ ტკივილს: „უნდა გამეხარდეს. წინას მადლობა უნდა გადავუხადო, მაგრამ არ ძალმიძს, არაა ვდუმვარ და ჭერს შევაცქერი“.

გმირის ამგვარი ქცევა და განცდები, ამოვარდნილი ხაყმის ცხოვრებიდან, მით უფრო ამოვარდნილია მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან. რომანში თბილისი არ გამოიყურება ახალი რეკონის ბილ სისხლის ასპარეზად გადაქცეულ ქალაქად, უსასტიკეს დაპირისპირებათა არენად, როგორც იყო სინამდვილეში. აქ არ იგრძნობა სისხლის სუნი, მაგრამ მაშინდელ ორომტრიალს — ცენზურის მიერ უკვე ტაბუდადებულს — წმერალი იმით შეეწინააღმდეგა, რომ გმირის სულში გამძაფრებული მოსანინების შეგრძნება და სიყვარული მოყვასისადმი კვლავაც გადამწყვეტ ადგილ დასახა სისხლის მორეკვიდან თავდასაღწევად.

მორეკი ბრუნავდა და თავის ასპარეზს არ თმობდა, კიდევ უფრო იკრებდა ძალას და ამ ვითარებაში მწერლობა კვლავაც იდეალს ეძიებდა, კვლავაც შურისგებისა და სისხლისღვრის წყურვილს აშოშინებდა... ვერ აშოშინებდა?.. თავისას ხომ ცდილობდა, თავის ძარღვს, სიკეთის ძარღვს ხომ ინახავდა მრეულს, მისი გადარჩენის იმედს ხომ არ ეთხოვებოდა.

ნიშნადღესავია მიწდიის სახის აღორძინებაც (კოსტანტინე გამსახურდია, „ზოგიის მინდია“) და მისი უმანკო ცრემლთაღვრაც, შურისგებას რომ აიძულებენ. სიყვარული აოკებს მინდიის სულში გარედან შემოკრილ დაუნდობლობის ფანტომებს: სიყვარული სამყაროსი, სულიერისა და უსულოსი, მოყვასის, მზისფერი ხალიჩისა...

თუ ელიზბარი სხვა სოციალური გარემოდან მოხვდება საყმოში, მიწდია საყმის შობილია, და მაინც, ისიც ელიზბარივით გაურბის სისხლს... გაურბის, ვიდრე ულამბელი ბედისწერა საზარელ, უმკაცრეს რეალობას შეაჯახებდეს: სისხლის მორევში მოქცეულ მიწდიას უნებლიით შემოაკვდება ხადაშთი და თვითონაც უკვე აღარაფერი დარჩენია ამ ქვეყანაზე.

მიწდიას სახის დრამატიზმი ამ მოთხრობაში ცოტა სხვაგვარად ვითარდება, თუმც, ცხადია, იგი ვაჟას მიწდიას ლიტერატურული მემკვიდრეა, ბუნებაში დავანებული სულის თანაზიარი. ამიტომაცაა მისი სიკვდილი კოსმიური ხატებით გასხვავებულები: მზე წითლდება, ვარსკვლავი ჩამდის, მთვარე უკუღმა დგება...

მიწდია წინასწარივე გრძნობს შურისგების ამაოებას, რასაც ელიზბარი სისხლის დაღვრის მერე განიცდის — არა კმაყოფილებას, არა სიამაყეს, არამედ სულიერ სიცარიელესა და ულიონობას. ისიც ოთი კუარანოსკეს დღეშია და, თუმც მასავით ადასახლოულ არ მოელია, მაინც არანაკლები სიღრმით წყდება და აცნობიერებს ცხოვრების ტრაგიზმს.

როგორც იაპონურ ნოველაში, ისე ქართულ რომანში გარემო რაინდული ხანის ეერით წარმოგვიდგება: და ტრადიციული საზოგადოების კანონ-სამართალში, გმირთა ფსიქიკაში ძალუმად იკრება ახალი ეპოქის ხუნქვა — უჩვეულოი, გარდაუვალი...

გმირმა თვითვე უნდა განვლოს ზნეობრივი გზა ამ უჩვეულო, იდეალურ საყაროსთან ნაზიარებლად, თვითვე უნდა მოიპოვოს ის სულიერი გამოცდილება, რასაც სხვაგვარად არავინ უბოძებს. ამ დროს ფერმკრთალდება და სადღაც იძირება ყოველგვარი გარეგნული ეერი და ნიშნები და მკვეთრად წარმოსდგება სულიერი მღელვარება, რაც ალმოაცენებს სინანულსა და სინდისის ქენჯნას — დასაწყისს საკუთარი თავის საპოვნელად.

გურამ გეგეშიძისთვის მთავარი და მნიშვნელოვანია სწორედ ის გაუცნობიერებელი განცდები, რაც შურისგებას მოსდევს („შურისძიება“): სამაგიეროს მიზღვა არაფერს ცვლის გმირის არსებაში, შვება არ მოჰქვს და ყველფერი ძველებურადვე რჩება, ტკივილი კვლავაც გაუნელებელია. აქ იკვრის მოთხრობის აზრობრივი ბირთვი და თვითონ შურისგების სცენა ასე დეტალურად, ასეთი ნატურალისტური სიზუსტით იმიტომაა აღწერილი, რომ თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს მისი ამაოება, მით უფრო, რომ შურისძიების დაფარული მიზეზიც გაშიშვლებული.

და ეს მიზეზი, რამაც უმცროსი ძმის დაჩაგვრისაგან გამოწვეული აღშფოთებასთან ერთად წაკეზა რეზიკო მასზე ღონიერი და ახაკთ უფროსი ჭაბუკის წინააღმდეგ, მისი გატანჯული და უსიმართლო ბავშვობაა, მის გულში წვეთ-წვეთობით ნაგროვები ბოღმა და ტკივილი, წუხელი და გაბირობება; პირველ ყოვლისა, ეს აშშოვებს და ამიტომაცაა ასეთი დაუნდობელი იმ პიროვნების მიმართ, ვინც მგრად მიაჩნია და დარწმუნებულია, რომ ძველ, ხალისიან, უზარუნველ სიმსუბუქეს მხოლოდ მისი დაკბენვა დუბრუნებს, აღუდგენს ყველაზე დიდი ბედნიერების განცდის უნარს — ეკუთვნოდე არა მარტო საკუთარ თავს, არამედ მთელს იმ არემარეს, სადამდეც გონება, გრძნობა, თვალი მისწვდება.

მოთხრობა რომ კერძო პიროვნების ფსიქიკას არ იკვლევს და განზოგადებულად გაიაზრება ადამიანის მიმართების შურისგებასთან, გარდა უინაფური მსჯელობისა, ამას საგანგებოდ გამოკვეთს ის გარემო, სადაც მოქმედება ხდება: უნაპირდ გაშლილი მინდორი, რომელს ბოლოს ჩაკუბრული, ჩაშვებული, ცივი და ხაიდუმლოებებით აღსავსე ცა ჩაშოშოლილა, და უზარ-

მაზარ მანანელზე ძირს ჩამოწოლილ ცამდე არაკვინ ჩანს, გარდა რეზიეოსი და მისი მტრისა. ასე იქნებება ილუზია, რომ ეს გარეშო არა გარაკვეულ პეიზაჟს, არამედ სამყაროს უსასრულობას გულისხმობს. და ამ ფონზე, ბუნებრივია, ენებთა შეჯახებაც სხვა თვალთახედვით აღიქმება.

შურისგების ენი, გულში მოწოლილი სიძულველი შეაქცევინებენ რეზიეოს, არ შეეშვოს ცეცხა და გვეშას, არ შეეშვოს გონების რამდენჯერმე დაკარგვასაც კი და მანამდე არ მოეშვება მეტოქეს, ვიდრე მის ნებისყოფას გასტეხდეს და ბოდშს მოაბრეკინებდეს. ხოლო ისას ძალა კი არა, ეს სიძულველი თრგუნავს: „რეზიეო ოდვა და ფუფრებდა ოშარას. ის ხვდებოდა, რომ საქმე ამით დამთავრდა. მას უკვირდა, რომ არავითარ სიხარულს არ გრძნობდა. პირიქით, ახლა უფრო ძლიერ სტკიოდა გული და არ კი იცოდა რატომ. ყველაფერი ისე წარიმართა, რომ ხალხიდან არ იყოდა, რა ექნა. ის ოდვა დაბნეული და ფუფრებდა ამბრიბული ოშარას, რომელიც ხახეში იღებდა ხელებს და მოიკი ხმით ყვიროდა:

— გეუბნები, თავი დამანებე!.. თავი დამანებე, თორემ მოგკლავ! მოგკლავ, გეუბნები!..“

ეს უსასოობის ყვირილი ეს ისტერია.

სამაგიეროს გადახდილია. ეს სამაგიეროს მიღებისთანავე ჩნდება ეგრის არსებაში დაუკმაყოფილებლობის განცდა, რათა უკან გამობრუნებოდეს მტანჯველს ფიქრიმა ალდოთი შეაცოცხლინოს მისთვის ჯერაც ბუნდოვანი ბეშარატება, რომ: მთავარია სიკეთე, მხოლოდ სიკეთე და სულიერქმელთა ოშადენსა და ბეშარატი ადამიანური თვისებანი, ყოველივე დანარჩენი კი მოჩვენებითია.

ბუნებრივია, ეს ჩამოყალიბებული თვალსაზრისი მწერლისა და არა ეგრის, და ამიტომაცაა ხალხებებად აღიარებული — „რეზიეო ჯერ კიდევ ბავშვი იყო და, რა თქმა უნდა, ზოსაგით ახე არ ფიქრობდა, ყოველივე ეს არ ჰქონდა გააზრებული. ამას მხო

დ ინტუიციით გრძნობდა, თუმცა მთელიანი ეერაც ინტუიციით წყალობილ ამის ახსნ, რაც „ბეშარეგი“; ბეშარეობაცია ფიქრების ის ოოიეერი. ჯაბი რაც ამ თვალსაზრისს ეაოდაბების („ბან არ იცოდა, რომ არსებობს უბეშარეო ოსამართლობა, როდესაც ბეშარეგ. საკუთარი ნების წინააღმდეგ, ცხოვრების მიმდინარეს ექ. ხადაც არ ეინდა. ეაკეთინებინებს ამას. რაც არ ეინდა და ყოველივე ამის ეამა ხამოფაი ტკიეილ. ეიტოიტს. ეოოაში, რომელიც შემდეგ ალარსხოიტს, ალარეთრანთ ალარ შეიძლება ზეიმოოს და ბოლოშეი გაგანჯეს“), მაგრამ თფნდ ალხსნელი, ბუნდოვანი განსეოეეი ეგრის სულში ბორკვის და ექ ჩაოობრეო. ჩაიარეო სიძულველეოეი მერეალი ხხიიიდ ალაინეეს სიკეთის ამპოოსიიე და მისი გადვეიეეს ამეიდეეს...

მოთხრობის ეს ფინალური ნაწილი რამდენადმე ჩამოგავს მორალისტის მსჯელობას, მაგრამ, სინამდვილეში, ეს გურამ გეგეშიძის სტილური თავისებურებაა, თხრობაში დროდადრო ჩართული მხატვრული განსჯანი, როგორც მწერლის ზნეობრივ-ფილოსოფიური მრწამსის ფრაგმენტები.

ამ მრწამსის მიხედვით შურისძიება წარმოდგენილია მოჩვენებით და წარმავალ განცდად ნამდვილ ადამიანურ ფასეულობებთან შედარებით; ესაა ის ბოლო საფეხური, რომლის ღრმა შეგრძნება მაინც მიიჯვდრებს პიროვნებას სიკეთის, სულგრძელების, მიტევების აუცილებლობას, რადგან სხვა ვერაფერი დაიცხრიმს ათასგვარი უსამართლობისაგან გამოწვეულ ტკივილებს.

და ამ აზრით, ის გარეშო („...უზარმაზარი ქვეყანა იყო ისე ბნელი და ზავი, როგორც უნეგეშო სევდა“), სადაც რეზიეო მიაბიჯებს, გარკვეულად აღიქმება სულიერ წყვარამად, რომელიც სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე გმირმა უნდა გადალახოს.

აქ ხელშესახები, თითქოს მატერიალური სახე შეუძენია იმ სულიერ ჭიდელს, რაც თეიმურაზ ბარამიძეცაც (ნოდარ დუმბაძე, „მზიანი ღამე“) ამე ძმაფრად გამოსცადა და კიდეც დაადგა თავი სამაგიეროს მიზნვის ცდუნებას... ამიტომაა: რიცა თეიმურაზი სადარბაზოში გულადმა დადებულთა და მომაკვდავ კარის მეზობელ დაინახეს, თავს აიძულებს დაივიწყოს მიხვან მიეცემოდეო მორალური ტკივილი, დაივიწყოს თავისი მძულვარებითა და შურისგების ენით ნათქვამი მუქარა: „ბაბიო ფანნდოსია, ბინძური კაცია, მე მოგკლავ ბაბიოს...“ — და არამცთუ ფულგრილად ვერ ეუარის ვეერი, რაც შეუძლია, უბატკონოს და სიკეთილისგან დაიხსნას.

ეს ფაოოეანიდ ვერ მოხდებეოდა. ბაღის ხეულში ამიტომაც ეძლიეს ერთმანეთს ფრთიერთანაპირსპირო განცდები და თავიდან ხეორეიდ შურისგებეის წადალეი („ალალ მე ამას მოვკლავ, თუმცა რა, თავისთვაც კვდება, დაგეიდა და ვეუეორე, ვიდრე არ მოკვდება, იქნებ წყალი უნდა, მე წყარო ვარ ანდა მისთვის, თუ ვარ, იცოდეს, რომ დამშრალი წყარო ვარ... იქნებ სინათეე უნდა და მე ვარ მისთვის ეზე, — მაშინ იცოდეს, რომ არა ვარ, არა... ეს მე ვარ სიკეთეი, თავზე რომ ვადგიეარ და მე მოგკლავ მას, რომ თვალი სიკეთილით არ მოკვდეს და ეს უნდა იცოდეს ბბიბომ“), ვიდრე ალგზნება და ემიციები ბოლომდე არ ამოიფრქვევი და გმირის წინაშე უკვე რეალობად არ გაცცდადეს შურისგებეის ენის მოახლეობა. აქამდე სხვაა: აქამდე შურისგების ენი ფიქრსა და ოცნებაშია გაჯეეიული და ბუნდოვნად შორეულად წარმოდგენილა, ახლა კი მარითა უნდა გახერილის კაცი.

ამიტომაც ეცვლება ხმა, რაც თითქოს თვალ-

ნათლივი ნიშანია გადაწყვეტილების აღსრულებისა, მაგრამ სინამდვილეში ეს მხოლოდ ის უკიდურესი ზღვარია, რომლის მიღმაც უნდა შეიცვნოს ეგრეთ წოდებული: მიტევების, შენდობის აუცილებლობა.

ჯაბუკმა უმძაფრესად უნდა გამოსცადოს ეს შინაგანი ბილდი, რათა მისმა არა უნებლიე, არამედ სავსებით შეგნებულმა, ბილდის ჩქერალში გამოტარებულმა აზრმა და საქციელმა ბორტსა და უკარნიმენელ, სახელმწიფოს ბრძანიარადად გადაქცეულ კაცს ადამიანური გრძნობები გაუღვიძოს და გარეშოსთვის, ადამიანის დანშულეულისათვის სულ სხვა თვალით შეახედოს.

„— მაპატიე, ბიჭო, მაპატიე! — მე ხშირ არ ვიეიტდი.

— მაშინ მომკალი, რატომ არ მკლავ, ბიჭო?

— მე მკალელი არა ვარ, ძია ანიბო! — ანიბო მიეუჩერდა თავისი გამეკერავლე ლურჯი თვალებით, რომლებშიც დღეს პირველად დავინახე რაღაც ეს ის რაღაც ცრემლი იყო — ანიბო! ტირიდა“.

ისედაც ნათელია, თუ რატომ გადაიფიქრებს თეიმურაზ ბარამიძე სიძულველი ადამიანის მოკვლას, რატომ არ მიენდობა ზურინძიების მთარობელა გრძნობას, მაგრამ მწერალი მაინც საგანგებოდ გამოაკვეთს, როცა რომანის ან თავს ქრიხტეს მცენბით დასასთარეს: არა კაც ბკლა. მიუხედავად ათეისტურ საზოგადოებაში აღზრდისა, ჯაბუკის სულს, მის კეთილ საწყისს ქრიხტიანული ძარცი მსვალავს: ის აოცებს მის ფეიტერ განცდებს და სიძულველის მიჯნასაც გადაალახვინებს, რათა ყელამდე სიბრალულით ალიეხოს იმ კაცის მიმართ, ვისაც უამრავი უდანაშაულო ადამიანის ცოდვა აწევს და პირადად თეიმურაზსაც ახე მოუკლა ეული... ჯაბუკი დაბეჭითებით რწმენდება: რადგანაც განაჩენი ღვთის ნებაა, ამ შემთხვევაშიც აღსრულება უფალს უნდა მიენდოს.

საგულისხმოა, რომ ოთარ ჩხეიძის რომანში „ამაღლება“ მსგავსი ეთიკური საქციელის აუცილებლობა უფრო მწვავედაც გამოითქმის: თუნდ ცოდვებით დამძიმებული და სიძულველის ღირსი პიროვნების უპატრონოდ მიტოვებას ღმერთი არ აპატიებს ადამიანებს. ამ რწმენით პატრონობს ბხვთისო კარის მეზობელს, — „ეინე სულიერია, მაინც ცოდოა ღვთის წინაშე, შიშმილით რა ამოხდეს სული“. დ ეს სიმწვავე იმით არის გამოწვეული, რომ იმ პიროვნების ულმობლობაც უსაზღვრო ყოფილა და დანთხეული სისხლიც აურაცხელი... დიდხანს ტრაბახობდა თავისი რევოლეციური წარსული, ვიდრე სინანული შეეპარებოდა გულში, ტრაბახობდა და ეამაყებოდა, რომ ორკონიკიძე ყველაზე მეტად მას ენდობოდა და ყოველად საიდუმლოს მას ავალებდა... ისიც ხვრეტდა და ხვრეტდა და ლამის ილიას მკვლელობის მონაწილეც გამხდარა. ამ ცოდვას მხოლოდ შემთხვევით გადარჩა: სწორედ მაშინ სადღაც გაგზავნეს სხვა დავალებით, ალბათ, ნაღლებ საქმეზე არა, მაგრამ ამ მკვლელობაში არ გარეულა...

ასეა თუ ისე: არის დასანდობი ასეთი კაცი? არის ღირსი შებრალების და ყურადღების, თუ შიშმლილი უნდა ამოხდეს სული?

ვიტყვეთ: არა, არ არის დასანდობი, არც შესაბრალები, დე, შიშმლითა მოეოლის ბოლო...

მაგრამ ბხვთისო სხვაგვარად სჯის: ცოდვალი თუნდ ღირსიც იყოს, ადამიანს მაინც ვერ უნდა გაუძლოს გულმა, რათა უპატრონოდ და საბიკედილოდ გასწიროს. თუ ასე მოხდება, თავი არ უნდა დაიშვიდოს, ჩემი რა ბრალია, მე რა შემიძლია. და უნდა ალიაროს, რომ ცოდვილის სიკვდილში თვითონაც უდევს წილი. ბოლოს და ბოლოს, ადამიანი ეანდარმი ან პოლიციელი ხომ არ არის, ვინმეს ცხოვრებას სასჯელი გამოუტანოს და ისეე შებრალება უნდა ამჯობინოს, რაც ღვთის წესად დაკანონებული (თვით ილიასი არ იყოს: „...რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მერგნ, გთხოვდე: „შეუნდე, — არ იციან, ღმერთო, რას იქმან!“).

აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბხვთისო მარტოოდენ მეზობლისა და ადამიანური სირცილოურის გამო არ დაუახლოვდება და პატრონობს ამ კაცს, რომლის ექსტრესიული ღალადისი, ძმაფრი სულიერი განცდები ნათლად მეტყველებს, როგორ ინანებს ცხოვრების უკუღმართად განვლილი ეზსს, გარეშოეთბოგან დაბნეული რ[illegible] მოპყვა ხატანის ხელში და მთლად ჭერაც ვერ გამორკვეულა ახალი ეპოქის ცოდო-ბრალში, როგორ ნანობს ჭეროს მომხვრეულს...

ბხვთისო ახე უბრალოდ იხდის თავის ადამიანურ ვალს, თეიმურაზ ბარამიძე — გულისტკივილის ფასად, ორივეს თვალწინ კი ღვთის რწმენა აღმართული მათი სულიერების გადამრჩენად.

ამ რწმენის გახსენებას გამოსყავს ელიზბარიც („ნაალ სამადაშვილი, „ბაბო დაკრეს!!!“) მძიმე და კოშმარული ფიქრებიდან. იგი — დანთი მუხანთარად დაკრილი და სიკვდილს ძლივს დამხნლტარი — საავადმყოფოში ზურინძიებაზე ფიქრისას მიაკვლევს ეეშმარიტებას, მისთვის განსაკუთრებით ძვირფასს იმიტომ, რომ სხვათა დაუზმარებელად, საკუთარი ტანჯვისა და სისხლის ფასადაა მოპოვებული.

ახე იწმინდება ერთმანეთში აბურდული შთაბეჭდილებანი და ახე იშორება სამაგიერის გადხდის სურვილს. თავის პიროვნულ სისუტეებსაც მკაფიოდ დაინახავს და ამ სისუტეებსა და ზურინგების წყდილს ზორის ხარეთოსაც აღმოაჩენს. ამ თვალსაწიერიდან მეტოქეს მარად კი აღარ აღიქვამს, არამედ უნებლიე შემცოდედ,

ვისაც ასევე მოერია სისუსტეც და ამიტომ ვერ დასძლია მუსიკური სიძულვილი, მით უმეტეს, რომ ტკუილუბრალოდ აუტანელ ჩხუბი, გამოწვეული თვითონ ელიზბარმა გამოიწვია, სულ სხვა მიერ შეალახული თავმოყვარეობის გამო ამაზე მოინდომა ჯავრის ამოყრა...

ქუჩის კანონები ელიზბარსაც ძალაუნებურად ავალდებულებდა, დანა ეტარებინა და ყოველი მოსალოდნელი ხიფათისს თვითონაც დაუნდობლად მოეკლინა. მაგრამ სულში ჩაბუდებული კეთილი საწყისი არ ანებებს ასე მოქცევას და მისი სიტყვები — „მე დანას ვერ ჩავიდებ...“ — პროტესტია ქუჩის — მისი თავლთახდენთან — რომანტიკულ საბრძველში გახვეული ცხოვრების ამ სასტიკი, ბოროტი მხარის მიმართ. მის სიტყვებს თანაკუთხელები პროტესტად სულაც არ აღიქვამენ და ნაჩარევი გამომშვიდობებითა და ირონიული ღიმილით აგრძობინებენ — დაბერისა გეშნიაო.

ელიზბარს ეს ირონია თრგუნავს და სიძულვილითაც იმიტომ განიმსჭვალება ყველას და, მათ შორის, ის უდანაშაულო ბიჭის მიმართაც, რომ თავის თავს დაუმტკიცოს, ციხეში მოხვედრის შიში კი არ მაიძულებს დანის ტარებაზე უარის თქმას, არამედ პიროვნული პრინციპია. და გრძნობებს აყოლილი ამიტომაც ვერ მოთოკავს თავს...

სარეცელს მიჯაჭვული თავის ცხოვრებასა და პიროვნულ ხასიათს გულდასმით რომ ჩაჰყვება, მეხსიერებაში ძალდაუტანებლად ამოტივტივდება სურათი ეკლესიისაკენ მორჩილად მიმავალი, ლანდად ქცეული მოხუცი ქალებისა, რაც ადრე ასეროგად აღიზრუნება, რადგან მათ ქცევასა და გარეგნობაში არაბუნებრიობის მეტს ვერაფერს ამჩნევდა. ახლა კი მიხვდება, რომ „...მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა მათი შეცოდება, უფრო სწორად, მათი სწრაფვის შეცოდება, თუკი ისინი ბრმად, გაუცნობიერებლად, უსიყვარულოდ მიისწრაფოდნენ ეკლესიისაკენ, და თუ ყოველივე პირიქით იყო, თუკი მათ სწრაფვას აზრი და სიყვარული ასულდგმულებდა, მაშინ მათ შესაცოდი არაფერი სჭირდაო“. ცხადია, შემთხვევითი არაა მეხსიერებაში ამოტივტივებული ეკლესიის ხატი, რაც სიმბოლურად გამოხატავს გზას უზენაეს ეშმარიტებებთან — სიყვარულსა და მიმტევებლობასთან — ზიარებისაკენ. ხილული პეიზაჟი ჯვრის სულიერ მოძრაობას გაუჟიგიდა და სიკეთის იმპულსები გაცნობიერებულ სიკეთედ და საკუთარ მორალური ძალების რწმენად ვარდაისახა.

როგორც მიხუცებისათვის არა აქვს არავითარი მნიშვნელობა, როგორ გამოიყურებინან სხვათა თვალში და საკუთარ მრწამსს ერთგულობენ, ისე ელიზბარსაც უკვე ადარ აღელვებს, თუ როგორ აღიქვამენ მის საქციელს სხვები: დაე თავისებურად განსჯონ, დაე, ეგონოთ, რომ მას სულგრძელობამ კი არა, შიშმა გადაფიქრებინა შურისძიება, თვითონ ზომ იცის სიმართლე, ამიტომ ყოფითი კანონები კი ვეღარ დაიმორჩილებენ, არამედ მიზნისაკენ ამიერიდან ყოველთვის ხელმძღვანელი წარეძღვება.

უსაზღვრო მადლიერებასაც ამიტომ გრძნობს ბედისწერისადმი, რომელიც უღმობლად გაეთამაშა, მაგრამ თავისი ნამდვილი სახე აპოვნინა.

ნოდარ დუმბაძის რომანში გარემოებანი გაცილებით რთულია და, რა გასაკვირია, როცა ამბავი თეიმურაზს სთხოვს, მაპატიეო, იგი — ამხელა სულგრძელობისა და სიკეთის მიუხედავად — დუმილს არჩევს და არ ეტყვის, მიპატიებიაო. მიტევებით მიუტევე, მაგრამ სიტყვიერად ამას მაინც არ ეუბნება.

მთელი ამ სცენისა და, კერძოდ, ამ დეტალის გამო მწერალს მიაჩნდა, რომ რომანით სულაც არ ქადაგებდა ახსტრაქტულ პუმანიზმსა და ყოველსაზემწყნარეობისას. ამიტომაც ამბოხს ერთი ლიტერატურული დიალოგისას: ამქვეყნად არავინ იცის იმ პირობებში ამბოხადში ჩემი გმირის დამოკიდებულება ლმობიერებაა თუ სიკვდილზე მეტი განაჩენი.

აშკარაა: გაღვიძებული სინდისისა და ღმერთის წინაშე მდგარი ბოროტი კაცისათვის თვითი ცხოვრების გზის გაცნობიერება მართლაც სიკვდილზე მეტია... მაგრამ აკი საკმარისი დრო აქვს ცოდვების გამოსასყიდად და ხელოვნურად არავინ უშოკლეს ამ დარჩენელ დროს.

რაკიღა ლმობიერების გამოჩენა არაფრისდიდებით არ ნიშნავს გმირის ნებისყოფის სიხუტესა და სიძაბუნეს, მწერალი იქვე დასძენს: თუ ჩემი გმირები ზნედაცემულ, გადაგვარებულ და ვიხრწნილ ადამიანებშიც კი ღვთიერ ნაპრწკალს დაეძებენ და კიდევ ერთხელ ცდილობენ ამ ნაპრწკლის გაღვივებას, ეს დანაშაულად არ უნდა ჩაეთვალოთო.

მაგრამ მის უკანასკნელ რომანში („მარადისობის კანონი“) ზურისგების არჩევანის წინაშე მდგარი გმირი ამ ნაპრწკლის ძებნასა და გაღვივებას ადარ შეეცდება.

იქნებ იმიტომ, რომ ლამის თვალწინ აღსრულდება მისი უსაყვარლესი პიროვნების, სნეულებისაგან მისი გადამრჩენის მკვლელობა და ქარიშხალივით მოზღვავებული გრძნობებისაგან თავის დაღწევა მის ძალას აღემატება?

იქნებ იმიტომ, რომ ჯერ მაინც ბავშვია და მაინცდამაინც ბევრი არ მოეკითხება?

იქნებ იმიტომ, რომ წამიერად მართალი მოკლულის სულს იგრძნობს საკუთარ სხეულში და მისი სახელით გაუსწორდება მანუჩარა კიკვაძეს („გელაზუნა ვარ მე, ქერქაძე, და ჩემი ხელიდან უნდა მოკვდე შენ!“)?

ან იქნებ იმიტომ, რომ მართლა თვითონ კი არ გადაუხდია სამაგიერო, არამედ ღმერთის ნება აღსრულდება მისი ხელითო?

ყოველ შემთხვევაში, ასე აღიქვამს ეი ირწმუნების ბაბანას ამ საქციელს პაპაშინი, ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახარებაზე ზრდიდა შვილიშვილს: „ღმერთო მაღალო, რაღა ამ პატარა ბავშვის სხეულში ჩასახული შურისძიებაღ!"

ბაჩანას ამიტომაც შეცვლილი ხმა და აბრიალებული თვალები დანაშაულის ჩადენით შეძრწუნებული ადამიანის განცდების გამოხატულებად კი არ წარმოქუდგება, არამედ ყმაწვილის სხეულში ჩასახებული, სისხლისაგან დადაღული, მაგრამ საოცრად ძლიერი სულის ნიშნად.

შურისძიებისას ბაჩანა, ცხადი, ტრანსში ჩავარდნილივით მოქმედებს („სროული ხმა არ გაუგონია, არც ტაქვიების რაოდენობა დაუთვლია. გრძნობდა მხოლოდ, როგორ უძაგძგებდა ხელში მაუზერი, როგორ ამტვრევდა ორთავე ბაჯას და როგორ ცდილობდა გასხლტომოდა ვერცხლის ტარზე შეცივებული ხელიდან") და მერეც მის შეძრულსა და ფერნაცვალ ბუნებას რაღაც დახაოდენი სჭირდება, რათა ამ საქციელმა თვითვე არ გაანადგუროს; ამიტომ ეეიდრება უჩუმრად, ოღონდ მთელი არსებით (თვალებით, თაკარა ხელით) ბაპას და ისიც უოქმელად გაიგებს ბაჩანას შეკითხვას, რამაც მთელი მისი ცხოვრება უნდა განსაზღვროს; ლომკაცას პასუხი გულწრფელია და არ არის ნაკარნახეკი მარტოოდენ შვილიშვილის სინდისის დამშვიდების წადილით:

„— კი, ბაბუა, მოვკლავდი!!!"

ის მთელი ღამის ტირილიც აუცილებელია, თითქოსდა როგორც შერწყლებული რიტუალის ნაწილი, რათა ორივე განიბანოს შურისძიებით დადაღული სისხლისაგან.

საგულისხმოა, რომ როცა მანუჩარა შურისმაძიებელს ეტყვის, ნუ მომკლავ, როგორ გინდა მერე მკვლელის სახელით დაღდასმულ სიცოცხლე და მიწაზე სიარული, ამას მხოლოდ გადარჩენის ინსტინქტი არ ათქმევინებს: თვითონვე შეგნებული აქვს თავისი ყოფის სიმწარე, სისხლით დამძიმებული სულით ცხოვრების ტანჯვადია და მის მუდარაში სხვისი გადარჩენის, ამ გზადან არიდების სურვილიც კრთის. არაგულწრფელი? რატომ: გულწრფელი. და ეს სწორედ ის ნაპერწკალია, რომელიც ყოველ ზნედაცემულ ადამიანში ეგულება მწერალს.

ახეთი ნაპერწკალი ნიშნდნლილია ბარონსდოვისაც („ზაურ კალანდია, „ზვარაკი") და როცა ალიას გადარწმუნებას ცდილობს, სასმისიდან, უსარგებლესად, სიკეთის ის ნამეცეცები აგულიანებს და არა შიში — რეგოლვერი თუ ვათხოვე, შეც მკვლელობის თანამონაწილე შევქნენიო. ბარონს შურისგებითა და სისხლისღვრით რას გააკვირვებ.... მაგრამ ახლა მის ერცელ მსჯელობას უთოოდ გამდიეს გულწრფელობის ინტონაცია და როდესაც ამბობს — „...შენ წინაა მტერი, მოძალედ და ბრძოლაში თუ არ მოუგე, რაღაცნირად თუ არ დასაწარი — აქეთ გადგასანსლავს... შეიძლება გმრადაც ირწმენო შენი თავი!.. ვინა თქვა, შენი მომძის სისხლის ღვრიო! პირიქით, სულს ითქვამ მაშინ მისი მოქცდინებით, აღგვით პირისაგან მიწისა... მაგრამ მერე უნდა ნახო შენ, როცა დრო გავა, გონება დაგეწმინდება... არა, გონების დაწმენდა სულ სხვაა, მკვლელი მას არასოდეს ეღირსება. აი, ჩემსავით ბეგრს რომ იცხოვრებ, ქვეკეთ, დადგმართნ დგიარებინ ეამი რომ დაგიდგება, მაშინ უნდა ნახო..." — თითქოს სხვას კი არ მიმართავს, საკუთარ თავსა და ბედს დასტირის. დასტირის ცხოვრების კანონთა ულმობლობას, იმ საზოგადოებრივ მორალს, რაც — გულითაც რომ გსურდეს — არ განებებს, შენი გუნებისად მოიქცე.

რომანში შიშვლდება ეს მყიფე საზოგადოებრივი მორალი და შურისგება იძარცვება ყოველგვარი რომანტიკული ხიბლისაგან. და მით უფრო მძაფრია იმ იდეალური, ამაღლებული სამყაროს მონატრება, რაც ქალაქის ცხოვრების მიღმა დარჩენილა.

ეს ცხოვრება კი გითრევს, გამუნათებს, გაკალდებულებს და ამიტომაც არ აღიქვამს ალია ამ სიტყვებს — „შენ თვითონ ხარ ცოდვა... ქუჩაში ვერ გაიგი თამამად, კაცივით..." — კერძო პიროვნების აზრად, რადგანაც ყველას სახეზე ერთსა და იმავეს კითხულობს: ძმის მკვლელი დაგიბარნდა ციხიდან და რას ამირებ; წესია, ძმამ უნდა თქვას თავისი სიტყვაო.

და ქალაქის უტყვი და მომლოდნე მზერის წინაშე ალიას სხვა გზა მართლაც აღარ დარჩენია: ან საკუთარი ხელით უნდა მოკლას ბობანი, ან ქალაქიდან მაინც განდეგინოს, თუკი ხისხლის დაღვრას მოერიდება. თუ არადა, თვითონვე მოუწევს ქალაქიდან გარიდება.

ჯერ ამ მერე გზას მოსინჯავს, მაგრამ რასაც აღწევს ჯიდაური (თამაზ ბიბილური, „ჩივილი"), ალიასთვის შეუძლებელი გამხდარა, რადგან ნებისყოფის ის სიმტკიცე არ გააჩნია და ბობანის მიმართ ბუქარა სასაცილოდაც არ ეყოფა.

სისხლიანი შურისგებეა ამით სამოლოოდ მოახლოვდა, ოღონდ გადაწვეტტლების უარყოფაა ბზარაგი ალიას შინაგანი ჭიდილი. იგი ამ ჭიდილს თავის თავს უმწეობად უთვლის და შიშობს, ნერვებმა არ მიმტკუნოსო, რადგანაც სირცხვილით იხსენებს ბობინის მოკვლის ამაო შცდელობის სასამართლოს დაწეებამდე. ეს ეპიზოდი ისეთი გაუნელებელი სიმწვავით ახსენებს თავს და, თანაც, ისეთი ტრაგიკომიკური ელფერით წარმოუდგება, დარწმუნებულია, მომკვლელი არ ვიყავი, მხოლოდ მსაბიობივით ვთამაშობდი სხვების დასანახადო.

რაკიდა ვალი კვლავაც მოსახდელია, ალიას ეფიქრა ის აწუხებს, ბზად თუ ვარ ბურისგებისთვის, შემძლია თუ არა მართლა მოკვლა კაცია.

მის არსებაში ასე ძალუმად შეხლია ერთმანეთს ორი საწყისი — მიტევებისა და დაუნდობლობის; ერთი უფრო ბუნებრივია მისთვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორე — თავსმობეფული; და შურისგების გარდფვალოდა ისე მოკმედებს მის ფსიქიკაზე, რომ ქალაქის ყოფიდან ამოვარდება და ბოლმა-ბრაზისაგან, მარტოოსნისგან, ტკივილისგან თავდაღწევას ხასმელში ეძიებს.

ახე გადის თარმეტი უმძიმესი წელიწადი: ფიქრსა და მერყეობაში. და აღიას მთელი სიცოცხლე ეგდაა: დაწყეულილ წრეში წინ და უკან ბორიალი.

ბოლოს და ბოლოს, ეს დაწყეულილი წრე უნდა გაიგრიგეს: ეს ისტერიული ყვირილით გამოხატული თვითდაჯერება — „მე ვარ, ვარ!“ და ხალათის ქეშე ძმის სისხლიანი პერანგის ჩაცმა გამოდევნის აღიას არსებიდან მერყეობას და მის ნებისყოფას ერთი მიზნისაკენ მიმართავს.

შემთხვევითი არ არის, რომ ბონძის მკვლელობა უშუალოდ ქალაქის მოსმოძღვნე მზერის წინაშე ხდება: და თუმც ეს მხოლოდ მოჩვენებაა, აღიას აღგზნებული წარმოსახვის ნაყოფი (ქალაქის მზერა სამი პიროვნების სახეშია განსხეულებული), ეს წარმოსახვა რეალობითაა გამოწეფული.

ერთიანად შეკუმშული ნებისყოფა დანის პირველი მოქნევისთანავე („ისკუბა ისე თავგანწირვით, უფსკრულში თუ ეშვებაო... საშინელი ძალით დაცცრა ზურგზე ბონძის და ორივე ხელით ჩასცა დანა კისერში“) სიშმაგედ და გაცოფებად გარდიხატება და ახე სასტიკად ამიტომაც დაჩეხავს მსხვერპლს... და როცა თვითონაც სისხლში ბოთხერი გარეთ გამოვარდება, დანას ორივე ხელით ჩაბღიჯავს და რაღაც საშინელი ხმით იყვირებს, რათა მომლოდინე ქალაქს შურისგების ალრსოდაა ამცნოს, მოჩვენებანი უეცრად გაქრებიან და აღიას ეველარ გაუგია, ცხადია თუ სიზმარში.

წარმოსახვაზეც და გაფრკვევლობაც — და არა გულგრილი აღსრულება შურისგებისა — სავსებით ბუნებრივია აღიას პიროვნებისათვის. ისიც ლოგიკური დაბოლოება ამ აქტისა, ალია თითქოს უაზროდ, ამხოდელი სიკვდილით რომ იღუპება: ხარბილისას ფეხი აუსხლტება და წაქცევისას უნებლიეთ თავისივე დანას წამოეგება.

ეს რეალია მეტად საგულისხმოა, ისევე, როგორც სულთმობრძავი გმირის ნიახლოვეს წარმოთქმული ეს ორი ფრაზა:

„— ძალით მოაკვლეეინა თავი იმ...

— ეხ... მოაკვლეეინა კი არა, მოაკვლეეინეს!..“

ახე დასრულდა შურისმაძიებლის სულიერი გვეგმა; ბოლოს და ბოლოს, ახე მიუწყო მკვლელს, ოღონდ თვითონ მისი უკადურესობაშდე დაძაბული სასიკეცსლო ძალებიც ამოწურა. ამ აღსარსულის გარეგნული ახსოფდულობის მიღმა მკაფიოდ ცნაურდება აღიას უფთერ გაწნრიფლება: იგი ჰყვა გარემომცველ სინასტიკეს და სისხლში გაისვარა ხელი, მის კეთილშობილ ბუნებას კი ამის გადადგმა აროდესმე არ შეეძლო. თუმც მისი ერთობა და ყოფმანი შინაგან სიძაბუნეს კი არ გამოუწვევია, არამედ უეცოველად, უსისხლოდ, ზნეობრივი კანონების მიხედვით ცხოვრების წადიდან.

მაგრამ გარემომცველი ყოფა ამის საშუალებას არ აძლევს. აღია ზვარაკია, რადგან მისი ეს ბუნებრივი წადილი ახე ულმობლად ისრესება.

აღია ალღოთი გრძნობს, რომ ბონძიც მასავით ზვარაკია, ისიც — ისევე, როგორც ბუჯა თუ სხვანი — ულმობელი წარმოდგენების მსხვერპლი შეიქნა — იძულებით იძია შური, თორემ ქალაქში არც მას დაედგომებოდა... ეს ნაგრძნობი აღიას თითქოს თვალს აუხელს და უკვე ნაალებ ადანაშაულებს ბონძის, ვიდრე ადამიანის ბუნებაში გამჯდარ ძალმომრეობის იმპულსებს, და იმ ბოროტეულ ძალებს, რაც ამ იმპულსებს აქეზებს. ბოროტებას მის თვალში უარრეფლესად ბარონი განასახიერებს და ბონძის მოკვლისთანავე ამიტომაც გაეკანება ბარონისაკენ მისი მოსპობის დაუოკებელი ენინთ ალეცილი. აღსასრულმაც აკი ამ ენინთან სწრაფვისას მოუსწრო. ისიც ნიშანდობლივია, რომ ბარონის სახე მხოლოდ მერაკი აღმოჩნდება. ბოროტების ღესეგნი მიუკარებია კაცთათვის.

ბარონის სახე ის გარკვეულო მიჯნაა, ვის იქითაც აღიას მზერა ალარ წედება. მაგრამ განა ის ბარონსაა ყოველგვარ ბოროტებათა სათავე?.. ისიც, არსებითად, მსხვერპლია და ეს მისთვისაც არ არის დაფარული: ამიტომაც დასტირის თავის ბედს.

რომანტიკული ხიბლის გაფერმკრთალება ახე გვაგრძნობინებს, რომ შურისგება არ განიჩრეკა სამარილიანად და უსამართლოდ, შურისგება შურისგებაა და სისხლის დაღვრა ვერ ამოეფარება ვერანაირ სამართველს: ყოველმა პიროვნებამ, ვინც ხელს აღართავს დამნაშავეზე, თვითონაც უნდა იტვირთოს უმძიმესი ბრალი... წრფელი მონანიება დაიხსნის ცოდვის სიმძიმისაგან?.. ალბათ, მაგრამ, აი, ჭეშმარიტ ქრისტიანის მრწამსით („ზეციერნონ შურისგება“), მერე ამოოა ყოველგვარი მონანიება. ასეთი სიმკაცრე მწერლისა შემცოდის მიმართ კვლავ იმ განსაკუთრებული წყურვილითაა ნასაზრდოები, გაუხანლისი რეალობის მიღმა არსებული ამალეული სამყაროს დათმობაც რომ არა და არ გვსურს.

რომანის ამ თავში ეპიზოდები ერთმანეთს ისეთნაირად ალბის, იმგვარი ფსიქოლოგიური ვითარება იქმნება და ისეთი მიზნდასახულებითაა ყველაფერი განმსჯველული, რომ თითქოს მოულოდნელი ჩანს თხრობის ბრაზონება და მოვლენების სხვა თვალთახედვით აღქმა — მგორის ერთბაშად ამოვარდნა ცხოვრების ნათელი, მისთვის სანუკვარი გზიდან.

მაგრამ სწორედ ეს გარეგნული მოულოდნელობა, ეს მკვეთრი კონტრასტი წარმოჩენს მთელი ნიმწყვანი პიროვნების სულიერ ყოფას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის თვითგვემასა და მწარე ხვედრს შურისგების აღსრულების შემდეგ.

შურისძიების რომანტიკა დამხსენებელია.

და რაც უფრო დამჩაგრებელი, ყოველმხრივ მოტივირებული და გარდუვალი ჩანს სისხლის ძიება, მით უფრო დაუფარავად იკითხება მწერლის კოსტეფეცა.

შურისგების გარდუვალობა ეი მართლაც ყოველმხრივ შემზადებულია —

ერთი მხრივ, სოფლის (საზოგადოების) ადათით და მორალით;

და, მეორე მხრივ, ზეგულონის პიროვნული შეგნებით და შთაბეჭდილების განსაკუთრებული სიმძაფრით.

სიმძაფრეს იწვევს არა მარტო ის, რომ მამას უკლავენ და თანაც მუხანათურად და სასტიკი დაუნდობლობისთვის, არამედ, უპირველესად, ის, რომ ისახარი — ეკლიანშობილებითა და სულიერი სისუტაკით აღსავსე პიროვნება — ამ შეთბვევაშიც უცოდველია. მკვლელობის უნებლიე შესწრე მხოლოდ შორიდან დაინახავს, თუ როგორ წალაპარაკებენან ისახარი და უფროსი დროსაშვილი, რაც ახე საბედისწეროდ დასრულდება, მაგრამ მთელი სოფლისათვის უეჭველია, რომ გამოწვეული, დამნაშავე დროსაშვილი უნდა იყოს: გულლრძოდ და ბოდმიანმა ვერ ასაკია, რომ ისახარი, რიგორც თავისი გლეხების პატრონი და დამცველი, ცხვრის ქურდობისათვის ხალხის თანდასწრებით დაეშურა. ამიტომ წაიწვევს ბარათ ისახარზე და ისიც იძულებულია თავი დაიცვას: ხანჯალს ტაკებს და ძირს დასცემს, ოღონდ მერე ეიარეს ქარაკაში ჩაიგზის და დროსაშვილებს სახლისაკენ გასახვეს, ეს ლეკვი მომაშორეთ აქედანო. მაგრამ უფროსი ძმები შინ კი არა, სადღაც ქვეშით ყოფილან, ხმაურზე წამოვლენ, მალულად წამოეპარებიან ისახარს, თავში ჩაარტყამენ და წაქცეულს ნაჯახებით დაესეფნიან.

ის უდმერთო სისასტიკე, რის მსხვერპლადაც ისახარი, მისი დაჩაგრული სხეული წარმოგვიდგება („ოუფცა ორად გაჩეხილი თავი პირი პირზე კი მიედო, მაგრამ შუაში მაინც ნაპრალი დარჩენილიო. ჯანსაღი თვალის ადგილას ღრმა ხორცი იყო, მზხილად მეორე ლობრგადაკრული თვალისთვის არ ეხლოთ ხელი მკვლელებს. იღლიებში მოკვეთილი მკლავები მერე კიდევ ორ ადგილას გადაეკვეთო, ფეხებიც ასევე ნაჯახებით. ტანი სულ ერთიანად დაფფეთილი იყო და სხეულის ნაფლეთებს ძლიან ფაჩავდა ტანსაცმლის ნაფლეთები. ფეხები ბარძაყებთან გადაეკვრათ და მერე რამდენიმე ნაკრად ეკეკვნა. ისახარის ნეშტს მარცხენა ფეხის ტერფი აკლდა"), სავსებით მოსალოდნელი იყო იმ ხასიათის პიროვნებათაგან, დროსაშვილები რომ არიან — ადამიანის მოძულეები და უმადურნი. სიკეთის არადასაშვებნი. მათი პირველივე გამოჩენა წყაროსთვალში, სიიდუმლოებით მოცული წარსული და გარეგნული ეიერზე აღებეული მდგომეობა სული ითვალთვე საცნაურს ხდის, რომ ეს ოჯახი ბოროტებას განსაზიარებს. ეს სიტყვებიც პირდაპირ ალექმება და არა გულმოსული ადამიანის ნათქვამად: „...დროსაშვილების გაჩენაში ღმერთი არ ეტრეკია. ეგეები სულ ეშმაკებისა და ქაჯების ჩამომავალნი არიან". ამასთან, მარტო სხვების მიმართ კი არ იჩენენ დაუნდობლობას — როცა ისახარის მკვლელობის შემდეგ დედაწულთანად ეყრილი და ლტოლვილი დროსაშვილი გამოქვეყნულს შეეფარებენ თავს, ძმეები მალულად მოაშმლეავენ უმცროს ძმას, რადგან დაკარლია და დამაბრკოლებელ ტვირთად გადაქმეცვიათ.

ეს ბნიშვნელოვანი პასაჟი კიდევ ერთი მეეეთორი დასტურია დროსაშვილთა ბოელი ოჯახის სულიერი დაცემის, მათ არსებაში გაჩეჭარი ბოროტებისა. აქ ერთი სხვიც კი არ გაკრთეს, რაც ბოროტების წყეროიაში მთელეშარე სიკეთის იმპულსსა მიგვანიშნებს.

ის, რაც გაიდგეძეს „გლახის ნაამბობის" დათიკოში, სრულიად უცნო, უცნობია დროსაშვილებისათეს.

ახე რომ: ზეგულონი კვალში უდგას არა მარტო ისახარის მკვლელებს, არამედ გამოაკრავეებულ ბოროტებას; და თვითონაც ამიტომ გადაუნდის ისევე სასტიკად: დაუნდობლობას — დაუნდობლობით.

ვიდრე ზეგულონი შეეტყინდა ომიხდარ ტრაგედიას, მისი ბიძაშვილები და კიდევ რამდენიმე გლეხი შინ მიეუცვიდეგნან დროსაშვილებს სამაგიეროს გადასახდელად, მაგრამ ისინი აყრისა და გაქცევას მოახერეგნეს; ხოლო რიცა ზეგულონი ყოველივეს შეეტყობს, სხვათა ჩაოვეა არაფერით ალარ შეიძლება.

სოფელი — სამარისებური დუმილით და კუშტი და მოსლოდნელ მზერით აგრძნობინებს ზეგულონს, რომ, ვინაც მამას ფულავენ, ფერი უშალოდ მაგ ფუნდ იქიოს, თავისი სანთელი თვითონ ნუნდ ანთოს, რათა მოკლულთა იმქვეყნად მშვიდად იყოს და მისი სული ავმა სიზმრეგნა არ შეაშფოთოს. სახეზე გამოსატყული კუშტი მოლოდინის მიღმა შინი ჩანს, ვაითუ, შვილი ლაჩარი გამოდგეს და მამის სისხლი ვერ აიღოსო, და ფარფული რისხვაც ჩაეუბეგულა, თუკი ეს შინი გამართდეს.

ზეგულონის წინაშეა ადათ-წესების მტკიცედ დამცველი საზოგადოება, არაფერი გამოჩნეული სხვაოგან და, ამდენად, სხვებივით დაუთმობელი, თუ შურისგების რიტუალი არ აღსრულდება. ამიტომაცაა ბუნებრივი ის ერთმანეთში გადასწორთეგნი მოლოდინი, შინი და ფარფული რისხვა, რომელთა გარეშეც სოფელს ერთიანობა და თავისი სახე არ ექნებოდა.

ზეგულონი წინ არ აღუდგება საზოგადოების ნებას: მისი და სოფლის წყადლი ერთმანეთს ბუნებრივად დაემთხვეგა.

ამიტომაც მიმკვება ასე შეუთვრად ლტოლ-ვილთა კვალს, ამოიცნობს მათ ცბიერებასა და დასწართულ გზებს, გამოქვაბულში მიატანს ყველას ერთად და ამ გამოქვაბულის ყელში ლოდს ისე ჩაუშვებს, რომ ამოსასვლელს მჭიდ-როდ ჩაკეტავს... და სულ მალე წვიმა ნიაღვარი-ვით რომ მოისკედება და ფერდობზე მდერივ ნა-კადებად ჩამოედინება, ზებულონი ხანჯლით მწვა ამიჩენს, ნაკადულებს კალაპოტს შეუცვ-ლის და გამოქვაბულის ძაბრში მიუშვებს.

შურისგება აღსრულდა და თითქოს არც ის არის შემთხვევითი, რომ რიცა ზებულონი ლოდს ეძებს, ისახარის ამალრეული სული ინადეროო-ლად გრძნობს სიმშვიდის მოახლოებას. ახე რომ, სიხსნის აღებამ საბოლოოდ უნდა დაამშვიდოს.

მაგრამ ამშვიდებს კი?

ან თვითონ ზებულონის აფორიაქებული სული მოიხსენებს?

ანდა მომლოდინე სოფელი სიხარულით შეე-გებება შურისმაძიებელს?

ტრადიციული ხაზოგადოების წესისა და ადა-თის მიხედვით ასეც უნდა იყოს, მაგრამ აკი მო-გახსენეთ: თხრილი უეცრად იცვლება...

ზებულონი აღლოთი რაღაცას ჭერ კიდევ მა-ნამდე მიხვედება, ვიდრე გამოქვაბულში წყლის ნაკადს მიუშვებდეს. და ეს ალლოსმერი განცდა საკმაოდ რელიეფურად, ხელშესახებად და მარ-თლაც არაადამიანური სიცხადითაა გამოხატული — თითქოს გონებას სქელი, მღერივ ნისლი გა-დაეცლება და ეროობაად განათდება არა მარტო გამოქვაბულის ყელი, შიგ ჩამბობილი თეთრი ლოდი და ჯაგანარი, არამედ მთელი ის ხუთი დღეც, რაც შინიდან წამოსული დაროაშვილების კვალს დაეძებდა: „...თითქოს მზეს დანარჩენ სამყაროს ზურგი შეაქცია და მთელი თავიანი ძალა ზებულონისკენ მიმართა. ამ დიდმა სინათ-ლემ სხეულში ისეთი ტკივილები გაუარა, ზებულონს ფიქრის დრო რომ ჰქონოდა, გაუკვირდებოდა, ცოცხალი როგორ გადაეგრჩინ“.

და ეს დიდი სინათლის რკალი მოიცავს მხოლოდ შურისგების გზას — ჩასახვიდან აღსრულებამდე.

აშკარაა: ზებულონის მიერ სიხსნის ძიება არა ერთ-ერთი (თუნდ თავისებურად გამორჩეული) ეპიზოდია, არამედ გადამწყვეტი მოვლენაა მის ცხოვრებაში.

ხოლო ეს ლამის კოსმიური განცდა — თითქოს მზე რომ ჩაეღერება სხეულში — ერთ ელვასა-ვით დაკვეხებულ აზრად შენიფთდება და ზებულონი გრძნობს, რომ თუნდა მოიწყალინოს, ლოდს უკან ვეღარ ამოიღებს, ისეთნაირადაა ჩაკიდე-ბული ღრმეში, ანუ: შესაძლებელი რომ ყო-ფილიყო, იქნებ კიდევ დაჯაჭვურებოდა. ეს განცდა მაინც წამიერია და ამიტომაც დაასრულებს ყოველიფერ წყლის ნაკადთ... მაგრამ იგივე განცდა ახლა სხვაგვარად მოვლინება და უცხო ძახილსა თუ შინაგან ხმას გაიგონებს: „ზებულონ! ზებულონ!“

სულიერი ფორიაქი და მღელვარება არც მერე მოასვენებს: დამდგომბით დაროაშვილების ხმა ესმის და სიზმარში მათ ლანდებსაც ხედავს. ხედავს იმგვარად, რაც ყველაზე ძაფარშა შთაბეჭ-დილებამ შემოინახა: დაროაშვილები გამოქვა-ბულში სხედან და ეკვდრებიან, ვიცით, ზებუ-ლონი ხარ, ცალთვალა ისახარის ვაჟი. გმირი ყოფილხარ და გიკობნია კიდეც, ოღონდაც აქე-დან გამოგაგზავი და სიკვდილამდე შენი ყურმოკ-რილი ყმები ეიქნებითო. და კვლავ ის ფარული გრძნობა აფორიაქებს მათი ტაჯვის შემფურესა და ფულდათუთქულს, რომ ლოდის უკანვე ამოო-ღება შეუძლებელია.

რიცა ოხმანაკა („სურამის ციხე“) და სიმო-ნა („არსენა მარაბდელი“) შურისძიებისას ჭკლა-ვენ არა მარტო თავიანთ დამღუპველელ, არამედ მათ მცირეწლოვან შვილებსაც, სავსებით უცოდ-ველთ, ეს ძალიან მძიმედ მოქმედებს მათ ფსი-ქეაზე. სულიერ წონასწორობას აკარგვინებენ და ბედისწერად გადაექცევიო. ეს ცოდვა ფეიქტაზ შეოდებმა ჩაიდინეს, მაგრამ, ამასთან, იმ ეკვმაც აიძულათ — გაიზრდებიან ნდ შურს ინიციებენ. ამიტომ ჩაკლეს ჩანასახშივე სამაგიეროს გადახ-დის სანშორაზეა.

ხოლო „ზებულონის შურისგებაში“ ეს გარე-მოება სულაც არ არის გამოკვეთილი; არ იგრძ-ნობა, რომ გმირი მაინცდამაინც ბავშვების და-ზოცვის გამო იტანჯებოდეს. ნიშანდობლივია, რომ კომშარული ისზრებისას დაროაშვილებს ყველას ერთად ხედავს.

მაინცდამაინც ბავშვების გამო არც დიდ ადა-ნაშაულებს ზებულონს, ისიც მთლიანად მომზ-დარ ამბავს განიცდის და განიცდის ისე მძაფრ-ად, რომ ჭამას აღიკეთავს და ორმოც დღეს, სიკვდილამდე, ლოცვებში გაატარებს, რათა იხ-სნას ზვალის სული, ზებულონის ნაცვლად მოა-ნანიოს. და ახე, ლოცვაში აღსრულება.

სოფელსაც ახეეე: მთლიანად მომზდარი ამბავი განმსჯველავს მოწიწებით და შიშით და ზებუ-ლონთან ურთიერთობას ყველა გაურბის. ხმაც კი დაირხევა, ღამდამობით ქაჯები და ავი სულები დაუდიანო.

ხალხს უს უცნაურობა, აუხსნელი, ოღონდ ნიშანდობლივი წუთისოფლისათვის, მამუკა წიკ-ლაური ერთი ლექსის („ფოთლებსაც“ ციკლი-დან) ქარგაცაა — ეს ისაა, ხალხს რომ ყველაფე-რი შეუძლია — გამეტებაც და შებრალებაც, თანაგრძნობაც და ზურგის შექცევაც...

ლომნია კაცისმკვლელის სახელით მოკვდა და ყველნ ლოდივით ეკიდა ეს სახელი, რადგანაც ბერა შემოაკვდა, ის ბერა, ვინც ლომნიას მამის სიფლავი გათხარა და ქმარ-ხანჯალი, ქუდი და ჩოხა ამოიღო... მკრეხელობა და ასეთი?! ვინ იცის, ლომნიაც სოფლის მკაცრი და დამამუნა-ებელი მზერის წინაშე წარსდგა და, გარდა სუ-

ლიერი ტკივილისა, სოფლის მზრუნამაც წაკეზა შურისგებაოფის ჩამოსარეცხად. განა გაგვიკვირდება, ახე რომ ყოფილიყო?.. აბა, მაშ, მერე რატომღა გაიმეტეს, რატომ შეარქვეს „კაცსაკლავი ლომნია"? პოეტსაც ეს აღელვებს, თუმც მტკიცედ სჯერა, რომ ხალხი ყოველთვის მართალია, მაგი სიბრძნისთვის ეს კითხვები მაინც ვერ მოერიგებიან: ან მერას რატომ ერქვა „კაცი" და ან ლომნიას რატომ შეერქვა „კაცსაკლავი?"..

ზეგზულინიც ახეევი გამეტებული.

ის კი არა, მის მიერ გაწვრთნილი ძალღები, ბროლა და ლომია, რომელიც გულმოდგინედ დაეკვიდნენ დარბაზველების ნაკვალევს და რომელთა შემწეობითაც მიაგნო ზეზულო�ა გამოქვაბულს, უცნაურად იცვლიან ზნეს და — რაც გამოქვაბული წყლით აივსება — გაეკცევიან პატრონს, მერე მთლად გავილოდგინარ და ზეზულინი იძულებული შეიქმნება, ოროე დახოცის.

ახე ფარეყვეს და გარიყეს ვმარი კაცმაც და ცხოველმაც.

არც ღმერთისაგან ისმის რაიმე სანუგეშო.

ყოველ შემთხვევაში, გარდაცვალების წინ დედა ახე აუწუხებს: „რაც შემეძლო, ყველერე და ვემოფდარე ღმერთს, ყველა ცოდვა ჩემთვის მოიმადლებინა, რომ ჩემი სული შენი სანაცვლო ყოფილიყო, მაგრამ არაფერი მოთხრა და არ ვიცი, შეისმინა თუ არა ჩემი ვედრება..."

ყველა ეს განცდა — ერთი მხრივ, პიროვნული შფოთვა და ქნეჭნა და, მეორე მხრივ, დედის თვითმკვლელობა თუ სოფლისაგან, თვით უახლოეს ადამიანთაგან ათვალწუნება — ერთად შეწივოდეს და ზეზულინი თვალნათლივ წარმოიდგენს, თუ როგორ მოსწყვეტია თავის ჭეშმარიტ ბუნებასა და ჯახავალს, მოსწყვეტია ადრინდელ ზეზულოსს, უმანკოს, უბრალოსა და უცოდველს; წარმოიდგენს და სასიენით, მთელი არსებით მოისწრაფის მასთან შესაერთებლად, რასაც უცნო, დაუნდობელს ძალამ გულგრილად მოგგლეჯა და მოიშორა, მაგრამ შეერთება შეუძლებელი გამხდარა, რადგან შეაშა მტკიცე, ყრუ, თუმც უსაგნო და უბილავი კედელი ჩამდგარა.

სიზმარეული ბილეა — საყდრისაკენ მიმავალ ზეზულოსს კარიბეგეში მცველი არაფრისდიდებით არ გაატარებს და მეკარად დაამუნათეს, „შენ ზეზულინი არა ხარ! ამ ავაზაკს ტაბუკი ზეზულინი მოიკლავს და გაუძარცვავს, სახელიც კი წაუთვლეია"; და იოველ ბატონიშვილის მიერ ნაბოძებ წმინდა წიგნს მოსთხოვს — კიდევ ერთხელ გაუძვავებს თვიოგვეშს, კიდევ ერთხელ წარმოუდგენს ცხადად მის მიერ ჩადენილი ცოდვის სიმძიმეს და ეს ხილვა ისეთ რეალურ განცდად გამოაყენება, რომ თვალნათლივ შეაჯურებს, როგორ ამოიზრდება მთის ენერგეზე მღვრიე ბურუსიდან თეთრი საყდარი და მერე თანდათან კვლავ როგორ შთაინთქმის ნისლში: აღარც მთა ჩანს, აღარც საყდარი, მიწიდან ცამდე ეზოლოდ სქელი, მკვრივი, გაუმჭვირვალე კედელი აღმართულა.

მის სულში არეკლილი ეს სიმბოლური სურათი საბოლოოდ განუფანტავს ისედაც მკრთალსა და უმწეო იმედებს და ასე გადაწყვეტს ზეზულინის ბედს: ნაცვლად იოველ ბატონიშვილთან ხლებისა, დაბოწყვეტებისა და მეკარე წყლიოსთვალში სწავლა-განათლების კელაპტრის ანთებისა, ალალბედზე უნდა გაუვლეს ვიწრო გზას, რადგან იმ ღვაწლის აღმსრულებელი ის სხვა ზეზულინი იყო, რომელიც საკუთარ თავში ჩაკლა.

და ახლა „...ის ზეზულინი უკვე აღარ არსებობდა, ის ზეზულინი დარბაზველებმა მოჰკლეს, რათა თავიანთი ზეზულინი გაედვიძებინათ. ახლა სწორედ ეს ზეზულინი, დარბაზველების ზეზულინი იდგა აქ და დარბაზველების ზეზულინს ჭკვნდა გული სავსე მძიმე, აუტანელი ნაღველით".

აქ იკერის რომანის ამ ნაწილის (რაც ცალკე მოთხრობადაც წარმოგვიდგება) აზროვნერივი ბირთვი: ცოდველის სული და სინანული გარეული ხელვეში ვეღარაფრით ვეღარ შეუდგება ამალლებულ იდეალებს. და კიდევ — ერთიანნეთისაგან არ განსხვავდება სამართლიანი თუ უსამართლო შურისგება, სამართლის განნინება განგებას უნდა მიენდოს და პიროვნებამ არ უნდა ხელჩაყოს ღმერთის უფლებანი.

ამ ფონზე მით უფრო დამფიქრებლად, უთუოდ განგების მიერ მოვლენილ არჩევნად ჩანს ის გარემოება, რომ ისახარს ჰკლავენ მაინცდამაინც და სწორედ მაშინ, როცა ზეზულინი გზას უნდა დაადგეს ამალლებული მიზნისაკენ, ცოდნის ტაძრის სახე რომ მიეცია და მთელ იდეალურ სამყაროს გულისხმობს. ესაა თითქოს გამოცდა მისი სულიერი ძალების, ნებისყოფის შესამოწმებლად.

და ზეზულინი ვერ უძლებს ასეთ მკარცხა და უშედეგათოდ გამოცდას. ამიტომაც რჩება კვლავაც გაუხალინი წუთისოფლის ტკეცდ.

ეს წუთიერი ამალდებულ სამყაროსთან ზიარებისა გუთან დიჩანაშვილის მხატვრულ მრწამსშიც შთამბეჭდავი ხილვებით წარმოისახება.

შურისგების მოტივი „სამოსელ პირველს" რამდენიმე თავისებურ მხატვრულ ძიებად გასდევს და მათგან ორი უშუალოდ ეჯავშვება ერთმანეთს, რათა კონკრასტული ხერხით თვალსაჩინოდ გამოიკვეთოს ზეზეულინის ყოფილისშემძიერობა, და ამ სურათს შარავანდედივით ადგას სიმბოლური ხატი — კაკაბნელას ბუჩქნარის ღრმაზრავინი მეტაფორა.

ერთი ნაკადი სასტიკი შურისგებაა.

მეორე — ფსიქიოლოგიურად მოტივირებული უარის თქმა სამაგიეროს მიზღვაზე.

ფსიქოლოგიური მოტივირება მით უფრო დამჯერებელია, რაც უფრო მძაფრი იყო შურისგების აღსრულების მოლოდინი, გაფლენთილი ჩუნი ნეტარებით და ზეიმურობითაც კი. გადაბწ-

ყვავ ეამს სანტოსის არსებაში სულ სხვა განცდები გაიღვიძებს და თავის თავისეკე გასაკვირად იგრძნობს ამდენი ხნის ნალოლიავები წადილის ამოძახილს...

სამგიერეოს მიზღვის ხანგრძლივი მოლოდინი იმიტომაა ასეთი სიმძაფრითა და სიმტკიცით აღსავსი, რომ ვეფრი ცოლ-შვილის სიკვდილში მამისოს ადანაშაულებს, დიქტატორული სახელმწიფოს ეაზრის: ეის ეოგანათურ, დაუნდობელ და ცინიკურ თავდასხმას სანტოსზე, რაც თავზარდამცემად იმოქმედებს პატარა ბიეზე და ელდა ბიჭლის მოუდებს, დედა კი მის ჯვარს გადაეკვეება.

ეს ტრაგიკული მოვლენები მთლიანად ცვლის სანტოსის ცხოვრების შინაარსს და ამიერიდან ყოველი მისი მოქმედება — ღონის დაგროვება, ხეტიალი მტრის მოსაძებნად, თვით ერთგვარი გროტესკულობით შეფერილი საქციელიც, მასიმად სახელშერქმეული ეორისათვის ხშირად „ყეფაში“ ხელის წაეეარა, თითქოს ახრჩობსო— შურისგების უთუო აღსრულებისკენაა მიმართული. და აქეთეენ მიმყავს არა მარტო მეფეკარებასა და ბიზნესს, არამედ ბედისწერასაც.

ბედისწერის მოტივი მკაფიოდ ჩნდება მასიმოსთან შეხვედრის სცენაში, როგორც ის გარდუვალობა, რამაც მასიმო უნდა აიერიალოს და უანაურად დამფრთხალი და თავგზააბნეული თავისი ეეზით მიიყვანოს ჩასაფრებულ სანტოსთან.

ის ვრცელი ეპიკური აღწერა — სანტოსის გონებაში მობრიალავე უსაგალითო, ქვეყნად ჯერ არსებული წამების ბუნდოვანი სურათები და გულისნადების აღსრულების დაუფარავი სიხარული — ფეოქტერ კონტრასტს ქმნის თითქოდა ბუნებრივად მიმეღინარე თხრების მოულოდნელ დამოლოეებასთან: „სახითი წაუხდა სანტოსს, ნაჯახს დახედა... თვალმოეუტაენი, პატარა ხანს მთვარეს შეაქერდა, მერე — ამ მეორე ზუმეაც კი... კი, სხვა სიმპოლეს მიახვედრა. ისევ ფეწოლილს დასჩერებოდა, არარაობას, და არამეთუ რისხვას, ზიზღსაც კი ვეღარ გრძნობდა — სულ სხვა რაღაცას, ამისთანებზე გაცილებით დიდს, თავარს მიხვდა... მაინც გულდასმით, ელეხური სიდინჯით ფიქრობდა ერთხანს და ამ უეცარი, დიდი მიხვედრის სიხწორეში სამოდოოდ რომ დარწმუნდა, მაინც ისევ ფიქრობდა.. „ახლა რომ მოგკლა, შერი ვიმეოო... — მშვიდად სუნთქავდა — ჩემ ფიფქუნებუერად, ჩემიანებთან გავატარეენ ამოთ... ამის ღირსი კი, მასიმო, არ ხარ“.

თურმე ბედისწერა ამას ელოდა მისგან, როცა მკაცრი გამოცდის წინაშე აყენებდა და თავისი ეეზით მიმეკვარა მტერი: სანტოსის პიროვნულ სისუბეკეეს ამოეშვიდა, შურისგების აუცილებლობას კი არ განსაზღვრავდა.

შურისძიებაზე უარის თქმის სხვა ნიმუშთაგან განსხვავებით აქ მასიმოს უნებლიდან გაშეებას („დაფიქრებულმა, ერთიც ამეედ-დაბედა, მერე შეაბრუნა და, პანდურიც კი არ ამოურტყამს, ოდნავ უბიძგა, უთხრა: „ახლა კი გიშვებ, როგორც ნამიეგარს. წადი“.) არც ფეთიური ნაპრწკალი იწვეეს და არც დროისა და საშუალების მინეებება მოსანანიებლად. ამიტომაც ეს თავისებური ფსიქოლოგიური ნიუანსი: იგი იმედად არარობაა, შურისგების ღირსიც არ არის.

ხოლო მეორე ნიუანსი ისაა, რაც ყველას წინაშე წამოიჭრება: შურისგებაში პირადულის ჩარევა, პირადი ტკივილის დაშოშმინება, რითაც უზენაესი სამართლიანობა იბღალება... თუმც მწერალს უშიაოდად არ აღენთნშნავს, მაგრამ მხატვრული სურათები ძალდაუტანებლად ნათელყოფს, რომ სწორედ ეს აოკეეს სანტოსის გახელებას: აკი ცოტა ხნით ადრე უსინანულოდ ჭკლავს ასეეე აწრიალებულ პოლკოვნიკ სეზარს. მაშინ მხოლოდ ქალაქის გადაჩრენის წადილი ამოქმედებს, კანდოსის — როგორც ამქვეყნად განხორციელებული იდეალის—გადაჩრენის წადილი, სრულიად განრიდებული კერძოსა და პირადულს. და ახლა მასიმოს მოკვლა ხიჭკად დაანშლებოდა მის უანგარობას: როგორც ცოლ-შვილის ხსოვნას, ასეეე ქალაქის წინაშე.

„ისევ ბორბა ზღოს, ის მირჩენია“, — ამ სიტყვებში, უცანური ხმიეთ რომ ანათებს სანტოსის სულიერ ტრაგიზმს, მთელი მისი პიროვნული ბუნება და მოურჩენელი სულია გადაშლილი. მასიმოს ბორალური განადგურების ხილვით მისი გაუსაძლისი ტკივილები არ დაამეგრეა და გულზე მოეეჩინეთ დარდი კვლავ ძველებურად უნდა დაიშოშმინოს.

პრუდენსიოოც სანტოსივითაა ავარვარებული შურისძიებით — ძმების დახიცვას არ პატიობს კაბორელებს, მაგრამ — მისგან განსხვავებით — გადაშეუეეტ ეამსაც არანაირი ნიუანი არ ეიერბა მის შეეეზებაში. პრუდენსიოოს გაშმაგება თანამიმეეთა გაკეთებებასაც იწვეეს („ეაჰ, პრუდენსიო, ნამეტანია“); თვით იარაღდაყრილსა და დასანებებულად გამზადებულ კაბორელსაც არ დაინდობს (განა მისი ძმეები ახეეე ეუარაღდად და ეორჩილად არ იდგნენ?! — ვინ დაინდო!) და მერეც ვერა და ვერ გაძძღრა ბტრის სისხლით.

და პრუდენსიოს ეს გაშმაგება და სისხლის წყურვილი კიდეე სახეიდისწერად შემოუბრუნდება მასაც და მოელს კანდოსსაც.

კაატენგას ბუჩქნარში ბტრის გეამეეის გადაყრა იმან მოაფიქრა, რომ დაბოცვის არ ქმარობს და კიდეე რადაც განსაკუთრებულის ჩადენა სურს ფეფლის მოსაზეებლად: დ როცა ცხეფრის შეშეეგრიეება მოშიეებული ბუჩქი, ბასრ კლანჭებს ჩაასობს, შესანსლავს და ხარსად ეორთოლდება, ეორთა ბუჩქები კი მადალტეხილ დაგრეხილ ბრეყაულებს სხვა კაბორელებისკენ მოეთიმელად გაიეედინან, პრუდენსიოც — წამიერად შემკრთალი ამ საზარეული სანახობით, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ძმების გახსენებით კვლავ გაცეცხლებული — მიაყრის და მიაყრის გვამებს ველურ სიხა-რულებანაღი: „ეწყვეთ ფესვს გაგიძმობ... ყველას შეგხედავთ. ნუ გეშინიათ, ჰა, შენ... ჰა, შენც...“

კამორელთა გვამებით გაჟღენთილ კაატნგას, ფეხებებიან-კალსნებიანად ძალიან გამაძღარს, წვრილი, მოყვნილი ღერობები დაუხმელდება, ერთმანეთს რბილად ჩიეხლართვება და ეს სასტიკი და უზარმაზარი ბუჩქი მიწაზე განერთხობა.

სასედისწერაოდ ეს არის: ის ოფარავდა თავი-სუფაალ ქალაქ კანუდოსს კამორელთა ავ ზრახ-ვთაგან, ვერაფერით ვერ ახერხებდნენ იქ გაღ-წევას და შეიარაღებულნი ამაოდ უტრიალებდ-ნენ გარშემო და არარსებულ ხვრელს დაეძებ-დნენ, კანუდოსელთა მიახლეებისას კი ბუჩქნა-რი თავისით გადაეწოდა და ისინიც იოლად გაფ-ლეთ-გაკოდოდნენ.

სიმბოლურიც ეს არის: ის, რასაც ვერაფერს აკლებს ვერც ცეცხლი, ვერც ნაჯახი და ვერც ვერაფერი და მიუვალ ზღუდედ რჩება, მაშინე ჩაშორიდეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომაც არის გაფდენილი შენდობის, ყოველისმპატიებლობის სულისკვეთებით.

უმძიმესი დანაშაულის შენდობის მოტივი გურამ დოჩანაშვილის ნოველაშიც ჩნდება — „ორნი აქა, ორნი“, რომლის მოქმედება მიმდარ სამყაროში, ზეცაში ხდება. იქ უნდა გადაუწყვეტონ რუსი ჯარისკაცის სულს სასჯელი — და მარიამ ღვთისმშობლის ნებით უნდა გადაწყვეტოს მის მიერვე მოკლული გოგონას სულმა: „ყური დამიგდე, მე აქ არავის ვასამართლებ. არასოდეს. მაგრამ შენი თავი მე გამომიგზავნეს. ალბათ იმიტომ, რომ ეს გოგონა ჩემი ერთ-ერთი გამორჩეული შვილობილია. საქციელით რომ გახრწნილი იყავი, ეგ შედარებით არაფერი, შენ სიტყვებითაც მეძავი დარჩი.. მაგრამ მე არაფრის მისჯა არ შეიძლება, — და გოგონასკენ გაიშვირა ხელი,— დაე ამან გაგასამართლოს“.

9 აპრილის სისხლიანი კალო ჯერაც სულ ახალია, არამცთუ ნოველის გამოქვეყნებისას... და როცა ამ ტრაგიკულ მოვლენას მიმართავს მწერალი, — არა მის დოკუმენტურ, ემპირიულ მხარეს, არამედ ზნეობრივს — მიხეული აღქმა უთუოდ დამაფიქრებელია.

იქ, ზეცაში გოგონას გარშემო ყველა და ყველაფერი დუმს, არაფერი უბიძგებს არსაიაქენ და ყმაწვილმა მსაჯულმა მხოლოდ თავისით უნდა გამოიტანოს მსჯავრი... მაგრამ მაინც არის ერთი უადრესად მნიშვნელოვანი რეალია — წმინდა ნინოს ვაზის ნასხლეავი, რომლის შემხედვარეც უნდა ჩაუდგეს იმ იდუმალებას, რაც მის გულისთქმასაც ეთანხმებაა:

„— ბთხოვთ, ალაბიოთ, დიდო მარიამ-ღვთისმშობელო!. ბთხოვთ, ალაბიოთ, შეხედეთ, რა უბედურია... აჩქარებით არ მოისვენა ეს, მე მაგაზე ბევრჯერ ვფიქრობდი, ეგ ალბათ ისე დაიბადა, ისე გაზარდეს... მაგან აქაურობისა არაფერი იცოდა.რა, წარმოდგენაც კი არა ჰქონდა, ალაბიეთ რა, დიდო-მარიამ-ღვთისმშობელო“.

გოგონას ფრაზების შორის დროდადრო ჩართული ღვთისმშობლის სიტყვები: „კარგად დაფიქრდი“, „კარგად დაფიქრდი. მე არაფერს არა გკარნახობ, მაგრამ არ მინდა, რომ აჩქარდე, შვილო“, „რატომ შვილო“ — თითქოსდა დაფიქებული მინიშნებაა გოგონას ხურვილის გადასთქმელად. მაგრამ სინამდვილეში მისი გულისთქმის დაბეჯითებული შემოწმებაა: რომ პატიება იყოს არა უეცარი შებრალების ნაყოფი, არამედ ღრმად შეგნებული საქციელი. და რადგანაც ახეა, ამიტომაც სდის ღვთისმშობელს სიხარულის ცრემლი.

ეს პატიება, ერთი მხრივ, მოგვაგონებს სანტოსის მიერ მასინთის უფნებლად გაშვებას — მკვლელი იმდენად უბადრუკია, რომ შურისგების სურვილს ალარ იწვევს, მაგრამ, მეორე მხრივ, ნათლად მიგვანიშნებს, რომ უშუალო მკვლელსა და ავაზაკზე მეტად დამნაშავეა ის გარეშო, ის დაბუფული სიფრცე, რომელიც ხრეს და ჭალას ადამიანის სულს და მორჩილ და ბრმად აღმსრულებელ იარაღად აქცევს. მცირდება ამით პიროვნების პასუხისმგებლობა? რასაკვირველია, არა: ადამიანი მოვლეა არანაირ პირობებში არ შეეძლოს ბილწი ზავითა, მაგრამ გაცილებით უფრო მეტია იდეოლოგიური ატმოსფეროს შემქმნელთა პასუხისმგებლობა.

ნოველის კონცეფცია ის აუცილებელი შეხედულებაა, რამაც სახტოვ გარეშოსა თუ ადამიანის უფლობელ ბუნებას ნათელი სხივი უნდა შესძინოს. ეს კონცეფცია უფრო ღრმა განზოგადებისათვის გამკვეთრებულია ვაზის ნასხლეავის სიმბოლეთით: გოგონა ამ ნასხლეავს შეკურებს მაშინაც, როცა წმინდა ნინო უკვადაგებს, საქართველოს მხოლოდ ღვთაებრივთან ზიარება გადაარჩენსო, და მაშინაც, როცა თავისი მკვლელის ბედი უნდა გადაწყვეტოს.

ყოველისმპატიებლობის ეს რწმენა, სიყვარულისა და თანაკვრძნობის ქადაგება მართლაც ის გზაა, რომელსაც უნდა მიჰყვებოდეს ერი ღვთაებრივთან ზიარებისთვის: და თუმც მიუწვდომელია ეს იდეალი, მწერლობის დანიშნულება სხვა რა არის, თუ არა მისი გამოდმებული შეხსენება — ისედაც ღრმად ითრევს ადამიანს წუთისოფლის მორეკი, ისედაც ულმობლობთ და შურისგების ყინითა გაფდენილი მისი არსება და ეს ვნებანი იქნებ როგორმე შეკავდეს, კი არ უნდა წაქეზდეს... შეკავდეს ამაღლებულის ძალით, შეკავდეს ოცნებით, ზეციური ბილვათა გამოჩენით: ეს ტრაგიზმი აკი ვაჟასთან გამოიკვეთა ხელშესახებ სურათად და გურამ დოჩანაშვილისთვისაც ეს რწმენა განუზორციელებელი ოცნება რომ არ იყოს, ვანა ნოველის სამოქმედო არე ზეცა იქნებოდა?..

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი ნოდია

ძველდაბარე კონსანსში და დემოკრატიული საზოგადოება

კომუნისტური სისტემა, რომელიც ეგზომ მყარი ჩანდა, ძალიან მალე, რამდენიმე წელს განმავლობაში დაინგრა, მაგრამ მისი ნანგრევები მრავალი ათწლეულის განმავლობაში გაუჩენს საქმეს მილიონობით ადამიანს.

ეს ნანგრევები მრავალგვარია. არსებობს უამრავი ნანგრევი ამ სიტყვის პირდაპირი, მატერიალური აზრით, რომელთა დაშლა და გატანაც შესაბამისად სრულიად მატერიალურ ძალისხმევას საჭიროებს. ეს არის სახლების ნანგრევები დუბროვნიკსა თუ ცხინვალში (სანამ ეს ნაშრომი იწერებოდა, ნანგრევები თბილისშიც გაჩნდა); ეს არის ლენინის და მის თანამოაზრეთა ძეგლები თავ-თავიანთი კვარცხლბეკებით; ეს არის გაკვირანებული სივრცეები, რასაც საბჭოთა არმია ტოვებს თავისი განლაგების ადგილებში. რჩება დანგრეული ეკონომიკა. ფული, რომელიც არ ფულობს; ქარხანა, რომელიც ეკრასოდეს გამოუშვებს კონკურენტუნარიან პროდუქციას; ადგილი, სადაც ოდესღაც ზღვა იყო, ახლა კი ხელოვნურად შექმნილი ჭაობია. რაც მთავარია, რჩება დანგრეული, სულიერად არანაკლებ გავეირანებული ადამიანი, „ჰომო სოციეტიკუსი"; მისი დანაგვიანებული სულის განთავისუფლებას შიშის, სიზარმაცის, სილაჩრის, ბოღმის, უნდობლობის, უეიცობის და აგრესიული შეუსმენლობის ლოდებისაგან კიდევ არაერთი თაობა დასჭირდება.

ყოველივე ეს არის **ისტორიული გამოწვევა**, რომლის პირისპირ დგანან დღეს კომუნიზმისა და იმპერიისაგან განთავისუფლებული (მართლაც განთავისუფლებული?) ხალხები. ამ გამოწვევას მათ **პრაქტიკული** ძალისხმევით უნდა უპასუხონ (პრაქტიკული ძალისხმევის ნაწილი კი, უპირველეს ყოვლისა, არის სულიერი შრომა, საკუთარი თავის კვლავ ავება „ჰომო სოციეტიკუსის" ნანგრევებზე). მაგრამ ამ ისტორიულ გამოწვევას **თეორიული** კომპონენტიც აქვს. გარდა გასატანი ნანგრევებისა, კომუნიზმმა საბჭოთა ინ ამოცანებიც დატოვა. რა იყო ის, რაშიც ვცხოვრობდით? დადგესიზრა თუ მართლა იყო? როგორ გახდა ეს შესაძლებელი — და როგორ არის შესაძლებელი ცხოვრების და აზროვნების ამ წესის მართლაც საბოლოოდ და მყარად დაძლევა? თუმა ახალი არ გახლავთ — კომუნიზმი', ფენომენის გააზრებას სოციტოლოგიების თუ „დისიდენტების" მთელი ჯარი ცდილობდა. მაგრამ ახლა, როცა კომუნიზმის (და მასთან ერთად იმპერიის) გარეგნული დანგრევა დასრულებულია, ახალი პერსპექტივა გვექმნება გაგების სამუშაოს ჩასატარებლად.

გაგება იმისა, რაც მოხდა და ხდება, საჭიროებს არა მხოლოდ ყურადღების ფიქსირებას კომუნისტურსა და პოსტ-კომუნისტურ სამყაროზე, არამედ გადაზრებას ისეთი ფუნდამენტური და ამოსავალი ცნებებისა, როგორიცაა „დემოკრატია" და „ერი". დასავლური სოციალური აზროვნების (ყოველ შემთხვევაში, მისი ძირითადი ნაკადის) ფეტბრირვი უმწეობა კომუნისტური ფენომენისა და, განსაკუთრებით, მისი ნგრევის პროცესების წინაშე ამგვარი გადაზრების აუცილებლობას სავსებით თვალსაჩინოდ აქცევს. „გადაზრებაში", ზოგიერთ საკვანძო პუნქტში მაინც, „ცარგად დავიწყებული" ან უსამართლოდ უარყოფილი ძველის გახსენებას და რეაბილიტაციას უფრო ვგულისხმობ. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამისი მცდელობაა: უახლოესი პოსტ-კომუნისტური გა-

მოცდილების ფონზე გაანზრახულ — თუ გადაანზრახულ — იქნას, რა არის დემოკრატია და რა ადგილი უჭირავს მასში ისეთ კატეგორიას: როგორიცაა ერი.

დავიწყებულ-უარყოფილი ძველის გახსენება-რეანიმაციის საკითხებს და ბუნებრივია, განაპირობებს ის უბრალო ვითარება, რომ დღეს სამყაროს საკმაოდ დიდი ნაწილი ხელოვნურ ეს სამშაოს, რომელიც დასავლეთმა, რამდენიმე საუკუნის მანძილზე ჩაატარა და რომლის შედეგებსაც ახლა იმკის სოციალურ-პოლიტიკური სტაბილურობისა და მატერიალური კეთილდღეობის სახით. რა თქმა უნდა, ორ სხვადასხვა შემთხვევაში არსებითად განსხვავებული ვითარება გვაქვს: ერთია სამოქალაქო საზოგადოების ფიმოცენება და დემოკრატიულ ინსტიტუტების შექმნა ტრადიციული საზოგადოების საფუძველზე, სულ სხვაა იმავე ამოცანის შესრულების მეცილობა კომუნიზმის ნანგრევებზე. მაგრამ განსხვავება მაინც ისტორიულ პარობებს შეეხება და არა თვით პოზიტიური ამოცანის შინაარსს.

ეს გარემოება იწვევს ერთგვარად პარადოქსულ ფენომენს: ფუნდამენტური ვალვეგბრობისა დემოკრატიულ დასავლეთსა და — ზედაპირულად მაინც — დემოკრატიის იდეალით შთაგონებულ პოსტ-კომუნისტურ სამყაროს შორის. პარადოქსი იმაშია, რომ როგორც ვთქვით, ის, რაც დღეს პოსტ-კომუნისტურ სამყაროში ხდება, რაღაც აზრით მაინც, დასავლეთს უკვე გადულია — ამიტომ მას თითქოს მეტი შანსიც უნდა ჰქონდეს მათი გაგების. მაგრამ ფაქტია, რომ, მეორე გამონაკლისის გარდა, დასავლეთისა სოციალურ-პოლიტიკური აზრი „სოციოლოგიის“ სახით ისეთივე მიმართებაში იყო მოვლენებთან თეორიული თვალსაზრისით, როგორიც პრეზიდენტი გორბაჩოვი — პრაქტიკული თვალსაზრისით: ეს არ ცდილობდა, მიმდინარე პროცესების შინაგანი საზრისი გაეგო და მოვლენების სათავეში აღმოჩენილიყო, არამედ ყველაფერს იგეოიანებდა და უკვე დაძრული მატარებელზე შეხტომას ლამობდა.

ამისი მიზეზი ძირითადად ორია: ერთია ფუნდამენტური განსხვავება მენტალობისა, რაც თანამედროვე დასავლურსა და პოსტ-კომუნისტურ სამყაროებს შორის არსებობს. ფუნდამენტური სოციოლოგიური კატეგორიები და თეორიები, რომლებითაც დასავლური აზროვნება შეჩვეულია საზოგადოებრივი რეალობის გაგზრებას, ჩვეულებრივ, სრულიად ირელევანტური ხდება კომუნისტური და პოსტ-კომუნისტური სამყაროებისადმი მიყენებისას. ერთი და იგივე სიტყვები, რომლებიც ორივე სოციალურ-პოლიტიკურ რეალობას აღსაწერად იხმარება — „დემოკრატია“, „დამოუკიდებლობა“, „ელიტ“, „ეკონომიკური ინტერესები“ და ა. შ. — სხვადასხვა გარემოში სრულიად სხვადასხვა საზრის იძენს. უცხო რეალობა, უბრალოდ, ვერ ეტევა ჩვეულ სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ლექსიკონში. ენა, რომლითაც მისი გამოხატვა, აღწერა და გაგება შეიძლება, თვით ამ რეალობამ უნდა შექმნას — მაგრამ იგი ათწლეულების განმავლობაში უტყვი რჩებოდა, დღეს კი ისე ძალიან არის ჩაფლული მიმდინარე პრობლემების გადაწყვეტაში, მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში, რომ მეტად უჭირს ნორმალური საზროვნო მუშაობისათვის აუცილებელი გონებრივი სიდინჯის მდგომარეობამდე მიღწევა.

ფუნდამენტური განსხვავება არ სამყაროს შორის, რომლის სიღრმეს ბერლინის კედელი უფრო მალავდა, ვიდრე აჩენდა, ერთი, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი ასპექტია. მე აქ უფრო მეორე ასპექტზე მინდა შეეჩერდე, სახელდობრ იმაზე, რაც დემოკრატიული იდეის შინაგან, ლოგიკურ **უნივერსალურობას**, იგივეობას უკავშირდება. დასავლეთის მიერ კომუნისტური და პოსტ-კომუნისტური სამყაროს ფუნდამენტური გაუგებრობის მიზეზი არის არა მხოლოდ ღრმა სულიერი უფსკრული ორ სამყაროს შორის, არამედ ერთგვარი დეფექტი დასავლეთის თვითგაგებაშიც. იქმნება (ყოველ შემთხვევაში, მე მეჩვენება) შთაბეჭდილება, რომ დასავლეთი მეტისმეტადაა ჩაერმავებული კონკრეტული დემოკრატიული მექანიზმების დახვეწა-გამაუმჯობესებაში და მას არა მარტო საკმად ბუნდოვნად ახსოვს, თუ რა უდგეს საფუძვლად და რა ხდის შესაძლებლად ამ მექანიზმების არსებობას, არამედ რაღაცნირად ეჩოთირება კიდეც დემოკრატიის ისტორიულ და ლოგიკურ წანამძღვრებზე ფიქრი. მიეხედავად ზემოთ აღნაშნული განსხვავებისა, ბევრი რამ, რაც თანამედროვე პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში ხდება, მაინც მოგვაგონებს მოვლენებს, დასავლური დემოკრატიის ადგილის მტკივნეული ისტორიის სხვადასხვა ეტაპებზე რომ ხდებოდა; და დასავლეთს მაინც ცდა-მაინც არ უხარია ამ მტკივნეული ისტორიის ჯახსენები, პოსტ-კომუნისტური „პოლიტიკური უმწიფრობის“ გამოვლენებში საკუთარი მეტ-ნაკლებად შორეული და ასე გამქრეენთან დაძლეული წარსულის შეცნობა.

საქმე ისაა, რომ დღეს სიტყვები: „დემოკრატია“, „დემოკრატიული“ იხმარება, უმეტესწილად, **შეფასებითი** ბრით. ამ სიტყვებში, მეტ-ნაკლებ ბუნდოვანებთ, გულისხმობენ ხოლე სოციალურ თავისუფლებს, შეშფოთნარეობთას, საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფის ამა თუ იმ დონეს. პრაქტიკულად, სოციალური ცხოვრების ორგანიზაციაზე საუბრისას, სიტყვა „დემოკრატიული“ იხმარება, როგორც სინონიმი სიტყვებისა „კარგი“, „სასურველი“, ხოლო „არადემოკრატიული“, შესაბამისად, „ცუდს“, „არასასურველს“ გულისხმობს. მეორე მხრივ, ამ სიტყვის წარმომთქმელს, ჩვეულებრივ, მხედველობაში აქვს არა რაღაც ზოგად იდეა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის ესა თუ

ის წესი, რომელიც ემპირიულადაა მოცემული მსოფლიოს ამა თუ იმ ნაწილში, კერძოდ, დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. ამდენად, ამ სიტყვის ხმარებას შეიძლება ერთგვაროვანი კულტურული სნობიზმის ელფერიც ახლდეს. „დემოკრატიული“ და „არადემოკრატიული“ ამ შემთხვევაში არსებითად ოგივეა, რაც „ცივილიზებული“ და „ველური“.

მაგრამ, თუ „დემოკრატიას“ განვიხილავთ უფრო მკაცრი კონკეპტუალური აზრით, მაშინ კითხვის ქვეშ დგება ამ სიტყვის თითქოსდა თავისთავად ცხადი შეფასებით-კვალიფიკაციური შინაარსი, რაც ორთოდოქს საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზროვნების კოორდინატთა შეჩვეულ სისტემას. სამის გარდულება კი მაინდამაინც არავის უყვარს, განსაკუთრებით — ემპირისტულ-პოზიტივისტურ ტრადიციაში მომუშავე სოციოლოგიას, რომელიც „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპის ერთგული რჩება. არის სხვა მიზეზებიც, კერძოდ ის, რასაც „ლიბერალური ფარისეელობა“ შეიძლება ვუწოდოთ და რის შინაარსზეც ამ ნაშრომის უკანასკნელ პარაგრაფში შეეჩერდებით. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში (არა მხოლოდ პოსტ-კომუნისტურ სამყაროში) მიმდინარე მოვლენები, როდესაც დემოკრატიული არჩევნები არადემოკრატიულ ძალებს ხუსნის გზას, აიძულებს დასავლეთ პოლიტოლოგებს სულ უფრო ხშირად გიისსენონ ჩერჩილის ბრძნული ნათქვამი, რომ დემოკრატია საზოგადოების მოწყობის ყველაზე უარესი წესია, თუ არ ჩავთვლთ ყველა დანარჩენს. მაგრამ ეს ზოგადი თეზისი უფრო ჟურნალისტური მახვილგონიერების დონეზე იხმარება და პირი საკმარისად ღრმა კონკრეტული გაგებისა ჯერ მაინც არ მოიხდარა.

ემპირისტული ტენდენციის შეზღუდულობა აშკარად არ ჩანს თავს, სანამ საქმე ჩამოყალიბებულ, დამკვიდრებულ დემოკრატიის კონკრეტულ საკითხთა განხილვას, როგორც ზემოთ ვთქვით — ემპირიული დემოკრატიული მექანიზმების სრულიფოფის საკითხებს ეხება. მაგრამ როცა დემოკრატიას ჯერ მხოლოდ ეყრება საფუძველი, ზედაპირულ-ემპირისტული მიდგომა მაშინვე აფლეს თავის უსაფუძვლობას. ამდენად, პრაქტიკული თანდასწრება დემოკრატიის ალმოცენებაა-ჩამოყალიბების რეალურ პროცესებთან იძულებულს გვზღის, თეორიულადაც „უკან დაეხიოთ“ და დემოკრატიის საფუძვლებს ჩიეხედოთ.

ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲘᲡ ᲝᲠᲘ ᲐᲡᲞᲔᲥᲢᲘ

ტრივიალური განსაზღვრებით, რომელიც თეორ სიტყვის ეტიმოლოგიიდან ამოდის, დემოკრატია ნიშნავს „ხალხს ძალაფლებას“; დემოკრატიის საზრისი იმაშია, რომ ძალაფლების საბოლოო სუბიექტია „ხალხს ნება“: ძალაფლება კანონიერია იმდენად, რამდენადაც ხალხს მანდატი გააჩნია. მაგრამ იმის გასაგებად, თუ რეალურად როგორ ხორციელდება ეს პრინციპი, უნდა გავარჩიოთ დემოკრატიის ორი ძირითადი ასპექტი. ერთია ის, რაც თვალსაზრისს ჩანს, რაშიც დემოკრატია ემპირიულად ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲠᲝᲑᲡ: ესაა დემოკრატიის მექანიზმები, ე.ი. საზოგადებრივ ინსტიტუტთა რაღაც ერთობლიობა. სისტემა, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას ასტრუქტურებს და აწესრიგებს. ეს მექანიზმები, ძირითადად, ადგენს წესს, თუ (1) როგორ უნდა მოახდინოს ძალაფლების ზოგადმა სუბიექტმა (ხალხმა) თავისი ნების დელეგირება ისათვის, ვინც ამ ნებას უშუალოდ შეასრულებს (საარჩევნო სისტემა) და (2) როგორ უნდა იქნას თავიდან აცილებული კანონიერად მიღებული ძალაფლების უკანონად, ბოროტად გამოყენება, პოლიტიკური ერთობის შიგნით უმრავლესობის თუ უმცირესობის უფლებათა დაცვა (ამას ემსახურება ძალაფლების სხვადასხვა ასპექტის — საკანონმდებლოს, აღმასრულებელის, სასამართლოს — ურთიერთგადაჯვნის და გაწონასწორების, უკანასკნელი არჩევნების დროს შექმნილი უმრავლესობის უფლებამოსილების შეზღუდვის და სხვა შეკანონმებნი).

ის, რასაც დემოკრატიული ინსტიტუტები, დემოკრატიული მოქმედების მექანიზმები აღგვნს, სხვა არფერია, თუ არა ადამიანეს შორის ურთიერთობის გარკვეული წესები, წესების სისტემა. სიტყვები „დემოკრატიული“ და „არადემოკრატიული“ ლინგვისს ამ წესებთან შესაბამისობას თუ შეუსაბამობას. ამ ნიშნით შეგვიძლია დემოკრატია წარმოვადგინოთ როგორც ერთგვარი თამაში[1]. აქ მნიშვნელოვანია, სიტყვა „თამაშში“ არ ჩავდოთ შეფასებითი მნიშვნელობა: არ უნდა დავუკავშიროთ ის რაღაც „არასერიოზულს“, „არანამდვილს“ ან, სხვა შემთხვევაში, მოზვენებითს, ხალხის მოტყუებაზე გათვლილს. იმის თქმა, რომ დემოკრატია (ვიმეორებ, იგულისხმება დემოკრატია პირველი, ინსტიტუციური გაგებით) თამაშია, გულისხმობს, რომ დემოკრატია ადგენს ადამიანთა შორის ურთიერთობის რაღაც წესებს, რომლებიც არც ბუნებითად, სპონტანურად აღმოცენებული და არც ერთმნიშვნელოვნად გამომდინარეობს უზენაესი ნორმის უშუალო განშეიტტიდან, ისინი შეთანხმების შედეგია და მათი შესრულება-აუსრულება ადამიანთა ცნობიერებაზეა დამოკიდებული; ისინი მხოლოდ და მხოლოდ მოცემული საზოგადოების საერთო ნებითაა განქცირებული. ალბათ, შეიძლება მიიღოს ეს წესები და შესრულოს ისინი ან არ მიიღოს და არ შეასრულოს; შესაბამისად, საზოგადოებამ, სახელმწიფო ორგანოების სახით, შეიძლება დააჯილდოოს იგი წესების შესრულებისთვის ან დასაჯოს შეესრულებ-

---

[1] ი. ჰოიზინგა, თამაშის, როგორც კულტურის მოვლენის, არსი და მნიშვნელობა. ალმ. „საუნჯე“, 1985, № 6, გვ. 286-287.

ლობისთვის. მაგრამ ეს ჯილდო თუ სასჯელი, თავის მხრივ, მხოლოდ **სხვა ადამიანების** მიერ იქნება სანქცირებული. **ბუნება** გულგრილია ამ კანონებისადმი; მათი მიღება-არმიღება, როგორც ეთქვი, უშფოლოდ არც უზენაესი სულიერ-გონით კანონებიდან გამომდინარეობს, ადამიანმა, პრინციპულად, შეიძლება ისე იცხოვრის დემოკრატიულ საზოგადოებაში და შესახულოს მისი წესები, რომ საერთოდ არ გააჩნდეს არანაირი სულიერ-გონითი ინტერესი: ან, მეორე მხრივ, ადამიანმა შეიძლება ღრმა შეუსაბამობა დაინახოს საკუთარ სულიერ-გონით სამყაროსა და დემოკრატიული თანაცხოვრების სტრუქტურებს შორის: ამის მაგალითია ტრადიციული ევროპული კონფლიქტი შემოქმედ ინდივიდსა და „მეშჩანურ", „ბურჟუაზიულ" გარეშის შორის. ეს არ ნიშნავს, რომ დემოკრატიულ პრინციპებს არ შეიძლება არანაირი მეტაფიზიკური გამარტლება მოეძებნოს. მაგრამ ეს გამარილება არ ატარებს თავისთავად ცხადი, უეჭველი ლოგიკური გამომდინარეობის ხასიათს: იგი გარკვეულ არაფორმალიზებად **ინტერპრეტაციაზე**, მაშასადამე, შემოქმედებით ინტელექტუალურ ძალისხმევაზე, პიროვნულ **არჩევანზეა** დამოკიდებული.

მაგრამ რაკი ასეა, ე. ი. რაკი დემოკრატიის წესების მიღება არჩევანზეა დამოკიდებული, მაშინ იმისათვის, რომ დემოკრატია „თამაშო" **რეალობად** იქცეს, რომ დემოკრატია მართლა „ბუთამაშდეს", არ არის საკმარისი მხოლოდ დემოკრატიის **მექანიზმების,** ანუ **თამაშის წესების** სისტემის ჩამოყალიბება. აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, „ითამაშეთა ერთობა", ანუ ადამიანთა რაღაც ჯგუფი, რომელიც **თანახმაა: (1) ერთად** ითამაშოს (მოცულობის პრობლემა) და (2) სწორედ **ამ წესებით** ითამაშოს (შინაარსის პრობლემა). აი, ამ „მოთამაშეთა ერთობის" შეკერის ამოცანა შეადგენს სწორედ დემოკრატიის მეორე ასპექტს. იმის, რაც კრავს დემოკრატიის სუბიექტს — რაღაც წესების მაღიარებელი „მოთამაშეთა ერთობას" — ამ ნაშრომში **„ქვემდებარე კონსენსუსს"** ეუწოდებ, ხოლო თვით ამ ერთობას, რომელიც **პოლიტიკური** ქმედებ რაღაც წესებიან გარშემოა შექმნილი — **„პოლიტიკურ ერთობას".**

პრობლემები, რომლებიც დემოკრატიის **ჩამოყალიბების** პერიოდს ახლავს, ძირითადად სწორედ დემოკრატიის ამ მეორე (თუმცა ისტორიულად და ლოგიკურად პირველ) ასპექტთანაა დაკავშირებული. თანამედროვე დასავლური ეიდგომის (ისევე, როგორც პოსტ-კომუნისტურ სამყაროში მცხოვრები ბევრი ინტელექტუალური რეფორმატორის) ცალმხრივობა პრაქტიკულად ხშირად იმაში გამოიხატება, რომ „დემოკრატიის სწავლის" თუ „სწავლების" პრობლემას უმეტესწილად „თამაშის წესების" შემუშავებასა და დასწავლაში ხედავენ. იგულისხმება, **რომ** საკმარისია **არჩევნების** მექანიზმის ამოქმედება და ჩელისუფლების სხვადასხვა ნაწილს (საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო) შორის გამიჯნასთა და შეზღუდვათა სისტემის ფორმალური დაკანონება, **რომ** დემოკრატიის **არსებობაზე** შეიძლებოდეს ლაპარაკი. ეს, გრამ დემოკრატიის ჩამოყალიბებას იმიტომ რიდი დასჭირდა ათწლეულები და საუკუნეები, **რომ** ინტელექტუალურად გაგიძიდა დემოკრატიული „თამაშის წესებისა" შემუშავება და გამართვა; არც იმიტომ, რომ მიღებული ცოდნის „მასებში შეტანა" გაგიჩაურდა. ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო ამოცანა მხოლოდ ერთ-ერთი — თუნდაც მნიშვნელოვანი — ასპექტია იმის ჩამოყალიბებაში, რაც შეადგენს **„დემოკრატიის" სუბიექტს,** ქვემდებარე კონსენსუსის მატარებელ პოლიტიკურ ერთობას.[1]

ქვემდებარე კონსენსუსის წანამძღვარი: პოლიტიკური „ჩვენ"

ყოველგვარი სხვა შეთანხმების აუცილებელი წანამძღვარი არის იმის დადგენა, თუ ვინ არის ის, ვინც შეთანხმებაში **მონაწილეობს.** უნდა გაინასწიროს — შემოისაზღვროს — **დემოკრატის** სუბიექტი: პოლიტიკური „ჩვენ", რომელიც შემდეგ დადებს შეთანხმებას სოციალური თანაცხოვრების ამა თუ იმ წესის შესახებ. ამგვარი პოლიტიკური „ჩვენ"-ის, პოლიტიკური ერთობის კლასიკური ფორმულირება მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში. კონსტიტუცია იწყება სიტყვებით: „ჩვენ, შეერთებული შტატების ხალხი...", რასაც მოჰყვება კონსტიტუციის მთელი შინაარსი, ე. ი. თანაცხოვრების **ძირითადი პრინციპების** ჩამოყალიბება. ჯერ ვარი „ჩვენ" და მერე, რაკი **ვარ** და ვიცით, **რომლები** ვარო. ვადგენთ ასეი წესრიგს.

მაგრამ როგორ, რა პრინციპით შევიკრიბეთ ეს „ჩვენ"? ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის; მაგრამ **რომელ** ხალხს? საამისო პრინციპის გამოყენა დემოკრატიის ზოგადი იდეიდან შეუძლებელია. დემოკრატიული წამოწყების ლოგიკა მოითხოვს, რომ პოლიტიკური „ჩვენ" **წინასწარ** იყოს მოცემული, როგორც ერთგვარი ინტუიციური სიცხადე. თუნდაც ჩავიკვლოთ, **რომ** დემოკრატიის მთელი შენობა წმინდად რაციონალურ გადაწყვეტილებათა და შეთანხმებათა გზით შემუშავებული პროექტით შენდება, **ვინაიდან გაუქმეცენი ის ფაქტს, რომ მისი ფუნდამენტი ირაციონალურია.**

დემოკრატიის ჩამოყალიბება-გავრცელების

---

[1] ტერმინს „პოლიტიკური ერთობა" (political community) ეხმაურობ ჩარეტ ნისბეტის კონცეფციის გათვალისწინებით (იხ. Robert Nisbet, Community and Power, New York: Oxford University Press, 1962); ტერმინი „ქვემდებარე კონსენსუსი" სხვაგან არსად შეხვედრია.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ისტორია მოწმობს, რომ პოლიტიკური ერთობის შეკერა-გამოჭრის პრინციპი არის **ერი**. ადამიანთა ერთობა, რომელიც თვლის, რომ იგი თვით მის მიერ დადგენილი პოლიტიკური წესრიგის მიხედვით უნდა ცხოვრობდეს (ე. ი., სხვა სიტყვებით, საკუთარი დამოუკიდებელი **სახელმწიფოებრობა** უნდა გააჩნდეს), არის ერი; და პირიქით, **ერთადერთი** სარწმუნო და მუშა კრიტერიუმი იმისა, რომ ადამიანთა რომელიმე ერთობას სწორედ ერის სტატუსი უნდა მიენიჭოს, არის „პოლიტიკური თვითდადგენის" მეტ-ნაკლებად მასობრივი, მყარი და ნათელი ცნობიერების ქონა და შესაბამისი მოქმედებისთვის მზობა.

ერის, როგორც პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბება ან, როგორც დასავლურ ტერმინოლოგიაში მიღებული, „ერის აგება" (nation-building) მეტად მტკივნეული პროცესია. ის მოიცავს საკითხს **ტერიტორიის** შესახებ და საკითხს **შემადგენლობის** შესახებ. თამაშის ანალოგიას თუ მივაყვეთ, უნდა შემოისაზღვრის **სათამაშო ადგილი** (ერის შემთხვევაში: რომელია **ჩვენი მიწა**) და შეიარას მოთამაშეთა ერთობა (ვის ვთამაშობთ და **ვის უნდა** ჩვენთან თამაში; ერის შემთხვევაში: ვინ არის **ჩვენიანი** და ვინ არა). გადაწყვეტილება **იერიდიულად** უნდა გაფორმდეს: ტერატორიის პრობლემის გადაწყვეტა უნდა დადგესდეს სახელმწიფო **საზღვრებით**, შემადგენლობის პრობლემისა — **მოქალაქეობის** სტატუსის დადგენით. რუკაზე კარადა შემოხაზული სახელმწიფო, რომელსაც ნათლად აქვს დადგენილი, ვინ არის მისი მოქალაქე და ვინ არა — აი, ფორმა, რისკენაც ნებისმიერი ერი ისწრაფვის, როგორც ერი, რაშიც მისი, როგორც ერის, არსებობა **დასრულებულ** ფორმის იღებს. სანამ ერი ამ დასრულებულ ფორმად ჩამოიქნებოდეს, მისი არსებობა **პოტენციური** არსებობაა — თუმცა ამ პოტენციურობასაც სხვადასხვა ხარისხი აქვს (კერძოდ, ეს სხვადასხვა ხარისხი განისაზღვრება ეროვნულ-პოლიტიკური **ცნობიერების** განვითარების დონით და, ზოგ შემთხვევაში, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის არსაღული ფორმითაც — როგორიცაა აქტორობა სხვა სახელმწიფოს შიგნით ან მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი საბჭოთა კავშირში). რაც; დასავლეთში, განსაკუთრებით — ინგლისურენოვან სამყაროში, ტერმინს „nation" მოიხმარენ მხოლოდ ერის ამ იურიდიულად დაფიქსირებული ფორმის — სახელმწიფოს მოქალაქეთა ერთობის — ღისნაშნავად, „ეროვნებას" კი „მოქალაქეობის" სინონიმად მიიჩნევენ, ეს გაგება, რა თქმა უნდა, ცალმხრივია, მაგრამ იგი არც ისე მცდარია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს.

კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო: თამაშთან ანალოგიას ძალიან ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ და არ დავივიწყოთ, რომ ეს მხოლოდ ანალოგიაა. სულაც არ მინდა იმის თქმა, რომ ერის ერად შეკერა ხდება უბრალო შეთანხმებით. „მოდი, ერად ვითამაშოთ და ჩვენი სათამაშო მოედანი აი, ასე შემოვსაზღვროთ". პოლიტიკური ერი არ ყალიბდება ცარიელ ადგილზე, მას აქვს ესა თუ ის წანამძღვრება; ეს წანამძღვრები პოლიტიკური ერის **მასალას** შეადგენს და ეს „მასალა" დემოკრატიული თამაშის წესებით განსაზღვრული სამყაროს გარეთაა. თამაშის ანალოგია დამეხიდა სწორედ იმის გამოსაკვეთად, რაც მასში, ე. ი. საკუთრივ დემოკრატიულ ქაქვის ლოგიკაში, არ ეტევა, თუმცა მისი აუცილებელი წანამძღვარია. თამაშში წესით ერთობლიობიდან (ე. ი. დემოკრატიულ **ინსტიტუტთა** სისტემიდან) ვერასოდეს გამოიყვან **გადაწყვეტილებას** თამაშის შესახებ.

ერის აგების ისტორიული წანამძღვრებია **ეთნოსი** და **სახელმწიფო** — იეფლისხმება ახალ დრომდე არსებული სახელმწიფო (რადგან ახალი დროის დემოკრატიული სახელმწიფოსთვის ერი ფუნდამენტია და არა წანამძღვარი). ახალ დრამდე თანხვედრა ეთნოსსა და დემოკრატიულ სახელმწიფოს (ან სახელმწიფოს რომელიმე სხვაფორმას) შორის არც რეალურად არსებობდა დ არც ადამიანთა ცნობიერებაში დაფიქსირებული როგორც იდეალი, როგორც სასურველი ვითარება. დემოკრატიის არსებობის ერთადერთი ისტორიული ფორმა იყო ქალაქ-სახელმწიფო; სიტყვა „მოქალაქეს" პოლიტიკური საზრისი შესაბამისაში იყო მის ეტიმოლოგიურ ძირთან — **ქალაქთან**. ერის, როგორც დემოკრატიის პრინციპით გაერთიანებული პოლიტიკური ერთობის აგებამ მოითხოვა ქალაქურ დემოკრატიაში შობილი დემოკრატიის პრინციპების გავრცელება **ქვეყანაზე**: გლეხსაც „მოქალაქე" უნდა დარქმეოდა, რაც უკვე ერთგვარ ხელოვნურობას, ძალდატანებას გულისხმობს.

რაც შეეხება პოლიტიკური ორგანიზაციის არადემოკრატიულ ფორმებს — იმპერიას, ფეოდალურ სამთავროს, — აქ არსებობდა არა მოქალაქე, არამედ **ქვეშევრდომი**, რომლის ეთნიკურ ვინაობას და სურვილებს მნიშვნელობა არ ეძლეოდა. ქვეშევრდომისგან მოითხოვება **პირადი ერთგულება** სიუზერენისადმი, მეფისადმი, ტახტისადმი — და არა ანსტრაქტულ-ფორმალური „სახელმწიფოსა" თუ „კანონისადმი". მიჯნა ამა თუ იმ ხელისუფლების სამფლობელოებს შორის განისაზღვრება მხოლოდ და მხოლოდ დინასტიური ოჯახთა შორის შეთანხმებით ან ომით; ქვეშევრდომთა სურვილებს — რიგელ ქეყანაში უნდოდათ ცხოვრება, რეალურად არავინ ითვალისწინებდა და მათი გათვალისწინება არც **ნორმატულად** იყო მიჩნეული.

მაშასადამე, არ არსებობდა არც პრაქტიკულ; თანხვედრა ერსა და სახელმწიფოს შორის (იმ აზრით, რომ სახელმწიფოთა შორის საზღვრები ეთნიკური ნიშნით განსაზღვრულიყო) და არც თეორიულად წარმოდგენა ასეთი თანხვედრის ნორმატულობის შესახებ, ამ გარემოებაზე დაყრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲚᲝᲑᲐᲜ, ერის „მოდერნისტული“ თეორია დასკვნის, რომ ერების ჩამოყალიბება მხოლოდ ინდუსტრიალიზაციის და მოდერნიზაციის პროცესში ხდება, ამა თუ იმ საზოგადოებრივი **ელიტების** ინტერესებიდან გამომდინარე, ამიტომ ერების გამოყენა-შემოსაზღვრა, ე. ი. ეროვნულ-პოლიტიკურ ერთობათა საზღვრების ჩამოყალიბება ანალიზით თვითნებური პროცესია, რასაც ძირითადად ელიტების ინტერესები განსაზღვრავს — მაშასადამე, სახელმწიფოებრიობის წინამორბედი ისტორია არც ისე დიდ როლს თამაშობს ერთა ჩამოყალიბებაში. მაგრამ, თუმცა ახალ დრამდე სახელმწიფოებრიობა ერს არ გულისხმობდა თავის ფუნდამენტად, ის მაინც მთლიანად არ დაიყვანებოდა სამეფო დინასტიებსა და მათ ინტერესებზე: იქმნებოდა კავშირი სახელმწიფოებრივ ტრადიციასა და მაღალი კულტურის ტრადიციას შორის, რაც მომავალი ეროვნული (არაეთნიკური) ცნობიერების ბირთვს ყალიბებდა. ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ იმპერიაშიც მაინც როგორღაც (მეტ-ნაკლებად მკაფიოდ) განისაზღვრებოდა სახელმწიფოებრიობასთან დაკავშირებული „მაღალი კულტურის“ სისტემა და ამ კულტურის ისტორიული ფუნქციის თუ მისტიკური „მისიის“ ცნობიერება, რასაც თან ახლდა . — მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი — წარმოდგენა იმპერიის ძირითად, წამყვან ხალხზე, რომელიც — დინასტიისაგან განუყოფელად — მატარებელია ამ ფუნქციისა თუ „მისიისა“. ამრიგად, „იმპერიის ძირითადი ხალხის“ მიმართ სახელმწიფო მაინც ასრულებდა (რაღაც ხარისხით მაინც) „ერის ამგების“ ფუნქციას.

მაგრამ მაინც — რატომ იყო ის მხოლოდ „ბიერი“ და არა სრულფასოვანი ეროვნული ცნობიერება? ჩემი აზრით, სრულყოფილ ეროვნულ ცნობიერებას მას ვერ ვუწოდებთ ს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ფოებრივი ერთიულის მიერ. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი „ბირთვი“ ასეთია არა მარტო **მიზიდულების ცენტრის** აზრით, არამედ **ტერიტორიული** აზრითაც: ჩვეულებრივ, განირჩევა ცენტრალური პროვინციები, რომელთა ეროვნული რაობა შედარებით ცხადია, და სასაზღვრო, მარგინალური არეები, რომლებიც არა მარტო პოლიტიკურ-ტერიტორიული დაყოს საგანია, არამედ **იდეოლოგიური** ბრძოლის ასპარეზადაც იქცევა ეროვნული ცნობიერების სხვადასხვა „ბირთვს“ შორის: ასეთი მარგინალური ეთნიკური ჯგუფი შეიძლება „ყოყმანობდეს“ იმის თაობაზე, თუ **რომელ** ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეენტობას მიაკუთვნოს თავი (ელზასი და ლორენი, ბალკანეთის ზოგიერთ ადგილებს შორის) ან ხომ არ განივითაროს დამოუკიდებელი ეროვნული თვითცნობიერება (აუბაზები). თუ როგორ უნდა გადაწყდეს ასეთი გიორკეგელობა, ამის „ობიექტური“ და საყოველთაოდ „სამართლიანი“ კრიტერიუმი, ეიმეორე, არ არსებობს.

ამრიგად, თუ ერნე „ბირთვისა“ და „ველის“ ტერმინებით ვილაპარაკებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერის ფენომენის ბირთვი, მართალია, ისტორიის უფრო ადრეულ საფეხურებზე იქმნება, მაგრამ მას, ჯერ ერთი, აკლია **შინაგანი გარკვეულობა, გამოკვეთილობა**, თვით მასში არ არის მკაფიო გამიჯვნა საკუთრივ **ეროვნულსა** სხვა ტიპის ფენომენთაგან და, მეორეც, ამ ბირთვის მიზიდულობის ძალა ჯერ კიდევ მეტისმეტად სუსტია, რომ საკმარისად სტაბილური ორბიტა შექმნას. ყოველივე ამის გამო, **დასრულებული** ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ ახალ დროში: მაგრამ ის ცარიელ ადგილზე კი არ იქმნება თუ „გამოიგონება“, არამედ ხდება (1) მისი, როგორც **სამოქალაქო** და **საერო** ცნობიერების **გამოყოფა** რელიგიური და ფეოდალური ცნობიერებიდან, (2) მისი გავრცელება კულტურულ-პოლიტიკური ელიტის ბირთვიდან საზოგადოების **ყველა ფენაზე** და (3) **მისი მყარი დფიქსირება**, როგორც **სოციალურ-პოლიტიკური** იდენტობის ძირითადი ფორმისა კატეგორიათა იღეის ფონზე[1]. ამ ცვლილებების **პირობებს** ქმნის ინდუსტრიალიზაცია, **ურბანიზაცია**, მასობრივი კომუნიკაციების სისტემის გაფართოება და სხვა ფაქტორები, რომელთა მნიშვნელობა ფართოდ და საკმარისად სწორადაა გაშუქებული „მოდერნიზაციული“ მიმართულების ლიტერატურაში. მაგრამ მათ **აუცილებლობას** განაპირობებს **პოლიტიკური** მოდერნიზაციის პროცესები, სახელდობრ, პოლიტიკური ერთობების, როგორც ძალაუფლების დემოკრატიული სისტემის სუბიექტის, ჩამოყალიბების, შემოფარგვლის და დფიქსირების საკითხება.

პოლიტიკური ერთობის შექმნა-ჩამოყალიბება ამოცანა არ შემოიფარგლება იმით, რომ გამოიყოს „ძირითადი“ ერი, რომელიც „გამოდგება“ პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტად და შემოფარგლოს მისი „საარსები სივრცე“, ანუ აქტუალური თუ პოტენციური სახელმწიფო სასაზღვრები. ამის შემდეგაც რჩება არანაკლებ მტკივნეული პრობლემა „მიღებისა“ თუ „გარიღებისა“ სხვადასხვა ეთნიკური, ხანდახან კი რელიგიური ჯგუფების მიმართ, რომლებიც მოცემულ ერთ ჯგუფების მიმართ, ისევ ტერიტორიიზე აღმოჩნდებიან, მაგრამ არ ეკუთვნიან „ძირითად“ ერს ან რომელთა კუთვნილებაც ამ ერისადმი სათუოა. ეს არის ეთნიკური და რელიგიური **უმცირესობების** პრობლემა. არიან ეს უმცირესობები „ჩვენები“ თუ არა ღა თვითონ — უნდათ კი, რომ „ჩვენები“ იყვნენ, გრძნობენ თუ არა თავს პოლიტიკური ერთობის სრულფასოვან და ორგანიზებულ წევრებად. „შესტაკეთ თუ არა გული“ „საერთო საქმეზე“, თვლიან თუ არა მთელს, ქვეყნის პრობლემებს საკუთარ პრობლემებად? რა **კრიტერიუმებით** უნდა მოხდეს რომელიმე ეთნიკური თუ ადამიანთა ჯგუფის ჩათვლა „ჩვენიანად“? ამ პრობლემის **სრულ** გადაწყვეტის ჭქვია **ასიმილაცია**: ასიმილაციის პროცესის შედეგად იკარგება პიროვნებისა თუ ჯგუფის „უძრავლესობის“ მიმართ უცხოობის შეგრძნება. მაგრამ წარმატებული ასიმილაციის წინაპირობა როგორც უმრავლესობის თანხმობა — მიიღოს „უცხო“ „თავისიანად“, ისე უმცირესობის თუ მარგინალური პიროვნების თანხმობა — თავისი განსხვავებული იდენტობა რაღაცა ზომით მაინც დათმოს. მეორე, კომპრომისული ვარიანტია „უცხო სხეულის“, როგორც ერთგვარი „შინაგანი უცხოს“, აღიარება და მისი განსხვავებული იდენტობის შენარჩუნების ამა თუ იმ გარანტიის მიცემა (აეტპრომის სხვადასხვა ფორმა) იმ პირობით, რომ ეს „უცხო“ საფრთხეს არ შეუქმნის პოლიტიკური ერთობის საცხოვრებელი სივრცის მთლიანობას და მისი საზოგადოებრივი წესრიგის ზოგად ფორმას. მაგრამ, თუ ვერც ასიმილაცია და ვერც კომპრომისული გადაწყვეტილების მიღება ვერ ხერხდება, „შინაგანი უცხოს“ პრობლემას კონფლიქტი მოჰყვება, ხშირად — სისხლიანი. სიინტენსივნოა, რომ კონფლიქტმა რომელიმე ჯგუფის სტატუსის თაობაზე შეიძლება მეტად წმვავე სახე მიიღოს თვით გადატანებული უმრავლესობის შიგნით: თეთრებს შორის უთანხმოებამ იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს შავკანიანების სტატუსი ამერიკულ საზოგადოებაში, სათავე დაუდო სამოქალაქო ომს. შემდგომშიც საკითხი ამ რასობრივი ჯგუფის სამოქალაქო უფლებების შესახებ ამერიკის პოლიტიკური ცხოვრების ყურადღების

1. ერნე. როგორც ძირითად „ჩვენ-ჯგუფზე“ კაცობრიობის შემდეგ, ლაპარაკობს ნოდარ ნათაძე თავის წიგნში „ერი და ეროვნული კულტურა“ (თბილისი, 1988); მაგრამ იგი ხაზს არ უსვამს სოციალურ-პოლიტიკურ მომენტს და განსხვავებას ერსა და ეთნიკურ კაშრის შორის, რის გამოც მთელ მსჯელობას ფსიქოლოგისტურ-ნატურალისტური ელფერი ეძლევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრში რჩებოდა. კონფლიქტი ეროვნულ უმრავლესობებსა და უმცირესობებს შორის შეიძლება იღებდეს ძალდატანებითი ასიმილიაციის, გამოდევნის, უფლებათა შევიწროვების, უფლებრივი აპართეიდის თუ — საკითხის „საბოლოოდ გადაჭრის“ მიზნით — გენოციდის ხასიათს.

რა პრობლემებიც უნდა შეეხედოს ერის, როგორც პოლიტიკური ერთობის ჩამოყალიბებას, და რა გზებითაც — კომპრომისული თუ რადიკალური, ბრუტალური თუ ჰუმანური — უნდა მოხერხდეს მათი გადაწყვეტა, საბოლოო ორიენტირი მაინც ერთია: უნდა ჩამოყალიბდეს საკმარისად ნათელი **შეგნება** ძირეული ერთობისა, „ჩვენისა“, როგორც პოლიტიკური ქმედების სუბიექტისა, იმ „ჩვენისა“, რომლის **სახელითაც** უნდა მოხდეს შემდეგ ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება და გამართლება. ეს საერთო შეგნება **საფუძვლად უდგეს**, მაგრამ **არ უდრის**, „ჩვენის“ ცნობიერების **უფლებრივ დფიქსირებას მოქალაქეობის სტატუსის** სახით. მოქალაქეობის პოლიტიკის გარეგნული დფიქსირება, თუ მას საფუძვლად არ უდგეს ერთობლივი ცნობიერება იმისა, თუ ვინ არის „ჩვენიანი“ და ვინ არა, საკმარისი არ არის ქვეყნდებარე კოლისესუსისათვის, რომელსაც დემოკრატიული საზოგადოების შესაძლებლობა ემყარება. მეორე მხრივი, რომ „პოლიტიკური ჩვენის“ საკრალისად მიმწოდებელი ცნობიერება ყოველთვის **ესჭაფვის** მოქალაქეობის სტატუსის სახით დფიქსირებას. „ჩვენიანის“ და „უცხოს“ გარჩევის კრიტერიუმი ამ დროს მოქალაქედ მიღებარმოდენილი კრიტერიუმად იქცევა.

იდეალი, რა თქმა უნდა, იმგვარი კრიტერიუმების შემუშავებაა, როცა „მოქალაქე“ და „ჩვენიანი“ სრულიად სინონიმური და მოქალაქის სტატუსიც სრულ თანაწორეულუფლებიანობას აფიქსირებს ამ სტატუსის მატარებელთა შორის. ეს იდეალური შემთხვევა მიიღწევა, ჩვეულებრივ, ნებაყოფლობითი თუ ძალდატანებითი ასიმილაციის, გაძევებების თუ გენოციდის მეთოდებით (შეიძლება, შეფასებით ტერმინთა მძლავრთას შეჩვეული ყურისთვის ერთგვარად ცინიკურად ცდერდეს ამგვარი ხერხების ერთ რიგზე ჩაყენება, მაგრამ სინამდვილე თუ გვინდა, ესაა: ხსენებული მეთოდები ერთი მიზნისკენ, ანუ პოლიტიკური ერთობის სრული ჰომოგენურობის მიღწევისკენაა მიმართული). მაგრამ ასეთი იდეალური ვითარება ყოველთვის ვერ მიიღწევა: „ძირითადი ერი“ უნდა შეურიგდეს „უცხოსთან“ თანაცხოვრებას და ამ თანაცხოვრების ერთგვარი ფორმალური რეგლამენტაციაც მოახდინოს. კომპრომისული საზოგადოებები შესაბამის სამართლებრივ ფიქსაციასაც პოულობს. ერთ-ერთი ხერხია, როგორც ვთქვი, სხვადასხვაგვარი „ავტონომია“, რომელთა ფიქსირების ფორმები შეიძლება სხვადასხვა იყოს. მეორე ხერხია **ანარეგიდი** (აქაც, როგორც სხვა შემთხვევაში, არ ვიფიქროთ ამა თუ მ ხერხის მორალურ მიღებულობას თუ მიუღებლობას), რომელიც გულისხმობს მოსახლეობის უფლებრივ გამოკვნის ერთგვარ ნაწილობრივი აპართეიდის სახე მიიღო „ეროვნული საკითხის გადაწყვეტამ“ მარქსისტულ მრავალეროვან სახელმწიფოებში (ყოფილ, სსრკ-ში და იუგოსლავიაში), სადაც საერთო-ზეეროვნული („საბჭოთა“, „იუგოსლავური“) მოქალაქეობის გვერდით მიღებული იყო „ეროვნული“ კუთვნილების საკადაგებული ოფიციალური დფიქსირებაც პასპორტსა და სხვა ოფიციალურ საბუთებში. კლასიკური აპართეიდისაგან განსხვავებით, ამგვარი დფიქსირება უშუალოდ არ გულისხმობდა რაიმე უფლებრივ დისკრიმინაციას: ყველა საბჭოთა თუ იუგოსლაველი მოქალაქე თანასწორი იყო კანონის წინაშე. თუმცა ამგვარი შესუსტებული აპართეიდიც ქმნიდა რეალური უთანასწორობის შესაძლებლობას: ესა თუ ის თანამდებობა ბიუროკრატიულ-ნომენკლატურულ იერარქიაში დაფუძნებული კანონებით (ან, შესაძლოა, საიდუმლო ინსტრუქციებით) „მიმაგრებული“ იყო ამა თუ იმ ეროვნების წარმომადგენლებზე ისევე, როგორც რაღაც სფეროები ამა თუ იმ ეროვნებისათვის „დახურული“ ან „თითქმის დახურული“ იყო ან „ეროვნულ-კეთილების“ მიხედვით ნაწილდებოდა. მაგრამ **ძირითადი** ფუნქცია ამგვარი აპართეიდისა იყო მაინც **პოლიტიკური კომპრომისი:** „ეტნოკრატია“ („ომბერეული“ თუ „ფედერალური“ — სატყვის არჩევა გვმოვნებაზეა დამოკიდებული) ხელისუფლება, ბუნებრივია, უფრთხოდა ერების ნამდვილ პოლიტიკურ აღიარებას შესაბამისი რესუსებლიკის მოქალაქეობის სტატუსის შემოღებით (ასეთი სტატუსი მხოლოდ სრულიად ნომინალურად, იურიდიულად ამსურდული სახით არსებობდა), მაგრამ ახდენდა ამ სტატუსის **კომპენსაციას** იმით, რომ აწესებდა ეროვნული კუთვნილების საკადაგებული **ინდივიდუალურ** ფიქსირებას. ამით ეროვნული ცნობიერება ერთგვარ ილუზორულ დაკმაყოფილებას იღებდა და, ამავე დროს, ინგრეოდა როგორც სწორედ ეროვნული ცნობიერება, იკეცებოდა ეთნიკურ-რასობრივი, ბგაოონული ცნობიერებით (ეროვნების ფიქსირება მშობლების ეროვნების მიხედვით ხდებოდა).

„ცივილიზებულ სამყაროში“, ანუ მსოფლიოს, იმ ნაწილში, რომელიც სამოქალაქო ურთიერთობის ნორმების დამსახველის როლში გამოდის, აპართეიდის ხერხი მორალური თვალსაზრისით აბსოლუტურად მიუღებლადაა მიჩნეული, როგორც დამპალის ღირსების საწინააღმდეგო. მოქალაქეობის საერთო სტატუსის მქონე ადამიანების სეგრეგაცია „ჩვენიანებად“ და „არა ეროლად ჩვენიანებად“ ეთნიკური ნიშნით უფლებრივადაც დაუშვებელია და საზოგადოებრივ აზრშიც „რასიზმის“ ან „ფაშიზმის“ კვალიფიკა-

ციას იღებს. მაგრამ აქაც მიღებულია რეალურად ერის „სასიცოცხლო სივრცეში“ მოხვედრილი პიროვნებებისა თუ ჯგუფების „უცხოობის“ დამფიქსირებელი ფორმები. არსებობს, კერძოდ, „მუდმივი მაცხოვრებლის“ სტატუსი, ფრეთვე, სხვადასხვა რანგის და საფეხურის ვიზები, რომლებიც ქვეყანაში **სტუმრობის** ნებართვას წარმოადგენს და ჩვეულებრივ საკმაოდ დეტალურად ადგენს ამა თუ იმ ვიზის პატრონის უფლებებსა და შეზღუდვებს. რაც შეეხება მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსს, იგი ხშირ შემთხვევაში გულისხმობს ასიმილაციის, ე. ი. „ჩვენიანად“ ჩამოყალიბების პროცესს და ადგენს ამ პროცესისათვის საჭირო მინიმალურ ვადას. მაგრამ, თუმცა ეს სტატუსი რაღაც სამართლებრივ კალაპაზში აქცევს ასიმილაციის პროცესს, იგი სულაც არ გულისხმობს სავალდებულო ასიმილაციას: მხოლოდ ასიმილაციის **შანსს** იძლევა. შეიძლება მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის მქონე „უცხოს“ ასიმილაცია სულაც არ ჭქონდეს მიზნად დასახული და მთელი ცხოვრება მეტ-ნაკლებად მოშინაურებულ „სტუმრად“ გაატაროს.

ცხადია, სრული შესაბამისობა შინაგან თვით-განცდასა და ფორმალურ სტატუს შორის მიუღწეველია. ეიღაც ყოველთვის „შინაგანი ემიგრანტი“ იქნება, ხოლო მოქალაქეობამიღებული „გარე“ ემიგრანტი ადვილად ვერ გამიცდის თავს მისთვის ახალი კულტურულ-პოლიტიკური ერთობის ორგანულ წევრად და შეიძლება არც თვლიდეს სავალდებულოდ ამის მიღწევას. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, „მოქალაქის“, „სტუმრის“ თუ „მუდმივი მაცხოვრებლის“ ფორმალურ-იურიდიული სტატუსი სხვა არაფერი, თუ არა გარეგნული დაფიქსირება ქვემდებარე კონსენსუსის დონეზე შემუშავებული წარმოდგენებისა „ჩვენიანისა“ და „უცხოს“ შესახებ, ე. ი. იმის შესახებ, თუ ვის და რამდენად აქვს უფლება მონაწილეობდეს „ჩვენი“ ცხოვრების წესის განსაზღვრაში, აქედან გასაგები, რომ სანამ „ჩვენი“ ცხოვრების წესს „ჩვენ“ განვსაზღვრავთ (ე. ი., სანამ **დემოკრატია** საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობის პრინციპად იქცევა.), მანამდე პოლიტიკური „ჩვენ“-ის, ანუ ერის მკვეთრი შემოსაზღვრა აუცილებელი არც არის.

ᲙᲕᲔᲓᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲜᲡᲘᲡᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲡᲐᲠᲘᲡ: ᲠᲝᲒᲝᲠ?

როგორც ვთქვით, „მოცულობის“ პრობლემის გადაწყვეტა — ე. ი. დადგენა იმისა, **რომელი**ა ვართ ჩვენ, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი ქვემდებარე კონსენსუსის ჩამოსაყალიბებლად. გასაგებია, რომ „ჩვენ“ გვინდა ვიცხოროთ ისე, როგორც „ჩვენ“ გვინდა. მაგრამ როგორ უნდა გავეგოთ, როგორ გვინდა? როგორ უნდა მოხდეს „ერის ნების“ გამომქღაველნა და დაფიქსირება? და როგორ უნდა **განვახორციელოთ** „ჩვენი ნება“ სინამდვილეში?

ცხადია, რომ დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ საკითხების მოსაწესრიგებლად არსებობს დემოკრატიული ინსტიტუტების რაღაც სისტემა. მაგრამ აქაც ისევე, როგორც „მოცულობის“ პრობლემის შემთხვევაში, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ, ერთი მხრივ, რეალური კონსენსუსი, ე. ი. საერთო-სამოქალაქო ცნობიერების აუცილებელ ელემენტად ქცეული **რწმენა**, მეორე მხრივ, კი საყოველთაო ცნობიერების თუ რწმენის **სამართლებრივი დფიქსირება** კონსტიტუციისა და სხვა სამართლებრივ აქტებში. რეალური კონსენსუსი მოისწრაფვის სამართლებრივი დფიქსირებისაკენ; მაგრამ სამართლებრივი აქტების ფორმალური შემოღება მიღებული ნიმუშების მიხედვით ისევე ვერ შექმნი, რეალურ დემოკრატიულ კონსენსუსს, როგორც საერთო-საბჭოთა მოქალაქეობის სტატუსმა ვერ შექმნა ერთიანი ეროვნულ-პოლიტიკური „ჩვენ“-ის ცნობიერება ამ სახელმწიფოში მოსახლე ადამიანებს შორის.

თამაშის ანალოგიას რომ დავუბრუნდეთ: თუ გვინდა, შევთანხმდეთ თამაშის წესებზე (დემოკრატიის ინსტიტუციური საფუძველი კი, როგორც გახსოვთ, თამაშის წესებს შეადარეთ), წესისწერა უნდა ვიყოთ შეთანხმებული ამაზე, თუ როგორ შეიძლება საერთოდ რამეზე შეეთანხმდეთ და კიდევ იმაზე, რომ ამ შეთანხმებას დავიცავთ (ე. ი., რომ შეთანხმების აქტი საზრისის მქონეა); ვიდრე თამაშის წესების (დემოკრატიის ინსტიტუციური სისტემის) კონკრეტული შინაარსს გავარკვევდეთ, გარკვეული უნდა გვქონდეს მოთამაშეთა (მოქალაქეთა) **დამოკიდებულება** თამაშის წესებისადმი.

საზოგადოდ, როგორც თამაშში, ისე **საზოგადოებამ** შეიძლება აიტანოს თავისი წესების (კანონების) შეუსრულებლობა. მაგრამ ვიაზრეთ, როგორია თვით დამრღვევის დამოკიდებულება დარღვევის ფაქტისადმი. ერთია, როცა **დამრღვევი** ეტყვის, „მოატყუოს“ მოთამაშეთა ერთობა, — ისე დაარღვიოს **წესი, რომ** ეს **შეუმჩნეველი** დარჩეს. მოთამაშე შეიძლება წესის დარღვევაზე „დაეჭიროს“ ან არ დაეჭიროს, დასაჯოს ან არ დასაჯოს, მაგრამ თვით თამაშის მოლიანობა ამით არ ირღვევა, რადგან, რაკი მოთამაშე ცდილობს დამალოს, შენიღბოს დარღვევის ფაქტი, იგი ამით აღიარებს, რომ **ანგარიშს უწევს წესს**, როგორც რაღაც **ძალის** მქონე რეალობას. კონკრეტულ შემთხვევაში წესი კი ირღვევა, მაგრამ დამრღვევის დამოკიდებულება დარღვევის ფაქტისადმი მხოლოდ ადასტურებს წესის, როგორც ასეთის, **სტატუსს**. შეიძლება მოთამაშემ აშკარად, ღიად დაარღვიოს წესი (მაგალითად, ფეხბურთში დამცველმა ხელით დაიჭიროს ბურთი, რომელიც უამისოდ კარში გავიდოდა) და ამის გამო ნორმალურად მიიღოს შესაბამისი სასჯელი (პე-

ნალტი). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გაანგარიშებაზე აგებულ გადაწყვეტილებასთან, რომ სასჯელი წესის დარღვევისათვის „ნაკლები ბოროტებაა" იმასთან შედარებით, რაც უამისოდ მოხდებოდა. მაგრამ ამ ტაქტიკური ნაბიჯის მიზანშეწონილობა ისევ თამაშის წესების მთელი სისტემიდან გამომდინარეობს და ადასტურებს მას.

ზუსტად იგივე ითქმის სახელმწიფო კანონებისადმი დამოკიდებულებაზე. მოქალაქემ შეიძლება დაარღვიოს კანონი და ეცადოს ამის დამალვას; მან შეიძლება აშკარად დაარღვიოს კანონი და უდრტვინველად მიიღოს სასჯელი, რადგან კანონის დარღვევა და შესაბამისი სასჯელი „ნაკლებ ბოროტებად" მიიჩნია რაღაც სხვა, მისი აზრით, უფრო მაღალი ღირებულების დათმობასთან შედარებით. ორივე შემთხვევაში ხდება კანონის დარღვევა, მაგრამ ამით **კანონს ძალა** არაფერი აკლდება: მოქალაქე ცნობს კანონს, როგორც რეალურს, რომელსაც ანგარიში უნდა გაეწიოს.

ამისგან განსხვავებით, არსებობს დამოკიდებულება თამაშის წესისადმი, რომელიც **ანგრევს თამაშს.** ეს ის შემთხვევაა, როცა მოთამაშე **არ ცნობს** თამაშის წესს, ამბობს: „მე ასე არ ვთამაშობ." ამ გარეცხდებით თამაში იშლება. თამაშის ხდომილება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მოთამაშე თანახმაა, თამაშა წესები ეწოს. ფეხბურთის მატჩი ვერ ჩატარდება, თუ ერთ-ერთი გუნდი თვლის, რომ გოლს გატანა ხელთათაც **შეიძლება.**

ამ პუნქტიდან უკვე ძნელდება პირდაპირი ანალოგია თამაშსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის. თამაშის წესების არცნობით მოთამაშეს გადის თამაშის სიცოცხლეს; ამის შემდეგ მას შეუძლია სასჯელისა აღარ შეეშინდეს, რადგან თამაშის წესების იურისდიქცია მხოლოდ თამაშის პირობითი სამყაროთი შემოისაზღვრება: მოთამაშეთა ერთობას შეუძლია დასაჯოს მხოლოდ ის, ვინც თამაშის წესებს ცნობს. თამაშის წესების ძალა სხვას არაფერს ემყარება, გარდა მოთამაშეთა მიერ მათი ცნობისა. რეალურ სამყაროში, რომელსაც თამაშის სამყაროი ესაზღვრება და რომელშიც გადასვლასაც ცნობიერების მოდუსის შეცვლის გარდა არაფერი სჭირდება, სულ სხვა კანონები და კანონშობიერებები მოქმედებს. სახელმწიფოს რეალობა, ამისგან განსხვავებით, არ არის „ეთოსმური", მხოლოდ მონაწილეთა სუბიექტურ სურვილზე აგებული; სახელმწიფოს საზღვრებს გარეთ ისევ სახელმწიფოა — სხვა, მაგრამ ასევე საყალდებულო კანონების მქონე. ამდენად, სახელმწიფოს კანონების არმცნობი ჯგუფს თუ ინდივიდის მდგომარეობა გაეცალეთი უფრო რთული. სახელმწიფოს, მოთამაშეთა ერთობისაგან განსხვავებით, პრინციპულად შეუძლია, უგულებელყოს კანონის დამრღვევის სუბიექტური დამოკიდებულება კანონის მიმართ და **აიძულოს** იგი, კანონს ანგარიში გაუწიოს. ამდენად, კანონის არცნობა რომელიმე ინდივიდის ან ჯგუფის მიერ თავისთავად **არ ანგრევს** სახელმწიფოს: იგი იმისი სახელმწიფოა, რომ, თუ აუცილებელია, კანონის პატივისცემა ძალითაც დაამკვიდროს.

ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება ერთიერთებს ან მართლაც უმნიშვნელო უმცირესობას, რომელსაც ძალა არ შესწევს, სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციობას არსებითი საფრთხე შეუქმნის. ეს შემთხვევა კი მაშინაც გვაქვს, როცა უმრავლესობას — უდიდეს უმრავლესობას — სწამს, რომ თანაცხოვრების მოწესრიგების არსებული სისტემა მართლაც **მისი** სისტემაა და მოცემული კანონის არცნობა ვინმეს მიერ საფრთხეს უქმნის „ჩვენს" საერთო ინტერესებს, თვით პოლიტიკური „ჩვენის" მთლიანობას და ნორმალურ არსებობას. ამის საპირისპიროდ, როცა თამაშის საერთო **წესების პრინციპალად არმცნობთა** რიცხვი რაღაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს (თუმცა ამ „კრიტიკული ზღვარის" რაოდენობრივი დადგენა, ალბათ, შეუძლებელია), **შეთანხმებაზე** აგებული თანაცხოვრება შეეძლებელი ხდება. ან არსებული პოლიტიკური ერთობა უნდა დაიშალოს („წესების არმცნობნი" გაიჩეხონ ან ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოიყოს), ან **რეპრესია** უნდა იქცეს წესრიგის და სტაბილობის, როგორც სოციალური ცხოვრების აუცილებელი წინაპირობის, უზრუნველყოფოს ძირითად იარაღად.

ამრიგად — ზემოთქმული რომ დავაკონკრეტოთ — ვიღრე რომელიმე წესის, კანონის, ნორმის კონკრეტულ შინაარსზე შეთანხმდებოდეს, პოლიტიკური ერთობა შეთანხმებული უნდა იყოს უფრო ძირეულ საკითხზე: რა შემთხვევაში უნდა იყოს მიჩნეული მოცემული კანონი სავალდებულოდ? ამ საკითხზე პასუხი არ შეიძლება დავიუკანონ კანონის მიღების საპარლამენტო პროცედურის აღწერაზე. თვით ეს პროცედურა, ისევე როგორც **უფლებამოსილება** პარლამენტისა, რომელიც კანონს იღებს, უკვე ემყარება რაღაც კანონს. საკვანძო **ფილოსოფიური** პრობლემა ეხება საზოგადოდ **შესვლის** დემოკრატიული ლეგიტიმურობის სამყაროში. რატომ უნდა მივიღო რაიმე კანონი, როგორც **ჩემი** კანონი? და თუ თვით კანონის, თამაშის წესების შინაარსი შეიძლება რაციონალური მსჯელობის შედეგად, **მიზანშეწონილების** პრინციპზე დაყრდნობით იქნას მიღებული, **პირობა** კი რაციონალური შეთანხმებისა (რასაც „ქვემდებარე კონსენსუსი" ეწოწოდეთ) **წინარერაციონალურია. ის ან არის, ან არა.**

არადემოკრატიულ პოლიტიკურ ფორმებში, სადაც ძალაუფლების ლეგიტიმაცია **ზემოდან** მოდის, ეს საკითხი სხვაგვარად წყდება. როგორც ხელისუფალია რაღაც გზით ღმერთის ხელდასხმული, ისე დამიანური კანონიც სამოსოო ჯამში ღვთის კანონითაა დაფუძნებული. სახელმწიფოს კანონის მორჩილება ღვთის კანონის მორჩილებად გამომდინარეობს. კანონის, როგორ-

ჩემის, ჩემი ნებით — უფრო სწორად, ჩვენი ნებ-ით (ერის, როგორც პიროვნების ნებით) — გამართლებულის აღიარების, ცნობის პრობლემა მხოლოდ დემოკრატის „აგების“ თუ „შემოღების“ პროცესში აქტუალიზდება.

საკმარისად ჰუმანურები პოლიტიკური „ჩვენის“ მოცულობრივი შემოზღუდვა სწორედ იმიტომ არის დემოკრატიის აუცილებელი პირობა, რომ სხვა შემთხვევაში, ე. ი. მაშინ, როცა მოსახლეობის რაღაც ნაწილი პოლიტიკურ „ჩვენში“ ჩართულად არ გამოცდილ თავს, ამ „ჩვენის“ ნებით სანქცირებული კანონებიც მისთვის შინაგანად საჭალდებულო ვერასოდეს გახდება: ეს ჭიდამ დარიგება „სხვის“ კანონებად, რომლებიც **თავსმოხვეულია** ჩვენზე. თუ ასეთ ჯგუფს საკუთარი პოლიტიკური ცნობიერება და მისი ინსტიტუციური გამოხატვის საშუალება აქვს, მაშინ ბუნებრივია, მან „სხვის“ თავსმოხვეულ კანონს საკუთარი, „ჩვენი“ კანონი დაუპირისპიროს. ... ბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო პერიოდში ატეხილი „კანონთა ომი“, ომი, რომელში დამარცხებაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა, ნორმალური და ბუნებრივი შედეგი იყო ცენტრალური ხელისუფლების მცდელობისა, დემოკრატია „შემოეღო“. რაკი არ არსებობდა ერთიანი „პოლიტიკური „ჩვენ“, ბუნებრივი, „ცენტრის“ მიღებული კანონები „თავისად“ არავის მიაჩნდა. ხოლო განსხვავებული „პოლიტიკური ჩვენ“ თავის არსებობას საკუთარი კანონების მიღებით აცულნდა და ადასტურებდა. ნორმალური პოლიტიკური თამაში ამ პირობებში შეუძლებელი იყო, რადგან ბრძოლის შინაარს საკუთარი თამაშის წესების დამკვიდრება შეადგენდა. ასეთი შემთხვევა გაბატონებულ უმრავლესობას გაცლუბით უფრო მძიმე პრობლემის წინაშე აყენებს, ვიღრე ბრძოლა ისეთ ინდივიდებთან თუ ჯგუფებთან, რომლებიც საერთოდ არანაირი კანონის დაცვაზე არ თანხმდებიან; უკანასკნელ შემთხვევაში უფრო მაღალი რეალობა (კანონს რეალობა) ებრძვის უფრო დაბალ, უფორმო რეალობას. „კანონთა ომის“ შემთხვევაში კი ორი, არსებითად თანასწორი ძალა ეჯახება ერთმანეთს.

მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს, რომ, რაკი მოცემულია „პოლიტიკური ჩვენ“, — ერი, როგორც პოლიტიკური ერთობა, რომლის უფლებას, საკუთარი წესების მიხედვით იცხოვროს, არანაირი გარეგანი ძალა არ ზღუდავს, — ამით ქვეშდებარე კონსენსუსის პრობლემაც უკვე გადაწყვეტილია. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად შექმნილი რესპუბლიკების (ზოგიერთის მაინც) მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს ასე არ არის (თუმცა რაღაც დონეზე არსებობდა ილუზია, რომ ეს მართლაც ასე იყო).

საქმე ისაა, რომ შეგნება „ჩვენ ერთნი ვართ“ ჯერ კიდევ ტრადიციულად არ გულისხმობს იმის ნათელ შეგნებას, რომ ჩვენი ერთობის რეალობა ჩვენს ძალისხმევაზეა დამოკიდებული და რომ ეს რეალობა უშუალოდ ჩვენს **კანონშია** განხორციელებული. ამ უკანასკნელი ვითარების შეგნებას სჭირდება კანონის, როგორც ფორმის, არსებობა თვით საზოგადოების ცნობიერებაში. სხვა სიტყვებით, ეს გულისხმობს **სამოქალაქო ცნობიერების** არსებობას.

სამოქალაქო ცნობიერება, თავის მხრივ, ეყრდნობა **პიროვნულობის** პრინციპს, სადაც პიროვნებად ყოფნა ნიშნავს **შინაგანი** კანონის თავის თავში ტარებას. კანონის ცნობიერების ქონა შეიძლება ჯერ კიდევ არ ნიშნავდეს შინაგანი კანონის ცნობიერების ქონას. კანონი შეიძლება გაიზრებულ იქნას, როგორ წმინდად გარეგნული, **შემზღუდველი** პრინციპი. ამისგან განსხვავებით შინაგანი კანონი სხვა არაფერია თუ არა სულიერი შინაარსის მოწესრიგების და გამოვლენის ფორმა. ეს არ ნიშნავს, რომ მას შემზღუდველის ფუნქცია ეკარგება: ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს თვითშეზღუდვასთან, როგორც თვითგაფორმების აუცილებელ ელემენტთან. თუ გარეგანი კანონი ის არის, რასაც მე ანგარიში უნდა გავუწიო, შინაგანი კანონი თვითონ მე ვარ. უმისოდ „მე“ რაღაც ამორფული, წმინდად პოტენციური და გაუგებარია.

ეროვნული პოლიტიკური ერთობა მაშინ იქცევა დემოკრატიული ქვეშდებარე კონსენსუსად სუბიექტად, როცა შინაგანი კანონის პიროვნული პრინციპი ეროვნულ-პოლიტიკური ცნობიერება პრინციპად იქცევა. ეს ნიშნავს, რომ ეროვნული ცნობიერების ბრძოლად უნდა იქცეს წარმოდგენა, რომლის თანახმადაც არა მარტო „ჩვენ **ერთნი** ვართ“, არამედ ჩვენი, როგორც მთლიანობის, როგორც განსხვავებული რაობის გაფორმებისა და რეალიზაციის ძირითადი შინაგანი, მაკონსტრუირებელი ელემენტი არის ჩვენი **კანონი.** ამგვარად, კანონი გაგებულ უნდა იქნას როგორც პიროვნებისა თუ ერის (ერის როგორც პიროვნების) თავისუფალი თვითგანსაზღვრულების გარანტი, და არა როგორც მხოლოდ შემზღუდველი პრინციპი.

თუ კანონის ცნობიერება არ არსებობს ინდივიდის დონეზე, ვერ იარსებებს ვერც ქვეშდებარე კონსენსუსი ერის დონეზე. სწორედ კანონის ცნობიერება აშუალებს ინდივიდის მიმართებას პოლიტიკურ ერთობასთან. ერთობის გრძნობა აუცილებელია იმისათვის, რომ კანონი ჩვენს კანონად აღვიქვა; მაგრამ კანონის შინაგანი ფორმის წარმოწყარქნა აუცილებელია, რომ საერთოდ აღვიქვა კანონი. როგორც ვთქვით, თუ თავს რაღაც პოლიტიკური ერთობის გარეთ ვგრძნობ, ეს მაძლევს საფუძველს **არ ვცნო** კანონი; მაგრამ თუ კანონის შინაგანი ფორმა არ გამიჩნია, მაშინ იმ შემთხვევაშიც ვერ დავინახავ აუცილებლობას, კანონს დავემორჩილო, თუ ერთობას „ღვიძილ შვილად“ მივიჩნევ თავს — რადგან ვერ დავინახავ აუცილებელ შინაგან კავშირს პოლიტიკური ერთობის რეალობასა და კანონს შორის.

კანონის ცნობიერების გარეთ **არ არსებობს** საშუალება იმაზე თანხმობისა, თუ რა არის „ერის ნება“ და რაში მდგომარეობს „ერის ინტერესი“. სავსებით ნორმალური და დასაშვებია, რომ ერის ყოველ წევრს საკუთარი განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეს მასზე. მაგრამ ამავე დროს შეიძლება სრულიად გაუგებარი იყოს, რამ უნდა შეუშალოს მას ხელი იმაში, რომ **იმოქმედოთ** საკუთარი წარმოდგენის მიხედვით, თუ ძალიან ნათლად ხედავს, რაშია „საერთო ინტერესი“. მხოლოდ კანონით განსაზღვრულმა პროცედურამ (უმრავლესობის აზრი — არჩევნებით ან რეფერენდუმით გამოვლენილი; საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო ვადაწყვეტილება და ა. შ.) შეიძლება დაადგინოს **სტატუსი** ამა თუ იმ წარმოდგენისა „საერთო ინტერესის“ შესახებ. მხოლოდ კანონის ცნობიერების შემთხვევაში შეიძლება გადაწყდეს წინააღმდეგობა იმ ორ გარემოებას შორის, რომ, ერთი მხრივ, **წარმოდგენა** საერთო ინტერესის შესახებ მრავალგვარია, ხოლო ამ საერთო ინტერესზე მიმართული რეალური მოქმედება მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. და მხოლოდ კანონს შიდა ფორმის მატარებელ ინდივიდს შეუძლია, აღიაროს „საერთო ინტერესის“ (თუ „ერის ინტერესის“ — ამ ორ ტერმინს ხინონიმურად ვხმარობ) შესახებ წარმოდგენის ესა თუ ის სტატუსი იმისდა მიუხედავად, სუბიექტურად ეთანხმება მას თუ არა. ერთადერთი ალტერნატიული მეთოდი ერის (პოლიტიკური ერთობის) **ნამდვილი ინტერესის** გამოვლენისა არის **სამოქალაქო ომი**. გასაკვირი არაა, რომ დემოკრატიული კონსენსუსის მიღწევის გზაზე სამოქალაქო ომის სტადია არაერთმა ერმა გამოიარა: ეტიკეტა, სანამ თავისი „ნამდვილი ინტერესის“ შესახებ კამათის ამ ფორმის გამოცდიდეს, ერს უჭირს კონსენსუსის მიღწევის სხვა ფორმების აღიარება.

უფნარობა პოლიტიკური ერთობის რეალობასა და კანონს შორის ხსენებული კავშირის დანაზღვისა ბადებს ერის, როგორც პოლიტიკური ერთობის, **მითოსური თვითგაბრწყინების** აუცილებლობას. პოლიტიკური ერთობის რეალობას, მის პაორგანიზებელ, ფორმის მიმნიშვნელელ პრინციპს ხედავენ არა კანონში, არამედ „ეროვნულ ენერგიაში“, „სისხლით ნათესაობაში“, ღვთისაგან მონიშვნელი „სულიერ მისიაში“ და ა. შ. ბენეფიციალია, რომ ამას ავტორიტარიზმისა და ტოტალიტარიზმის სხვადასხვა ფორმისაკენ მივყავართ, ტოტალიტარიზმი (ფაშისტური თუ კომუნისტური) არ არის რაღაც, არსობრივად განსხვავებული დემოკრატიისაგან, საკუთარ დამოუკიდებელ პრინციპზე აგებული და დემოკრატიისადმი დაპირისპირებული: ის სხვა არაფერია, თუ არა დემოკრატიული წამოწყების **მარცხის გამოხატულება**. ტოტალიტარიზმი უფსკრულია, რომელშიც დემოკრატიისაკენ მიმავალ გზაზე ვარდებიან; არც ისე ბევრი ერია, რომელმაც გზა უსაფრთხოდ განვლო.

სადაც დემოკრატიის ზემოთ აღწერილი წინაპირობა არ არსებობს, იქ დემოკრატიული სისტემის **დანერგვის** მცდელობა შედეგს ვერ გამოიღებს, ან ყოველ შემთხვევაში, იქ შედეგს ვერ გამოიღებს, რასაც დემოკრატიის წმინდად ინსტიტუციური გაგების მომხრეები ელიან. მე-20 საუკუნის დასავლური პოლიტიკური მესაინაზრის საკმაოდ წარუმატებელი ისტორია ამ თეზისის საუკეთესო დამადასტურებელია. დასავლეთის პოლიტიკური ელიტები ბევრს ეცადნენ, რომ „თეთრკანიანი ადამიანის მოვალეობა“ ბოლომდე მოეხადათ და თავიანთ ყოფილ კოლონიებში დემოკრატიული წესწყობილება დაეტოვებინათ. მაგრამ როგორც კი ეს ქვეყნები რეალურად დამოუკიდებელნი ხდებოდნენ, ყველგან, მცირე გამონაკლისის გარდა, რეპრესიული რეჟიმები ბატონდებოდა. იმავე კანონზომიერებამ თავი იჩინა სულ ბოლო წარსულის მოვლენებში, როცა ალეირის და საქართველო გვერდგვერდ აღმოჩნდნენ მსოფლიო პოლიტოლოგთა კლასიფიკაციებში, როგორც ნიმუშები ქვეყნებისა, სადაც დემოკრატიულმა პროცედურამ (არჩევნებმა) დემოკრატიისადმი ტტრული ძალები მიიყვანა (ალეირის შემთხვევაში — კანაღამ მიიყვანა) ხელისუფლებაში.

როგორ შეიძლება დემოკრატიული კონსენსუსის ეს წინაპირობა შეიქმნას? როგორც უკვე აღვნიშნე, ამის წმინდად რაციონალური გათვლა შეუძლებელია. არ არსებობს ნაბიჯების თუ ეტაპების რაღაც მიმდევრობა, რაც ბოლოს აუცილებლობით მიგვიყვანს ამ ტიპის კონსენსუსამდე. მეორე მხრივ, მას ვერც რაღაც „მისტიკური რი წვდომით“ აგზსნით. ისევე როგორც ერის მოცულობრივი ჩამოყალიბების შემთხვევაში, აქაც არსებობს რაღაც წანამძღვრები, **პირობები**, რომელთა არსებობა-აარსებობა **განსაზღვრავს** მეტნაკლებ **შანსებს** დემოკრატიული ცნობიერების ჩამოყალიბებისა. ეს პირობები შეიძლება სოციოლოგიურადაც აღიწეროს: ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, განათლების საყოველთაო გავრცელება და ა. შ. ამავე დროს ეს მხოლოდ პირობებია. რაც გინდა ხელშემწყობი იყოს პირობები, **რეალიზაცია** დემოკრატიული ცნობიერების პრინციპისა სუბიექტურ **ძალისხმევაზე**, „ერად ყოფნის“ ან ამ შემთხვევაში, დემოკრატიულ ერად ყოფნის **ნებაზეა** დამოკიდებული. ძალისხმევის, ნების ეს აუცილებელი მონაწილეობა, რის გამოც „ქვემდებარე კონსენსუსის“ ჩამოყალიბების ეს პროცესი შეუძლებელია რაციონალურად გათვლილი და პართველი იყოს.

მეორე მხრივ, აქაც გვაქვს „ბირთვისა“ და „პერიფერიის“ მიმართება. დემოკრატიული ცნობიერება (ისევე როგორც ეროვნული ცნობიერება) არ არის იმგვარი რამ, რაც ტოლად მოეფინება“ პოლიტიკური ერთობის ყველა ფენას. დემოკრატიული ცნობიერება თავდაპირველად აგრეთვე ისახება „ბირთვში“, შემდეგ კი

ხდება მისი განფენა მთელ პოლიტიკურ ერთობაზე — ანუ მთელი პოლიტიკური ერთობა ნელ-ნელა ექცევა „ბირთვის“ მიზიდულობის ველში. სოციოლოგიური თვალსაზრისით, ბირთვი ამა თუ იმ ელიტის — ინტელექტუალური, პოლიტიკური, ბიუროკრატიული, ეკონომიკური თუ სხვა — წოდში ისახება. მაგრამ არავითარი **აუცილებლობა** — არც იმისა, რომ რომელიმე ამ ელიტის ბაზაზე დემოკრატიული ცნობიერება გამომუშავდეს, და არც იმისა, რომ ეს დემოკრატიული ცნობიერება შემდეგ მთელ პოლიტიკურ ერთობას მოედოს — აკ არსებობს.

მესამეც, **მექანიზმი** დემოკრატიული ცნობიერების გავრცელებისა (აშკარადაც გვაქვს ზუსტი ანალოგი ეროვნული ცნობიერების გავრცელებასთან) არ შეიძლება იყოს არც რაციონალური დარწმუნება და არც ძალადობა. ასეთი მექანიზმია **ინფიცირება** ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, **მაგალითის ჩვენება**. დემოკრატიული ცნობიერება ვრცელდება, როდესაც მისი რაღაც-გვარი რეალიზაცია მიმზიდველი ხდება, რადგან ეს რეალიზაცია ნორმის, **ნიმუშის** როლს ასრულებს და საზოგადოებაში (უპირველეს ყოვლისა, როგორც ვთქვით, ელიტებში) ჩნდება სურველი მისი **შეთვისებისა**. ამრიგად, „ბირთვისა“ „პერიფერიის“ „დემოკრატიულ ორბიტაში“ მიზიდვის“ მექანიზმი მუშაობს არა მარტო ვერტიკალურად (ელიტება და „დანარჩენი საზოგადოება“ ერთი პოლიტიკური ერთობის შიგნით), არამედ ჰორიზონტალურადაც (დემოკრატიული ანუ „მოწინავე“, „პროგრესული“ სამყაროი და არადემოკრატიული, ანუ „ჩამორჩენილი“ ქვეყნები).

სხვაგვარად გავიმეორებ ადრე ნათქვამს: სიტყვა „მექანიზმმა“ არ უნდა შეგვაცდინოს. იგი აქ გამოხატავს ზოგად ტენდენციას, მიმართულებას. მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მიზნის მიღწევის გარანტირებულ გზას. „დემოკრატიული ცნობიერების გავრცელება“ გაცილებით უფრო რთული და მტკივნეული პროცესია, ვიდრე, ვთქვათ, წერა-კითხვის გავრცელება, და არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ მის ანალოგიურად (თუმცა სწორედ ასეთი გიგაზე საკმაოდ გავრცელებული). ეს პროცესი **ყველგან** რთული და მტკივნეულია, განსაკუთრებით კი აქ, სადაც უფრო დიდია წყვეტი „მოწინავე“ ნიმუშებზე ორიენტრებული ელიტებსა და „დანარჩენ მოსახლეობას“ ანუ, როგორც ამბობენ ხოლმე, „ხალხს“ შორის. წინაადმდეგობა ამ შემთხვევაში, ჩვეულებრივ, მწვავე და ტრაგიკულია, და მთელი დემოკრატიული წამოწყება სასოწარკვეთილსა და ხშირად ირაციონალურ სახეს იღებს, **მარცხი** კი რომელიმე რეპრესიული რეჟიმის დამყარებით აღინიშნება.

ასეთი მწვავე და ტრაგიკული კონფლიქტის ქრესტომათიული მაგალითი იყო რუსეთი, რომლის მოწინავე, „ევდასაღლეთე“ ელიტის მრავალწლიანმა მცდელობამ — დასავლური დემოკრატიული გამოცდილება გადმოენერგა, წარმატებას მიაღწია ძველი, „რეაქციული“ რეჟიმის დანგრევის პუნქტში, მაგრამ, პოზიტიური დემოკრატიული ცნობიერების სისტემის გამო, შედეგად კომუნისტური ტოტალიტარიზმის აფეთქებლები მოგვეცა. კომუნიზმის პერიოდმა ნაწილობრივ განაკითარა დემოკრატიის ხელშემწყობი ზოგადი პირობები (ურბანიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, განათლების საყოველთაო გავრცელება — ყოველივე ეს, რაც **მოდერნიზაციის** შატერიალურ, ემპირიულ გამოხატულებას წარმოადგენს), მაგრამ, ამავე დროს, თითქმის ბოლოამდე განაადგურა დემოკრატიული ცნობიერების ის უშუალო ჩანასახები (კერძო საკუთრების ინსტიტუტი, სამოქალაქო საზოგადოების ელემენტები, სამართლებრივი ცნობიერება), წინა „რეაქციული რეჟიმის“ პირობებში. რომ არსებობდა. ამიტომ ვითარება, რომელიც კომუნიზმის „დამხობის“ პერიოდში გვაქვს, mutatis mutandis იმეორებს სამოცდაათ წლის წინანდელ ვითარებას: პროდასავლური, დემოკრატიული ელიტები დემოკრატის დროშით ამხობენ ძველ (აშკერად კომუნისტურ) რეჟიმს და ბოლოდ ამის შემდეგ აღმოაჩენენ, რომ დემოკრატიის მთავარი ხელშემშლელი პირობა ყოფილა არა ეს „საზიზღარი“ რეჟიმი, არამედ თვითონ „ხალხში“ დემოკრატიული ცნობიერების არქონა. ამის ბრალი უნდა დაეკისროს, რომ თვითონ ელიტაც ამ შემთხვევაში მეტად პირობითად თუ ჩაითვლება „დემოკრატიული ცნობიერების“ ნამდვილ მატარებლად: იგი მართლაც ატარებს დემოკრატიის ზოგად **იდეას**, შეიძლება (მისი ცალკეული წარმომადგენლების სახით მაინც) ფლობდეს საფუძვლიან თეორიულ **ცოდნას** დემოკრატიულ მექანიზმების მეშობის თუ მათი წინაპირობების შესახებ, მაგრამ არა ნამდვილ **დემოკრატიულ ცნობიერებას**, რაც მხოლოდ სამოქალაქო **მოქმედების საკუთარი გამოცდილების** შედეგი შეიძლება იყოს.

ელიტის მიერ აღიარებულ დემოკრატიის ზოგად ნიმუშსა და რეალური დემოკრატიული ცნობიერების სისტემეს შორის არსებული წინააღმდეგობა იმაშიც გამოიხატება, რომ შეუძლებელი ხდება დემოკრატიული ცნობიერებისა და მოქმედებისათვის ეფექტური ბრძოლა „წმინდა“ სახით, ე. ი. საკუთრივ დემოკრატიულ იდეაზე დაყრდნობით. შედარებით „წმინდა“ დემოკრატიული რეკომენდაციები, თუკი არსებობს, იშვიათი გამონაკლისია. დემოკრატიის „დამყარება“ ხომ, განსაზღვრების თანახმად, მხოლოდ ხალხის სახელით და ხალხის მიერ შეიძლება; მაგრამ სამოქალაქო სამართლებრივი ცნობიერების სისტემის პირობებში ხალხის მასების **მობილიზაცია** საკუთრივ დემოკრატიული ლოზუნგებით მეტად ძნელია. ამიტომ, რეალურად, დემოკრატიისათვის ბრძოლა, ჩვეულებრივ, **პოპულისტური** იდეების მოშველიებით ხდება — სხვანაირად

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ხალხი არ გაგვეკვეშა". კელვე რუსეთის იმპერიის ისტორიას რომ მივმართოთ, მისი პირველი დანგრევის დროს ასეთი პოპულისტური იდეოლოგიის დროს ასრულებდა **სოციალიზმი**, ხოლო მისი მეორე დანგრევის დროს — **ნაციონალიზმი**. მოძრაობა, რომელიც უპირისპირდებოდა „ძველ რეჟიმს" დემოკრატიის პოზიციიდან, ერთ შემთხვევაში ვვეელნენებოდა როგორც **სოციალური დემოკრატია**, მეორე შემთხვევაში — როგორც **ეროვნული დემოკრატია**. თავისთავად ამ კავშირში არაფერი არანორმალური ან არაბუნებრივი არ არის: როგორც სოციალიზმის, ისე ნაციონალიზმის იდეები დემოკრატიისათვის აუცილებელ ელემენტებს (სოციალურ სამართლიანობას და დამოუკიდებლობას) წამოსწევენ წინ. მაგრამ დემოკრატიული ცნობიერების ზოგადი სისუსტე გვაჯაროობებს იმას, რომ ორივე შემთხვევაში დემოკრატიული ცნობიერებისათვის აუცილებელ ელემენტებს გამოდევნის ცნობიერების პრიმიტიული, წინარეპოლიტიკური, ყოველგვარ ფორმას მოკლებული მხარეები, რომელთაც არც ახალი სამართლებრივი შეგნება ზღუდავს და არც ტრადიციული საზოგადოების ავტორიტარულ-კომუნალური ღირებულებები: სოციალური შური და ეთნიკური სიძულვილი.

მაშასადამე, დემოკრატიული **კონსენსუსის** მიღწევის რაციონალური თეორია შეუძლებელია: შეუძლებელია, დემოკრატია თეორიულად „ისწავლო" და მერე პრაქტიკაში „დანერგო". ასევე არ შეიძლება დემოკრატიისათვის „მომზადება" იმ აზრით, რომ ამ „მომზადების" წყალობით დემოკრატიული კონსენსუსის მიღწევის პროცესი **უმტკივნეულო** გახდეს (ეს პოპულიტური არგუმენტის პასუხად: „დემოკრატიისათვის ჯერ მზად არა ვართ"). დემოკრატიის „სწავლა" — ისევე როგორც ცურვა სწავლა — შეიძლება მხოლოდ **სამოქალაქო მოქმედების პროცესში**. როგორც ძნელია, ცურვა ისწავლო წყლის ჩაუყლაპავად, ასევე ძნელია, ერმა დემოკრატია „ისწავლოს" საკუთარი სისხლის ჩაუყლაპავად. სამწუხაროდ, აქაც, ისევე როგორც ირანების სხვა საკვანძო სფეროებში, ადამიანების სწავლა მხოლოდ საკუთარ შეცდომებზე შეუძლიათ (ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები, ისევე როგორც სამოქალაქო ომები, ასეთი „შეცდომების" კერძო შემთხვევებია). მხოლოდ ასეთი შეუბრალებელი გაკვეთილებით მიღებული ცოდნა ფორმდება საკმარისად მყარი და სანდო დემოკრატიული ინსტიტუტების სისტემად.

უმრავლესობა და უმცირესობა

ქვემდებარე დემოკრატიული კონსენსუსის შექმნა გულისხმობს ერთიანი და დემოკრატიული პოლიტიკური თვითცნობიერების ჩამოყალიბებას პოლიტიკური ერთობის წევრთა უდიდეს უმრავლესობაში. ის, რაზეც აქამდე ვლაპარაკობდით, ეხებოდა (1) პოლიტიკური ერთიანობის **მიზნადასახულობას**, მისი **წევრობის** საკითხის გარკვევას, და (2) პოლიტიკური ერთობის **საერთო ინტერესის** და შესაბამისი **მოქმედების** განსაზღვრის წესს. მაგრამ აქედან ჯერ კიდევ ლოგიკურად არ გამომდინარეობს პიროვნების ან უმცირესობის ინტერესებზე ზრუნვა. პიროვნების ან უმცირესობის (ამის შემდეგ მხოლოდ **უმცირესობა**-ზე ვილაპარაკებთ, პიროვნებას კი, უბრალოდ, ზოგჯერ უმცირესობად ჩავთვლით) პრობლემა კი განსაკუთრებით ბევრ გაუგებრობას და წინააღმდეგობას იწვევს, როცა ერთმანეთს ხვდება, ერთი მხრივ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ, მეორე მხრივ კი ჩამოყალიბებული და სტაბილიზებული დემოკრატიები. კონკრეტულად ვგულისხმობ თანამედროვე დასავლური დემოკრატიებისა და კომუნისტური სამყაროს ნანგრევებზე ახალაღმოცენებული დემოკრატიების ურთიერთმიმართულს (ზნირად — ურთიერთგაუგებრობას). თანამედროვე დასავლური ცნობიერებისათვის დემოკრატიაზე ზრუნვა ნიშნავს, უპირველეს ყოვლისა, უმცირესობის უფლებებზე ზრუნვას. ახალგაზრდა პოსტკომუნისტური დემოკრატიების დემოკრატიულობა საკმაო სკეპტიკისში იწვევს დასავლეთის თვალში, რადგან ეს ქვეყნები აშკარად ვერ აკმაყოფილებენ დასავლურ სტანდარტებს უმცირესობათა უფლებებზე ზრუნვის საკითხში. მაშინაც, როცა ამ მხრივ „წესიერად იქცევიან", შიაბეგნილება იქმნება, რომ ისინი იმას უფრო დასავლეთის „ხათრით" თუ დაწოლით აკეთებენ, ვიდრე საკუთარი შინაგანი რწმენით. აქ ეკუნ ან იწვევს, რომ დასავლური საზოგადოებრივი აზრის ასეთი საგანგებო ყურადღება უმცირესობათა პრობლემისადმი ახალაღმოცენებულ დემოკრატიებში პრაქტიკულად საკმაოა და ზნეობრივად მიზანშეწონილი. მაგრამ **თეორიულად** ცალმხრივი იქნებოდა იმის თქმა, რომ უმცირესობის უფლებებზე ზრუნვის დეფიციტი დემოკრატიის დემოკრატიულობის **რაობას** ირთმევს, რომ სადაც უმცირესობის უფლებებს საკმარის გარანტიებს არ უქმნიან, იქ დემოკრატიაზე **ლაპარაკიც არ შეიძლება**. ასეთ ცალმხრივობას იწვევს ის, რომ ხოტყვა „დემოკრატია" (ადრე ეს უკვე აღვნიშნეთ) დღეს ხშირად გამოიყენება არა როგორც ასე **თუ ისე** მყარი პოლიტიკური **ტერმინი**, არამედ **როგორც შეფასებითი** დამოკიდებულების **გამომხატველი** სიტყვა. ყოველივე იმას, რაც სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში **დადებითად** აღიქმება, ეწოდება „დემოკრატიული", ხოლო „არადემოკრატიული" უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს. თანამედროვე სმაყარშო, სადაც დემოკრატიულ სავალდებულო ნორმის სტატუსი მოიპოვა, ტერმინების წყვილმა „დემოკრატიული"—„არადემოკრატიული" პრაქტიკულად განდევნა პოლიტიკური აზროვნების სფეროდან უფრო ზოგადი ტერმინებები — „სიკეთე" და „ბოროტება". მაგრამ რამდენად გამართლებული ეს, დემოკრატია ასე ან.

რიორიულად გავუთანაბროთ პოლიტიკურ სიკეთეს?

ჩერჩილს გამონათქვამი ამაზე ზემოთ უკვე მოვიტანე. უმცირესობის უფლებებზე ზრუნვა სინამდვილეში სრულიადაც არ გამომდინარეობს დემოკრატიის პრინციპიდან. დემოკრატიის პრინციპია სწორედ **უმრავლესობის ნება**, და ამით განსხვავდება დემოკრატია პოლიტიკური ძალაუფლების ყველა სხვა სისტემისგან, რომელიც უმცირესობის ძალაუფლების სხვადასხვა ფორმას წარმოადგენს. თუ უმრავლესობას მიგნებული აქვს თავისი ნების გამოხატვის და განხორციელების კანონიური ფორმა, და უმცირესობა მას ემორჩილება (ნებით თუ ძალით), ამით დემოკრატიის ძირითადი პრინციპი უკვე საკმარისადაა განხორციელებული. აქედან გამომდინარე **უმრავლესობის ტირანია** დემოკრატიისთვის რაღაც უცხო და გარეგნული რამ კი არ არის, არამედ დემოკრატიის შინაგანი საფრთხეა. დემოკრატიის **კონსერვატული კრიტიკა** „ძველი რეჟიმის" პოზიციებიდან სწორედ ამ მომენტს უსვამდა ხაზს და საესებით სამართლიანადაც. ამ კრიტიკის უსამართლობა მხოლოდ იმაშია, რომ დემოკრატიის პრინციპი, როგორც დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, უმცირესობის უფლებებისათვის წარმატებული ბრძოლის უფრო მეტ საშუალებებს იძლევა, ვიდრე რომელიმე სხვა პოლიტიკური ფორმა.

დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა არა მარტო თეორიულად არ მოითხოვს უმცირესობის უფლებებზე ზრუნვას, არამედ პრაქტიკულადაც შესაძლებელია მათი თანაარსებობა უმცირესობებისადმი „არადემოკრატიულ" დამოკიდებულებასთან. მაგალითად, ამერიკული დემოკრატია რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში იტანდა ადამიანთა მონობის სისტემას, თუმცა მონობა, ალბათ, ზნეობრივი თვალსაზრისით ყველაზე მიუღებელი ფორმაა უმცირესობებისადმი დამოკიდებულებისა ბენთ�დელ შემდეგ. იმავე ამერიკულმა დემოკრატიამ თითქმის სრული ბენთcidელ მეთოდი გამოიყენა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მიუხედავად ამისა, ადრეულ ამერიკულ დემოკრატიას არა მარტო არავინ უკარგავს დემოკრატიულობის წოდებას, მეტიც, ამერიკული დემოკრატია ყოველთვის კლასიკურად ითვლებოდა.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში, სადაც უმცირესობები არსებობენ (ისინი კი, პრაქტიკულად, ყველგან არსებობენ), მათი უფლებები საფრთხეშია — რა თქმა უნდა, სხვადასხვა ზომით. სწორედ ამ გარდუვალი საფრთხის გამო, უმცირესობის უფლებების დაცვა ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში საგანგებო და **მუდმივი** ზრუნვის საგანია. მას შემდეგ, რაც ქვემდებარე კონსენსუსი ძირითადად გაფორმდება და დემოკრატიული ინსტიტუტების მთავარი კარკასი ჩამოყალიბდება, უმცირესობათა უფლებებზე ზრუნვა დემოკრატიის **ძირითად პოლიტიკურ პრობლემად** იქცევა. ზემოთ შემთხვევით არ გამოვიმა ხაზი სიტყვისთვის „მუდმივი"; დემოკრატიის სისტემა, ყველაზე სუფეთესოც კი, **თავისთავად** არ იძლევა არავითარ გარანტიებს იმისას, რომ უმცირესობის უფლებები საიმედოდ იქნება დაცული. ამიტომ უმცირესობის პრობლემები, სანამ ისინი არსებობენ, **არ შეიძლება** „ერთხელ და სამუდამოდ" იქნეს გადაწყვეტილი („საბოლოო გადაწყვეტის" ერთადერთი ფორმა, მოგეხსენებათ, გენოციდია), მათ ხელახლა და ხელახლა გადაწყვეტას მარად განახლებადი ძალისხმევა სჭირდება. ეს არის გამიდელ, რომელიც დემოკრატიას სულ მუდამ ჩასაბარებელი აქვს.

უმცირესობის (პიროვნების) უფლებების უზრუნველყოფისთვის საჭირო ძალისხმევა არ ეკუთვნება იმავე საზრდოსნილირებულებით კოალიციას, რასაც ზოგადად დემოკრატიული წამოწყება ემყარება. ეს უკანასკნელი, როგორც ვთქვი, პრინციპულად უთავსდება უმცირესობის უფლებათა უგულებელყოფასაც. განსხვავებული ელემენტი შეგვიძლია განვსაზღვროთ როგორც **ლიბერალიზმი**. დემოკრატია, რომელსაც უმცირესობის უფლება საგანგები ზრუნვის საგნად უქცევია, არის **ლიბერალური დემოკრატია** — დემოკრატიის ის ფორმა, რაც დღეს გაბატონებულია და ზოგადისაღები ნიმუშის როლს ასრულებს მსოფლიოში.

ამისათვის, რომ უმცირესობის უფლებათა დაცვის მეტნაკლებად მყარი გარანტია არსებობდეს, საჭიროა ლიბერალური პრინციპი ქვემდებარე კონსენსუსის ელემენტად იქცეს; ე. ი. სხვა სიტყვებით — საჭიროა უმცირესობის უფლებათა დაცვის აუცილებლობაში უმრავლესობა იყოს დარწმუნებული. ამერიკის შეკავშირებულ უმცირესობას არავითარი შანსი არ ექნებოდა თავის უფლებათა დაცვისა, ამგვარი დაცვა, თეორიანად უმრავლესობას რომ არ მიაჩნდეს აუცილებლად. მაგრამ რატომ უნდა შეიქმნას ამგვარი რწმენა უმრავლესობაში? რატომ უნდა მოინდომოს უმრავლესობამ უმცირესობაზე ზრუნვა?

აქაც ისევ იმ სფეროში აღმოვჩნდებით, სადაც რაციონალური გათვლა ბევრს ვერაფერს მოგვცემს. უმრავლესობა იზრუნებს უმცირესობას უფლებებზე, თუ ჩათვლის, რომ ასეა **საჭირო**, არ არსებობს ძალა, რომელიც მას **აიძულებს** საამისოდ, რადგან დემოკრატიის უზენაესი პრაქ-

ტიკული პრინციპი არის **უმრავლესობის ნება**[1]. რაღაც **მექანიზმი**, რომელიც უმცირესობის უფლებათა პატივისცემას უმრავლესობის ნების ელემენტად აქცევს, აქაც, ისევე როგორც ზოგადად ქვეშდებარე კონსენსუსის ჩამოყალიბების შემთხვევაში, არ არსებობს, მაგრამ აქაც შეიძლება ვილაპარაკოთ რაღაც **პირობებზე**, რაც ხელს უწყობს თუ უშლის უმრავლესობის ცნებიერებაში უმცირესობისადმი კეთილგანწყობას.

ძირითადი პირობა, რაც ზრდის უმცირესობის შანსს, რომ ბილი უფლებები დაცული იყოს, არის უმრავლესობის **ძალა** და **უსაფრთხოება** და პირიქით, თუ უმრავლესობა სისუსტეს, დაუცველობას, საფრთხეს გრძნობს, მით უფრო ნაკლებია შანსი იმისა, რომ ის საჭიროდ ჩათვლის უმცირესობის უფლებათა დაცვას.

საფრთხე სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. შეიძლება არსებობდეს **საგარეო** საფრთხე რაიმე გარე ძალის მხრიდან, როცა კითხვის ქვეშ დგება ქვეყნის სუვერენიტეტი ან **ტერიტორიული** მთლიანობა. ამ დროს საზოგადოების მთელი ყურადღება ამ საგარეო საფრთხეზე ფოკუსირდება და, შესაბამისად, საგანგებო ზრუნვას უმცირესობის უფლებებზე, საუკეთესო შემთხვევაში, ნაკლები ენერგია ეთმობა (როგორც უკვე ვთქვით, უმცირესობის უფლებათა გარანტიას ყოველთვის **საგანგებო** ძალისმეგზა სჭირდება). ასეთ დროს წინა პლანზე წამოიწევს **მთელის** დაცვის, ერთიანობის, მობილიზაციის პრინციპები, რაც ერთიულს, ეკრძოს ინტერესებისათვის **ყოველთვის** მეტ-ნაკლებად საზიანოა. მაგრამ განსაკუთრებით მძიმე დღეში ვარდება უმცირესობა მაშინ, როცა არსებობს ან ივარაუდება რაიმე კავშირი მას და მოცემულ გარე საფრთხეს შორის. უმცირესობის უფლებათა დარღვევის ან უფლებებელყოფის საუკეთესო გამარლება ყოველთვის გარე მტრის (არსებულის, თუ გამოგონილის) მოშველიებაა, ხოლო კონკურენტი უმცირესობის (პირობენების) მიმართ რეპრესიების გატარება მაშინ ადვილდება, როცა ეს უმცირესობა თუ პიროვნება გარე მტრის წარმომადგენლად წარმოისახება. სტალინიც ეი თავის მტრებს წარმოადგენდა როგორც არა მხოლოდ კომუნისტური იდეის მოღალატეებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სხვა ქვეყნების ჯაშუშებს, და ამით კომუნისტი დიქტატორი ნაციონალისტი კოლეგების მეთოდებს იმეორებდა. მაგრამ სტალინს მაგალითი არც დაგვჭირდება, თუ მსოფლიოში ყველაზე სანიმუშო დემოკრატიის გამოცდილების გავიხსენებთ იაპონიის თავდასხმას ამერიკის შეერთებულ შტატებზე მეორე მსოფლიო ომის დროს მომყვა იაპონური წარმოშობის ამერიკელი მოქალაქეების ინტერნირება მხოლოდ და მხოლოდ მათი წარმოშობისათვის, რაიმე დანაშაულის გარეშე!. ეს აშკარა დარღვევა იყო ამერიკული დემოკრატიის პრინციპისა: ყველა **მოქალაქე თანასწორია** კანონის წინაშე ეთნიკური წარმოშობისდა მიუხედავად. შემდეგ, როცა ვითარება დაწყნარდა და საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ამერიკის მთავრობის ეს გადაწყვეტილება საზოგადოდ შეფასებული იქნა როგორც პრაქტიკულად არასაპირო, კონსტიტუციის საწინააღმდეგო და დაუშვებელი დემოკრატიის (**ლიბერალური** დემოკრატიის!) პრინციპებიდან გამომდინარე. განსაკუთრებულმა იაპონელმა ამერიკელებმა სარჩელებიც აღძრეს ამის გამო ამერიკის მთავრობის წინააღმდეგ, და ბოლოს პრეზიდენტმა ჩუშმა (თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ!) სა ჯარიდ ბოდიში მოუხადა მათ იმდროინდელი ამერიკული მთავრობის მოქმედების გამო. მაგრამ მაშინ, საგარეო საფრთხის აქტუალიზაციისა და საზოგადოების შესაბამისი განწყობის პირობებში, იაპონური წარმოშობის უმცირესობის დაცვა მეტად რთული იყო და ამის გამოდგა იეტრისტებსაც კი უჭირდათ. გამაკონტროლელი უმრავლესობა — „ნამდვილი ამერიკელების" ოქვეითი წარმომადგენელი თუ გაბედავდა ამაზე საკარიდ ხმის ამოღებას.

ანალოგიური სიტუაციები იქმნება საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში. საბჭოური „ცენ-

[1] „ეანასკნელ ხანს ამ საკითხისადმი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა: უმცირესობის უფლებათა დაცვა აღარ ითვლება მხოლოდ საშნაო საქმედ და მოცემული ქვეყნის დემოკრატიულმა უმრავლესობამ შეიძლება საერთაშორისო დაწოლა განიცადოს, თუ მისი დამოკიდებულება საკუთარი უმცირესობებისადმი მართებულად არ ჩაითვლება. მხოლოდ ყველაზე აშკარად რეპრესიული რეჟიმები აცხადებენ საკუთარ ქვეყნებში სამოქალაქო უფლებების დაცვის საკითხებისადმი საერთაშორისო ყურადღებას „საშნაო საქმეებში დაუშვებელ ჩარევად". გარეგანი დაწოლა შეიძლება იყოს მორალური, ხანდახან — ეკონომიკური, „ჰუმანიტარული". საკითხი შეიძლება პოლიტიკური თამაშის ელემენტად იქცეს, მაგრამ საერთაშორისო დაწოლა ჯერ არასოდეს გადასულა ნამდვილ **იძულებაში** უმცირესობის უფლებათა დამცველი მთავრობების მიმართ. ასე რომ, საბოლოოდ პაინც თვითონ უმრავლესობა უნდა **დარწმუნდეს** უმცირესობის უფლებათა დაცვის აუცილებლობაში, სადაც გარე დაწოლა მხოლოდ დარწმუნების ერთ-ერთი ფაქტორია.

გარდა ამისა, „გარე დაწოლაზე" მითითება მხოლოდ გადატანაა პრობლემისა. ან ის გარე ძალა რატომ უნდა იყოს დინტერესებული სხვა ქვეყანაში მცხოვრები უმცირესობის უფლებათა დაცვით? ასახსნელი ხომ ისაა, **საერთოდ** რატომ უნდა ზრუნავდეს რომელიმე უმრავლესობა რომელიმე უმცირესობაზე?"

[1] ამაზე იხ. Peter Irons, Justiceat Wor. New York, Oxford: Oxford University Press, 1983

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრის“ ზოგადი პოლიტიკის გამო, რომელიც რესპუბლიკების სეპარატიზმს “შიდარესპუბლიკური სეპარატიზმების მხარდაჭერით პასუხობდა, ყოველგვარი ეთნიური უმცირესობა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი რესპუბლიკების შიგნით, განსაკუთრებით — თუ იგი თავისი, თუნდაც კანონიური უფლებების დასაცავად დაძრავდა სიტყვას, განიხილებოდა როგორც „ცენტრის“ აქტუალური თუ პოტენციური მოკავშირე, მისი „მეხუთე კოლონა“, და დამოკიდებულებაც მისდამი შესაბამისი იყო. ამერიკისგან განსხვავებას აქ შეადგენს სამართლებრივი ცნობიერების უკიდურესი სისუფეტი (თუმცა, როგორც დავინახეთ, სამართლებრივი ცნობიერების მაღალ დონეს ხელი არ შეუშლია ამერიკელებისთვის, მათ შორის იურისტებისთვისაც, იაპონური წარმოშობის თანამოძმეებს აშკარად უსამართლოდ და უკანონოდ მოქცეოდნენ).

მეტიც: „გარე მტრის“ ხატის გაძლიერების შემთხვევაში (დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რამდენად ნამდვილია მტერი და რამდენად — ილუზორული) მტრის მეხუთე კოლონა სტატუსი შეიძლება მიიღოს არა მარტო ეთნიკურმა, არამედ პოლიტიკურმა უმცირესობამ — ოპოზიციამ. ამის გამოცდილება კვლავ შეგვიძლია ვიპოვოთ მსოფლიოს სანიმუშო დემოკრატიაში (მაკარტიზმი); საკმაოველოსთვის ეს აწმყოა — ან, საუკეთესო შემთხვევაში, გუშინდელი დღე: „საბჭოური საფრთხის“ ფონზე შიდა ოპოზიციაც „მტრის აგენტის“ ტერმინებით აღიქმებოდა არა მხოლოდ ხელისუფლების, არამედ მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ[1]. მაკარტიზმსა და ზეიადიზმს შორის შეიძლება გავრცელოდად დიდი განსხვავება იყოს, მაგრამ შანგანი სტრუქტურა ორივე შემთხვევაში ერთია. არ შეიძლება, ეს მოელენა რომელიმე პიროვნების ან პირთვნებათა ჯგუფის პარანოიდალური ფსიქიკის თავისებურებებს მივაწეროთ: ეს **დემოკრატიული** საზოგადოების ზოგადი პრობლემაა.

ყოველივე ზემოთქმული არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც „საფრთხეში“ მყოფი უმრავლესობის მიერ უმცირესობის უფლებათა ხელყოფის **გამართლება**. როცა საკუთარ მოქალაქეთა (ან დროებით თუ მუდმივად ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ არამოქალაქეთა) რაღაც ნაწილი მართლაც სრული პოლიტიკური ერთობის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებას, ყოველთვის არის საშუალება ამ ქმედებისადმი დაპირისპირებისა კანონიური საშუალებებით, და ასეთი დაპირისპირება „უმცირესობის უფლებათა ხელყოფად“ არ ჩაითვლება. ის, რაზეც ზემოთ ვლაპარაკობდი, ჩვეულებრივ არის **ისტერიული რეაქცია** რეალურ თუ მოჩვენებით გარე საფრთხეზე, რომელიც პროვოცირებული ხდება „შიდა მტრის“ სახეზე. ეს არის არა ადეკვატური რეაქცია საფრთხეზე, არამედ **შინაგანი სიხუტის** დემონსტრირება, ვამოწმებული ადეკვატური პასუხის პოვნის უუნარობით.

საფრთხე შეიძლება მოდიოდეს — ან დაინახებოდეს — არა მარტო გარე ძალისგან, არამედ შიგნიდანაც, ე. ი. თვით უმცირესობისგან. „პოლიტიკური ჩვენ“, რაც ქვეშდებარე პოლიტიკურ კონსენსუსს უდგეს საფუძვლად, როგორც ეთქვით, მხოლოდ რაციონალური გადაწყვეტილების აქტით არ არის შეკრული. მის შესაკერავლად აუცილებელია ერთგვარი **კულტურული ერთობა**: აქ შედის ენაც, ხანდახან — რელიგია, წარმოდგენები ცხოვრების ყოველდღიურ წესსზე, პროიორატებულ ღირებულებებზე, საერთო ისტორიულ წარსულზე და ა. შ. უმცირესობები, რომლებიც ამ კულტურული ერთობის გარეთ დგანან, როგორც ვთქვი, ნორმალურ და სასუფრველ (ცხადია, უმრავლესობისათვის სასუფრველ) შემთხვევაში ასიმილიაციას (და აკულტურაციას) განიცდიან, ე. ი. ითვისებენ იმ საერთო კულტურულ ნიშნებს, რაც პოლიტიკური ერთობის ბაზაზეა ფორმირებული. ასეთ შემთხვევაში ეს ბაზა ერთ-ერთ ინსტიტუტებად არსებობს შესაძლებლობა არის დაფუძნებული. სანამ უმცირესობათა ასიმილაციაკულტურაციის პროცესი ამ ფარგლებში მიმდინარეობს, უმრავლესობის „ქვეშდებარე კონსენსუსს“ საფრთხე არ ემუქრება და, შესაბამისად, დიდი შანსები არსებობს იმისა, რომ ამ ბაზისაგან ერთ-ერთ ინსტიტუტად ან ინსტიტუტებად ჩამოყალიბების მიმართ. მაგრამ როცა უმცირესობის წარმომადგენელთა რაოდენობა რაღაც კრიტიკულ ზღვარს მიაღწევს ან როცა უმცირესობანი იმდენად დაშორებულნი არიან „ძირითად ერთობას“ კულტურულად, რომ მათი ასიმილაცია ვერ ხერხდება, და თვით ეს ჯგუფიც არ იჩენს ასიმილაციის სურვილს, მაშინ პოლიტიკური ერთობის „ქვეშდებარე კონსენსუსი“ კითხვის ქვეშ დგება: ან პოლიტიკური ერთობის (ერის) **ერთიანობა** ხდება საეთუო, ან მეტისმეტად დიდი „უცხო“ ჯგუფის ასიმილაცია მოსაწვევს ერის კულტურულ-პოლიტიკური სახის ტრანსფორმაციას მისთვის არასასურველი მიმართულებით. ეს, ჩვეულებრივ, ანტელიბერალური ხასიათის სპასუხო რეაქციის იწვევს.

ისევ ამერიკული დემოკრატიის მაგალითს მოვიშველიებ — ამ შემთხვევაში სწორედ ამ ქვეყანაზე შეჩერება იმიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ იგი მინიშულია მრავალეთნიკური ქვეყნის ნიმუშად, „საერთო ქვაბად“, რომელშიც მრავალფეროვანი ეთნიკური მასალა ერთ ერად გადადადება. 1924 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო „იმიგრაციის შეზღუდვის აქტი“, რომელსაც „ეროვნული წარმოშობის“ აქტს უწოდებენ. მისი ძალით, ამერიკაში

[1] შესაბამისი ამერიკული გამოცდილების შესახებ იხ. Richard Hofstadter. The Paranoid Style in American Politics, — Harpers Magazine, November 1964, p. 77-86

იმიგრაცია უნდა მომზდარიყო საგანგებო ქვოტების მიხედვით, რომლებიც თავის მხრივ ასახავდა ამერიკის იმ დროისთვის არსებულ ეთნიკურ შემადგენლობას. რეალობაში ეს აქტი მიმართული იყო იქითკენ, რომ წყაბილსებინა პოტენციური „ნამდვილი ამერიკელების“ ემიგრაცია დიდ ბრიტანეთიდან და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებიდან, და არსებითად შეეზღუდა პოლონელების, იტალიელების, რუსი ებრაელების, ებერთვეი იაპონელების და სხვა აზიელთა ნაკადი, რადგან ისინი ამერიკელთა „ეროვნულ ხასიათს“ შეეკვნთ ემუქრებოდნენ. „ჩვენ ვერ შევეწმნით ჰომოგენურ მოსახლეობას ხალხისაგან, რომელიც ვერ შეერწყმის კიკეანიურ (ე. ი. თეორ — ვ. ნ.) რასას, — აცხადებდა ამ ერიკის პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი იაპონელებთან დაკავშირებით.[1]

თუმცა, იმიგრაციის შეზღუდვა, ანდა პოტენციური იმიგრანტებისადმი შერჩევითი დამოკიდებულება თავისთავად ვერ ჩაითვლება უმცირესობათა უფლებების ხელყოფად, რადგან მას მხოლოდ პოტენციურ უმცირესობებთან აქვს საქმე. აშკარად ანტიფიზიკური ტენდენციებს აქტიურური უმცირესობებისადმი უკვ რეაქცია იწვევს. კულტურულად მეტად დამორჩილული იმიგრანტების (ძირითადად, მუსლიმანების) რიცხვის მკვეთრმა ზრდამ დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ხელი შეუწყო „ანტისამეცირესმო“ განწყობილებების განვითარებას, რამაც თავი იჩინა ისეთი პოლიტიკური ჯგუფების გალიერიგბაში, რომელნიც აშკარა, ან თითქმის აშკარა, რასისტული ლოზუნგებით მოქმედებენ (ლე პენის პარტია საფრანგეთში, „ახალი რესპუბლიკელები“ გერმანიაში და ა. შ.). პოლიტიკური ერთობის ძირითადი, სახისმიმეცემა კულტურული ჯგუფის შედარებითმა შესუსტებამ და რასობრივ-კულტურული მრავალფეროვნების გაფართოებამ, „მულტიკულტურალიზმის“ საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების პოლიტიზაციამ ანალოგიური ჯგუფები გაალიერა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც (აქ მათი ლიდერია დეკიდ დუკი, რომელიც ჯერ ჯერობობით რესპუბლიკური პარტიის დროშით მოქმედებს, თუმცა ეს პარტია მას თავისიანად არ ცნობს). ამ ჯგუფების მიერ ძალაუფლების მოპოვება მეტად სახიფათოა, რადგან შეიძლება საერთაც დაანგრიონ „ქვეძიდგარე კონსენსუსი“, მასთან ერთად — დემოკრატიული სისტემა, და მთელი საზოგადოება ავტორიტარიზმის (შესაძლოა, ფაშიზმის) გზით წაიყვანონ. მაგრამ კარგად ჩამოყალიბებულ დემოკრატიულ სისტემაში უკიდურესი ჯგუფების არჩევნებში გამარჯვება, ჩვეულებრივ, ნაკლებ სავარაუდოა. მათი რეალური გავლენა სხვაგვარად გამოიხატება: იმიგრანტების საწინააღმდეგო გრძნობების გაღვიძებაში ეძიებენ უფრო ზუსტად, ცენტრისტულ პარტიებს (რომლებმაც ანგარიში უნდა გაუწიონ საზოგადოების განწყობილების შეცვლას და ამომრჩეველთა ხმები მიიზიდონ), უკიდურესი მემარჯვენე პარტიების მიერ წამოყენებული ლოზუნგები, ეტაბრივად გაწმენდილი და გაკეთილშობილებული სახით, საკუთარი პროგრამის ნაწილად აქციონ. ამის შედეგად კანონიერი იმიგრაციის შეზღუდვა და უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის არსებითი გაძლიერება დასავლეთ ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცევა. ამით ზოგადი ატმოსფერო საზოგადოებაში იმ მიმართულებით იცვლება, რომელიც ხელს არ უწყობს საზოგადოების მხრივ ყურადღების გამახვილებას უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფაზე.

ამრიგად, თვით დემოკრატიული მექანიზმები, ასე თუ ისე, ზღვარს უდებენ უმცირესობათა ექსპანსიას, თუ უმრავლესობის აზრით, პოლიტიკური ერთობის რაღაც არსებით მახასიათებლებს საგრძნობი ცვლილება ემუქრება. იმ შემთხვევაში, როცა ეს მექანიზმებიც ეფექტურად ვერ მუშაობს — ან თუ, პოლიტიკური გამოცდილების არქონის გამო, საზოგადოებას არ გააჩნია დემოკრატიული მექანიზმების რწმენა — და უმცირესობათა მხრივ მოსული საფრთხე (რეალური თუ ილუზორული) იმდენად გაიზარდა, რომ უმრავლესობა ვერაფერ, იგრძნობს საკმარის ძალას თამაშის საკუთარი წესების დასაცავად, არანაირი გარანტია არ არსებობს იმისა, რომ უკიდურესად ანტილიბერალური ძალები დემოკრატიული არჩევნების ზზით ხელისუფლებაში არ მოვლენ და დემოკრატიულ ინსტიტუტში არსებული სისტემის დანგრევას არ შეეცდებიან.

ამრიგად, უმცირესობის უფლებათა ერთადერთი რეალური გარანტი საზოგადოებაში შეიძლება იყოს უმრავლესობა; და **ძლიერი** უმრავლესობისაგან გაცილებით უფრო მოსალოდნელია, რომ იგი შეითვისებს და თანმიმდევრულად გატარებს უმცირესობის უფლებათა დაცვის პრინციპს, ვიდრე სუსტი უმრავლესობისაგან. **მარცხის განცდა**, თუ იგი გამაბატონებულ უმრავლესობას დაეუფლა, ფაშისტური ტენდენციების მომძლავრების ყველაზე ნაღდი წინაპირობაა. უმცირესობის უფლებათა შეზღუდვა, ჩვეულებრივ, უმრავლესობის **სისუსტის** ნიშანია. რაც, ცხადი, არ ნიშნავს, რომ ასეთი სისუსტე **გამართლებაა**. როგორც გარე მტრის შემთხვევაში, რეალური საფრთხის არსებობამ შეიძლება გამოიწვიოს არაადექვატური, ისტერიული თუ პარანოიდალური რეაქცია, და საკუთარი უფლებამა სათანადო პასუხის მოძებნისა განტევებენ ეაცის მოძებნაში გამოიხატოს.

გარდა უმრავლესობის სიძლიერისა (უნდა გვახსოვდეს, რომ ეს „სიძლიერე“ უშიაოლდ იმდენად ობიექტური პარამეტრებით არ გამოიხატება, რამდენადაც სუბიერი მდგომარეობით). მეორე ფაქტორი, რაც ხელს უწყობს უმცირესობის უფლებათა დაცვას, არის **სამართლებრივი**

[1] იხ. Peter Irons, დასახ. ნაშრ. გვ. 12-13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობიერების ხიძლერე. სამართლებრივ ცნობიერებაზე ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ, როგორც დემოკრატიული ქვემდებარე კონსტიტუციის აუცილებელ ელემენტზე. ისიც ვთქვეთ, რომ თავისთავად იგი არ იძლევა უმცირესობის უფლებათა დაცვის არანაირ გარანტიას, რადგან კანონებიც შეიძლება ისე შეიქმნას, რომ რომელიმე უმცირესობის შევიწროებაზე იყოს გათვლილი. და მაინც, თუკი ვილაპარაკეთ არა გარანტიებზე, არამედ შანსებზე, იმ საზოგადოებაში, სადაც კანონი კანონობს, უმცირესობის (პიროვნებას) გაცილებით მეტი შესაძლებლობა აქვს თავისი უფლებების დაცვისა, ვიდრე იქ, სადაც კანონი მხოლოდ სახელმწიფოებრიობის ფასადის და მოსახლეობის დაშინების იარაღის როლს ასრულებს. საქმე ისაა, რომ კანონი თავისი არსით მაინც **ფორმალური**ა, იგი გულისხმობს ამსტრაქტულ **სუბიექტს, იურიდიულ პირს**, და გულგრილია პიროვნების ინდივიდუალური ეარაკეთილობის მიმართ. ამიტომ რომელმე ეთნიკური ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული ზომების ფორმალური დაკანონება მხოლოდ უკიდურესი ჩაგრის შემთხვევაში შეიძლება: ასეთი დაკანონება სხვა არაფერია, თუ არა აპართეიდი, აშკარა და უხეში ჩაგრა კი, შესაბამისად, მწვავე რეაქციას იწვევს დისკრიმინირებული ჯგუფის მხრივ (რომ არაფერი ეთქვათ აპართეიდისადმი უკიდურესად უარყოფით დამოკიდებულებაზე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის დონეზე). ჩვეულებრივ, რომელიმე უმცირესობის წინააღმდეგ მიმართული კანონები აშკარად არ ახსენებენ მათ; ამ შემთხვევაში კი, რაკი კანონი ყოველთვის ზოგად-ამსტრაქტულ ფორმას ინარჩუნებს, ის მაინც უტოვებს „გასაქრომს“ ჩაგრის ობიექტად დასახულ უმცირესობას, თავდაცვის საშუალებას უტოვებს მას. გარდა ამისა, კანონის ფარგლებში განსრულებული ბული შეიფრწოდა, როგორც წესი, მაინც უფრო „ტბილი“ და ფეზიკურად ასატანი, ვიდრე ბრბოს უკანონობა. ისევ ამერიკის მაგალითი რომ გავიხსენოთ: რაც ვინდა გაუმართლებელი ყოფილიყო ამერიკის თავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეების ინტერნირება მათი იაპონური წარმოშობის გამო, მაინც ვერ შეეადარებთ იმავე ამერიკაში ადრე გავრცელებულ „ლინჩის სასამართლოს“ ან მსოფლიოს სხვა ნაწილებში გავრცელებულ სპონტანურ „პოგრომებს“.

კიდევ ერთი ფაქტორი, რის გამოც ტეზი შანსი არსებობს იმისა, რომ უმრავლესობა „კეთილ ნებას“ გამოიჩენს და უმცირესობის უფლებებს პატივს სცემს, არის უმრავლესობის ინტერესი **სტაბილურობისადმი.** სტაბილობა ის ღირებულებაა, რასაც ნებისმიერი სისტემა შინაგანად ესწრაფვის და ბუნებრივია, სტაბილობის დაცვა ამ სინტემის სუბიექტს — პოლიტიკური ერთობის სისტემოლოგიურ ინტერესებში შეიტს. პოლიტიკური სისტემის მიერ სტაბილობის შენარჩუნებას კი თავის მხრივ ხელს უწყობს ის, რომ უმცირესობას ყოველთვის ჰქონდეს საშუალება, **კანონის ფარგლებში** იბრძოლოს თავისი უფლებებისათვის. უმცირესობისათვის ასეთი საშუალების წარმოშვა პროგრამირებას უწევს მას, ბრძოლის ფორმებში საერთოდ არ შეიზღუდოს. თუ უმცირესობას პარლამენტში არ ჰყავს წარმომადგენელი, ის ქუჩაში გავა, ხოლო თუ ქუჩაში ბანელა აუკრძალეს, შეიძლება ტერორის მეთოდებს მიმართოს. ამიტომ უმრავლესობა დაინტერესებულია, უმცირესობის თავისი უფლებებისათვის ბრძოლის საშუალება მისცეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ უმრავლესობას შეიძლება მაინც ფიქრობდნენ არ ანაღიარებდეს უმცირესობის უფლებათა დაცვა ზნეობრივ-ჰუმანური მოსაზრებებით: შესაძლოა, ეს ადამიანის ბუნების მიმართ სკეპტიკურად ყოფილ ნამდვილ უფრო სიმედოა, რომ უმრავლესობის მიერ უმცირესობის უფლებების პატივსცემა **ინტერესზე** იყოს დაფუძნებული და არა მხოლოდ კეთილ ნებაზე. ოღონდ, ამ შემთხვევაშ ინტერესი შერწყმული უნდა იყოს პოლიტიკურ კულტურასთან და გამოცდილებასთან: როკა საზოგადოებას ამოძრავებს შიში, ეშეი, საკუთარი უნიათობისა და „მტრის“ ყოველსაშემძლეობის ნერვნიტა, ძალიან მცირე შანსია, მან საკუთარი ინტერესების შესაბამისი რაციონალური გადაწყვეტილება მიიღოს (ჰუმანურობისა და ღირსების მოსაზრებებზე რომ არაფერი ეთქვათ).

თუ კონკრეტულად **ეთნიკურ** უმცირესობებზე ვილაპარაკეთ, სტაბილური დემოკრატიული სისტემის პირობებში იუცილებელი არაა, მათი უფლებები უშუალოდ ამ უმცირესობის წარმომადგენლებმა დაიცვან. ასეთი დაცვის გარანტიებს, ჩვეულებრივ, იძლევა პოლიტიკური პლურალიზმი და გაპატრონებული უმრავლესობის რიგებშიც. ამომრჩეველთა მხარდაჭერისათვის ბრძოლაში პოლიტიკური პარტიები იძულებულნი არიან ეთნიკურ უმცირესობათა ხმებიც მიიზიდონ, რისთვისაც თავი მათი უფლებებისათვის შებრძოლებად უნდა წარმოადგინონ — არა მარტო წარმომადგენლნი, არამედ რეალურად მოიმოქმედონ. კიდეც რაღაც ამ მხრივ. ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ზრუნვა ისე შორს არ უნდა წავიდეს, რომ უმრავლესობის თვალში საეჭვო გამოჩნდეს.

საზოგადოდ, რაც უფრო რთული, მრავალფაქტორიანია საზოგადოების პოლიტიკური სისტემა, მით უფრო მეტი შანსი აქვს უმცირესობას (პიროვნებას), რომ თავისუფალი მოქმედების „ეკოლოგიური ნიშა“ იპოვოს. შესაბამისად, რაც უფრო პრიმიტიულია, „უმია“ პოლიტიკური ცხოვრება, მით უფრო ძნელდება უმცირესობის (პიროვნების) მდგომარეობა, მით უფრო ვიწროდება მისი სამოქმედო სივრცე. მეორე მხრივ, რაც ვინდა რთული იყოს ეს სისტემა, მისი შენარჩუნების და განვითარების შესაძლებლობა ვმყარება რაღაც თითქოს მარტივს, რაგითი მოქალაქისათვის თავისთავად ცხადს და, ამავე დროს, რაციონალური ანალიზისთვის ძნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მოსახელთებელს: იმას, რასაც პოლიტიკური ერთობის „ქვემდებარე კონსენსუსი“ ეუწოდეთ. თუ ამ კონსენსუსს წყალი შეუდგა, თუ ერთობა არსებით სისუსტეს, დაუცველობას იგრძნობს და თავის ძარცვულ, ერთი შეხედვით მარტივ პრინციპებს და ღირებულებებს უკმაღნად ჩათვლის, იგი ყოველთვის შეიძლება რომელიმე პარანოიდალურ „ფიერერს“ გაჰყვეს და დემოკრატიული ინსტიტუტების მთელი აღწერულობით ნაშენი და რაციონალურად გთვლილი სისტემა ხუთეასავით თაკზე წამოემხეს. დემოკრატიული ცნობიერება და დემოკრატიული დწუსებულებების სისტემა თანამედროვეს დასავლეთში შეიძლება ერთი შეხედვით ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული და ურყევი ჩანდეს; მაგრამ გარეგნულად ასეთი ჩანდა სახ-ჭოთა სისტემაც სულ რაღაც 6-7 წლის წინათ. ყველაზე მყარი სოციალური სისტემები ეურეწნობიან უაღრესად არასანდო ნიადაგს: ადამიანთა რწმენას, რომ მათ მომავალშიც ამ სისტემის შიგნით უნდა განაგრძონ ცხოვრება. ამიტომ ქვემდებარე დემოკრატიული კონსენსუსის გა--ნახლება და გაძლიერება მუდმივი სამოკალ-ბ ძალისმგვეს საგანი უნდა იყოს იქ, სადაც ის ჩამოყალიბებულია; მით უმეტეს დაძაბული სულიერი შრომა სჭირდება მას იქ, სადაც მისი მიღწევა ჯერ კიდევ სამომავლო მიზანია.

ᲓᲐᲡᲐᲒᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲘᲜᲘ: ᲨᲔᲛᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲣᲬᲧᲜᲐᲠᲔᲑᲚᲝᲑᲐ

დემოკრატია, განსაკუთრებით ლიბერალიზმი ჩვეულებრივ ასოცირებულია **შემწყნარებლობას-თან**, რომელსაც პოლიტიკურ ენაზე **პლურალიზმი** ჰქვია. დემოკრატიული სისტემა ატანს და ინელებს მეტად მრავალგვარ შეხედულებებს, რწმენებს, მოქმედებებს. ამიტომ გარეგნულად (განსაკუთრებით, რეპრესიული რეკიმების „ქვეშ“ მცხოვრები ადამიანების თვალში) დემოკრატია მოჩანს როგორც ერთგვარი **შეუზღუდველობა**, ხოლო ყოველგვარი რეპრესია და შეუწყნარებლობა დემოკრატიის არსის საწინააღმდეგოდ აღიქმება. მაგრამ ეს ასე არ არის. ახლახან ვთქვით, რომ რაც ჩანდა მყარი და რაციონალურად გათვლილი ჩანდეს დემოკრატიულ სისტემა, ის საბოლოოდ მაინც ემყარება რაღაც არამტკიცებულს და რაციონალურად გაუთვლელს: ადამიანთა **რწმენას**, საზოგადოების **ნებას** და **უნარს** დემოკრატიული თამაშის წესების დაცვისა — ყოველივე იმას, რასაც „ქვემდებარე კონსენსუსი“ ეუწოდეთ. ამიტომ ყოველგვარ დემოკრატია, რაც ჩანდა დიდი ეკონომიკური თუ სამხედრო წარმატებები ჰქონდეს, საბოლოოდ მაინც სუსტი და არამდგრადია. **პირობითი** ხასიათი დემოკრატიის წესებისა და ის გარემოება, რომ სწორედ ამგვარი წესების დაცვის არანორი მატერიალური აუცილებლობა არ არსებობს, ანათესავებს დემოკრატიას თამაშთან: ეუთამაშეთა ერთობას ასევე არაფერი აიძულებს, სწორედ ეს თამაში ითამაშოს, ან სწორედ ამ შემდგენლობით ითამაშოს. ხოლო მოთამაშეთა ერთობას, — როგორც ოშპან ჰოიზინგა აღნიშნავდა, — ახასიათებს განსაკუთრებული შეუწ ნარებლობა იმათ მიმართ, ვინც თამაშის წესების სისტემას საფრთხეს უქმნის, ე. ი. **თამაშის ჩამშლელია**[1]. ლიბერალურ-დემოკრატიული შემწყნარებლობა ვრცელდება მხოლოდ იმგვარ მოქმედებასა თუ აზრზე, რომელიც მალიანი სისტემისათვის საფრთხის მომტანად არ არის ჩათვლილი. მაგრამ დემოკრატიულ პოლიტიკური ერთობა, ამავე დროს, უკიდურეს შეუწყნარებლობას იჩენს იმის მიმართ, ვინც დემოკრატიული კონსენსუსის გარეთ დგას.

როგორ უნდა იქნას გაგებული საზღვარი მისაღებ თუ მიუღებელ შეხედულებებს — თუ ქმედებებს — შორის? ყველაზე უფრო მკაფიო საზღვარს დებს, რა თქმა უნდა, კანონი. ამაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. მკაფიო და განვითარებული სამართლებრივი ცნობიერების გარეშე დემოკრატია შეუძლებელია, და კანონს დაცვის სიმკაცრე დემოკრატიის განმასხვავებელი ნიშანია სხვა პოლიტიკური სისტემებისაგან, სადაც ხელისუფლება კანონზე მაღლა დგას და მას მხოლოდ იარაღად განიხილავს, რომელიც შეიძლება გამოიყენოს ან არ გამოიყენოს პოლიტიკური **მიზანშეწონილების** მიხედვით. მაგრამ ჯერ ერთი, კანონი მხოლოდ **ფორმაა**, ის მხოლოდ **ფიქსირებს** საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს დასაშვებსა და დაუშვებელზე; მეორეც, რაც ჩვენთვის ამ შემთხვევაშია მნიშვნელოვანი, ქვემდებარე კონსენსუსის ყველა ელემენტი კანონის ენაზე არ ითარგმნება და კანონის სახით ვერ ჩამოყალიბდება. არსებობს „დაუწერელი კანონებიც,“ რომელთაც პოლიტიკური ერთობა განსაკუთრებული თავგამოდებით იცავს. ჩვეულებრივ, ყოველივე ამას მოიცავენ ტერმინში „ეულტურა“ — თუმცა ეს ტერმინი, თავის მხრივ, გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობისაა და მხოლოდ სოციალურ ასპექტზე არ დაიყვანება. ეს დაუწერელი კანონები შეუძლებელია ფორმალურად დაკანონდეს, მაგრამ სამოლოოდ, „დაწერილი“ კანონები ისე იქმნება, რომ „დაუწერელთან“ შესაბამისობაში მოვიდეს. დაუწერელი კანონების სავალდებულო ხასიათი, რა თქმა უნდა, ცვალებადია; ყოველი ახალი თაობა, ისტორიული თუ ეკონომიკური ცვლილება მათ გადასინჯვასაც ახდენს. მაგრამ მაინც ყოველთვის არსებობს ნორმებისა და წესებისა, რაღაც ერთობლიობა, რაც **მოცემულ მომენტში** მოცემული საზოგადოების, მოცემული პოლიტიკური ერთობის სახეს, მის რაობას ადგენს და რისი დაცვაც საზოგადოებას აუცილებლად მიაჩნია.

ყველაზე მყიფე, არამდგრადი ელემენტი დი-

[1] ი. ჰოიზინგა, დასახ. ნაშრ., გვ. 287.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოკრატიული კონსენსუსისა, როგორც უკვე ალენიშნეთ, უმცირესობის უფლებათა დაცვა. საზოგადოებრივი ცნობიერების იმგვარი განწყობილების შენარჩუნება, რომელშეც შესაძლებელია უმცირესობის უფლებების რეალური უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ძნელია და განსაკუთრებით დიდ სულიერ ძალისხმევას მოითხოვს. ამიტომ **ლიბერალური შეუწყნარებლობის** ხარისხიც ლიბერალური კონსენსუსის აქტიურად თუ საგარაუდო დამოცვევთა მიმართ ყველაზე უფრო დიდია. ეს პარადოქსია: ლიბერალიზმის პრინციპის არსს შეადგენს (ამ შემთხვევაში) შემწყნარებლობა უმცირესობის აზრისადმი თუ მოქმედებისადმი; მაგრამ მას შემდეგ, რაც საზოგადოება მიაღწევს იმ საფეხურს, როცა ასეთი შემწყნარებლობა ქვემდებარე კონსენსუსის ელემენტად იქცევა, იგი განსაკუთრებით შეუწყნარებელი ხდება იმის მიმართ, ვინც ამ სიმწრეზე მოპოვებულ გაგებას (რეალურად თუ ვიღაცის აზრით) დაემუქრება. ლიბერალური „უმცირესობიზმი“ შეიძლება განსაკუთრებით აგრესიულ იდეოლოგიადაც იქცეს, რომელიც შეუტევს ყოველგვარ, თუნდაც კანონიერ გარეცხადებას უმცირესობის ინტერესზე. ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, გარე საფრთხისაგან თავდაცვის, უმრავლესობის კულტურულ-პოლიტიკური ტრადიციების შენარჩუნებისადმი მიმართული ყოველგვარი მსჯელობა თუ მოქმედება ასეთი ლიბერალური შეუწყნარებლობის ობიექტად იქცევა. ისევე როგორც ნებისმიერ ნორმალურ ზნეობრივ მოთხოვნას შეიძლება დაეპირთოს, შემწყნარებლობის ლიბერალური მოთხოვნა **ლიბერალურ ფარისეველობაში** გადაიზრდება, როგორც კი ის **იდეოლოგიებად** სახეს მიიღებს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეთი აგრესიული „უმცირესობისტული“ იდეოლოგიზმის გამოხატულება ეგრეთ წოდებული „პოლიტიკურად სწორი“ (politically correct) ენის ცნება. ლიბერალურად განწყობილი ინტელიგენცია, რომელიც ძირითადად საუნივერსიტეტო წრეებს წარმოადგენს, ცდილობს დაამკვიდროს ეს თუ ის ენობრივი ერთეული, რომლებიც, ჩვეულებრივ, უმცირესობებს ან ქალებს უკავშირდება (ქალებიც, როგორც წესი, უმცირესობებს უთანაბრდება, როგორც საზოგადოების „ჩაგრული ნაწილი“). ამთვალ **განსხვავებული** („პოლიტიკურად არასწორი“) სიტყვების ხმარება მოცემული ჯგუფებისადმი შეურაცხყოფილად უნდა ჩაითვალოს, ხოლო ამ „არასწორი“ სიტყვის მხმარებელს თავისთავად მიეწერება რასისტის (სექსისტის და ა. შ.) იარლიყი. მაგალითად, ზანი „პოლიტიკურად სწორ“ ენაზე არის „ფერიანი ადამიანი“, მონეულოდური რასის წარმომადგენელი — „აზიელი ამერიკელი“, ბბორტის კანონიერების მომხრე — „ქალის მხრივ არჩევანის მომხრე“ და ა. შ. ამბიგად, უმცირესობა რაღაც ნორმებს უსახავს უმრავლესობას — რისი თქმა შეიძლება და რისი არა — და, თუმცა სულიერ დონეზე, ერთგვარ **ძალადობას** სჩადის როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე **პირონენების** მიმართაც. ის, რომ მას ამ წამოწყებაში წარმატების შანსები აქვს, იოსსებისა იმით, რომ უმრავლესობის სინდისი დამძიმებულია უმცირესობების (ზანგების, ებრაელების, ქალების, ჰომოსექსუალისტების და ა. შ.) ჩაგვრის მოგონებებით. თუმცა, რაღაც ზღვრის შემდეგ, „ლიბერალურმა ტერორმა“ შეიძლება უკეთეკეკია გამოიწვიოს თვით უმცირესობების მიმართაც.

მაშასადამე, როგორც დემოკრატია (უმრავლესობის ძალაუფლება) შეიძლება გადაიზარდოს უმრავლესობის ტირანიაში, ისე ლიბერალიზმმ შეიძლება უმცირესობის სულიერი ტირანიის ნიშნები გამოავლინოს. აქ არსებობს „თავისთავად კარგი“ პრინციპი, რომლის **თანმიმდევრული** განხორციელება თავისუფლების გარანტიას მიხცემს საზოგადოებას. თავისუფლების ყველაზე სახიფათო მტრებად სწორედ პრინციპები იქცევა — როცა მათ განხორციელებას მეტისმეტად თანამიმდევრულად და „წმინდა სახით“ ცდილობენ და **იდეოლოგიებად** აყალიბებენ. საზოგადოებას სიკეთეს ვერც შემწყნარებლობის თუ შეუწყნარებლობის პრინციპები მოუტანს, თუ მა ბსოლუტურად სანდო ორიენტირად აირჩევენ. თუ როგორი უნდა იყოს მათი კონკრეტული შეხამება, რა უნდა შეიწყნაროს დემოკრატიამ და რა არ შეიწყნაროს, და როგორ შეიძლება გადმოხატოს თავისი არშეწყნარება — ამის დამდგენი რაციონალური „მეტაპრინციპი“ მით უმეტეს წარმოუდგენელია. ნორმალური დემოკრატიული კონსენსუსის საფუძველი შეიძლება იყოს მხოლოდ არისტოტელესეული prudentia ან, უფრო მარტივად, **ზომიერების გრძნობა.** ის კი მიიღწევა მხოლოდ მტკივნეული გამოცდილებით და საღი აზრით, და მისი **შენარჩუნების** გარანტია არსაოდეს არსებობს. მთავარი და პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი თეორიული დასკვნა ამასთან დაკავშირებით ისაა, რომ თეორიას აქ ბევრი ვერაფრის გაკეთება შეუძლია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ზურაბიშვილი

საქართველოს აღმოჩენა

1.

უკვე გაცვეთილ ჭეშმარიტებად იქცა ის აზრი, რომ საქართველოს, მის ისტორიას, მის კულტურას მსოფლიოში ცოდად იცნობენ. კაცმა რომ თქვას, ამაში გასაკვირიც არაფერია — აქამდე საქართველო საბჭოთა იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია იყო და ქართული ხელოვნების, მეცნიერებისა თუ სპორტის მიღწევები, როგორც წესი, საბჭოთა კავშირის, ანუ რუსეთის წარმატებად აღიქმებოდა. მაგრამ ახლა, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის პერსპექტივა რეალობად იქცა, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ: გვინდა თუ არა, მსოფლიო მაინ „გვიცნობს“. საქმე ისაა, რა სახით წარვსდგებით ცივილიზებული სამყაროს წინაშე, როგორ ჩავერთვებით მსოფლიო-კულტურულ პროცესში.

ამ პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქართული ეროვნული ცნობიერების ევროპულ ცნობიერებასთან მიმართების საკითხი.

გამოჩენილი ინდოელი მოაზროვნე ა.ბული კალამ აზადი, მსოფლიო კულტურის ისტორიიდან სამ ძირითად კონცეფციას გამოყოფს. პირველი, ეს არის ევროპული კონცეფცია, რომელიც საერთოა მთელი ევროპული კულტურისთვის. კონცეფციის ამოსავალი თვისება ადამიანის დამოკიდებულება გარესამყაროსთან. მთავარი საკითხი, რომელიც ევროპულ ცნობიერებას აინტერესებს, არის ის, თუ **რა უნდა აკეთოს ადამიანმა.** ეს კონცეფცია სათავეს იღებს ანტიკურობიდან, რაც არისტოტელემ ადამიანი განსაზღვრა, როგორც გონიერი ცხოველი. ადამიანის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად აზროვნება გამოცხადდა და, დროთა განმავლობაში სამყაროსადმი რაციონალისტური, გონებისმიერი დამოკიდებულება ევროპული ცნობიერების მთავარ ძალად იქცა.

მეორე კონცეფციაა ინდური — უფრო სწორად, ინდუისტური. ინდუიზმისთვის მთავარი თემა ადამიანის სულიერი სამყარო, მისი შინაგანი ბუნება იყო. ადამიანი წარმოდგენილია, როგორც ღვთაებრივი ნების ემანაცია, ღვთაებრივი პურუშა. ამ კონცეფციას აინტერესებს, თუ **რა არის ადამიანი** და არა მისი საქმიანობა.

და ბოლოს, მესამე კონცეფცია, რომელიც ჩინური კულტურის წიაღში მოიაზრება და მეტნაკლებად ვრცელდება მონგოლოიდური რასის მთელ განსახლებაზე. ამ კონცეფციის მიხედვით მთავარია **ადამიანური ურთიერთობები, ადამიანების ერთმანეთთან დამოკიდებულება** (ეს თვალსაზრისი განსაკუთრებით გამოკვეთილია კონფუციანელობაში).

აქ შეგვიძლია კიდევ განვაზოგადოთ და ვილაპარაკოთ საერთო აზიურ კონცეფციაზე. ზემოთაღნიშნულ განსხვავებათა მიუხედავად, ინდურ და ჩინურ ცნობიერებას **ანდაინდივიდუალისტური სულისკვეთება** აერთიანებს. აზიელისთვის გარესამყარო ღვთაებრივი მარადიულობისაგან გამოვლენაა. ყოველივე, რაც დედამიწაზე ხდება, უზენაესი ძალების მიერ წინასწარაა განსაზღვრული. ინდუიზმსა და ბუდიზმში უმნიშვნელოვანესია კარმის ცნება: ადამიანის ცხოვრება მის წინა ცხოვრებათა ლოგიკური გაგრძელებაა. უკვალოდ არ რჩება არც ერთი საქციელი. წინა ცხოვრებაში ჩადენილი ბორიტება აუცილებლად დაისჯება შემდგომ ცხოვრებაში. ადამიანს არ შეუძლია გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექცეს ბედისწერას, ამიტომ მის ინდივიდუალურ საქმიანობას, მის მიდრეკილებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ცხოვრების უკეთესად მოწყობის მცდელობა, უბრალოდ, წყლის ნაყვნა. აქედან გამომდინარე, აზიური კონცეფციის იდეალია ასკეტიზმის, ამქვეყნიდან სრული განდგომის გზით ღვთაებრივთან შერწყმა.

ამისგან განსხვავებით, ევროპული კულტურა არა მარტო რაციონალიზმისა და პოზიტივიზმის, არამედ ინდივიდუალიზმის ნიშნითაც ვითარდება. ქრისტიანობის გამარჯვებას ევროპაში შეაქვს აზიური სამყაროსგან სრულიად უცხო თავისებური არჩევანის იდეა. მეტიც, ინდივიდუალისტური ცნობიერება, უფრო სწორად, პიროვნული საწყისი ფაქტობრივად განსაზღვრავს მთელ ევროპულ კულტურას, როგორც თავისებურ, თვითმყოფად კულტურათა ერთიანობას. ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, თითქოს ქრისტიანობა უარყოფდეს ღვთაებრივ განგებულებას— წინაადმდეგობა მხოლოდ აქცენტების დონეზეა. ერთიანობის ევროპული იდეალი მრავალფეროვნებათა ერთიანობაა, აზიური იდეალი კი სრულ იდენტურობას, ანსოლუტში მთლიანად შერწყმას გულისხმობს. სუფიზმის ცნობილი ხატის (ადამიანი, როგორც პატარა ტალღა ღვთაებრივ ოკეანეში) ანალოგიურად, ევროპული იდეალი შეიცავდეთ წარმოიდგინოთ ბადის სახით, სადაც ყოველი კვანძი განუმეორებელია. რომელიმე მათგანი თუ დაირღვა, მთელი ბადე გაფუჭდება; მაგრამ, როცა ერთი ტალღის მოკვნა ოკეანეს არც კი შეეტყობა. მსოფლიოში დღეს პრაქტიკულად არ არსებობს ორი აზრი იმის თაობაზე, რომ ქრისტიანობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა ევროპული კულტურის ფორმირებაში. მართლაც, ევროპული კულტურა, როგორც ინდივიდუალისტური კულტურა, თავისი შინაარსით (მხედველობაში გვაქვს სიღრმისეული და არა იდეოლოგიური შინაარსი) ქრისტიანული კულტურაა.

ამის შემდეგ საკითხი, თუ რამდენად შეეხებამება ქართული ეროვნული ცნობიერება ევროპულს, თითქოს უნდა მოიხსნას. ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანაა. მაგრამ არის ერთი „პატარა" ნიუანსი, რომელიც სულ სხვაგვარად წარმოაჩენს ვითარებას.

როგორც ცნობილია, მე-11 საუკუნეში მოხდა ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის განყოფა კათოლიკურ და მართლმადიდებელურ ეკლესიებად. მათ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიებადაც იხსენიებენ, რაც არა მარტო გეოგრაფიულ რეალებს ასახავს, არამედ უალრესად სიმბოლურია. ის, რასაც აბუელ კალამ აზადი ევროპულ და აზიურ ცნობიერებათა კონცეპტუალურ სხვათაშორის მიჩნევდა, გარკვეულწილად ქრისტიანული რელიგიის დასავლურ და აღმოსავლურ აღმსარებლობებზეც ვრცელდება. მთავარი, რაც ისტორიულ მართლმადიდებლობას აზიურ ცნობიერებასთან აახლოებს, მისი ირაციონალიზმია. ადამიანის საქმიანობა მნიშვნელოვანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სულის გადარჩენისეკენაა მიმართული; სხვა ყველაფერი, რასაც უშუალად არ მიეკუთვნთ სულის ცხონებამდე — მეორეხარისხოვანია. ადამიანის ქმედება ასოკალიფსურ სიბრძეზე აღიქმება, ხოლო ასოკალიფსის, სამყაროს დასასრულის დროს აქქვეკნილი ცხოვრების მოწყობაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, წმინდა წესის უგულვებელია; მიწიერ მეცნიერებათა თუ ხელოვნებათა ცოდნა — ამაო გარჯა. „სიბრძნე ამა სოფლისა სიცოფე არს წინაშე ღმერთსა" (I კორ. 3,19).

ასეთი მაქსიმალიზმი და ირაციონალიზმი ფაქტობრივად მიგვავს მართლმადიდებლობას ევროპული ცნობიერებისგან, ხოლო დასავლეთის ეკლესიამ ჯერ კიდევ განაღდამდე ითვისა ევროპული რაციონალიზმის საფუძველები — ანტიკური ფილოსოფია და რომაული სამართალი. კათოლიციზმში უფრო ძლიერი იყო თვითგანვითარების იმპულსი (იგი თვით დოგმების განვითარებასაც კი აღიარებს!). ამ თვალსაზრისით, ისეთი ეპოქალური მოვლენები, როგორიცაა რენესანსი, რეფორმაცია და განმანათლებლობა, მხოლოდ კათოლიციზმის წიაღში შეიძლებოდა მომხდარიყო. ამის საპირისპიროდ, აღმოსავლეთის ეკლესიის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცენტრში — ბიზანტიის იმპერიაში ანტიკური კულტურისგან ისეთი მკვეთრი გამიჯვნა მოხდა, რომ მართლმადიდებლობის ერთ-ერთი ბურჯის, წმ. გრიგოლ ნაზიანზენის ჰიმნოლოგის უკვე VI საუკუნეში საგანგებო კომენტარები დაერთეს, რათა მკითხველისთვის გასაგები ყოფილიყო ანტიკური ალუზიები, ახე უზვად რომ გვხვდება წმ. გრიგოლთან.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკითხის დასმა, თუ რამდენად შეეხებამება ქართული ეროვნული ცნობიერება ევროპულს, არც ისე ხელოვნური მოჩანს. ქართული არქიტექტურა, ხატწერა, ჰიმნოგრაფია თუ ჰაგიოგრაფია, ანუ მთელი ქართული ქრისტიანული კულტურა ბიზანტიური ზეგავლენის აშკარა კვალს ატარებს. გარდა ამისა, ქართულ კულტურაში არსებობს არანაკლებ მძლავრი კულტურული შრე, სადაც სპარსულ და არაბულ კულტურათა გავლენები შეიგრძნობა. ეს გავლენები ძირითადად საერო ლიტერატურას ეხება; სპარსულ-არაბული მოტივები, ლექსწყობიდან დაწყებული და თემატიკით დამთავრებული, თვალსაჩინოა რუსთაველის, თეიმურაზ I-სა თუ ბესიკის შემოქმედებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ ფეოდალური ხანრთველის, ფაქტობრივად, არ ჰქონია კონტაქტები ევროპულ კულტურასთან. ძველ ხელნაწერებში ქართულ ენაზე ლათინურიდან თარგმნილი ერთი

სიტყვაც არ მოიძევება, ასე რომ, კათოლიკური ევროპის მხრიდან რაიმე კულტურულ ზეგავლენაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ერთი სიტყვით, კულტურული გავლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ისტორიულად ქართული ეროვნული ცნობიერება წმინდა აზიური უნდა იყოს და, ალბათ, ასეც იქნებოდა, თეოდალური საქართველოს კულტურა მარტოოდენ უცხოურ გავლენათა ეპიგონური ნაზავი რომ ყოფილიყო.

2.

როცა ქართულ ეროვნულ ცნობიერებაზე ვლაპარაკობთ, ძალაუნებურად მივადგებით ქართული ხასიათის პრობლემას, თუმცა ეროვნული ხასიათის, ეროვნული სულის რაციონალისტური განსაზღვრა შეუძლებელია, მას ვერანაირ ფორმულას ვერ მიუსადაგებ. „არაფერია ისაზე უფრო ძნელი, ვიდრე ამა თუ იმ ერის დახასიათება, — წერდა ცნობილი რუსი ისტორიკოსი და პუბლიცისტი გეორგი ფედოტოვი, — იგი ადვილად უჩანს უცხოს და ყოველთვის ფულგარულად ეღერს „შინაურისთვის", ვისაც კი ეროვნული ყოფის ხირთულისა და სიღრმის თუნდაც ზუნდოვანი გამოცდილება გააჩნია". ეროვნული სული მხლოდ ძის უშუალო გამოვლინებაში — ეროვნულ კულტურაში მოიაზრება.

ქართული კულტურა, როგორც ქართული ეროვნული სულის გამოვლინება, სრულიად თვითმყოფადი კულტურაა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. საქართველო ეროვნულად „მთავარნელი" ჩანს მართლმადიდებლობის ისტორიული ტრადიციიდან. ქართულ ლიტერატურაში იშვიათად შეეხვედით ასეკეზმის პროპაგანდას, ხოლო მართლმადიდებლობის ისეთი მნიშვნელოვანი თემა, როგორიცაა ანტიქრისტეს მოელინებისა და სამყაროს დასასრულის განცდა — ქართული კულტურისთვის სრულიად უცხოა. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა ამაკალიფსური განწყობილება არ შეინიშნება არც სასუფიერო, არც საერო და არც ხალხურ მემკვიდრეობაში.

ეს არ არის შემთხვევითი, ქართული ცნობიერებისთვის მიუღებელია ხორციელისა და სულიერის მკვეთრი დაპირისპირება. მისთვის გაცილებით ნიშანდობლივია სამყაროს ჰარმონიულ მთლიანობაში აღქმა. მართებულად მიუთითებდა გუნაძე ასათიანი თავის საინტერესო გამოკვლევაში „სათავეებთან": „სულისა და ხორცის ურთიერთლტოლვა, მათი შეთანხმება, შეკავშირება, შერწყმა ფუნდამენტური თვისებაა ქართველი ხალხის ესთეტიკური ბუნებისა".

გაანრნა ქრისტეფერთმა ცა რგვალი და
მიწა ხმელი.

გარშემო ზღვა შემოსხეკი, შუა დარგო
ალვის ხენი.

შიგ სამკეფლო ააშენა, მოუმართა
სამყოველი.

რკინის კეტებ დააკეთა ჯოჯოხეთის
საქცეველი.

სამი კუთხე დაიქცია, მეოთხეს რო მიჰყო
ხელი,

გიდმოუდგნენ ეშმაკები, „სიტყვა მიიხსენე
ჩვენი:

თუ მეოთხეც დაიქცეე, ლოცვა არ იქნება
შენი!"

გამობრუნდა ქრისტედმერთი, შუბლზე
გადაისვა ხელი.

მიიწმინდა ცხელი ოფლი, მიწას გაეფინა
წყენი:

— დახედე ამ რჯულძაღლებსა, რაზედ
მაპირსალეს ხელი!

ამ ხალხურ ლექსში არა მარტო შესაქმის მისტიური აქტი, არამედ სიკეთისა და ბოროტების დიალექტიკური ურთიერთკავშირიც წმინდა ადამიანური იუმორითაა აღქმული. ახეთი თავისებური ანთროპოცენტრიზმი ქართულ ხასიათს უფრო ეეროპულ ცნობიერებასთან აახლოებს, ვიდრე ბიზანტიურ ასკეტიზმთან, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, სულიერისა და ხორციელის ორგანული ერთიანობა უაღრესად ქართული თვისებაა.

„ეფეზისტყაოსანში" პოემის აღმოსავლური ორნამენტიკა და დასავლური ლაკონიზმი, ვრძნობათა სიმარბე და ზუსტი ფსიქოლოგიზმი, ღვთაებრივი განგებულება და პიროვნული არჩევანი სრულ ურთიერთთანხმობაშია, რაც, თავის მხრივ, ვირტუოზულ პოეტურ ტექნიკას ერწყმის. იგგლისელი მეცნიერის, მორის ბოურას დაკვირვებით: „ეფეზისტყაოსანი" ის ქართული ნაწარმოებია, სადაც ერთნაირად მოიხილება დასავლეთიც და აღმოსავლეთიც, მაგრამ იგი მაინც წმინდა ეროვნული ხასიათისაა.

ეს შინაგანი უნივერსალიზმი, ეს თავისებური ორმხრივობა უაღრესად ნიშანდობლივია ქართული ქრისტიანული კულტურისთვის. თვით ქართველ პოეტთა შორის ყველაზე მართლმადიდებელი პოეტი — დავით გურამიშვილი, იმავე დროს ქართული ლექსის ნოვატორი, ევროპული სალექსო ფორმების შემომტანია საქართველოში, აღარაფერს ვამბობთ მის ლაბის ბუკოლიკურ „ქაცვია მწყემსზე"! ახევე, ვახუშტი ბაგრატიონის, სულხან-საბა ორბელიანის თუ იოანე ბატონიშვილის სულიერ მემკვიდრეობაშიც აღმოსავლურისა და დასავლურის ორგანული სინთეზი წარმოსდგება, როგორც ჭეშმარიტად ქართული მსოფლშეგრძნების გამოვლინება.

თვალის ერთი გადაავლებთაც აშკარაა, რომ ქართული „ადამიანის კონცეფცია" ვერ თავსდება ვერც აღმოსავლურ და ვერც დასავლურ სისტემაში: ადამიანი, როგორც პიროვნება,

როგორც მატერიალური სამყაროს სრულუფლებიანი წევრი, და ადამიანი, როგორც ღვთაებრივი ნების ემანაცია, როგორც სახე და ხატი ღვთისა — ქართველ ცნობიერებაში ერთიმეორისგან განეყოფილია. ამავე კუთხით უნდა შევხედოთ ქართული ხასიათისა და ქრისტიანული რელიგიის ურთიერთმიმართებას: ქართველმა ერმა ქრისტიანობა მიიღო და გაითავისა, როგორც **უნივერსალური** მსოფლმხედველობა. ქრისტიანობა მისი ურთულესი, ანტინომიური დიალექტიკით ბუნებრივად მოერგო ქართველი კაცის ფსიქიკას. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოში ძალიან ზეშვიათად ყოფილა ბრძოლა ორთოდოქსიკასა და სხვადასხვა ერეტიკულ მიმართულებას შორის — ქართული სულის უნივერსალიზში გარე სამყაროსთან ჰარმონიული თანხმობის იდეალში გამოიხატება, რაც ძლიერ განსხვავდება როგორც მართლმადიდებლური ასოკალიფსურობის, ისე კათოლიკურ-პროტესტანტული ბარდაქმნის სულისკვეთებისაგან. ამიტომაც საქართველოში ისტორიული მართლმადიდებლობა მკაცრად ჩამოყალიბებულ იდეოლოგიად ვერ დამკვიდრდა და ვერც დასავლურმა რაციონალიზმმა მოიკიდა ფეხი.

ძნელია გადაჭრაბებით შეიფასოს ქრისტიანობის გავლენა ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბებაზე. ბოლოს და ბოლოს, ქართული ორიგინალური კულტურა, რითაც ახე ამაყობს დღეს ყოველი ქართველი, მთლიანად ქრისტიანული კულტურაა. წარმართული კულტურა საქართველოში არ ხასიათდება რაიმე გამოკვეთილი ეროვნული ნიშნით. მაგრამ ქართული ცნობიერების მიერ ქრისტიანობის, როგორც უნივერსალური მთლიანობის, აღქმა მხოლოდ ინტუიციის დონეზე აღსრულდა. სხვა რომ არაფერი, თვით საქართველოს პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ზენიტშიც კი ფაქტობრივად არ არსებობდა ქართული თეოლოგია და ფილოსოფია. ქართველთა შორის ქრისტიანობა უფრო შემოქმედებითი იმპულსის როლს ასრულებდა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველი ერის ისტორიული განვითარების თავისებურებები.

3.

IV საუკუნიდან ვიდრე XII საუკუნემდე საქართველოს საშეფის ისტორია თავისი იდეური შინაარსით, მართლაც, ქრისტიანობის დამკვიდრებისა და განვითარების ისტორიაა. ამ მიმართებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ურთიერთობას ბიზანტიის ერთმორწმუნე იმპერიასთან. ცნობილია, რომ ბახელწოდება „ბიზანტია“ საკმაოდ გვიანდელი ზანისაა. თვითონ ბიზანტიელები თავიანთ თავს რომაელებს უწოდებდნენ, ხოლო სახელმწიფოს — რომის იმპერიას. ამით ბიზანტიელები არამარტო ისტორიულ მემკვიდრეობას უსვამდნენ ხაზს: ტრადიციულად ქრისტიანულ ცნობიერებაში **რომი** განასახიერებდა საერთად სამყაროსა ან ზეციერ ხელისუფლებას, ხოლო **კეისარი** — უზენაეს სამოკალკო ხელისუფალს. იგივე იდეა ედო საფუძვლად კარლო დიდის სახელმწიფოს; კარლოს დიდმა თავის სამფლობელის ფრანკთა იმპერია კი არ უწოდა, არამედ **სალეთო რომის იმპერია.** თვით დანტე, თავის ტრაქტატში „მონარქიისათვის“ დარწმუნებულია, რომ უნდა არსებობდეს მხოლოდ **ერთი** ქრისტიანული სამეფო — რომის იმპერია, ხოლო რომის იმპერატორი სრულიად საქრისტიანოს იმპერატორი უნდა იყოს.

რასაკვირველია, IV საუკუნეში, საქართველოში ქრისტიანობის შემოღების დროს, კეისრის ძალაუფლების ლეგიტიმურობა მხოლოდ და მხოლოდ ბიზანტიის იმპერიის პრეროგატივაა. ბიზანტია არა მარტო რომის იმპერიის პირდაპირი მემკვიდრეა, არამედ ყველაზე მაღალგანვითარებული სახელმწიფოა მთელ ქრისტიანულ სამყაროში. ბუნებრივია, რომ ბიზანტიის კეისარი სხვა ქრისტიან ხელისუფალთა შორისაც უზენაეს ხელისუფლად მიიჩნევს თავს და, აქედან გამომდინარე, ყოველი ქრისტიანი ერის მიდრეკილება ეროვნული თვითმყოფობისკენ, საბოლოო ჯამში, ბიზანტიის იმპერიასთან კონფლიქტამდე მიდის. სერგეი ავერინცევი ამის თაობაზე შენიშნავს, რომ ბიზანტიის წინააღმდეგ „ეთნოკულტურული ანტაგონიზმები ცნობიერების ზედაპირზე ერესის სახით ვლინდება“ და მაგალითად მოქმეაეს აფრიკული დონატიზმი, აღმოსავლეთსირიული ნესტორიანელობა და სომხური, აგრეთვე, კოპტურ-ეთიოპური მონოფიზიტობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ „ეთნოკულტურული ანტაგონიზმები“ ყოველთვის ერესის ფორმას არ ღებულობს. საკმარისია გავიხსენოთ, რა სისხლისმღვრელი ომები ჰქონდა ბიზანტიას ერთმორწმუნე ბულგარეთთან (მარტო ბასილი II ბულგართმმუსრელი რად ღირს!) და, ბოლოს, ამასვე მეტყველებს საქართველო-ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობებიც.

ეს ურთიერთობები რომ არასოდეს ყოფილა დიდად კეთილმეზობლური, ისედაც საყოველთაოდაა ცნობილი. აქ მხოლოდ ერთ საინტერესო ტენდენციას მივაპყრობ მკითხველის ყურადღებას — ქართულ წყაროებში ბიზანტიელები უმეტესწილად ბერძნებად, ხოლო ბიზანტია საბერძნეთად ისხენება (თავად ბიზანტიელებს არასოდეს უწოდებიათ საკუთარი თავისთვის ბერძნები). ცნებათა ასეთი „აღრევა“ სულაც არ არის შემთხვევითი. ბიზანტიელების ბერძნებად (არა რომაელებად!) მოხსენიება, ისევე როგორც ბაგრატიონთა დინასტიის ბიბლიური დავთისგან წარმომავლობა, შორს გამოზნულ პრეტენზიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიცავს: იგი ფარული, მაგრამ საკმაოდ სერიოზული განაცხადია მთელ საქრისტიანოში უმაღლესი ხელისუფლების ლეგიტიმირებაზე. საერო ხელისუფლებას არც ეკლესია ჩამორჩება — გავიხსენოთ გიორგი მთაწმინდელის სიტყვები კონსტანტინეპოლის პატრიარქის მიმართ: „წმიდაო მეუფეო, შენ იტყვე, ვითარმედ თავისა მის მოციქულთასა პეტრეს საყდარსა ეზოო, ხოლო ჩვენ პირველფრონდუფლისა და ძმისა თვისისა მწოდებლისა ნაწილი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი. (...) შვენის ესრეთ, რათა წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თვისსა და ძმასა ანდრეასს, და რათა თქვენ ჩვენ დაგვემორჩილნეთ“.

ეს არ არის მხოლოდ მოსწრებული ნათქვამი. ეს უკვე პროგრამული განცხადებაა, ლამის ერესის ზღვარზე მისული. შეუძლებელია, გიორგი მთაწმინდელმა არ იცოდეს, რომ პეტრე მოციქული თვით მაცხოვრისა დაადენა ეკლესიის წინამძღოლად (მათ. 16, 18. იოან. 20, 15-17). მიუხედავად ამისა, იგი მაინც ხაზს უსვამს საქართველოს ეკლესიის უპირატესობას. ყოველივე ეს ცხადია მოუთიოს საქართველოს სახელმწიფოებრივ იდეოლოგიაზე, რომელიც სწორედ ხელისუფლების ლეგიტიმირების იდეოლოგიაა. სხვა პოლიტიკური იდეა ადრეული შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში საერთოდ არ არსებობს!

რაც უფრო ძლიერდება საქართველო, მით მეტად იკვეთება ლეგიტიმირების იდეა. დავით აღმაშენებელი პირველი ქართველი მეფეა, შეგნებულად რომ ამბობს უარს ბიზანტიურ ტიტულატურაზე. მე-12 საუკუნეში ქართველი მეფეები ფრესკებზე უკვე წოდები ჩქმეგნით, ანუ კეისრის ხელისუფლების სიმბოლოთი არიან გამოსახული, ხოლო საქართველოს ეკლესიის კათალიკოს-პატრიარქი „ყოველთა აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ პატრიარქად იწოდება. ეს ცარიელი ყოყოჩობა არ გვეგონოს — იმ დროისთვის საქართველო როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად მთელი საქრისტიანოს მასშტაბით უძლიერესი სახელმწიფოა.

მაგრამ სწორედ ამ დროს საქართველოში უკიდურესობამდე სუსტდება თვითდამკვიდრების იმპულსი. ლეგიტიმირების იდეა, რომელიც ქართველი ერის პოლიტიკური და კულტურული განვითარების იდეოლოგიური საფუძველი იყო, უკვე პრაქტიკულადაა განხორციელებული. ამის შემდეგ ლეგიტიმირების იდეა ან რაიე სხვა იდეით უნდა შეიცვალოს, როგორც ეს ევროპაში მოხდა, ან, რუსეთის მსგავსად, პირწმინდად იმპერიალისტურ იდეად გარდაიქმნას. მხლოდ ამ შემთხვევაში შეიძენდა საქართველო ეროვნული წინსვლისთვის სასიცოცხლო იმპულსს. მაგრამ არც ერთი მოხდა და არც მეორე, თუმცა პირველი ნახევები ორივე მიმართულებით გადაიდგა.

მართალია, XII საუკუნეში საქართველო, იხევე როგორც ნებისმიერი ძლიერი ფეოდალური სახელმწიფო, უკვე იმპერიაა, ხოლო თამარ მეფისა და ლაშა გიორგის დროს უკვე შეინიშნება გარკვეული სამზადისი შორს გაბიზნესული ექსპანსიისთვის, მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველი კაცის ფსიქიკაა უცხოურ გავლენათა მოგერიების, საკუთარი თვითმყოფობის დამკვიდრებისკენ იყო მიმართული. იმპერიალისტური პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ისტორიული განვითარების წარმმართველ ტენდენციას. ყოველივე ამის გამო ქართული იმპერიალიზმი ინთავითვე განწირული იყო, მაგრამ ვერც მისი სანაცვლო იდეა გამოიძებნა. ურთულუ-არსლანის „პარლამენტური შეთქმულება“ საქართველოს ისტორიაში ეპიზოდად დარჩა. მან ვერ შეიძინა ისეთი მნიშვნელობა, როგორიც, მაგალითად, ინგლისის დიდება ქარტიამ. იდეოლოგიის ფფერაში თვითხორციად ახალი ნახევის გადადგმა უკვე პირწმინდად ევროპულ თვისებას — საკუთარი კულტურის კრიტიკულ გადაფასებას მოითხოვდა, რისთვისაც ქართული ცნობიერება ჯერ კიდევ არ იყო მზად. კრიტიკიზმი შედგივ ძიებას, ძველის უარყოფას და ახლის დამკვიდრებას გულისხმობს, ქართულ ფასიანში კი ყოველთვის არსებობდა კონფორმიზმის სიფრთხე. მართლაც, ქართველებს ტრადიციულად არ სწყვიათ საკუთარ ნაკლოვანებებზე უურადღების გამახვილება; ისიც საგულისხმოა, რომ თვით ქართულ სასულიერო ლიტერატურაშიც კი იშვიათია ცოდვათა მონანიების მოტივი. ამ მხრივ დავით აღმაშენებლის „გალობანანი სინანულისანი“ უკეთესზე „არაქართულ ნაწარმოებად“ შეიძლება ჩაითვალოს! იგი ტიპური ზოგადქრისტიანული მსოფლმხედველობისთვის, მაგრამ იმდენად არატიპური ქართული ტრადიციისთვის, რომ ქართველები დღემდე სერიოზულად მსჯელობენ, თუ რა ჰქონდა ამისთანა სანანებელი ისეთ ზნეოსანს ადამიანს, როგორიც დავით აღმაშენებელი იყო..

თვითდამკვიდრების იმპულსის ჩაქრობა, თავისი შედეგებით, დიმენტრეული აღმოჩნდა საქართველოსთვის. პასიური შემგუებლობა კულტურულ ძიებათა დამუხრუჭებას, მთელი ეროვნული ყოფის სტაგნაციას იწვევს, რაც, თავის მხრივ, ეროვნულ დეგრადაციაში გადაიზრდება. არსებობს გავრცელებული აზრი, თითქოს მონღოლების შემოსევა რომ არა, საქართველო კიდევ დიდხანს განაგრძობდა ბედნიერ ზეობას. მაგრამ ჯერ კიდევ მონღოლებამდე ქართველები სრულიად მოუშუბდებულად ხვდებიან ჯელალედინის ლაშქრობას, ხოლო „მონ-

ღოლების შემდეგ“ გიორგი ბრწყინვალის მიერ „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ აღდგენილი საქართველო ასევე მოუმზადებელი ხვდება თემურლენგის შემოსევას. ასეთ ფატალურ მოუმზადებლობას ვერანაირ გარეშე ძალას ვერ დავაბრალებთ. სწორედ ეროვნული თვითდამკვიდრების იდეის კრიზისი, იდეისა, ასე მოხერხებულად რომ მართავდა ქართულ სახელმწიფო ხომალდს ხანრსულ-არაბულ სელჩუკა და ბიზანტიურ ქრიზდას შორის, გახდა საქართველოს სამეფოს დაკნინების მთავარი მიზეზი!

კრიზისული ვითარება კიდევ უფრო ღრმავდება XV საუკუნეში, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, როცა საქართველო მთლიანად ისლამურ გარემოცვაში რჩება.

თუმცა ბიზანტიას საქართველოს მიმართ მუდამ გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა, მას არასოდეს მოსვლია აზრად ერთმორწმუნე მეზობლის რელიგიის ხელყოფა. ქრისტიანობას, როგორც ქართული ეროვნული ცნობიერების იდეოლოგიურ საყრდენს, არსებობა, ასე თუ ისე, გარანტირებული ჰქონდა.

ისლამურმა ქვეყნებმა კი თავიანთი მახვილი, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქრისტიანობისკენ მიმართეს, რითაც სახსკვდილო საფრთხე დაემუქრა თვით ქართველი ერის არსებობას. საქმე ისაა, რომ ფეოდალიზმის დროს არ არსებობს „ეროვნული შეგნება“ იმ სახით, როგორც ეს დღეს გვესმის. ფეოდალურ ცნობიერებაში ეროვნულობას ძირითადად სარწმუნოება განსაზღვრავს და სარწმუნოების გამოცვლა, ფატალობრივად, ეროვნების გამოცვლას უდრის. ფუნებრივია, ქართველი ერი ნება-ყოფლობით ვერ შეურიგდებოდა სიკვდილს — საქართველო იბრძოდა, მაგრამ ეს იყო უკვე არა თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლა, არამედ ბრძოლა არსებობისთვის!

ამ თითქმის ოთხასწლიანი ბრძოლის განმავლობაში ქრისტიანობა საქართველოში კარგავს კულტურისადმი კატალიზატორის თვისებას და ეროვნულობის სიმბოლო უფრო, ვიდრე ეროვნული იდეოლოგიისა და კულტურის წარმართველი ძალა. სხვანაირად რომ ვთქვათ, ქრისტიანობა საქართველოს ჯერ კიდევ აცოცხლებს, მაგრამ უკვე ველარ აცხოვრებს. თუკი XII საუკუნედან საქართველოს ელჩეთის მესვეურები ისაჯდროულად ქართული კულტურის მთავარი იდეოლოგებიც არიან, XVII-XVIII საუკუნეებში კულტურული ცხოვრების ერთგვარი გამოცოცხლება პრიდასავლური ორიენტაციის რელიგიურ „დისიდენტებთან“ — ხოფნანსა-ნასა ორბელიანთან და ანტონ I კათალიკოსთანაა დაკავშირებული.

სწორედ ეროვნული ცნობიერების ყოველმხრივმა დაკნინებამ, კულტურული თვალსაწიერის დავიწროებამ განსაზღვრა ის უგნური პოლიტიკა რუსეთის მიმართ, რამაც ათას ქარიშხალს ყადარჩენილი ქართული სახელმწიფოებრიობა დაამხო. საქართველოს გამოფიტული ორგანიზმისთვის ერთმორწმუნეობის ფაქტორი იმდენად დაუძლეველი ხიბლი აღმოჩნდა, რომ რუსეთის იმპერიას არც ქვეყნის ანექსია გასჯარებია დადად და არც მისი ერთმორწმუნე ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება...

4.

XIX საუკუნეში, რუსეთთან შეერთების შემდეგ, ქართული ყოფა სულ უფრო ევროპეიზირებული ხდება. ცნობილია, თუ რა მძიმედ წარიმართა ეს პროცესი რუსეთში; იგი პეტრე I-ის რეფორმებით დაიწყო. მოსკოველი რუსეთი ბიბრწინდად აზიური ტიპის სახელმწიფო იყო და რუსი ხალხისთვის ევროპული ცხოვრების წესი იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა, რომ პეტრე I რუსულ ფოდალურში ანტიქრისტედ იხსენიება! ამისგან განსხვავებით, საქართველოში ფეოდალური, პატრიარქალური ყოფის ევროპულ ყაიდაზე გარდაქმნა სრულიად უმტკივნეულად მოხდა. რუსეთის ანალოგიით, საქართველოში არ მომხდარა პოლარიზაცია ევროპეიზირებულ ინტელიგენციასა და აზიატურ ველუბოსს შორის. მთელი ქართული კულტურა ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად გადადის ევროპეიზმის რელსებზე. მაგრამ ყოველივე ეს იწყება დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, როცა საქართველო არსებითად პროვინციაა როგორც პოლიტიკური, ისე კულტურული თვალსაზრისით. ქართული ყოფის ევროპეიზაცია, ევროპულ კულტურასთან ზიარება ეროვნული ცნობიერების კანონზომიერი განვითარებით კი არაა გამოწვეული, არამედ რუსეთის კულტურული ექსპანსიის ფონზე, გარკვეული ფილტრაციის სახით მიმდინარეობს. ეს რთული და მრავალმხრივი პროცესი ცალკე ანალიზს მოითხოვს, ჩვენ მხოლოდ იმას ავღნიშნავთ, რომ ამ პირობებში ქართული კულტურა, თავისი შინაარსით, ტიპურ პროვინციულ კულტურად ყალიბდება. საქართველო მოკლებული კულტურულ პროცესზე სახელმწიფოებრივი ზემოქმედების საშუალებას, მოწყვეტილია მსოფლიო კულტურულ ორბიტას. ეროვნული ცნობიერება იმდენად პროვინციალიზირებულია, რომ საკუთარი სიღრმისეული მასზტაბების აღქმაც კი უჭირს. შემთხვევითი არ არის, რომ ახალი დროის უდიდესი ქართველი პოეტი, ვაჟა-ფშაველი, პრაქტიკულად ვერანაირ გაელვესან ვერ ანდენს მიმდინარე კულტურულ პროცესზე. ასევე უმეჩკვიდრიდ დაგეგო ილია ჭავჭავაძე, რომელიც თავისი ინტელექტუალურ-კულტურული დონით ათი თავით მაღლა იდგა თანამედროვეობაზე. ყოველი პიროვნება, რომელშიაც ქართული სული მეტ-ნაკლები სისრულით ცხადდება, მარტოობისთვისაა განწირული. მას არა ჰყავს მიმდევრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოწყეები, როგორც ადრე გრიგოლ ხანძთელსა და გიორგი მთაწმინდელს; იგი ვერ ჰქმნის თავის სკოლას; მისი მოღვაწეობა შეაჩერებს ეროვნულ ცხოვრებას ამსახურებს, მაგრამ არავინ ჩანს მისი საქმის გამგრძელებელი. არჩილ ჯორჯაძისა და გერონტი ქიქოძის ზედაპირული ევროპეიზმი ქართული ყოფისთვის გაცილებით ორგანული მოვლენაა, ვიდრე ილია ჭავჭავაძის ღრმად ეროვნული უნივერსალიზმი. უნივერსალური ცნობიერება ქართველთა შორის მხოლოდ პოტენციის სახით არსებობს და ცალკეულ მაღალნიჭიერ პიროვნებებში ელინდება...

არსებითად ასეთივე ვითარებაა XX საუკუნეშიც. დამოუკიდებლობის სამწლიანმა პერიოდმა ერთის უმნიშვნელო გაფლენა მოახდინა ქართული ყოფის განვითარებაზე, რადგან იგი უფრო გარემოებათა ბედნიერი დამთხვევის ნაყოფი იყო, ვიდრე მიზანდასახული პოლიტიკური ძალისხმევის შედეგი. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ილია ჭავჭავაძისა და ვეფ-ეშველის სულიერი მემკვიდრეობა კვლავ მიუწვდომელ მწვერვალებად რჩება და, თუმცა საშუალო კულტურული დონე აშკარად მაღლდება, იგი მაინც არ გასცილებია პროვინციალიზმის ჩარჩოებს.

ერთადერთი იდეა, რითაც მთლიანად განმსჭვალულია XIX-XX საუკუნეების ქართული კულტურა, ეროვნული თავისუფლების იდეაა. ესაა, „რასაც ნატრულობს ჩუმის ნატვრითა ქართველი". გარდასული დიდებაზე დარდი, წარსულის გმირთა პოლოგია, სამშობლოს მხარისადმი სიყვარულის გამდღვნება — საქართველოში კულტურული პროცესის თავადი ტენდენციაა. ეს ბუნებრივია — დაკარობილ ქვეყანაში თავისუფლებაზე ფიქრი ხომ მართლაც უცარელესი საზრნაცია. მაგრამ აქ აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს იდეალი, თავისი არსით, მხოლოდ მანამდეა ცხოველმყოფელი, სანამ მასობრივ ცნობიერებაში გაჯდება, როგორც პოლიტიკური იდეა. გარდა ამისა, ეროვნული თავისუფლებისაკენ სწრაფვა, თავისთავად მეტად კეთილშობილური და ნათელი ბრძნობა, პრაქტიკულად ვერანაირ გავლენას ვერ ახდენს პროვინციულ ცნობიერებაზე თუნდაც იმის გამო, რომ ჯართული ეროვნული ცნობიერების პროვინციალიზაცია, ანუ დაქნინება, დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზია და არა შედეგი.

მათემატიკის ენით თუ ვიტყვით, დამოუკიდებლობა საქართველოს სულიერი და მატერიალური აღორძინებისთვის თუმცა აუცილებელი, მაგრამ მაინც არასაკმარისი პირობაა. ქართული ეროვნული ცნობიერება დღესდღეობით ძლიერ პროვინციალიზებულია და ეს არც არის გასაკვირი, ცნობიერების პროვინციალიზაციის პროცესი საქართველოში თითქმის ექვსასი წლის წინათ დაიწყო და დიდ საფრთხეს უქადის მომავალ, დამოუკიდებელ საქართველოს. საფრთხეს, რაც შეიძენება ბოლოშიდა არცა გვაქვს გაცნობიერებული. თუკი რუსეთი ერთგვარი ჭეშტარი იყო საქართველოსა და ევროპას შორის, ამ ჭეშტარის გარდუვალი დანგრევა, საქართველოში ევროპული ცივილიზაციის შემოჭრა მთელი თავისი ავ-კარგით, შესაძლოა, არც ისე ადვილად მოსანელებელი აღმოჩნდეს. ქართველი კაცი შეუჭვეველია ცხოვრები სწრაფ რიტმს, ფასეულობათა განუწყვეტელ გადაფასებას, მოვლენათა ელვისებურ ცვლილებებს, რაც ევროპული ცნობიერებისთვის უაღრესად ორგანულია. ევროპულთან ქართული მენტალიტეტის მიმართება არ არის მარტივი და ერთმნიშვნელოვანი: ჩვენ ბარ ვართ ისეთი წმინდა ევროპელები, როგორც, მაგალითად, ესტონელები და არც ისეთი აზიელები, როგორც ტაჯიკები. საკმარისია ბალტიისა თუ შუა აზიის ერებმა მოიპოვონ დამოუკიდებლობა, რომ მაშინვე საკუთარი ეროვნული ცნობიერების შესაბამის არეალში აღმოჩნდებიან, საქართველოსთვის კი ეს შეუძლებელია. ძალიან მაღალფარდოვანი ნათქვამი გამოგვდის, მაგრამ ფაქტია—ქართული ეროვნული ცნობიერების უნივერსალურ ბუნებას ანალოგი არ მოეძებნებვა. სხვათა შორის, დღეს საქართველოში სხვადასხვა მიზეზისა გამო ხშირად გაისმის ჩივილი, რომ ჩვენ „ობოლი ერი ვართ" და „ჩვენი პატრონი აქვეყნად არავინაა". ამგვარი მტკიცება ღიმილისმოგვრელია კიდ — ერი ხომ პატარა ბავშვი არ არის, შშობელი ან აღმზრდელი სჭირდებოდეს! თუმცა ესეც ეროვნული თვითმეყოფობის, ეროვნული უნიკალობის ბუნდოვანი გაცდაა, რაც ენეტატკური კოდივით ძევს ყოველ ქართველში...

მაგრამ თუკი ევროპულ ცივილიზაციასთან ზიარება არცთუ უხიფათოა, საკუთარი გამორჩეულობით უაზრო თავმოწონება და ეროვნულობის საბაბით თვითიზოლაციისკენ მიდრეკილება, უბრალოდ, ფლეფუვალია. ევროპული კულტურა ერთადერთი კულტურაა, განვლილი გზის კრიტიკული შეფასება და ახალი გზების გამონახვა რომ ხელეწოფება. მხოლოდ ევროპულ კულტურას აქვს თვითგანვითარების იმპულსი — იმპულსი, რაც აგრერიგადაა საჭირო ნებისმიერი ერისთვის.

ვფიქრობთ, საქართველო მხოლოდ მაშინ დაიკავებს ღირსეულ ადგილს მსოფლიოს ცივილიზებულ ერებს შორის, თუ კვლავ აღორძინებს თავის თავში ეროვნული თვითდამკვიდრების იდეას თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური და კულტურული ვითარების შესაბამისად. ეს კი ხოლოდ ევროპეიზმის პრინციპების შემოქმედებითი ათვისებით, ევროპული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივილიზაციის გათავისებითაა შესაძლებელი. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოხდება ქართული ეროვნული ცნობიერების უნივერსალური პოტენციის გახსნა. პირდაპირ უნდა ითქვას: თანამედროვე ქართული საზოგადოების ინტელექტუალურ-კულტურული დონე უკიდურესად დაბალია და ეს დაბალი დონე რაიმე გარეშე ზემოქმედების ბრალი კი არ არის, არამედ, უპირველესად, საქართველოს ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგია.

დღეს საქართველო მძიმე არჩევანის წინაშე დგას. შორეული კი არა, უახლესი წარსული მიმართ არ ოგრძნობა სალი, კრიტიკული მიდგომის ნასახი. „მაშინ სხვა დრო იყო“ და „მაშინ ასე იყო საჭირო“ ყველაზე პოპულარული (და ქმედითი!) არგუმენტია ნებისმიერი სულმდაბლობის გასამართლებლად, ხოლო ეროვნულ ცნობიერებაში გაბატონებული სტერეოტიპის მიხედვით, საქართველოს ისტორია, ფაქტობრივად, ძლიერი და სუსტი მეფეების ისტორია. ისტორიული პროცესის შინაარსი მხოლოდ და მხოლოდ პიროვნულ ფაქტორამდე დაიყვანება. არადა, დღეს იმის იმედად ყოფნა, რომ მოვა ეიღაც „დიდი კაცი“ და ყველაფერს უჩვენოდ მოაგვარებს — საკმაოდ სასიფთო ილუზიაა. გამომშრალ ნიადაგზე არანაირი ნერგი არ ხარობს. ამგვარი განწყობის ლოგიკური შედეგი ისაა, რომ ადრე თუ გვიან გამოჩნდება ვინმე, ცხვრის ტყავში გახვეული, უმარტივესი დემაგოგიის წყალობით რომ მოეკლინება ხალხს, როგორც მესია და იმეფებს, როგორც ანტიქრისტე. სულიერი პროფესიონალიზმი ის მძიმნარე გონებაა, ურჩხულებს რომ ბადებს!..

რაც შეეხება მომავალს, ეროვნული თვითდამკვიდრების იდეის, ბერდიაევის ანალოგიით რომ ვთქვათ, **ქართული იდეის.** აღორძინება ის უმთავრესი ამოცანაა, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე დგება. ახეთი ამოცანა, რა თქმა უნდა, უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს. ქართული ცნობიერება დღეს ლამის მითოლოგიზირებულია, აუცილებელია საქართველოს მთელი კულტურული მემკვიდრეობის კონცეპტუალური გადააზრება, ხოლო ინტელექტუალურ ძიებათა პარალელურად არანაკლებ აუცილებელია გონივრული კულტურული პოლიტიკის გატარება — ცნობილ ფრაზას თუ მოვიშველიებთ, დღეს ვზე ჩრდილოეთიდან კი არა, დასავლეთიდან ამოდის. თანამედროვე მსოფლიოში მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, რომ ყოველი უქმად დაკარგული დღე შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს. ჭერჭერობით კი მაკსიმუმი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ისაა, რომ ღრმად გავაცნობიეროთ დღევანდელი მდგომარეობა და აქტიურად ვეძებოთ გამოსავალი... ოქნე მერე აღარავინ დაჩივლის, უპატრონო ერი ვართ, არ გვიცნობენო — კულტურული სამყარო ერთხელ და სამუდამოდ „აღმოაჩენს“ საქართველოს.

საქართველოს აღმოჩენა ჯერ კიდევ წინაა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუდუ დეკანოიძე

პოლიტიკა და ხალხური ზეპირსიტყვიერება

ხალხური ზეპირსიტყვიერება იმ ადამიანური ცნობიერების „ნაყოფია", რომელშიც ერთმანეთისაგან შერწყმული ყოველდღიური საჭიროებანი ზეიმებსა და ფანტაზია. თავიანთი გონებრივი შესაძლებლობებით უწინდელი და დღევანდელი ადამიანები ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან. ეგაა მხოლოდ, რომ ახლა ადამიანებს მეტი გამოცდილება და მეცნიერული ცოდნა აქვთ დაგროვილი, რაც საფუძველად უდევს მათ საქმიანობას და შრომას უფრო ეფექტურს ხდის. წინათ კი, მით უფრო ძველ დროში, ადამიანთა საქმიანობა თითქმის მთლიანად გამოცდილებას ეფყარებოდა და შრომაც ნაკლებ ეფექტური იყო. სამაგიეროდ მაშინ ადამიანთა ფანტაზიას ჰქონდა უსაზღვრო გასაქანი, რადგან იგი შემოკიდული არ იყო იმ ურაცხვი ინფორმაციით, რომელის აღქმას ძლიერსა ახერხებს ადამიანის გონება. ფანტაზიის უსაზღვრო ძალით დაფრინავდა ცაში ადამიანი; ფრინავ ხალიჩაზე თუ რაშზე გადამჯდარი ხერავდა სიერცეებს, ამარცხებდა ბოროტ ძალებს და ტყვეობიდან თავისუფლებდა მზეთუნახავს.

რას და ვის არ შეხვდებით ფოლკლორის სამყაროში: ედემის ბაღებს, ჯადოსნურ სუფრას, ღვეზებთან მებრძოლ ნაცარქექიას და ცეროდენას, კუდიან დედაბერს და კეთილშობილ წეკარას. ადამიანები სინამდვილისადმი დამოკიდებულებას ყველა დროში ამის მიხედვით განსაზღვრავენ, როგორადაც მათ შეცნობილი აქვთ ყოფიერება. ამიტომ ფოლკლორი ცხოვრებისეულ სურათებს, ბუნების თუ საზოგადოების, სამეურნეო თუ სულიერი ყოფის მოვლენებს ხან უშუალოდ გვიხატავს, ხან კი მითისა თუ ზღაპრის სამოსელში ხვევს, რაც ნაამბობს ინტერესსა და მომხიბვლელობას მატებს. ადამიანის ფანტაზიამ ძველი ყოფის სურათები მითებად და ზღაპრებად აქცია.

ამ საოცარ ზღაპრულ სამყაროს ქმნის ის ადამიანური, ყოველდღიური ცნობიერება, რომელიც გამოცდილებითა და პრაქტიკით საზრდოობს. თითქოს საიდან ეძლევა მის ფანტაზიას ასეთი ძალა, როცა მთელი მისი არსება, მისი ცნობიერება ყოველდღიური საჭიროებისათვის ზრუნვას დაუმონებია. მაგრამ, სინამდვილეში, ადამიანებს იმდენად თავიანთი ბეჩავი ყოფა არ აწუხებთ, რამდენადაც თავისუფლებისაკენ სწრაფვა ასულდგმულებთ. ხნავენ თუ მკიან, იბრძვიან თუ ზეიმობენ, ადამიანები ქვეცნობიერად სხვა სამყაროზე ოცნებობენ. ლაი და თავისუფალი იყო მათი ფანტაზია და ლამაზ სურათებსაც თხზავდა მანამდე, ვიდრე მოძალებული მეცნიერული ცოდნა და პოლიტიკური იდეები ფრთებს შეაკვეცდა მათ აღმაფრენებს.

თუმცა ადამიანთა ყოველდღიურობა აღსავსეა ათასგვარი წვრილმანი პრობლემით, რაც სიმძიმილს უნდა იწვევდეს, ადამიანები მომავალს იმედის თვალით შეპყურებდნენ. ეპოქიზმი ხალხური ზეპირსიტყვიერებისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი. თავიანთ ბერავ ყოფასთან სიტყვით მებრძოლი ადამიანები, საჭიროებისას უშიშრად ებმებოდნენ ნამდვილ ბრძოლაში, თხზავდნენ ზალაღებს არსებულ თუ არარსებულ გმირებზე და მათ ეტოლებოდნენ. რაც უფრო მრავალგვარი და რთული ხდებოდა ცხოვრება, მით მრავალფეროვანი და უფრო პოლიტიზირებული იყო ზეპირსიტყვიერება.

ჩვეულებრივი ცნობიერება თავისთავადობით ხასიათდება, ამიტომ ძნელად ეგუება თეორიულ იდეებს და ნაკლებ დაყოლია სიახლისადმი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ განიცდის პოლიტიკოს, სამართლის, რელიგიის, ენიერების და სხვათა ზემოქმედებას. განსაკუთრებით მგრძნობიარეა იგი ცხოვრებისეულ პრობლემებთან დაკავშირებული იდეებისა და შეხედულებების მიმართ. უფრო მეტიც — ათასნაირ ისტორიულ პირობებში და სიტუაციებში ამ იდეებმა შეიძლება მნიშვნელოვანი გარდატეხაც კი მოიგონონ ჩვეულებრივ ცნობიერების შინაარსში.

რა თქმა უნდა, ადამიანთა ცნობიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაქმნა ერთბაშად და ადვილად არ ხდება. ეს პროცესი ყოველთვის ძნელად მიმდინარეობს, რადგან ადამიანები არაფერს ისე მტკივნეულად არ განიცდიან, როგორც საკუთარი სულიერი სამყაროს შეცვლას. მათ უჭირთ, აშინებთ თავიანთი შინაგანი სამყაროს დანგრევა, მით უფრო, როცა მომავლის პერსპექტივა ბუნდოვანია.

რაცა ჩვეულებრივ ცნობიერებას იძულებთ თავს აუკეთებ ახალ იდეებს, რომლებიც მას სრულიადოდილად არ აქვს გაცნობიერებული, იგი იძულებულია მოჩვენებითი მორჩილება გამოაშიგაანოს მისაგები. ამ მოჩვენებითობით ეშიკმალულია ის წინააღმდეგობა, რაც ფეკტობრივად არსებობს ჩვეულებრივ ცნობიერებასა და თავსმოსეულ იდეებს შორის. თავდაპირველად ჩვეულებრივი ცნობიერება ცდილობს კომპრომისი მონახოს ამ იდეებთან, თითქოს ხურს გაითავისოს ისინი, რასაც მოწმობს ზეპირსიტყვიერებაში შექმნილი პაპმეტალი მასალა. მეორეს ბრივ კი იგივე ზეპირსიტყვიერება დროდადრო ისეთ პაროდიებსა და ანეკდოტებს თხზავს, რომლებიც აშკარად მიანიშნებენ არსებული პოლიტიკური წყობისადმი ჩვეულებრივი ცნობიერების უარყოფით დამოკიდებულებაზე. ამ დამოკიდებულებას, ამ ანეკდოტებს არა მარტო ფოლკლორი, არამედ ხელოვნების სხვა დარგებიც. ესაა მზოლოდ, რომ თუ ხელისუფლებას შეუძლია ხელოვნების ნებისმიერი დარგის წარმომადგენელს არასახსრეული ნაწარმოების შექმნისათვის „ლაგამი ამოსდოს", ხალხური ზეპირსიტყვიერების მიმართ ამის გაკეთება ძნელია არის და შეუძლებელიც, რადგან იგი ანონიმურია და ცენზურას არ ემორჩილება.

ხელისუფალნი ყოველთვის თვალს ხუჭავენ იმ სატირის მიმართ, რომელსაც ხალხი ქმნის მათ შესახებ. ასე ამიტომ იქცევიან, რომ არ ძალუძთ მისი ხელყოფა და ამჯობინებენ, ისე მოიქცენენ, ვითომ სულაც არ არსებულიყოს ეს სატირა. რაც უფრო მონდომებით ცდილობს ხელისუფლება არაფრად ჩააგდოს მასზე შექმნილი პაროდიები და ანეკდოტები, მით მეტი სარკაზმით ამკობს მას ზეპირსიტყვიერება.

როგორც წესი, ახალ იდეებსა და პოლიტიკას თან ახლავს ახალი მმართველებების გაჩენა ხელოვნების დარგებში, რომლებიც, ოფიციალურ იდეოლოგიასთან ერთად, საზოგადოებრივ აზრს დადებითად განაწყობენ არსებული წყობილებისადმი. ამავე მიზანს ემსახურებიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, რომლებიც სისტემატურ დაწოლას ახდენენ ადამიანთა ცნობიერებაზე, რათა მთავრობის პოლიტიკის მორჩილი გახადონ ისინი.

ასე მოხდა, მაგალითად, რუსეთში, კომუნისტური იდეოლოგიისა და სოციალისტური რეალიმის დამკვიდრების პერიოდში. ხელისუფლებამ ადამიანებს კომუნიზმი ცხოვრების მიზნად დაუსახა. თავდაპირველად მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და ხელოვნების დარგები ხალხის ცნობიერებას ამ იდეალისადმი კეთილად განაწყობდნენ. მართალია, ხალხი და მთავრობა ძალზე ბუნდოვნად ეჩვენოდნენ ამ იდეალის არსში, მაგრამ ადამიანთა ცნობიერებაზე მრავალმხრივი ზემოქმედების შედეგად და ამის გამოც, რომ ეს იდეალი გაჩენილთან მომხიბვლელად გამოიყურებოდა, იგი ადამიანებს თავს მოახვევს. ჩვეულებრივი ცნობიერება თითქოს შეეგუა მას. ნამდვილად კი მას შემდეგ, რაც პოლიტიკური აპოკეის დრომ გაიარა, ჩვეულებრივი ცნობიერება თავის ყოველდღიურობაში ჩაიძირა და ნაკლებად აუწუხებდა იმ იდეალის ბედი, რომელიც ხალხის ყოფას არაფერს მაგებდა. მიუხედავად ასეთი პოზიციისა, იგი, საერთოდ გულგრილი ვერ რჩება იმის მიმართ, რაც მისი ყოველდღიურობის გარეთ ხდება, რადგან ის, რაც პოლიტიკაში ხდება, ახე თუ ისე, გავლენას ახდენს ადამიანთა პრაქტიკულ პოლეფუნობაზე. ამიტომ ჩვეულებრივი ცნობიერება, ზეპირსიტყვიერების მეშვეობით, არსებული პოლიტიკური წყობილების მიმართ ხან კეთილად არის განწყობილი, ხან საწინააღმდეგო დამოკიდებულებას ამჟღავნებს ამისდა მიხედვით თუ როგორ შესაბამებაშია ოფიციალური პოლიტიკა ადამიანთა ყოფასთან. მაგალითად, საბჭოთა ხელისუფლების პირველ ოცეწლეულში ზეპირსიტყვიერებაში ბევრი ისეთი ლექსი და სიმღერა შეიქმნა, რომლებშიც ხოტბა ჰქონდა შესხმული ახალ „სოციალისტურ ცხოვრებას", რევოლუციის ბელადებს, პარტიასა და ა. შ.

ზეპირსიტყვიერების ასეთი „მოქცევა" ჯერაც მისთვის უცნობი ცხოვრების წესისაკენ, თუ მთელი ხალხის არა, მისი ნაწილის განწყობილებას მაინც გამოხატავდა, რაზეც თვალის დახუჭვა არ შეიძლება. ვინც უნდა ამტკიცოს ახლა, იმ პერიოდის ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ყალბი იყო და ყურადღების ღირსი არა არისო, ამით ვერაფერს ვერ დაამტკიცებს, რადგან მათი არსებობა ფაქტია. ჩვენ ამ ფაქტის უარყოფას კი არ უნდა შევეცადოთ, არამედ უნდა ავხსნათ თუ რამ განაპირობა მაშინ ზეპირსიტყვიერების კეთილგაწყობა ან მოძულებული სოციალიზმისადმი და რამდენად გულდადაა ამოთქმული ეს ლექსები.

ერთი რამ უნდა მივიღოთ, როგორც აქსიომა: ლექსი თუ მოთხრობა მარტო წარსულზე ან აწყოზე დაკვირვების განზოგადოების შედეგი რადა. მწერლობის ძალა და ხიბლი იმაშია, რომ იგი აწყოსთან ერთად, ახე თუ ისე, მომავალსაც ვეტრტ. ეს მომავალი, ნებით თუ უნებლიეთ, უკავშირდება იდეებსა და პოლიტიკას, რაც ადამიანებს თანასწორობასა და თავისუფლებას ჰპირდება. ლექსში თუ სიმღერაში გადმოღვრილი მომავლის რწმენა ხალხის თა-

ვისუფლებისადმი სწრაფვის გამოხატულებაა, რასაც იგი ამა თუ იმ პოლიტიკური სისტემის პერსპექტივას უკავშირებს, თუმცა ადამიანებისთვის სულ ერთია, რას უწოდებენ პოლიტიკოსები და მეცნიერები ამ მომავლის საზოგადოებას: კაპიტალიზმს, სოციალიზმს თუ პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას.

ადამიანებს მომავლის რწმენა სჭირდებათ. ისინი მუდამ იმის მოლოდინში არიან თუ როდის გამოჩნდება ახალი მესია და მათ მოძმავლის გზას უჩვენებს. ჩვენ დროში ხალხს თავს ანებეებენ სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების იდეებს. ადამიანები ამ იდეებს ებღაუჭებიან, მათ ადიდებენ და უმღერიან მომავლის იმედით აღსავსე სტრიქონებით. ამიტომ არ შეიძლება უგულებელყოთ საბჭოურ პეროიდში შექმნილი ის სიმღერები თუ ლექსები, რომლებშიც გამოხატულია სოციალიზმისა თუ პარტიისადმი ერთგულება თუ სიყვარული. მოგაცილეთ ამ ლექსებს ყოველგვარი „იზმები“ და ავტორიტეტები და მათში დარჩება სამშობლოს სიყვარული, ბედნიერებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილი, რაც ყველა დროსა და ეპოქაში ადამიანთა ოცნება იყო და არის. ხოლო თუ მაშინ ამ ბედნიერ მომავლად ხალხს კომუნიზმში უსახავდნენ, ხოლო მის მედროშეზე ლენინს (რასაც ხალხისთვის არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა), ადამიანებიც იძულებულნი იყვნენ იმედის სიტყვები მთაკენ მიეჭართათ.

ხალხისთვის ყოველთვის დაფარული იყო პოლიტიკურ მოღალეწეთა ეშმაკობა მიზნები. მას არ სურს დაკარგოს მომავლის იმედი, ამიტომ იძულებულია ის ირწმუნოს, რასაც ოფიციალური პირები ეუბნებიან. ამ რწმენით დაიტრა მან გარდაცვლილი „ბელადი“:

ლენინ, ოქტომბრის ბელადო,
შენ არა ხარ ჩვენთვის მკვდარი,
მთელ მსოფლიოს გაალვიძებს
შენი შემოკრული ხარი...

ადამიანები უმღერიდნენ კოლექტივიზაციას, რადგან იმედი ჰქონდათ, რომ ტრადიციული „ოჯუნს“ პრობლემა ამ გზით გადაწყვეტდნოდა:

ამ კოლექტივის მომავლისა
ვენაცვალე სულშია,
ძლიერს გამოვიძიე ფეცელი,
აღარცა ვწევარ ჩულშია...

ცხადია, ზეპირსიტყვიერებაში შექმნილი ყველა ლექსი ხალხური პოეზიის მარგალიტად ვერ ჩაითვლება, არც ადრინდელი და არც ახალი, მაგრამ საბჭოთა პერიოდში შექმნილ ნიმუშებში ეს მარგალიტები სანთლითაა საძებარი.

რა მსატვრული ღირებულებისაა ეს და ამგვარი ლექსები, ამას ფოლკლორის მკვლევარები გაარკვევენ. ამ შემთხვევაში გასარკვევია ის, თუ რამდენად ხალხურია ეს ლექსები და გამოხატავენ თუ არა ისინი ხალხის ნამდვილ განწყობილებას.

როცა ამ ჟანრის ლექსებს ვკითხულობ, ჩემდა უნებურად, მათ ავტორებად წარმომიდგება ხოლმე ვინმე კლუბის გამგე, თუ მომდერალთა გუნდის ხელმძღვანელი, რომლებიც საოცრად მოძრავდნენ საბჭოთა ხანაში და თავიანთ ნიჭს „სწრაფვდნენ“ სოციალისტური კულტურის განვითარებაში. თუ ქართული ხალხური პოეზიის თორმეტტომეულს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ საბჭოთა პერიოდში შექმნილი უმეტესი ლექსების ავტორები, მოქმედები, ცნობილია. ამ ავტორთაგან ზოგიერთს სწორედ აღნიშნული „თანამდებობა“ ეპარა. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ხელისუფლების მაამებელი ლექსები პარტიული ფუნქციონერების დაკვეთით თუ არა, მათი გულის მოსაგებად მაინც იქმნებოდა. რა ოქმა უნდა, იყო გამონაკლისიც, რამეთუ მიმბაძველები ყოველ დროში არსებობდნენ და იარსებენებენ.

ამასთან დაკავშირებით ერთ გარემოებასაც უნდა მივაქციოთ უურადღება. საბჭოთა ხელისუფლება ყოველნაირად უწყობდა ხელს ფოლკლორული მასალის პროპაგანდას ხელოვნების დარგების, მეცნიერების, პრესის, რადიოსა თუ ტელევიზიის მეშვეობით. ერთი შეხედვით ისე ჩანდა, რომ ხელისუფლება ამას მასების „განათლებისა და გაკულტურების“ მიზნით აკეთებდა. ნამდვილი მიზანი ამის უკან იმალებოდა: ფაქტობრივად, ხელისუფალნი ამ გზით ეწიოდნენ სოციალიზმის იდეების პროპაგანდას, ცდილობდნენ მსოფლიოსთვის დაეშტიკცებინათ სოციალიზმის იდეების ცხოველმყოფელობა, ეჩვენებინათ, რაოდენ ერთგული „საბჭოთა ხალხი“ სოციალისტური წყობისა და კომპარტიისა.

ფოლკლორული მასალის გავრცელება ჩვენს დროში არა მხოლოდ ზეპირი, არამედ უპირატესად ბეჭდვითი ორგანოების (საშუალებათ ხორცესდება. ამასთან, თანამედროვე ფოლკლორული მასალა იბეჭდება მისი ავტორის (მოქმედის) სახელითა და გვარით. ამით ხალხურმა ლექსმა ანონიმურობა დაკარგა, მას წერილთა ხალხში თავისუფლად გასვლის შესაძლებლობა, სხვადასხვა ვარიანტების შექმნის უნარი. გასაგებია, რომ რაკი ლექსის ავტორი ცნობილია, მის თვითნებურ შესწორებას ყველა ერიდება, რადგან ეს ლაკვიატობად ითვლება და კანონით ისჯება. ამიტომაა, რომ თანამედროვე ხალხური პოეზიის ნიმუშების უმეტესობა მხოლოდ ერთი ვარიანტით არსებობს. არადა, ლექსის სხვადასხვა ვარიანტებით არსებობა მისი ნამდვილი ხალხურობისა და პოპულარობის მაჩვენებელია. გამოდის, რომ, როცა ფოლკლორული მასალა მხოლოდ ზეპირი გადაეცემებით ვრცელდებოდა, იგი უფრო ხალხური და პოპულარული იყო, ხოლო როცა გავრცელების მრავალი საშუალებანი მოიპოვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლებ ხალხური და პოპულარული გახდა. მაგრამ მთავარი მიზეზი საბჭოური პერიოდის „ხაზეიმო“ ფოლკლორის ხალხნაკლები პოპულარობისა ეს როდია. საქმე იმაშია, რომ ამ ლექსებს აშკარად ეტყობათ აზრის ნაძალადევი პოლიტიზირება, რის გამოც დაბალია მათი მხატვრულ-პოეტური დონე. ამიტომაც ეს ლექსები ხალხმა ვერ გათვალისა, ისინი ვერ იქცნენ ადამიანთა სულიერ და გულის შემადგენელ ნაწილად, რის წყალობითაც ხალხური ლექსი გადადის სოფლიდან სოფელში, ერთი რეგიონიდან მეორეში. ამ „მოარულობაში“ ლექსი იხვეწება, გარდაქმნება, იცვლება სხვადასხვა კუთხის კილოკავებით, ახალი ეპიზოდებით და „ხელიდან ხელში საგოგმანებელი“ ხდება. ასეთი ხვედრი საბჭოური პერიოდის ლექსებს არ ხვდომია წილად. შესაძლებელია ისიც იყოს, რომ ამ ლექსებს ჯერაც არ შეხებია სიძველის ყამი და იქნებ ამიტომ არ შექმნილა მათი სხვადასხვა ვარიანტები დღემდე. თუმცა, ძნელი დასაჯერებელია, რომ ვინმეს კვლავ გაეჩინდეს მათი ხელახლა „გულით ამოქექის“ წადილი. ასეთი წადილი ადამიანებმა დაკარგეს არა საერთოდ პოეზიისადმი გულაცრუების გამო, არამედ იმიტომ, რომ ის, რაც ისინი უმღეროდნენ, რაც ხელისუფლებამ ცხოვრების საზრისად დასახა, ყალბი აღმოჩნდა.

არსებული წყობისადმი უნდობლობა და უმაყოფილება წლების განმავლობაში გროვდებოდა. ხალხი თანდათან ივიწყებდა სოციალიზმზე, ბელადებზე და პარტიაზე შექმნილ ლექსებსა და სიმღერებს, აღარც ახალი იქმნებოდა. სამაგიეროდ, გაჩნდა პაროდიები, სატირა და ანეკდოტები ყოველივე იმაზე, რასაც ადრე „უგალობდნენ“. ყოველდღიურ ამბოვებში ჩახედულ ადამიანებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ თუ როგორ ყვლეფდნენ ხალხს, ავიწროებდნენ მოძმეს და განუკითხავად არიგებდნენ და ანიავებდნენ ეროვნულ სიმდიდრეს „სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს“ ამოფარებული მედროვეები. დაინახეს და თქვეს კიდევაც:

გულიათ ვინოს ვინც ნახავთ, უთხარით
გამარჯობა...
ფერმა სხვას გადაამარა, თავგადმარეთა
დგებია...
„ეხლა ჩაკვინდით ჩემ ხელში“, მეზობლებს
ემუქრებაო.

ან კიდევ:

...სადაც სუფრა გაშლილი, მოხრაკული
და შამწვარი,
საქონელს აძლევს იმასა, ლეკ იყოს, თუნდა
თათარი,
დღიურსაც იმას უფრავს, რო არც თოხ
დაკრას, არც ბარი...

რესპუბლიკაში მეცხოველეობის განვითარებასა და სილოსის დაშენდების თაობაზე მიღებულ დადგენილებას ხალხმა ასეთი პაროდია მიუძღვნა:

დასილოსება რაც შემოვიდა,
კოლეკტივის საკენები ფურზე მოვიდა...
ამას რას ხედავ, ჩემი თვალება,
კოლეკტივში მუშაობენ სოფლის ქალები...

საქართველოს აღრინდელმა მთავრობამ რუსეთის ქალაქებზე „შეფობა“ რომ იკისრა და მოსაალის მთელ მარაგს ირეთი ეზრანედი, ხოლო ქართველთ კაცს თავისი მიწეფული მოსავლის გაყიდვა აკრძალული ჰქონდა, ამას ასეთი სტრიქონებით შეხვდნენ:

რა ყოფილან ეს რუსები,
შეგვეტბეშეს რესურსები,
ჩვენ აქ მზეში ვიტრუსებით,
ამათ მიაქვთ ციტრუსები...

ჩვეულებრივი ცნობიერება მარტივი ხალხური ენით მეტყველებს, ამიტომ ის ყველასთვის გასაგებია. მწვავე ფოლკლორული სატირა, რომელსაც ნება არა აქვს პრესით ისარგებლოს, ზეპირი გადაცემითაც სწრაფად ვრცელდება ხალხში. ოფიციალური ხელისუფლება და მეცნიერება ზეპირსიტყვიერების ამ ნიშნეულებს არ სწყალობენ, არ ზდება მათი ანალიზი და სათანადო დასკვნების გაკეთება. არადა, მათში უტყუარადაა ასახული ხალხის დამოკიდებულება არსებული წყობისადმი. ხელისუფლებას აშინებს სატირა, რადგან ხედავს, რომ ამით მისი ავტორიტეტი ეცემა ხალხში, რომელიც არსებული პოლიტიკით უკმაყოფილო ოპოზიციის მხარეზე გადადის.

ოპოზიცია ამას სიხარულით ხვდება, იგი ხედავს, რომ ჩვეულებრივი ცნობიერება მის იდეებს იზიარებს. ამიტომაც, რომ საბოლოოდ მიიმხრის ეს ძალა, ოპოზიცია ცდილობს უფრო კონფრონტაციული გახადოს მას და ხელისუფლებას შორის ურთიერთობა. თავის მხრივ ჩვეულებრივი ცნობიერება მხარს უჭერს ოპოზიციას იმის იმედით, რომ მისი შემწეობით თავს დაადწევს იმ ბეჩავ ყოველდღიურობას, რომელშიც წლების განმავლობაში სული ეხუთება.

მაგრამ არცთუ იშვიათად, როცა ოპოზიცია ხელისუფლების სათავეში მოდის, ჩვეულებრივი ცნობიერების მიმართ ისიც ისეთ დამოკიდებულებას ამჟღავნებს, როგორსაც უწინდელი ხელისუფლება ამჟღავნებდა. ამით განაწყენებული ჩვეულებრივი ცნობიერება კვლავ იძირება თავის ყოველდღიურობაში, თითქოს ალარაფერი არ აინტერესებს. იგი დროს ელოდება და, როცა ეს დრო დგება, კვლავ ებმება პოლიტიკურ თამაშში. ხან ერთის მხარეზეა, ხან მეორის. ზოგჯერ აბუტუბენ, ზოგჯერ თავადაც თავს იტაუფებს, მაგრამ ყველასა და ყველაფრის მიმართ გამოაქვს საკუთარი მსჯავრი თავისი ლექსებით, პაროდიებით, სიმღერებითა და ანეკდოტებით,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანანა ტაბაღუა

მიწერ-მოწერა საქართველოს მეფე-მთავრებსა და რომის პაპებს შორის

საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდას მრავალი საუკუნის ისტორია აქვს. იგი დაიწყო XIII საუკუნის 20-იან წლებში და გაგრძელდა 1845 წლამდე, როდესაც რუსეთის ცარიზმმა აკრძალა დასავლეთის მისიონერების მოღვაწეობა საქართველოში.

კათოლიკე მისიონერებმა დადებითი როლი შეასრულეს ქართული კულტურის განვითარების საქმეში: ერთი მხრივ, ისინი ცნობებს აწვდიდნენ საქართველოს შესახებ დასავლეთ ევროპას და ამით ხელს უწყობდნენ საქართველოს კავშირ-ურთიერთობის განვითარებას ცივილიზებულ დასავლეთ ევროპასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მისიონერებს ევროპული კულტურა შემოჰქონდათ საქართველოში; ისინი აქ ქმნიდნენ პატარა-პატარა ჯგუფებს და ბავშვებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას ლათინურად, იტალიურად, ქართულად, გათვალისწინებული იყო ამ ბავშვებიდან ზოგიერთის რომის კოლეჯში გაგზავნა. კათოლიკე მისიონერები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა აეკრძალათ საქართველოში ტყვეებისა და ბავშვების გაყიდვა მაჰმადიანებზე.

XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან კათოლიკე მისიონერები ან უშუალოდ საქართველოში ჩამოდიოდნენ და აქ ეწეოდნენ სამისიონერო მოღვაწეობას, ან საქართველოზე გავლით მიეგზავრებოდნენ აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (სპარსეთი, ინდოეთი, ჩინეთი), მაგრამ საქართველოშიც ჩერდებოდნენ და ცნობებს აგზავნიდნენ ამ ქვეყნის შესახებ. ამრიგად, კათოლიკე მისიონერების თუ სხვა მოგზაურების (დიპლომატები, ვაჭრები) მიერ შედგენილი ცნობები საქართველოს შესახებ თავს იყრიდა ევროპის (ეკრძოდ, ვატიკანის) არქივებში. ამ მასალებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ისტორიისათვის, რამდენადაც საქართველო მუდამ წარმოადგენდა უცხოელ დამპყრობელთა განუწყვეტელი შემოსევის ასპარეზს და, ცხადია, ქვეყნის დანგრევასთან ერთად ნადგურდებოდა წერილობითი მასალებიც.

ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ საქართველოს მეფე-მთავრებსა და რომის პაპებს შორის მიმოწერასთან დაკავშირებულ მასალებს. ვატიკანის არქივში მოიპოვება მასალა, საიდანაც ჩანს, რომ რომის პაპებიდან პირველმა წმ. გრიგოლ დიდმა (590-604 წწ.) 601 წელს გაუგზავნა წერილი იბერიის ეპისკოპოსებს, რომლებმაც მაშინვე უპასუხეს ამ წერილს, მაგრამ უფრო ინტენსიური მიწერ-მოწერა საქართველოს მეფე-მთავრებსა და რომის პაპებს შორის უფრო მოგვიანებით იწყება.

პირველი წერილი, რომელიც უშუალოდ ეხება ჩვენს მიერ დასმულ საკითხს — ეს არის რუსუდან დედოფლის წერილი რომის პაპ ონორე მესამისადმი. პაპმა ონორე III (1216-1227 წწ.) მოუწოდა საქართველოს სამეფოს, მონაწილეობა მიეღო მე-5 ჯვაროსნულ ლაშქრობაში და წერილი და დესპანი გამოუგზავნა საქართველოს მეფეს ლაშა გიორგის. ლაშა გიორგიმ გამოთქვა მზადყოფნა, თავისი ლაშქრით მონაწილეობა მიეღო უჯრედლიერებისაგან წმიდა მიწების განთავისუფლების საქმეში. მაგრამ აქის შემდეგ იგი მალე გარდაიცვალა და, მეორეც, ამ დროს თვითონ საქართველოს შემო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესია დამპყრობლები. ამრიგად, საქართველოს მეფემ ვერ შეძლო პაპის თხოვნის შესრულება, თუმცა, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რუსუდან დედოფალი და ივანე მხარგრძელი მზადყოფნას გამოთქვამდნენ პაპის მოწოდების მიმართ.

რუსუდან დედოფალმა (1223-1245 წწ.) წერილი მისწერა პაპ ონორე III. ეს წერილი უთარიღოა, მაგრამ პაპის ხასასუხო წერილიდან, რომელიც 1224 წლის 12 მაისითაა დათარიღებული, შეგვიძია ვივარაუდოთ, რომ რუსუდანმა პაპს წერილი მისწერა 1223 წლის ბოლოს ან 1224 წლის დასაწყისში. რუსუდანის წერილის სათაური ასეთია: „საქართველოს დედოფლის წერილი პაპ ონორე III-ს. იგი პაპს აცნობებს საქართველოს მეფის — საკუთარი ძმის — გარდაცვალებას, საქართველოს სამეფო ტახტის მის ხელში გადასვლას და ახეკე ბევრ რამეს სარკინოზების შესახებ".

რუსუდანის წერილში ნათქვამია: „თუ შენდამი გამოგზავნილი ამ წერილის გამო ტანჯლად განეწყვეე ჩვენს მიმართ და, ალბათ, იკითხავ ჩვენს მდგომარეობას, ვივუწყებ შენს უფმინდესობას, რომ ძმა ჩემი — ქართველთა მეფე, გარდაიცვალა და მისი სამეფო მე დამჩრა. ახე რომ, ვითხოვთ თქვენს კურთხევას ჩვენთვის და ყველა ჩვენი ქვეშევრდომი ქრისტიანისათვის".

ამავე წერილიდან ჩანს, რომ საქართველოში ჩამოსულა პაპის ლეგატი და გადაუცია პაპის სურვილი, მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ურჯულოების წინააღმდეგ. „დამიეტში მყოფი შენი ლეგატისაგან მივიღეთ შენი დიდებული რჩევა და ბრძანება, — ნათქვამია რუსუდანის წერილში, — რათა ძმა ჩემი ქრისტიანების დახმარებლად წასულიყო. ეს თავად მისი ხურვალეკე იყო და წასასელადაც ემზადებოდა, მაგრამ თუ თქვენც გიიგეთ, ჩვენს ქვეყანას ბიწიერ თათარა ტომი შემოესია და მან დიდი ზარალი მიაყენა ჩვენს ხალხს. ექვნი ათასი კაცი ამოგვიწყვიტა..." ამიტომ საქართველომ ვერ მიიღო ლაშქრობაში მონაწილეობა.

მაგრამ სამეფო კარზე გაუგიათ, რომ პაპის ბრძანებით სიცილიის მეფე ფრიდრიხი წმინდა მიწეების გათავისუფლების მიზნით სათავეში ჩადგომია ჯვაროსნულ ლაშქრობას. ამასთან დაკავშირებით, რუსუდან დედოფალი თხოვს პაპს, შეატყობინოს, თუ რიდან მიდის ხალაშქროდ მეფე ფრიდრიხი, რათა ქართველებიც შეუერთდნენ ამ ლაშქრობას.

დაახლოებით ასეთივე შინაარსისაა ივანე მხარგრძელის მიერ პაპისადმი მიწერილი წერილი.

საპასუხო წერილში პაპი დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ქართველებს გმრიული წინააღმდეგობა გაუწევიათ მონღოლებისათვის და როგორც დედოფალი, ასევე მხეთრთმთავარი მზადყოფნას გამოთქვამდნენ მონაწილეობა მიეღოთ ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

მიწერ-მოწერა გრძელდებოდა რიმის პაპ გრიგორ IX-სა და რუსუდან დედოფალს შორის. ამ დროს საქართველოში ჩამოვიდა პაპის წარმომადგენელი ფრანცისკანელი ჯაკომო და რუსანო.

პაპმა ნიკოლოზ IV-მ ორჯერ — 1289 წლის 7 ივნისს და 1291 წლის 1 ოქტომბერს, წერილობით მიმართა საქართველოს მეფეებს დავით VI ნარინს და დემეტრე II-ს. ეს წერილები საქართველოში ჩამოიტანეს კათოლიკე მისიონერებმა და აღრეცხვის გადასცეს.

პაპმა კლემენტ V-მ 1307 წელს და პაპმა იოანე XII-მ 1313 წელს საქართველოში გამოგზავნეს კათოლიკე მისიონერები. 1322 წელს პაპმა იოანე XXII-მ წერილით მიმართა საქართველოს მეფეს გიორგი V ბრწყინვალეს. პაპის ამ წერილის შესახებ ერთ-ერთ ხასუბში ნათქვამია: „პაპმა იოანე XXII-მ ქართველებს რომის ეკლესიასთან შეთანხმების განახლება შესთავაზა". იგი „ქართველთა მეფე გიორგი V ბრწყინვალეს და მის თავადებს, მთელ ხალხს კათოლიკურ ეკლესიასთან შეთანხმებას ურჩევდა".

1329 წელს თბილისში, „ქართველთა სამეფოს შუა გულში" კათოლიკეთა ხაეპისკოპოსო ნაყდრი დაარსდა (იგი ხმირადვე გადმოიტანეს) და მის ეპისკოპოსად დაინიშნა დომინიკანელი იოანე ფლორენციელი. იგი ამ თანამდებობაზე დარჩა სიკვდილამდე (1349 წ.). ქართლის მეფე სიმონ I-სა და რომის პაპებს შორის მიწერ-მოწერა კვლავ გრძელდებოდა.

საქართველოს მეფე-მთავრები ხელს უწყობდნენ კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობას საქართველოში, ვინაიდან ამ მისიონერთა შორის იყვნენ უადრესად განათლებული პირები: ექიმები, მხატვრები და სხვ., რაც იმ დროს საქართველოს ძალიან სჭირდებოდა. ჩვენს ხელთაა საქართველოს მეფე-მთავრების (თეიმურაზ I, სოლომონ I, ლევან II დადიანი და სხვ.), სასულიერო პირების (კათალიკოსი ზაქარია და სხვ.) პაპისადმი მიწერილი წერილები, სადაც ისინი ითხოვენ საქართველოში ექიმების, მხატვრების (ეკლესიების მოსახატავად) გამოგზავნას.

1630 წელს სამეგრელოში ჩასულ იტალიელ მისიონერს ჯოვანი და ლუკას სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „ყმეთი იყოს თქვენი მობრძანება. ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ვიხილო მღვდელი იტალიელი, რომელი ერიც მსოფლიოში ყველაზე უფრო ნიჭიერად და განათლებულად მიმანნია. ჩემს წინაპრებს ყოველთვის სურდათ ენახათ და თავის გვერდით პყოლოდათ ამ ერის წარმომადგენელნი".

ფერო გეიან — 1643 წელს, იგივე ლევან დადიანი, რომელმაც თავის ელჩად რომში თეატინელი მისიონერი დონ ჯიუფეო ჯუდიჩე გაგზავნა, ითხოვდა საფეიქრო წარმოებაში გაწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდილი ადამიანების, ხოლო 1649 წელს, დონ არქანჯელო ლამბერტის საშუალებით, მკურნალისა და წამლების გამოგზავნას.

სპარსეთისა და თურქეთის მხრიდან შემოსევების და მათ აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ ბოლო არ უჩანდა. ასეთ ვითარებაში მეფე თეიმურაზ I-მა გადაწყვიტა, დამარება ეთხოვა ესპანეთის მეფე ფილიპე IV-სათვის რომის პაპის შუამდგომლობით. ამ მიზნით მან 1626 წლის ნოემბერში რომსა და მადრიდში გაგზავნა თავისი ელჩი ნიკიფორე ირბახი (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი) და გაუტანა წერილები რომის პაპთან და ესპანეთის მეფესთან.

ნიკიფორე ირბახი იყო მადრიდში, რომში, პოლონეთში, გერმანიაში, 1629 წლის აგვისტოში დაბრუნდა გორში. საშუხაროდ, ამ მისიის შედეგები არ მოჰყოლია.

თეიმურაზ მეფის მიერ ევროპაში ნიკიფორე ირბახის მიგზავნება დაემთხვა ვატიკანის მხრიდან საქართველოში თეატინელი მისიონერების გამოგზავნას. ამ მისიონერთა პირველი ჯგუფი (დონ პიეტრო ავიტაბილი, დონ ჯაკომო დი სტეფანო და ძმა კლაუდიო) გორში ჩავიდა 1628 წლის დეკემბერში. ისინი მაშინვე შეუდგნენ მოღვაწეობას. თეიმურაზ მეფემ მათ მიხცა ეკლესია, სახლი და მოამარაგა პროდუქტებით. მათ თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანეს პაპ ურბან VIII-ის წერილი. პაპის წერილი თეიმურაზ მეფეს ჩამოუტანა ნიკიფორე ირბახმაც.

1630 წლის 3 აგვისტოს თეიმურაზ მეფემ რომის პაპთან გაგზავნა ელჩი, ზემოხსენებული დონ პიეტრო ავიტაბილი. მას მიჰქონდა თეიმურაზ მეფისა და ზაქარია კათალიკოსის წერილები რომის პაპთან და წმ. კონგრეგაციი და პროპაგანდა ფიდეს კარდინალებთან. ორივე— მეფეც და კათალიკოსიც ვატიკანისგან ითხოვდნენ ეკლესია და მხატვრის გამოგზავნას. გაანუწყვეტელი ომების შედეგად ქვეყანაში სხვადასხვა ავადმყოფობა იყო გავრცელებული, ხოლო ეკლესიები გაპარტახებული, რომელთა ხელახლა მოხატვა აუცილებელი იყო.

დონ პიეტრო ავიტაბილიმ მოახსენა პაპს და კარდინალებს იმ მძიმე მდგომარეობის შესახებ, რომელშიც იმყოფებოდა საქართველო და ქართველი ხალხი. მაგრამ დონ პიეტრო ავიტაბილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ, მიუხედავად განუწყვეტელი შემოსევებისა და ნგრევისა, ქართველი ხალხი ინარჩუნებდა დამოუკიდებლობას და ქრისტიანობას.

1631 წლის მაისში საქართველოში (გორში) კიდევ ორი თეატინელი მისიონერი ჩამოვიდა: დონ არქანჯელო ლამბერტი და დონ ჯოზეფო ჯუდიჩე. ორი წლის შემდეგ ისინი სამოღვაწეოდ დასაფეთ საქართველოში (ქერძოდ, სამეგრელოში) გადავიდნენ, სადაც პრივეთი 1649 წლამდე, ხოლო მეორე 1643 წლამდე დარჩა. ერთმანეთ და მეორემაც მნიშვნელოვანი ნაშრომები დატოვეს საქართველოს შესახებ.

1632 წლის 10 ივლისს რომიდან დაბრუნდა დონ პიეტრო ავიტაბილე. მან რომიდან ჩამოიყვანა ახალ მისიონერთა დიდი ჯგუფი, მათ შორის ისეთი ცნობილი პირები საქართველოსათვის, როგორიც იყვნენ დონ კრისტოფორო კასტელი და დონ ანტონიო ჯორდინა. პრივე

ᲡᲐᲡᲗᲝ 26 ᲐᲡᲒ.

n 400/2

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ